

ბესარიონ ზოიძე

**საკონსტიტუციო
კონტროლი და
ღირებულებათა
წესრიგი
საქართველოში**

თბილისი, 2007

Bessarion Soidse

Verfassungskontrolle und Werteordnung in Georgien

თბილისი, 2007

ნიგნი ნარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსებ-
ბიდან ათი წლის (1996–2006) მანძილზე შექმნილი პრეცედენტების მონოგრაფიუ-
ლი შესწავლის პირველ მცდელობას. ისინი გაანალიზებულია არატრადიციული
სისტემითა და ფორმით. კერძოდ, ყურადღება გადატანილია იმაზე, თუ რა წვ-
ლილი მიუძღვის საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი სამართლებრივი ღირე-
ბულებების დამკვიდრების საქმეში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საკონსტიტუციო სამართლისა და კერძო სამართლის საპროფესოროების მიერ
ნიგნი რეკომენდებულია სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად.

© გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), 2007

ISBN

Hrsg.:

gtz

Projekt:

Unterstützung des Rechts- und
Gerichtssystems in Georgien

Rustaveli Allee 30

0140 Tbilissi, Georgien

Tel.: +995 (32) 933712

Fax: +995 (32) 997764

E-Mail: gtz_law@caucasus.net

www.gtz-law-caucasus.net

გამომცემელი:

gtz

პროექტი:

საქართველოს სამართლისა და
სასამართლო სისტემის ხელშეწყობა
რუსთაველის გამზ. 30

0140 თბილისი

ტელ.: +995 (32) 933712

ფაქსი: +995 (32) 997764

E-Mail: gtz_law@caucasus.net

www.gtz-law-caucasus.net

წინათქმა

საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობის ათმა წელმა აჩვენა, რომ ეს სასამართლო ისევეა საჭირო დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, როგორც ადამიანისათვის ჰაერი. სწორედ იგი წარმოადგენს სამართალგანვითარების ყველაზე ხელშემწყობ დაწესებულებას ქვეყანაში. ამიტომაცაა, რომ განსაკუთრებული პატივისცემითა და მოკრძალებით ხვდებიან საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებებს ნებისმიერ ქვეყანაში.

ახალგაზრდა ქართული საკონსტიტუციო სასამართლოს მთავარი მიღწევა ის არის, რომ მან შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის ერთ-ერთ სერიოზულ დაწესებულებად იქცა.

მე ვეცადე ამ სასამართლოს საქმიანობა ორიგინალური კუთხით დამენახა. ჯერ როგორც ცივილისტმა, მოვსინჯე, თუ რა როლს თამაშობს საკონსტიტუციო სასამართლო კერძო სამართლის განვითარებაში. ამაში სერიოზულად დამაფიქრა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ გაკეთებულმა შეფასებებმა. ზოგიერთი სწავლულის პროვოკაციული შეფასებით იგი უზენაეს ცივილურ სასამართლოდაა მიჩნეული. მართლაც, ძირითადი კანონი სერიოზულ გავლენას ახდენს კერძო სამართლის უმთავრეს ინსტიტუტებზე¹.

მოზრდილი ნაწილი წიგნისა ეხება სამართლებრივი წესრიგისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრობლემებს. ვეცადე სასამართლოს გადანყვეტილებათა საფუძველზე ჩამომეყალიბებინა კანონმდებლობის თეორიის უმთავრესი პრინციპები. კანონმდებელი შებოჭილია ხალხის ელემენტარული ღირებულებითი წარმოდგენებით. მთელი ძალისხმევა სასამართლო პრაქტიკისა მიმართულია სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების მშვიდობიანი და ჰარმონიული ურთიერთობის დამკვიდრებისაკენ.

1. Jürgen Basedow, Europäische Menschenrechtskonvention und europäisches Privatrecht. Rabels Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht. 63. Jahrgang, 1999, Band 63 (1999), S. 410.

პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციის ინტერპრეტაციის საკითხი. ჩვენში მხოლოდ ახლა ყალიბდება სამოსამართლეო სამართალი, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა იყოს სამართლის ნამდვილი სულის წარმოსაჩენად.

ისტორიულად საქართველო კერძო-მესაკუთრული ფსიქოლოგიის ქვეყანაა. სამწუხაროდ, ჩვენს ხალხს ახლაც უჭირს საკუთრების სოციალური ფუნქციის გაგება. საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკა კარგი მასწავლებელი უნდა იყოს საკუთრების ისეთი გაგებისა, როგორც ეს მიღებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში. ამ საკითხზე ვეცადე ვრცლად მესაუბრა ნაშრომში.

ბევრი პრობლემა მაქვს წინა პლანზე წამოწეული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან. ვინც დაინტერესდება, შეუძლია თვალი გადაავლოს ნაშრომის სარჩევს და იქ დაინახავს მათ. სპეციალურად ვაკეთებ ამ სარჩევის გერმანულ თარგმანსაც.

ნაშრომში წამოჭრილი საკითხების შესწავლის აუცილებლობა კიდევ უფრო განმიმტკიცდა ქ. ჰაიდელბერგში **მაქს-პლანკის სახელობის საზღვარგარეთის საჯარო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტში** მუშაობისას. ვსარგებლობ შემთხვევით და ხელშეწყობისათვის მადლობას მოვახსენებ ამ ინსტიტუტის დირექტორს **ბატონ პროფესორ არმინ ფონ ბოგდანდის და მის ყველა თანამშრომელს**, რომლებმაც დახმარება აღმომიჩინეს ჩემს კვლევით საქმიანობაში.

მადლობის სიტყვები მინდა ვუთხრა **გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას (GTZ)**, მის წარმომადგენელს - **ბატონ ცენო რაიჰენბეჰერს**, რომლის დახმარების გარეშეც გამიჭირდებოდა ამ წიგნის მკითხველამდე მიწოდება. განსაკუთრებული პატივისცემა მინდა გამოვხატო ამ საზოგადოების თანამშრომლის **შალვა პაპუაშვილის** მიმართ.

არ მინდა დავივიწყო ჩემი ქართველი კოლეგები, მასწავლებლები და მონაფეხები, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, ნებისმიერი თანამშრომელი, რომლებთან მრავალწლიანი საქმიანობის პირობებში მიყალიბდებოდა ამ წიგნში გადმოცემული იდეები. მე მათ მადლობას ვუუბნები.

დაბოლოს, კმაყოფილი დავრჩები თუკი ეს წიგნი ოდნავ მაინც წაადგება სამართლის განვითარების საქმეს ჩემს ქვეყანაში.

პროფესორი
ბესარიონ ზოიძე

Vorwort

Das Verfassungsgericht hat mit seiner 10-jährigen Existenz gezeigt, dass dieses Gericht für einen demokratischen Staat genauso notwendig ist, wie die Luft für den Menschen. Es ist eine die Rechtsentwicklung am meisten unterstützende staatliche Institution. Deshalb begegnet man den Entscheidungen des Verfassungsgerichts in jedem Land mit äußerster Ehre und Achtung.

Die wichtigste Errungenschaft des jungen georgischen Verfassungsgerichts ist die Erhaltung seiner Unabhängigkeit. Ferner ist es zu einer bedeutendsten Institution auf dem Gebiet der Harmonisierung mit dem europäischen Recht geworden.

Ich habe versucht, die Tätigkeit dieses Gerichts aus einem originellen Blickwinkel zu sehen. Als Zivilrechtler habe ich zuerst erkundet, welche Rolle dem Verfassungsgericht für die Entwicklung des Zivilrechts zukommt. Einen Anlass hierzu gaben mir die Bemerkungen über das Bundesverfassungsgericht Deutschlands. Nach provokanten Bewertungen mancher Gelehrten ist das Verfassungsgericht das Oberste Zivilgericht. Freilich hat das Grundgesetz einen großen Einfluss auf die wichtigsten Institute des Privatrechts¹.

Der größte Teil des Buches beschäftigt sich mit Problemen der Rechtsordnung und der Rechtssicherheit. Ich habe versucht, aufgrund der Gerichtsentscheidungen die grundlegenden Prinzipien der Gesetzgebungstheorie zu erfassen. Der Gesetzgeber ist durch elementare Wertvorstellungen der Bürger eingeschränkt. Das ganze Bestreben der Rechtsprechung ist auf die Harmonisierung der Beziehungen zwischen dem Staat und seinen Bürgern gerichtet.

¹ Jürgen Basedow. Europäische Menschenrechtskonvention und europäisches Privatrecht. *Rebels Zeitschrift für Ausländisches und Internationales Privatrecht*. 63 Jahrgang, 1999, Band 63 (1999), s. 410.

Die Frage der Auslegung der Verfassung ist für postsowjetische Länder besonders relevant. Bei uns entwickelt sich erst jetzt das Richterrecht, was ein wichtiger Faktor zur Darstellung des wahren Geistes des Rechts sein soll.

Geschichtlich ist Georgien durch den privat-eigentümlichen Geist geprägt. Leider fällt es unserer Bevölkerung noch heute schwer, die soziale Funktion des Eigentums zu verstehen. Die jüngste Praxis des Verfassungsgerichts soll als Beispiel für das in der Praxis des Europäischen Gerichts für Menschenrechte etablierte Verständnis des Eigentumsbegriffs herangezogen werden. Ich habe versucht, in meiner Arbeit diese Frage ausführlich zu behandeln.

Viele Probleme, die ich in den Vordergrund gerückt habe, stammen aus der Praxis des Verfassungsgerichts. Die Interessenten können hierzu im Inhaltsverzeichnis der Arbeit näher betrachten. Ich füge deshalb eine deutsche Übersetzung dieser Liste an.

Mein Entschluss, die in der Arbeit aufgeworfenen Fragen näher zu studieren, hat sich während meiner Tätigkeit am **Max-Planck-Institut für ausländisches Öffentliches Recht und Völkerrecht in Heidelberg** verfestigt. An dieser Stelle möchte ich die Gelegenheit nutzen und dem Institutsdirektor **Herrn Professor Armin von Bogdandy** und allen seinen Mitarbeitern für die Unterstützung meiner Forschung herzlich danken.

Mein Dank gilt weiter der **Deutschen Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ)** und seinen Vertretern – **Herrn Zeno Reichenbecher**, und **Herrn Dr. Shalva Papuashvili** den mir ermöglicht hat, dieses Buch für die Leser zugänglich zu machen.

Ich möchte nicht meine georgischen Kollegen, Lehrer und Schüler, sowie Richter und alle anderen Mitarbeiter des Verfassungsgerichts vergessen, mit welchen mich jahrelange geschäftliche Beziehungen verbinden. Aus diesen Beziehungen habe ich die in diesem Buch dargelegten Ideen gewonnen. Ihnen gilt mein Dank.

Und schließlich, wäre ich glücklich, wenn dieses Buch einen kleinen Beitrag zur Rechtsentwicklung in meinem Lande leisten würde.

Professor **Bessarion Soidse**

სარჩევი

წინათქმა	3
VORWORT	5

თავი პირველი

საკონსტიტუციო კონტროლის როლი კერძო

სამართლის განვითარებაში

§1. სახელმწიფოს ვალდებულება სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის ხელშეწყობაში.....	16
§2. კონტრაქტების იძულების შესახებ სავალდებულო დაზღვევის მაგალითზე.....	18
§3. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.....	22
§4. ერთიანი სამართლებრივი წესრიგის საკითხი უცხოელ ინვესტორებთან დაკავშირებით (ანუ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა თანასწორობის შესახებ).....	23
§5. გარიგების ფორმის პრობლემა.....	24
§6. სამართლის ზნეობრივი ფუნქციის შესახებ ნაჩუქარის უკან გამოთხოვასთან დაკავშირებით.....	28
§7. კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების გამიჯვნის პრობლემა	31
§8. მენარმის ცნების შესახებ	35

თავი მეორე

სამართლებრივი წესრიგისა და

სამართლებრივი უსაფრთხოების შესახებ

§1. ფასეულობათა წესრიგი.....	38
§2. სამართლებრივი წესრიგის ფარგლები	

(კერძო და საჯარო ცხოვრებაში)	42
§3. კვლავ სამართლებრივი წესრიგის გაორების საფრთხის შესახებ.....	43
§4. სამართლებრივი წესრიგი (უსაფრთხოება) და ძირითადი უფლებები.....	45
§5. კანონმდებლისა და სასამართლოს ბოჭვა სამართლის პრინციპებით	46
§6. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სამართალგამოყენების პროცესში.....	48
§7. ურთიერთობის მოუნესრიგებლობასთან დაკავშირებით	51
§8. სპეციალური მოწესრიგების ფარგლების შესახებ	52
§9. კანონთა ამოქმედების ხშირი გადავადების უარყოფითი შედეგების შესახებ.....	54
§10. სიმბოლურ სამართალთან დაკავშირებით.....	56
§11. აბსტრაქტული და კონკრეტული კონსტიტუციური კონტროლის მდგომარეობა.....	58
§12. საკუთარი პასუხისმგებლობის საკონსტიტუციო სასამართლოზე გადაკისრება.....	60
§13. საკონსტიტუციო სასამართლოს ნეგატიური საკანონმდებლო ფუნქცია	61
§14. საკონსტიტუციო სასამართლო სამართალგამოყენების შესახებ.....	63
§15. ნორმატიული აქტის გაგების შესახებ	64
§16. კანონის უკუძალის პრობლემა	67
§17. ფიქტიურ (ხელოვნურ) ცნებათა შესახებ	73
§18. ნორმატიული და ფაქტობრივი სინამდვილის მიმართება	76

თავი მესამე

საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ

§1. შეხედულებათა ევოლუცია გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილთან დაკავშირებით	78
§2. სარეზოლუციო ნაწილთან დაკავშირებით	79
§3. საეჭვობის შესახებ კონსტიტუციური კონტროლის შემთხვევაში	80
§4. საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების უცვლელობის შესახებ.....	81
§5. კონსტიტუციურ სარჩელზე უფლების ბოროტად გამოყენება	82
§6. წარმომადგენლის მიერ სარჩელზე ხელმოწერის შესახებ.....	83
§7. განსხვავებული აზრის შესახებ	85
§8. პროცესის მიმდინარეობის შესახებ.....	87

§9. აღმოჩენილის ხელმეორედ აღმოჩენის შეუძლებლობა	88
§10. პროცესის მონაწილეთა მიმართ დამოკიდებულება	89

თავი მეოთხე

საკუთრების უფლება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში

§1. სამართლის რეფორმა და საკუთრების უფლება საქართველოში.....	91
§2. მოსარჩელეთა მოთხოვნის კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართების პრობლემა	92
§3. კონსტიტუციური და კერძო-სამართლებრივი უფლებების მიმართება....	94
§4. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ცნება და დაცვის სუბიექტები.....	96
§5. საკუთრება, როგორც ინსტიტუტის გარანტია და პიროვნების უფლების გარანტია.....	100
§6. საკუთრების უფლების შეზღუდვის შესახებ	103
§7. საკუთრების შეზღუდვის ფარგლები და სამართლებრივი ინტერესი.....	105
§8. მოთხოვნის უფლებაზე საკუთრების კონსტიტუციური გარანტიები.....	108
§9. ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრების გამიჯვნა (საკუთრების სუბიექტის განსაზღვრა).....	110
§10. საკუთრების უფლება და არასაკუთრებითი უფლებები	116
§11. ქონების კონფისკაციის კონსტიტუციურობის შესახებ.....	119
§12. საკუთრებაში კანონით ჩარევის გარანტიასთან დაკავშირებით.....	120
§13. საკონსტიტუციო სასამართლოს დამოკიდებულება საკუთრების ფორმების რეანიმაციასთან დაკავშირებით	121
§14. მემკვიდრეობის უფლების დაცვა	125
§15. პრივატიზაცია როგორც საკუთრების შექმნის საფუძველი.....	126

დანართი

მოდერება საკანონმდებლო კულტურის შესახებ

I. საკანონმდებლო სიახლეებისადმი მზაობა	128
II. კანონისადმი პატივისცემის კულტურა	130
III. იძულების შესახებ.....	132
IV. სამართლის უზენაესობის შესახებ	135
V. კანონმდებლობა და უფლების შექმნის გზები.....	138
VI. სამართალი როგორც ზნეობის „მაქსიმუმი“	139
VII. ნდობისა და რწმენის ფაქტორები სამართალში.....	141
VIII. სამართლის გრძნობა და განცდა.....	142
IX. კანონმდებლის ბოჭვა სამართლის პრინციპებით	143

X. საკანონმდებლო ძალაუფლება და ხალხის ელემენტარული ღირებულებითი წარმოდგენები.....	145
XI. კომიკური ნორმები კანონმდებლობაში.....	147
XII. კანონმდებელი და მონოპოლიური მართლშეგნება.....	148
XIII. კანონმდებელი და ასაკის პრობლემა	149
კონსტიტუციის ინტერპრეტაციის პრობლემა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში	
I. კონსტიტუციაში ნაგულისხმევი პრინციპების შესახებ.....	153
II. კონსტიტუციაში ნაგულისხმევი უფლებების შესახებ.....	155
III. კონსტიტუციის ნორმათა გამიჯვნის პრობლემა.....	157
IV. კონსტიტუციის აბსტრაქტული განმარტების შესახებ.....	158
V. ევროპულ სამართალთან ინტეგრაციის პრობლემა კონსტიტუციის განმარტებისას.....	160
VI. კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტის ინტერპრეტაცია	161
VII. კონსტიტუციის მე-14 მუხლის ინტერპრეტაციის საკითხი.....	164
VIII. კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის ინტერპრეტაცია.....	166
IX. კონსტიტუციის 21-ე მუხლის ინტერპრეტაცია	168
საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა).....	
საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო იურისდიქციის სასამართლოების ურთიერთდამოკიდებულება	
I. საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილის შესახებ დისკუსია 1995 წლის კონსტიტუციის შემუშავებისას	181
II. ბოლოდროინდელი დისკუსია საკონსტიტუციო და საერთო იურისდიქციის სასამართლოების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ	183
III. დამოკიდებულება საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას შორის.....	188
ოცდამეერთე საუკუნის ფეოდალობა და ბრძოლა ერთიანი ქართული სახელმწიფოსათვის	
I. არავის არა აქვს უფლება, იდგეს სამართალზე მაღლა.....	195
II. საჭიროა ერთიანი და განუყოფელი ქართული სახელმწიფოს განცდა.....	196
III. სახელმწიფო კერძო და სოციალური ინტერესების მშვიდობიანი თანაარსებობაა.	198
IV. დაუშვებელია ქართული სამართლებრივი სივრცის გაორება	200
V. საკანონმდებლო სტაბილურობა აუცილებელი გარემოებაა სამართლებრივი წესრიგისათვის.	202

**ადამიანი როგორც გონი პრინციპებით აზროვნებაშია
(განათლების რეფორმის შესახებ)**

I. სწავლების ენა უნდა იყოს მარტივი და გასაგები	204
II. უნდა ვიცოდეთ, რა ვასწავლოთ, ანუ ცოდნა ფასეული უნდა იყოს	206
III. მთავარია პრინციპებით აზროვნება და მასალის სწორად შერჩევა	207
IV. სწავლება თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის შეგრძნებით უნდა წარიმართოს	209
V. სტუდენტი უნდა გახდეს სასწავლო პროცესის აქტიური თანამონაწილე.....	210
VI. კერძო უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი უნდა შემცირდეს.....	211
VII. აბიტურიენტი საშუალო სკოლამ უნდა მოამზადოს.....	212
VIII. მეცნიერების რეფორმა გარდაუვალია.....	213

**Verfassungskontrolle und Werteordnung
in Georgien (Zusammenfassung)214**

INHALTSVERZEICHNIS

Kapitel 1

Die Rolle der Verfassungskontrolle für die Entwicklung des Privatrechts

- §1. Die Pflicht des Staates zur Unterstützung eines gerechten Zivilverkehrs
- §2. Über den Zwang der Kontrahierung am Beispiel der Versicherungspflicht
- §3. Anpassung des Vertrages an veränderte Umstände
- §4. Über die Gleichstellung der Beteiligten des Zivilverkehrs
- §5. Das Problem der Form des Rechtsgeschäfts
- §6. Über die Moralfunktion des Rechts im Hinblick auf die Rückgabe eines verschenkten Gutes
- §7. Das Problem der Abgrenzung der juristischen Personen des öffentlichen und des Privatrechts
- §8. Über den Begriff des Unternehmers

Kapitel 2

Über die Rechtsordnung und Rechtssicherheit

- §1. Die Werteordnung
- §2. Grenzen der Rechtsordnung (im privaten und öffentlichen Leben)
- §3. Erneut über die Gefahr der Dualität der Rechtsordnung
- §4. Rechtssicherheit und Grundrechte
- §5. Einschränkung des Gesetzgebers und des Gerichts durch Rechtsgrundsätze
- §6. Die Haftung des Staates im Prozess der Rechtsanwendung

- §7. Über die Verpflichtung der Regelung von gesellschaftlichen Verhältnissen in der Zukunft
- §8. Über die Grenzen der Sonderregelung
- §9. Über die negativen Wirkungen des Aufschubs der Rechtskraft der Gesetze
- §10. Über das Symbolrecht
- §11. Bestimmung der abstrakten und konkreten Verfassungskontrolle
- §12. Die Übertragung der eigenen Verantwortung auf das Verfassungsgericht
- §13. Die negative Gesetzgebungsfunktion des Verfassungsgerichts
- §14. Das Verfassungsgericht über die Rechtsanwendung
- §15. Zum Verständnis der Normativakte
- §16. Das Problem der rückwirkenden Kraft des Gesetzes
- §17. Über die fiktiven (künstlichen) Begriffe
- §18. Das Verhältnis der normativen und der tatsächlichen Wirklichkeit

Kapitel 3

Über das verfassungsrechtliche Verfahren

- §1. Die Evolution von Ansichten über die Entscheidungsgründe des Urteils
- §2. Zum Urteilstenor
- §3. Über die Zweifelhafteigkeit im Falle der Verfassungskontrolle
- §4. Über die Unabänderlichkeit von Entscheidungen des Verfassungsgerichts
- §5. Missbrauch des Rechts auf Verfassungsbeschwerde
- §6. Über die Unterschrift des Vertreters auf der Klageschrift
- §7. Über die abweichende Meinung
- §8. Über den Verlauf des Verfahrens
- §9. Die Unmöglichkeit, eine Erfindung über den Prozessverlauf erneut zu erfinden
- §10. Haltung gegenüber den Prozessbeteiligten

Kapitel 4

Das Eigentumsrecht in der Praxis des Verfassungsgerichts

- §1. Die Rechtsreform und das Eigentumsrecht in Georgien
- §2. Das Problem der Verbindung der Klageforderung mit dem Art. 21 der Verfassung
- §3. Das Verhältnis der verfassungsmäßigen und privatrechtlichen Rechte

- §4. Der verfassungsrechtliche Begriff des Eigentums und die Schutzsubjekte
- §5. Das Eigentum als eine Garantie des Instituts und der Personenrechte
- §6. Zur Einschränkung des Eigentumsrechts
- §7. Grenzen der Einschränkung des Eigentums und das rechtliche Interesse
- §8. Verfassungsrechtliche Garantien für Eigentumsansprüche
- §9. Abgrenzung des Eigentums der natürlichen und juristischen Personen (Eigentumssubjekte)
- §10. Eigentumsrecht und Nichteigentumsrechte
- §11. Zur Verfassungsmäßigkeit der Enteignung
- §12. Zur Garantie der gesetzlichen Einmischung in das Eigentum
- §13. Die Einstellung des Verfassungsgerichts zur Reanimation der Eigentumsformen
- §14. Schutz des Erbrechts
- §15. Privatisierung als eine Grundlage für Eigentumserwerb

Anhang:

I. Lehre über die Kultur der Gesetzgebung

- 1. Die Bereitschaft zur Gesetzesnovelle
- 2. Die Kultur der Achtung von Gesetzen
- 3. Über den Zwang
- 4. Über die Hoheit des Rechts
- 5. Die Gesetzgebung und Wege des Rechtserwerbs
- 6. Das Recht als moralisches „Maximum“
- 7. Faktoren der Treue und des Glaubens im Recht
- 8. Das Gefühl und das Empfinden des Rechts
- 9. Die Einschränkung des Gesetzgebers durch Rechtsgrundsätze
- 10. Die gesetzgeberische Gewalt und die elementaren Wertvorstellungen der Bürger
- 11. Kuriose Normen in der Gesetzgebung
- 12. Der Gesetzgeber und das monopolistische Rechtsbewusstsein
- 13. Der Gesetzgeber und das Altersproblem

II. Das Problem der Auslegung der Verfassung in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens

- 1. Über die verfassungsmäßigen Grundsätze
- 2. Über die verfassungsmäßigen Rechte
- 3. Das Problem der Abgrenzung verfassungsrechtlicher Normen
- 4. Über die abstrakte Auslegung der Verfassung

5. Harmonisation mit dem Europäischen Recht
6. Die Auslegung des Art. 89, Abs. 1
7. Die Frage der Auslegung des Art. 14
8. Die Auslegung des Art. 42, Abs. 1
9. Die Auslegung des Art. 21

III. Bedingungen der Vollstreckung von Entscheidungen des Verfassungsgerichts

IV. Das gegenseitige Verhältnis des Verfassungsgerichts und der allgemeinen Gerichte

1. Diskussion über die Stellung des Verfassungsgerichts während der Überarbeitung der Verfassung im Jahre 1995
2. Die jüngsten Diskussionen über das gegenseitige Verhältnis des Verfassungsgerichts und der Allgemeinen Gerichte
3. Das Verhältnis der Rechtsprechung des Verfassungsgerichts und der Rechtsprechung der Allgemeinen Gerichte

V. Feudalismus des 21. Jahrhunderts und der Kampf für einen einheitlichen georgischen Staat

1. Keiner hat das Recht, über das Recht zu stehen
2. Es ist notwendig, die Einheit des georgischen Staates zu fühlen
3. Die friedliche Koexistenz von staatlichen, privaten und sozialen Interessen
4. Dualität des georgischen Rechtsraums ist unzulässig
5. Stabilität der Gesetzgebung ist eine unerlässliche Voraussetzung für die Rechtsordnung

VI. Der Mensch als Geist entfaltet sich im grundsätzlichen Denken (zur Bildungsreform)

1. Die Sprache der Bildung muss einfach und verständlich sein
2. Wir müssen wissen, was wir lehren, also das Wissen muss wertvoll sein
3. Es ist wichtig, grundsätzlich zu denken und das Material richtig auszuwählen
4. Die Ausbildung bedarf einer Einheit von Theorie und Praxis
5. Die Studenten sind aktiv am Lehrprozess zu beteiligen
6. Die Zahl der privaten Hochschulen ist zu senken
7. Die Abiturienten sollen durch die Mittelschule vorbereitet werden
8. Die Wissenschaftsreform ist unvermeidlich

თავი პირველი

საკონსტიტუციო კონტროლის როლი კერძო სამართლის განვითარებაში

§1. სახელმწიფოს ვალდებულება სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის ხელშეწყობაში

ბოლო დროს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში სერიოზული შეფასების საგანი გახდა ნორმალური და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის საკითხები. საქმე იმაშია, რომ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკით, აუცილებელი მოხმარების მთელი რიგი საგნების შექმნა ემორჩილება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს. აქ არ მოქმედებს სახელშეკრულებო თავისუფლების აღიარებული წესი, ვინაიდან ხელშეკრულების პირობებს ერთი მხარე, ე.წ. შემთავაზებელი განსაზღვრავს, მეორე მხარეს კი მხოლოდ ისლა დარჩენია, რომ შეუერთდეს ამ პირობებს. ასეა მოსახლეობის ელექტროენერგიით, გაზით მომარაგებისას. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შემთავაზებელი უკონტროლო სუბიექტია და როგორი პირობებიც მას მოეპრიანება, იმას შესთავაზებს მეორე მხარეს. **ყველა შემთხვევაში, შეთავაზებული პირობა უნდა იყოს სამართლიანი, თორემ იგი ბათილად ჩაითვლება.** მოქმედი ქართული სამოქალაქო კოდექსი საკმაოდ მოზრდილ ნაწილს უთმობს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს და ამით საფუძველს უყრის სამართლიან სამოქალაქო ბრუნვას.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ეს პრობლემა მთელი სიმწვავეით დადგა მოსახლეობისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის ტარიფის

კონსტიტუციურობის შეფასებისას. სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებაში ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ სამართლიანი ტარიფი ცოცხალი სამოქალაქო ბრუნვის აუცილებელი პირობაა. იგი გულისხმობს მომხმარებლის უმწეო მდგომარეობის არა ბოროტად გამოყენებას, არამედ მის მდგომარეობაში შესვლას. კერძოდ, ამ გადაწყვეტილებაში ითქვა: "... სატარიფო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო ბრუნვის ყველა მონაწილის პატივსაღები ინტერესების გათვალისწინება. სამართლიანი ტარიფის არსებობა შესაბამისი სფეროს ნორმალური და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ვინაიდან ელექტროენერჯის სამოქალაქო ბრუნვა გულისხმობს კონკრეტულ მომხმარებელს, დაუშვებელია დადგინდეს ისეთი ტარიფები, რომლებიც მას ამ ბრუნვიდან მოწყვეტს და მის მიღმა დააყენებს"¹. ამდენად, **ბრუნვის მონაწილეთა უფლებები ისე უნდა განისაზღვროს, რომ ეს ბრუნვა შედგეს და მისი სტაბილურობა ორივე მხარის ინტერესებში შედიოდეს.** სასამართლოს გადაწყვეტილებიდან კი ჩანს, რომ სატარიფო ურთიერთობა ისეა განსაზღვრული, მომხმარებელმა საკუთარი ვალდებულებები იცის მხოლოდ. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა: "დაუშვებელია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს ეკისრებოდეს ვალდებულებანი და, იმავდროულად, მან არ იცოდეს შემხვედრ ვალდებულებათა შესახებ"². სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს იმ ვითარებას, როცა მომხმარებელი ისეა დამორჩილებული შემთავაზებლის ნებაზე, თითქოს აქ ბატონყმური ურთიერთობა გვექონდეს. კერძოდ, "სემეკის სადავო აქტით დადგენილი სამომხმარებლო სატარიფო განაკვეთი კი არა თუ არ იცავს მომხმარებელს ამ ძალაუფლებისგან, არამედ მთლიანად მისი გავლენის ქვეშ აყენებს"³.

ერთობ მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ საგანგებოდ მიაპყრო ყურადღება სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოს ვალდებულებებზე. მართლაც, სახელმწიფო ვალდებულია, ყველა კანონიერ საშუალებას იყენებდეს მომხმარებელი, რომ არ დაიჩაგროს. დაუშვებელია, რომ სახელმწიფომ ხელი დაიბანოს ამ ვალდებულებისაგან. თუკი აუცილებელია სამომხმარებლო ტარიფით გამოწვეული ტვირთის სუბსიდირება, ამას სახელმწიფო უნდა ახდენდეს⁴. **არ შეიძლება სახელმწიფო არ წაეშველოს მოქალაქეებს, როცა საქმე ეხება აუცილებელი მოთხოვნილების სავნებით მათ დაკმაყოფილებას.** პროფესორ სერგო ჯორბენაძის დაყენებით, სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლში შევიდა მომხმარებელთა უფლებების დამცველი ნორმა,

1. ჟურნალი "ადამიანი და კონსტიტუცია", 2003, N1, გვ. 108

2. იქვე, გვ. 113,

3. იქვე, გვ. 114.

4. იქვე, გვ. 111-112.

რომელშიც ხაზია გასმული სახელმწიფოს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობაზე ამ მიმართებით. სასამართლოს გადანყვეტილებიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სახელმწიფოს ბედის ანაბარად ჰყავდა მიტოვებული მომხმარებელი და ვერც კი აცნობიერებდა თავის ვალდებულებებს.

§2. კონტრაპირების იძულების შესახებ სავალდებულო დაზღვევის მაგალითზე

სახელშეკრულებო თავისუფლება სამოქალაქო ბრუნვის უმთავრეს ფასეულობას წარმოადგენს და სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის შინაარსის თანახმად, იგი გულისხმობს როგორც ხელშეკრულების დადების თავისუფლებას, ისე მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებას. ვინაიდან ეს პრინციპი ადამიანებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი ძველი დროიდან მოყოლებული, მათ ძნელად წარმოუდგენიათ, ვინმემ აიძულოს ისინი, დადონ ხელშეკრულებანი. სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ამის გაცნობიერება არ უნდა იყოს ძნელი, მაგრამ არის ურთიერთობები, სადაც ამის გაგება უჭირთ ადამიანებს. არადა, კონტრაპირების იძულება თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვისათვის არ არის უცხო და მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ამ ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების დაცვას. სხვა სიტყვებით, **უფლების დაცვა შეიძლება გამოვლინდეს არა მარტო მოქმედების თავისუფლებაში, არამედ იძულებაშიც.** მთავარია, ეს უკანასკნელი ემსახურებოდეს ამ იძულების ადრესატის ინტერესებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ აღნიშნულ საკითხებზე თავისი პოზიცია გამოხატა 2001 წლის 31 ოქტომბრის გადანყვეტილებაში (N1/2/106) საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”. დავის საგანს წარმოადგენდა კანონი “ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ”. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ეს კანონი ლახავდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ საკუთრების უფლებას, ვინაიდან იგი აიძულებდა მას დაედო ხელშეკრულება სადაზღვევო ორგანიზაციასთან და გადაეხადა გარკვეული თანხა. მისთვის გაუგებარი იყო, რისთვის იხდიდა გადასახადს, როცა არც ერთი “ავარია” არ ჰქონდა მოხდენილი.

ამდენად, მოსარჩელემ სასამართლოს წინაშე წამოჭრა ორი მეტად სერიოზული საკითხი: ერთი კონტრაპირების იძულების შესახებ და მეორე, რომელიც უშუალოდ აქედან გამომდინარეობს - დაზღვევის ინსტიტუტის არ-

სის შესახებ. სასამართლომ ამ კითხვებს ერთობ საინტერესო პასუხი გასცა. მან აღნიშნა, რომ ყველაფერი, რაც სადავო კანონით ხდება, თავისუფლად ეტევა სამოქალაქო ურთიერთობათა ფარგლებში და მცდარია მოსარჩელის ილუზია იმის შესახებ, თითქოს კერძო სამართალში ადგილი არ უნდა ჰქონდეს სახელმეკრულებო იძულებას. სახელდობრ, გადანყვეტილებაში ითქვა: „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა თავისი ხასიათით წარმოადგენს კერძო-სამართლებრივ გარეგებას. მზღვეველსა და დამზღვევს შორის სადაზღვევო ურთიერთობის წარმოშობა ემყარება ხელმეკრულებას. ის ფაქტი, რომ ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობა სავალდებულოა და მისი შინაარსიც არსებითად კანონით განისაზღვრება, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი შეუთავსებელია სამოქალაქო სამართლის ბუნებასთან. ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, მართალია, არ ჯდება სახელმეკრულებო თავისუფლების ფარგლებში, მაგრამ, იმავდროულად, წარმოადგენს მონესრიგებული სამოქალაქო ბრუნვისათვის ისეთ აუცილებლობას, რომლის მსგავსი შემთხვევები არცთუ ისე იშვიათია სამოქალაქო სამართალში. თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობას გარკვეული კორექტივები შეაქვს სახელმეკრულებო თავისუფლების პრინციპში. სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვისა თუ სუსტი მხარის ინტერესებიდან, ან სხვა სამართლებრივად პატივისაღები საფუძვლებიდან გამომდინარე, იგი იცნობს კონტრაპირების იძულებასა და კანონით სავალდებულო გარიგებებს. ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა — ასეთ ვითარებაში შეიძლება განვიხილოთ როგორც ტრადიციული ვალდებულებითი ურთიერთობის კანონისმიერი ბოჭვის ერთ-ერთი შემთხვევა“⁵.

სასამართლომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში კონტრაპირების იძულება ახსნა იმით, რომ ავტომოტოტრანსპორტი წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს და აქ ზიანის მიყენების რისკიც მეტია. ეს ბუნებრივიცაა, კანონისმიერი ჩარევები ყველაზე მეტად იქ არის, სადაც ბრუნვის მონაწილის რისკიც მეტია. **კანონმდებელს არა აქვს უფლება, ბრუნვის მონაწილე ბედის ანაბრა დატოვოს მალალი რისკის შემთხვევაში.** კანონმდებელი, ყველა შემთხვევაში, ვალდებულია, შექმნას უსაფრთხო ბრუნვის პირობები, თუნდაც მოსალოდნელი რისკების ნეიტრალიზაციით. გადანყვეტილებაში ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „...მოცემული კატეგორიის დაზღვევის სავალდებულობა მრავალი პატივისაღები გარემოებითაა გამონვეული. ყველაზე მთავარი ისაა, რომ აქ საქმე ეხება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღ-

5. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2001, N4, გვ. 85.

ვევას, როცა ზიანი მიყენებულია ისეთი ობიექტით, რომელიც მომეტებული საფრთხის წყაროს წარმოადგენს და ამ თვისების გამო მისი მფლობელი მეტი რისკის მატარებელია. ქონებრივი პასუხისმგებლობის ტრადიციული ინსტიტუტი ხშირად ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული საფრთხის რეალიზაციით გამონვეული ზიანის ანაზღაურებას. ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის შემოღებით შესაძლებელი ხდება პასუხისმგებლობის ტვირთის ისეთი გადანაწილება, რომელიც შეესაბამება როგორც ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა, ისე დაზარალებულთა ინტერესებსაც. სავალდებულო სადაზღვევო ფონდის შექმნა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მთლიანად აღარ იყოს ზიანის ანაზღაურება დამოკიდებული ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა ქონებრივ მდგომარეობაზე. ვინაიდან ასეთი დაზღვევა საყოველთაოობის პრინციპს ემყარება და მოიცავს ავტომოტოტრანსპორტის ყველა მფლობელს, იგი ნებაყოფლობითი დაზღვევისგან განსხვავებით, ხელს უწყობს სტაბილური და მონესრიგებული სამოქალაქო ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ნებაყოფლობითი დაზღვევის ვითარებაში დამზღვევი შეიძლება მარტო აღმოჩენილიყო ისეთი რისკის წინაშე, რომელიც მას მიძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა. იმავდროულად, ქონებრივად ხელმოკლე ზიანის მიმყენებელი, ნაკლები გარანტია იქნებოდა დაზარალებულისათვის.

ამდენად, ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევით შესაძლებელი ხდება სადაზღვევო რისკის სოციალიზაცია და სადაზღვევო ფონდის შექმნით ზიანის ანაზღაურების გადანაწილება ამ რისკის მატარებელ პირთა ფართო წრეზე⁶.

ამ გადანყვეტილებიდან ჩანს, რომ კონტრაპირების იძულება არ მოდის წინააღმდეგობაში საკუთრების უფლებასთან. **საკუთრება შეიძლება გამოვლინდეს არა მარტო სახელშეკრულებო თავისუფლებაში, არამედ კონტრაპირების იძულებაშიც.** სწორედ ამ გარემოებას მიაპყრო ყურადღება სასამართლომ კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით სადავო აქტის შეფასებისას. კერძოდ, გადანყვეტილებაში დაფიქსირდა შემდეგი პოზიცია: “სადავო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სადაზღვევო შესატანის გადახდის ვალდებულება წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულების აუცილებელ პირობას”. აქ ადგილი არა აქვს ისეთ ვითარებას, როცა ერთი პირის ვალდებულება რჩება მეორე პირის შემხვედრი ვალდებულების გარეშე. სადავო კანონის მე-4 მუხლის თანახმად, “...მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას ამ კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში გაათავისუფლოს დაზღვეული იმ მატერიალური პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას ეკის-

6. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2001, N4, გვ. 85-86.

რება ავტომოტოტრანსპორტის ექსპლოატაციის შედეგად დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო”.

“ასეთი ურთიერთვალდებულებების ვითარებაში, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ირღვევა საკუთრების კონსტიტუციური უფლება. ის ფაქტი, რომ მზღვეველის შემხვედრი ვალდებულება შეიძლება არ დადგეს სადაზღვევო შემთხვევის დაუდგომლობის გამო, ეს გარემოება ურთიერთობის ხასიათს კი არ ცვლის, არამედ უფრო ადასტურებს მას. დაზღვევა ნებაყოფლობითი იქნება თუ სავალდებულო, ყველა შემთხვევაში იგი სადაზღვევო რისკთანაა დაკავშირებული. ამ რისკის მატარებელი კი, ყველა დამზღვევია. სადაზღვევო შემთხვევისას, დამზღვევმა თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობის სანაცვლოდ მზღვეველისაგან შეიძლება გაცილებით მეტი სარგებელი ნახოს, ვიდრე ეს მის მიერ გადახდილი სადაზღვევო შესატანია. ასეთ ვითარებაში არ არსებობს საფუძველი ვილაპარაკოთ საკუთრების, მისი შეძენისა თუ გასხვისების საყოველთაოდ აღიარებული უფლების გაუქმებაზე. აქ არც საკუთრების ჩამორთმევაზე შეიძლება საუბარი. მართალია დამზღვევის საკუთრება მცირდება, მაგრამ ეს ხდება შემხვედრი ვალდებულების წარმოშობის საფუძველზე. საკუთრების ამ სახით გამოყენება შეესაბამება სოციალური სამართლის ბუნებას”⁷.

მნიშვნელოვანია ასევე ის გარემოებაც, რომ დაზღვევის ინსტიტუტი არ გამორიცხავს ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

როგორც ვხედავთ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ სერიოზული გამართლება მისცა ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას. მთავარია, რომ ეს ინსტიტუტი ემსახურებოდა სადაზღვევო ურთიერთობის ყველა მონაწილის ინტერესებს და მის მიზანს არ შეადგენდა სადაზღვევო კომპანიის უსაფუძვლო გამდიდრება, რომლის ნიშნებიც პროცესზე დაფიქსირდა. მონესრიგებული სადაზღვევო სამართალი უდიდესი შედეგითი უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანისათვის. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ ჩანს ამ დარგში სერიოზული გაქანება.

კონტრაქტების ბუნების საკითხი წამოიჭრა საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2003 წლის 10 იანვრის (N2/1/187-188) გადაწყვეტილებაში საქმეზე “შპს“აირზენა საქართველოს ავიახაზები საქართველოს პარლამენტის და საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს წინააღმდეგ”. მოსარჩელე მოითხოვდა სამოქალაქო ავიაციის საქმიანობის რეგულირების საფასურის გაუქმებას. ერთ-ერთ საამისო საბუთად

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2000-2001, თბ., 2003, გვ. 142-143.

მოჰყავდა ის, რომ რეგულირების საფასურის დადგენა ხდება ცალმხრივად, მასთან შეთანხმების გარეშე. სასამართლომ თავის გადანაცვლებებში განავითარა ის აზრი, რომ "...მომსახურების სფერო, თუნდაც ის ერთი მხარისათვის იყოს აუცილებელი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთი მხარე კერძო სამართლის იურიდიული პირია, მხარეებს შორის შეთანხმებით უნდა წესრიგდებოდეს"⁸.

აქედან ჩანს, რომ სასამართლო მხოლოდ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე აკეთებს დასკვნას, მაშინ როცა კონტრაქტების იძულებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, რა კატეგორიის სუბიექტიდან მოდის იგი.

§3. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი

ძველიდან მოყოლებული აქსიომაა, **რომ ხელშეკრულება უნდა შესრულდეს**. სტაბილური და მონესრიგებული სამოქალაქო ბრუნვა ამ პრინციპის დაცვის გარეშე არ არსებობს. მაგრამ **ხელშეკრულება უნდა შესრულდეს მისი შესრულებისათვის სათანადო გარემოში (პირობებში)**. ვინაიდან ეს გარემოებანი შეიძლება შეიცვალოს, შესაძლებელია შესრულებასაც საერთოდ გადაეკეტოს გზა, ანდა საჭირო გახდეს ხელშეკრულების პირობათა მისადაგება ამ გარემოებებისადმი. მოქმედი ქართული სამოქალაქო კოდექსი ცალკე აწესრიგებს ამ ვითარებას.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასტაბილური სამოქალაქო ბრუნვის პირობებში, რაც დამახასიათებელია პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის.

ხელშეკრულებასაც ცოცხალი ორგანიზმივით უნდა შევხედოთ და მიუხედავად შეცვლილ გარემოებებს. საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის 30 დეკემბრის (N1/3/136) ცნობილ გადანაცვლებებში ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფთან დაკავშირებით, საგანგებოდ მიაპყრო ყურადღება ამ გარემოებას. სასამართლო განხილვის პროცესში გაირკვა, რომ "ეი-ი-ეს" კორპორაციასა და სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება გადახედვას საჭიროებს. სამწუხაროდ, აქ ნამდვილად პარადოქსული მდგომარეობა დაფიქსირდა. **ხელშეკრულება თავიდანვე აღმოჩნდა მონყვეტილი იმ გარემოსაგან, რა გარემოშიც შეიძლებოდა მისი არსებობა**. ეს ვითარება საფუძველს იძლევა, ხელშეკრულება საერთოდ შეწყდეს, ან მხარეებმა გაითვალისწინონ მისი არსებობის პირობები და შეუსაბამონ მას. სასამარ-

8. ჟურნალი "ადამიანი და კონსტიტუცია", 2003, N1, გვ. 142.

თლომ, ვფიქრობთ, მეტად სერიოზული დებულება დააფიქსირა ამასთან დაკავშირებით. კერძოდ, გადაწყვეტილებაში ითქვა: “არასტაბილური ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია რომელიმე მხარისათვის ერთხელ დადებული ხელშეკრულება მისთვის მუდმივ “ბორკილად” იქცეს. არ არსებობს ხელშეკრულება, რომლის შინაარსზე გავლენას არ ახდენდეს სამართლებრივად ანგარიშგასანევი ინტერესი და მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემოებანი. “სტაბილურობა” (მხედველობაშია “სტაბილურობის კლაუზულა” — ბ.ზ.), რომლის შენარჩუნება მთლიანად ინვესტორი მხარის ინტერესებიდან ხდება, აშკარა კონფლიქტში შეიძლება მოვიდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოთხოვნილებებთან. ასეთ ვითარებაში ერთი მხარისათვის სტაბილური გარემოს შექმნა, მეორისათვის არასტაბილურობის მიზეზად იქცევა”⁹. აქედან ჩანს, რომ ვერცერთი ინვესტორის უფლებები ვერ იქნება გარანტირებული, თუკი ჯეროვნად მეორე მხარის უფლებებიც არ არის გათვალისწინებული. **ხელშეკრულება ორივე მხარისათვის შესრულებადი უნდა იყოს, როგორც მისი დადების მომენტში, ისე შემდგომ.** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა თავიდანვე კარგად ანონ-დანონონ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების პერსპექტივა. არც ერთმა მხარემ არ უნდა მოაწეროს ხელი ისეთ ხელშეკრულებას, როცა რომელიმე მათგანი შესასრულებლად საეჭვო ვალდებულებებს კისრულობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ვერავინ ველარ დაიცავს, ვინაიდან **არ არსებობს მოუშლადი ხელშეკრულება.**

§4. ერთიანი სამართლებრივი წესრიგის საკითხი უცხოელ ინვესტორებთან დაკავშირებით (ანუ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა თანასწორობის შესახებ)

სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრება ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნად არსებული სამართლებრივი წესრიგის ერთიანობაზე. სანამ ჯანსაღი სამართლებრივი ორგანიზმი ჩამოყალიბდება, მანამ ყოველთვის იქნება მცდელობა, ქვეყანას ჰქონდეს დანაწევრებული და ერთმანეთთან დაპირისპირებული სამართლებრივი სივრცე. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს არ მოხდეს. სამწუხაროდ, ზოგჯერ ამ პროცესებს ხელს უწყობს ის, ვისაც ყველაზე მეტად ევალება მასთან ბრძოლა. ამჯერად, ერთ მაგალითს მოვიტან საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან. საქმე ეხება 2002 წლის 30 დეკემბრის (N1/3/136) გახმაურებულ

9. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2003, N1, გვ. 114-115.

გადაწყვეტილებას საქმეზე “საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემკის) წინააღმდეგ”. სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ სახელმწიფოს ერთობ კაბალური ხელშეკრულება გაუფორმებია უცხოელ ინვესტორთან — “ეი-ი-ეს” კორპორაციასთან და იგი ჩაუყენებია ისეთ შეღავათიან პირობებში, რაც ინვესტორს ამოვარდნას არსებული სამართლებრივი წესრიგიდან. კერძოდ, გადაწყვეტილებაში ნათქვამია: “...ხელშეკრულებიდან ჩანს, რომ მისი შინაარსი ამოვარდნილია ერთიანი კერძო-სამართლებრივი სივრციდან და ვერც საინვესტიციო ურთიერთობებში მიღებული “სტაბილურობის კლავიშის” ფარგლებში ვერ ეტევა. არ უნდა იყოს გამართლებული ერთიანი კერძო-სამართლებრივი სივრცის დანაწევრება და ეროვნული საწარმოებისა და უცხოელი ინვესტორების ამკარად, მკვეთრად განსხვავებულ უფლებრივ მდგომარეობაში ჩაყენება”¹⁰. ადვილად შესაძლებელია, რომ ეს უთანასწორობა კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებითაც შეფასდეს. უფრო მეტი, აღნიშნული მიდგომა შეიძლება კიდევ სცილდებოდეს ამ მუხლის ფარგლებს. **საქმე იმაშია, რომ მე-14 მუხლში საუბარია უფლებრივ თანასწორობაზე ერთიანი სამართლის პირობებში.** როცა ამ სამართალთან გაუცხოება იმდენად არაბუნებრივია, რომ იგი ეჭვის ქვეშ აყენებს არა მარტო უფლებას, არამედ სამართალსაც, ცხადია, მაშინ რაღაც სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. შეიძლება ამას პირობითად ვუწოდოთ “სამართალში დისკრიმინაცია” (იგივე — “სუპერდისკრიმინაცია”), რაც თავად სამართლის უარყოფაში ვლინდება. უცხოელი ინვესტორებისათვის გაუმართლებლად მომეტებული შეღავათების მინიჭება აიძულებს ეროვნულ საწარმოებს, ქართულ ბაზარს უცხოური საწარმოების ნიღბით მოველინონ. ეს რომ არ მოხდეს **აუცილებელია, ნებისმიერი შეღავათი უკონფლიქტოდ ჯდებოდეს არსებული სამართლებრივი წესრიგის ფარგლებში.** ამ წესრიგისადმი დუალისტური მიდგომა სხვა მხრივაც გამოვლენილა.

§5. გარიგების ფორმის პრობლემა

უფლების წარმოშობასთან დაკავშირებით გარიგების ფორმის საკითხი სერიოზულად დაისვა საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებაში (N1/103,117,137,147,148,152-153) საქართველოს მოქალაქეების - ვალიდა დარბაიძის, ნათელა ციმაკურიძის, ნანა მირველაშვილი-

10. უფრნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2003, N1, გვ. 114.

სა და სხვების სარჩელში საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. დავის საგანს წარმოადგენდა “საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ” 1998 წლის 25 ივნისის კანონის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით.

სადავო აქტი კანონმდებელმა სპეციალური კანონის სახით მიიღო. იგი გამიზნულია მოანესრიგოს წარსულიდან შემოხიზნული, სამართლებრივი მოთხოვნების უგულვებლყოფით გაფორმებული არატიპური საბინაო ურთიერთობები, რომელთა მხარეებსაც წარმოადგენენ ბინის მესაკუთრეები და მოსარგებლეები. ამ უკანასკნელს, ერთ შემთხვევაში, მესაკუთრესთან გაფორმებული აქვს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის ფორმაც არ შეესაბამება იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს; მეორე შემთხვევაში, მესაკუთრისგან აქვს დათმობილი საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება, რაც ე.წ. “ატსტუპნოსის” სახელწოდებითაა ცნობილი და კანონმდებლობით არ იყო გათვალისწინებული; მესამე შემთხვევაში კი მოსარგებლე მესაკუთრის საცხოვრებელ სადგომშია შესახლებული ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

ამჯერად, ჩვენთვის საინტერესოა პირველი შემთხვევა, როცა სახეზეა ნასყიდობა სათანადო ფორმის გარეშე. ამასთან დაკავშირებით, სადავო კანონის პირველი პუნქტი ადგენდა:

“თუ მხარეებს შორის ურთიერთობა მოწესრიგებულია წერილობითი დოკუმენტით, რომელიც აღიარებს მათ შორის საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობას, მაგრამ მისი ფორმა არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შემძენი ცნობილ იქნეს მესაკუთრედ”.

სადავო მუხლიდან ჩანს, რომ კანონმდებელი განსხვავებულად აწესრიგებს უფლების აღიარების საკითხს, ვიდრე ამას ითვალისწინებს როგორც ძველი, ისე ამჟამინდელი კანონმდებლობა. მოკლედ რომ ვთქვათ, ნასყიდობის მარტივი წერილობითი ფორმა არც ადრე და არც შემდგომ არ იყო მიჩნეული უძრავზე საკუთრების წარმოშობის ფორმად, რაზედაც ერთობ დეტალურად არის მოთხრობილი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში. ერთი შეხედვით, მართლაც რა უნდა გქონდეს საწინააღმდეგო, როცა კანონით დადგენილი წესია: **არ არსებობს ფორმა, - არ არსებობს უფლება**. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მუხლი ლახავს მესაკუთრეთა უფლებებს და ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 21-ე მუხლს. ვიდრე ეს მუხლი მოქმედებდა, დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მაგრამ რამდენიმე ათეულმა მოსარგებლემ შეძლო საკუთრების აღიარება სასამართლოს მეშვეობით.

ახლა ვიკითხოთ, რა დანიშნულება აქვს ფორმას გარიგებებში. იგი ნების გამოვლენის უტყუარობისა და მტკიცების გარანტიაა. **ფორმა ფორმისთვის კი არ არსებობს, არამედ ნების გამოვლენის ნამდვილობის საშუალებაა.** ამიტომაც არის რომ, ამ ფორმის არარსებობის შემთხვევაში, ვერავინ ვერ შეძლებს მის დადასტურებას. აქედან ჩანს, რომ **გარიგების ფორმა მონესრიგებული, უსაფრთხო და გარანტირებული სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია.**

ახლა ჩავიხედოთ სასამართლო პრაქტიკაში. ევროპული პრეცედენტები მეტყველებენ, რომ შეიძლება ფორმის ნაკლის გამოსწორება. თუკი სასამართლო დაადგენს, რომ ნამდვილად ჰქონდა ადგილი ნების გამოვლენას, ამით შეიძლება შეივსოს ფორმის ნაკლი. მაშასადამე, შესაძლებელი ყოფილა ნების ძიება ფორმის გარეთ.

სადავო ნორმის შემთხვევაში ცოტა სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ სახეზეა ნების გამოვლენის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც მხარეებმა გადადგეს — ნერილობითი დოკუმენტი — ე.წ. “ფარატინა” ქალაქი. ვინაიდან სასამართლო გადანყვეტილების პატივისცემის მიუხედავად, ამ საკითხზე მქონდა განსხვავებული აზრი, აქვე დაფურთავ მის ნაწილს, რომელიც მხოლოდ ამ საკითხს შეეხება:

1. ჩვენი აზრით, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც, „თუ მხარეებს შორის ურთიერთობა მონესრიგებულია ნერილობითი დოკუმენტით, რომელიც აღიარებს მათ შორის საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობას, მაგრამ მისი ფორმა არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შემძენი ცნობილ იქნეს მესაკუთრედ,“ ვერ შეფასდება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად. ამ ნორმის ერთგვარ თეორიულ წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 47-ე მუხლით გათვალისწინებული წესი და იმდროინდელი სასამართლო პრაქტიკა. მართალია, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი ვალდებული იყვნენ, დაეცვათ უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობის იმ დროს მოქმედი წესები, მაგრამ ზოგჯერ ამის შესრულება არ ხდებოდა არა მარტო სუბიექტური მიზეზების გამო, არამედ სხვადასხვა ობიექტურ გარემოებათა გამოც. სამოქალაქო უფლებათა განხორციელება იმ დროს ბევრად იყო დამოკიდებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დანაწესებზე, რაც ხელს უშლიდა თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრებას. ასეთ ვითარებაში ხშირად მხარეთა ურთიერთობა არ სცილდებოდა მათი

ფაქტობრივი ქონებრივი ურთიერთობის ფარგლებს. სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ უძრავლეს შემთხვევაში, ნასყიდობის ფაქტობრივი ხელშეკრულება შესრულებულია, რაც იმით გამოიხატება, რომ მესაკუთრეს შემძენისათვის გადაცემული აქვს საცხოვრებელი სადგომი სარგებლობაში, ხოლო შემძენს გადახდილი აქვს მისი საფასური.

ჩვენ არ უარვყოფთ მოსარჩელეთა სამოქალაქო კანონმდებლობაზე დამყარებულ პოზიციას იმის თაობაზე, რომ უძრავ ნივთებზე საკუთრების წარმოშობისათვის საჭიროა ნების გამოვლენა, რომელიც სავალდებულო ფორმაში უნდა იყოს გამოხატული და სათანადო წესით რეგისტრირებული, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნების გამოვლენა გავაგიგოთ სავალდებულო ფორმასთან. ნების გამოვლენა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მაინც ნების გამოვლენაა, მართალია, იგი გამოხატულია გარკვეული წერილობითი ფორმით. კანონმდებელი ნების გამოვლენისა და სავალდებულო ფორმის კონფლიქტის ვითარებაში, უფლების დამფუძნებლად მიიჩნევს ნების გამოვლენას პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახით და ამით ასწორებს ფორმის ნაკლს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საკუთრების უფლებასთან მიმართებით კონსტიტუციურობის გამორკვევისას, მნიშვნელოვანია სწორედ რომ მესაკუთრის ნამდვილი ნების დადგენა. მესაკუთრეს, რომელმაც ნამდვილად მოისურვა საცხოვრებელი სადგომის გასხვისება და შემძენისაგან შესაბამისი საფასურიც მიიღო, სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებული კეთილსინდისიერების მოთხოვნები ავალდებულებს, რომ ბოროტად არ გამოიყენოს შემძენთან ურთიერთობაში არსებული ფორმის ნაკლი. ისეთ ვითარებაში, როცა სახეზეა ნების გამოვლენა და სავალდებულო ფორმის ნაკლი სწორდება იმით, რომ კანონი აღიარებს მე-2 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული სახით დადებული ნასყიდობის ნამდვილობას, შეუძლებელია ვილაპარაკოთ მესაკუთრის საკუთრების უფლების დარღვევაზე. ის, რაც მესაკუთრეს სურს, სწორედ რომ კონსტიტუციის შესაბამისია და არა მისი შეუსაბამო. შეუძლებელია მხარის შეფასების საგანი იყოს ის, რაც კანონმდებლის გადასაწყვეტია. ამ შემთხვევაში მესაკუთრე თავისუფალია ნების გამოვლენაში და არა სავალდებულო ფორმის განსაზღვრაში. სადავო მუხლის ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში ცნობს მხარეთა შორის ნასყიდობას, როცა იგი წერილობითი დოკუმენტით იქნება აღიარებული. ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ შემძენი, რომელსაც წერილობითი დოკუმენტი აღმოაჩნდება, ავტომატურად ხდება მესაკუთრე, როგორც ამას მოსარჩელები ამტკიცებენ და საქართველოს პარლამენტში ამ კანონის განხილვის მასალები მოწმობენ. სადავო პუნქტის გონივრული, ნამდვილი შინაარსი-

დან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დასახელებული წერილობითი დოკუმენტის ნასყიდობად კვალიფიკაციას ახდენს სასამართლო. სწორედ სასამართლოა ის ორგანო, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ამ დოკუმენტის ხასიათი, ნამდვილობა, ყველა გარემოება, რაც საჭიროა საიმისოდ, რომ დადგინდეს ეს დოკუმენტი, აღიარებს თუ არა მხარეთა შორის ნასყიდობას. თუ ამგვარი აღიარება დადასტურდება, მაშინ, ცხადია, მისაღები იქნება კანონმდებლის დებულება, რომ „შემძენი ცნობილ იქნეს მესაკუთრედ“. სასამართლო პრაქტიკაც სწორედ ამის სასარგებლოდ მეტყველებს. ამასთან, ჩვენ არც იმას გამოვრიცხავთ, რომ კანონმდებელს შეეძლო სადავო ნორმა უფრო ცხადად ჩამოეყალიბებინა, რათა თავიდან აგვეცილებინა მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. თუმცა, ასევე უნდა ითქვას, რომ ეს გარემოება ვერ ჩაითვლება სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძვლად, ვინაიდან ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კანონმდებელმა მხოლოდ ის გადაწყვიტა, თუ რამდენად ძალის მქონედ შეიძლება ჩათვლილიყო სავალდებულო ფორმის დაუცველად გამოვლენილი ნება. ვინაიდანაც მოცემული დანაწესი მხოლოდ სპეციალურ ურთიერთობას ეხება და, ამ აზრით, იგი საგამონაკლისო ნორმას მიეკუთვნება, დაუმუშავებელია მისი ანალოგიის წესით გამოყენება და, ცხადია, რაიმე საფრთხეს არ წარმოადგენს უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობის დღეს მოქმედი წესისათვის. ამ გარემოებათა გამო, ვერ დავეთანხმებით მოსარჩელეთა პოზიციას, რომ აქ საკანონმდებლო ხელისუფლება ითვისებს სასამართლო ხელისუფლების ფუნქციებს“.

§6. სამართლის ზნეობრივი ფუნქციის შესახებ ნაჩუქარის გამოთხოვასთან დაკავშირებით

საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა მოქალაქე აკაკი საღირაშვილის კონსტიტუციური სარჩელი სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. ამ მუხლში მოცემულია შემდეგი შინაარსის დებულება:

“1. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებელი მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩინს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

2. თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ.

3. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ,

რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს”.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ნაჩუქრობის გზით დასაჩუქრებული ხდება ნაჩუქარი ქონების მესაკუთრე. ამით მხარეებს შორის ურთიერთობა კიდევ მთავრდება. საჩუქრის ჩამორთმევა, რასაც სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლი ითვალისწინებს, არ არის განპირობებული არავითარი საზოგადოებრივი საჭიროებით, რის გამოც, იგი ლახავს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებულ საკუთრების უფლებასო. მას მიაჩნდა, რომ ამ მუხლის არსებობის პირობებში, არ იყო დაზღვეული, საკუთარ ბეზას უკან მოეთხოვა მიწის ნაკვეთი, რომელიც მისგან მიიღო საჩუქრად.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი სხვადასხვა პრინციპული გარემოებების გამო. რაც ყველაზე მთავარია, ამ გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღინიშნა სამართლის ზნეობრივი ფუნქციის შესახებ. აქ ის შემთხვევა გვაქვს, როდესაც სამართალი ყველაზე ძლიერადაა შებოჭილი ზნეობით. სასამართლომ აღნიშნა:

“საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის სადავო ნორმა ნაჩუქრობის შინაარსის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. მჩუქებელის უფლება, უკან დაიბრუნოს გაჩუქებული ქონება, ჩუქების ურთიერთობის მაღალი ზნეობრივი ხასიათითაა განპირობებული. ნაჩუქრობა ისტორიულად ჩამოყალიბდა როგორც ზნეობრივ საძირკველზე დაფუძნებული ურთიერთობა... ნაჩუქრობა წარმოადგენს სამართლისა და ზნეობის ურთიერთკავშირის იდეალურ გამოვლინებას; აქ ის შემთხვევა გვაქვს, როდესაც ეთიკურ-ზნეობრივი იმპერატივებითაა დატვირთული მთელი ურთიერთობა, მისი წარმოშობიდან გაუქმების მომენტის ჩათვლით. ამიტომაცაა, რომ მჩუქებელის მიერ ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ გადაცემა პირდაპირ ენასკვება დასაჩუქრებულის მხრიდან მართალია არა სამაგიერო, მაგრამ ზნეობრივად ქცევის ვალდებულებას. ზნეობრივად სავალდებულო მოქმედების შესრულება კი არ შეიძლება განვიხილოთ თავისუფლების შეზღუდვად. სწორედ ასეთი ვალდებულება უნდა დაუპირისპირდეს მჩუქებელის მიერ გაღებულ ქონებრივ სიკეთეს”¹¹.

შემდეგი მნიშვნელოვანი დებულება ის არის, რომ ზნეობრივ საძირკველზე აღმოცენებულ-დაფუძნებული უფლებები, მათი წარმოშობის შემდეგაც, თავდაპირველ წყაროსთან არიან მიბმული. აქ არა გვაქვს ის ტრადიციული შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულების საფუძველზე გაჩენილ საკუთრებას აღარაფერი აკავშირებს ამ ხელშეკრულებასთან. ზნეობრივ იმპერატივებზე აგებული საკუთრება კვლავაც მისი “გამჩენის” კონტროლის ქვეშ რჩება.

11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, 2003, თბ., 2004, გვ. 101.

სასამართლომ ამ ფონზე სრულიად ახლებური მიდგომა დააფიქსირა ვალდებულებითი და სანივთო უფლებების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა:

“სასამართლო კოლეგია ვერ დაეთანხმება მოსარჩელეს იმაში, რომ თითქოს სანივთო უფლებებზე არ შეიძლება გავლენას ახდენდეს ვალდებულებითი, იგივე შეფარდებითი უფლებები. ...საკუთრების უფლება სხვადასხვა სამართლებრივად ანგარიშგასანევი საფუძვლით შეიძლება დაკავშირებული (მიბმული) იყოს იმ სახელშეკრულებო ურთიერთობასთან, რომლის საფუძველზეც იგი წარმოიშვა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახელშეკრულებო თავისუფლების შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია ახალი საკუთრების შემდგომი სამართლებრივი კავშირ-ურთიერთობა მისი წარმოშობის წყაროსთან. სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე ნაჩუქრობისას. ეს ვალდებულება 629-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კონკრეტული პირობის სახით კი არაა მოცემული, არამედ ზნეობრივ-სამართლებრივი ვალდებულების სახით არსებობს და გარდა საზოგადო ხასიათისა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნაჩუქრობის სუბსტანციის იმანენტურ ნიშან-თვისებას წარმოადგენს. ეს ვალდებულება სადავო მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მჩუქებლის მიმართ მძიმე შეურაცხყოფის მიყენებისა და დიდი უმადურობის გამოჩენისაგან თავის შეკავებაში მდგომარეობს და ვადით შეზღუდული არაა”¹².

მაშასადამე, ამ შემთხვევაში მჩუქებლის მიმართ მესაკუთრეს ავალდებულებს საკუთრების წარმოშობის საფუძვლები, კერძოდ ის, რომ საკუთრება უსასყიდლო ურთიერთობის შედეგად გაჩნდა. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ უსასყიდლოდ შეძენილი უფლებები ვერ გამოირჩევიან ისეთი სიმტკიცით, როგორც ეს ახასიათებს ეკვივალენტური ურთიერთობის გზით წარმოშობილ უფლებებს. “მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაშიც საკუთრების უფლება, როგორც წესი, სახეზეა ყველა მისი ნიშან-თვისებით, ზოგჯერ იგი ნაკლები მოუდევრობითა და სიმტკიცით ხასიათდება, ვიდრე ამას ადგილი აქვს საკუთრების სასყიდლიანი გზით შეძენისას”¹³.

ნაჩუქრობის შედეგად წარმოშობილ საკუთრებას სახელშეკრულებო ურთიერთობის სიცოცხლის კვალი რომ ატყვია, ეს კარგად ჩანს 529-ე მუხლში გამოყენებულ ისეთ გამოთქმებში, როგორებიცაა: “ჩუქება შეიძლება გაუქმდეს”, “თუ ჩუქება გაუქმდება”. აქედან გამომდინარე სასამართლომ შემდეგი დებულება წამოაყენა:

“ჩუქების ფაქტის შემდეგ მხარეთა შორის ურთიერთობა დამთავრებული რომ ყოფილიყო, მაშინ არც ჩუქების გაუქმებაზე იქნებოდა საუბარი, ვინაი-

12. იქვე, გვ. 102.

13. იქვე, გვ. 101.

დან შეუძლებელია გაუქმდეს ის, რაც არ არსებობს. საჩუქრის დაბრუნება სწორედ რომ ნაჩუქრობის გაუქმების შედეგია. 529-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, “თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ”. აქედან ჩანს, რომ ნაჩუქარზე საკუთრების უფლების შეწყვეტა ჩუქების გაუქმებას მოსდევს და ნაჩუქრობის სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მოვლენაა”¹⁴.

ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, რომ საკუთრების უფლება, როგორც ფასეულობა, არ შეიძლება აღემატებოდეს საზოგადოების ზნეობრივ ფასეულობებს. უზომოდ უზნეო იქნებოდა ეს საკუთრება, კანონმდებელს მისი შენარჩუნებისათვის მხარი რომ დაეჭირა. სწორად აღნიშნა სასამართლომ, რომ “...ჩუქების გაუქმებით ამ შემთხვევაში სამართალი ასრულებს ზნეობრივ ფასეულობათა მხარდაჭერისა და დაცვის ფუნქციას”¹⁵.

529-ე მუხლის შინაარსი სულაც არ გულისხმობს იმას, რომ დასაჩუქრებული “მთელი ცხოვრება” მჩუქებელს შეჰყურებდეს თვალში და თავისუფლებას სამუდამოდ იზღუდავდეს. დასაჩუქრებულს არავინ არ ავალდებულებს რაიმე ისეთი მოქმედების განხორციელებას, რაც მისი მხრიდან სამაგიერო შესრულებლად შეიძლება ჩაითვალოს. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: ... ჩუქების მოშლას იწვევს არა ყოველგვარი შეურაცხყოფა და უმადურობა, რაც თავისთავად ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედებად ითვლება, არამედ დასაჩუქრებულის ისეთი ქცევა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების არსებობის ზნეობრივ საფუძვლებს”¹⁶.

ყოველივე აღნიშნული ლაპარაკობს იმაზე, რომ სამართალი ყოველთვის დარაჯად უნდა ედგეს ხალხის ზნეობას. ასე იყო ძველ დროშიც. ზნეობის წინაშე თითქოს სოციალური კიბეც კი მოშლილია და უძლეველი ადამიანებიც კი უძლურნი არიან. ზნეობა “დედაზარდილის” იმ ბადას არ გავს, სადაც ძლიერი ბუზები იოლად ძვრებიან. ბევრგან მაქვს ამის შესახებ ნაამბობი და აქ მხოლოდ ამით დავკმაყოფილდები.

§7. კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების გამიჯვნის პრობლემა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ერთხელ დაისვა კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების გამიჯვნის საკითხი. ამას ადგილი ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის განმარტებისას,

14. იქვე, გვ. 102.

15. იქვე, გვ. 103.

16. იქვე, გვ. 103.

რომელიც ითვალისწინებს ყველასათვის საზოგადოებრივი გაერთიანების უფლებას. იურიდიული პირების დაყოფა კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ფუნქციურად ყოველთვის განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ხშირად მათი საქმიანობა ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება. მთავარი განსხვავება ამ მიზნის განხორციელების თავისუფლებაშია. კერძო სამართლის იურიდიული პირის თავისუფლება ვლინდება, როგორც მის წარმოშობაში, ისე საქმიანობაში. მასზე მთლიანად ვრცელდება კერძო ავტონომიის პრინციპი. ისინი წარმოადგენენ სამოქალაქო ბრუნვის სრულუფლებიან მონაწილეებს და სწორედ ამ ბრუნვისათვის იქმნებიან იდეალური და კომერციული მიზნების განსახორციელებლად. არავის არ ევალება დააფუძნოს ასეთი იურიდიული პირი, ანდა გახდეს მისი წევრი. განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან დაკავშირებით. ისინი არ ფუძნდებიან როგორც სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტები. თუმცა ამ ბრუნვაში უპრობლემოდ მონაწილეობენ და იდეალური იურიდიული პირების მიზნებსაც შესანიშნავად „ითავსებენ“. ასე ვთქვათ, თვითონ კი არ ქმნიან თავის თავს, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების ნება აყალიბებს მათ და ამავე ნების კონტროლის ქვეშ რჩებიან. ამ გარემოების გამო, „საჯარო საქმიანობით“ (ფუნქციებით) არიან შებოჭილი. ჯობია კანონის ნორმა დავიმონოთ. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ 1998 წლის 28 მაისის კანონის მე-2 მუხლში ნათქვამია: „საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.“

შეიძლება ითქვას, რომ რაღაც მიზანი მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნით გახორციელდება, სხვა კი როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობითაც. ასე მაგალითად, სამეცნიერო დაწესებულება შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც კავშირის ფორმით, ისე საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით. ვინაიდან

კერძო და საჯარო მიზნები ხშირად ერთმანეთზეა გადანასკვეული, ეს არ უნდა გახდეს საფუძველი მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე ორიენტაციის აღებისა. **არ შეიძლება ავტონომიური (ნებაყოფლობითი) ურთიერთობის ადგილი სახელმწიფო კონტროლზე აგებულმა ურთიერთობებმა დაიკავოს.** სახელმწიფო ვალდებულია, გონივრული ბალანსი დაიცვას ამ მიმართებით და საფრთხე არ შეუქმნას სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას, რაც ბრუნვის ორგანიზაციული სუბიექტის შექმნის თავისუფლებაშიც პოულობს თავის გამოხატულებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დღემდე მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა გვაქვს, როცა სასამართლოს მოუხდა აღნიშნულ საკითხებზე ფართო მსჯელობა. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეებმა - გიორგი ვაჭარაძემ, არტურ კაზაროვმა, ლევან ჩხეიძემ, გიორგი ბერიშვილმა, შორენა ოსკოპელმა და ნინო არჩვაძემ 2005 წლის 11 მარტს კონსტიტუციური სარჩელით მოითხოვეს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის იმ ნორმების გაუქმება, რომლითაც საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აღიარებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და ყველა ადვოკატის მასში გაერთიანება სავალდებულოდაა მიჩნეული.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის N1/5/323 გადაწყვეტილებაში ხაზი გაესვა კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიზნობრივ (ფუნქციურ) განსხვავებას, კერძოდ, მასში ითქვა: „კერძო სამართლის იურიდიულ პირს უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა (მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა გათვალისწინებული წესდებაში). საჯარო სამართლის იურიდიული პირი კი უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონში ან მის დამფუძნებელ დოკუმენტში გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა“¹⁷.

სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ სახელმწიფო ამა თუ იმ ორგანიზაციული სუბიექტის არსებობის ფორმის თავისუფლებას განსაზღვრავს იმის მიხედვით, თუ დამოუკიდებლობის რა დონით შეძლებს იგი ნორმალურ ფუნქციონირებას. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საჯარო-სამართლებრივ იურიდიულ პირად ჩამოყალიბება სასამართლომ ახსნა იმ მოტივით, რომ „აღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ... განპირობებულია ადვოკატის პროფესიის მაღალი ფუნქციური დანიშნულებით, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ვლინდება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ადამიანის უფლებების დაცვა ადვოკატის უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ ფუნქციას წარმოადგენს.

17. უურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, N1, გვ.142-143.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ მან გარანტირებული გახადოს დაცვის უფლება, რაც, ცხადია, გულისხმობს ადამიანის არა მარტო ადვოკატით უზრუნველყოფას, არამედ კვალიფიციური და ეფექტური დაცვის განხორციელებას. ყოველივე ეს განაპირობებს ადვოკატის საქმიანობის სახელისუფლებო ფუნქციებთან სიახლოვეს და ადვოკატურის საჯარო ორგანიზაციის ფორმის მიზანშეწონილობას. საადვოკატო საქმიანობა საჯარო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებად მიიჩნევა. ამასთან, ადვოკატურა სახელმწიფო მმართველობისაგან განცალკევებული ორგანიზაციაა და ამ სახით ახორციელებს თავის ფუნქციებს¹⁸.

ამ გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ განსხვავებით კერძო სამართლის იურიდიული პირისაგან, რომელშიც კერძო ინტერესებია წინა პლანზე წამოწეული, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფუნქციურად კერძო და საჯარო ინტერესების შერწყმას. ასეთი უნდა იყოს „ადვოკატთა ასოციაცია“. „მასში შერწყმულია კერძო და საჯარო ინტერესები, რომელთაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვერ განახორციელებს ვერც სახელმწიფო და ვერც ცალკეული პიროვნება თავისი ინდივიდუალური ინიციატივით“¹⁹.

აღნიშნული ფუნქციური თავისებურება განაპირობებს იმას, რომ ადვოკატთა ასოციაციაში განვერთანება მოკლებულია ნებაყოფლობითობას, რაც კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს კონსტიტუციურ ნიშანს. სწორედ აქედან გამომდინარე აღნიშნა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში, რომ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულ გაერთიანების თავისუფლებაში მოიაზრება კერძო სამართლის იურიდიულ პირებად გაერთიანების თავისუფლება და ამიტომაც არ ეხება იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ადვოკატთა ასოციაციას, „...ვინაიდან იგი წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ გაერთიანებას და შესაბამისად ემყარება სავალდებულო წევრობის პრინციპს“²⁰.

ამ გადაწყვეტილებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ის არის, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გაერთიანებამ არ უნდა მოსპოს მისი წევრების უფლება, კანონით აღიარებული სხვა ფორმით შეძლონ ნებაყოფლობით გაერთიანება და ასე, ნების ძალდაუტანებლად გამოვლენა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში, **კერძო სამართლებრივი გაერთიანება ხდება საჯარო-სამართლებრივი გაერთიანებით შებოჭილი ნების თა-**

18. იქვე, გვ. 144.

19. იქვე, გვ. 144.

20. იქვე, გვ. 144.

ვისუფალი რეალიზაციის საშუალება. ეს შეიძლება მოხდეს ისე, რომ ადგილი არ ექნეს მიზნობრივ-ფუნქციური სუბიექტის გაორებას. ახალ გაერთიანებას დამხმარე ხასიათი აქვს და იგი არ ითვსებს საჯარო-სამართლებრივი გაერთიანების არსობრივ ფუნქციებს. ადვოკატთა ასოციაციის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის არსებობის პირობებში, ადვოკატებს აქვთ შესაძლებლობა, თავიანთი საერთო ინტერესები სხვაგვარად წარმოაჩინონ. გადანყვეტილებაში ამის თაობაზე ითქვა, რომ „... მოსარჩელებს ორგანიზაციის მოცემული ფორმის შიგნითაც აქვთ საერთო ინტერესებით გაერთიანების შესაძლებლობა დამოუკიდებელი საადვოკატო ბიუროების შექმნის საფუძველზე. აქედან ჩანს, რომ საჯარო-სამართლებრივ ორგანიზაციაში სავალდებულო განევრიანების შედეგად, ადვოკატებს არ ერთმევათ საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათში გაერთიანების კონსტიტუციური უფლება“²¹.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო უნდა იყოს ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. ევროპულმა სასამართლომ თავის გადანყვეტილებაში საჯარო-სამართლებრივ გაერთიანებებში სავალდებულო წევრობა არ მიიჩნია კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევად, მაგრამ იმავდროულად აღნიშნა, რომ „საჯარო სამართლის ორგანიზაციის შექმნა არ უნდა განხორციელდეს კერძო უფლების ხარჯზე, ანუ ამ პროფესიის ადამიანებს უნდა შეეძლოთ სხვა გაერთიანების შექმნა თავიანთი ინტერესებისა და ხელისუფლების მიერ შექმნილი გაერთიანებისაგან განსხვავებული პერსპექტივების უზრუნველსაყოფად“²².

ყოველივე აღნიშნულის შეგონება ის არის, რომ **კერძო გაერთიანების გარეშე შეუძლებელია საჯარო გაერთიანების სრულფასოვნად ფუნქციონირება.** თუკი ეს მოხერხდება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფორმით - ეს იქნება გამოსავალი. როცა იგი შეუძლებელია, ასეთ ვითარებაში, კერძო სამართლის იურიდიული პირი დამხმარე დანიშნულებისაა და საჯაროს უკეთ ფუნქციონირებას ემსახურება.

§8. მენარმის ცნების შესახებ

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მენარმისა და სამენარმეო საქმიანობის ცნების საკითხი პირველად დაისვა მოსარჩელე ვალერი გელაშვილის საქმესთან დაკავშირებით (იხ. 2006 წლის 13 ივლისის გადაწყვე-

21. იქვე, გვ. 146.

22. იქვე, გვ. 146.

ტილება №1/2/378). სასამართლოში ეს საკითხი წამოიჭრა მოსარჩელის, როგორც პარლამენტის წევრის სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხის გამორკვევისას. მოსარჩელეს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა იმ მოტივით, რომ მან დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მოთხოვნა. ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ენეოდეს სამენარმეო საქმიანობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ 53-ე მუხლით გათვალისწინებულ სამენარმეო საქმიანობაში იგულისხმება მისი როგორც კერძო-სამართლებრივი, ისე საჯარო-სამართლებრივი შინაარსი. სამენარმეო საქმიანობის არსი, მისი სუბსტანცია სასამართლოს აზრით, ვლინდება სწორედ მის კერძო-სამართლებრივ ცნებაში, რომელიც მოცემულია „მენარმეთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში: „სამენარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად“. თავად სამენარმეო საქმიანობის მონაწილეს (იგივე მენარმეს) აღნიშნული კანონის პირველი წინადადების თანახმად, წარმოადგენს გარკვეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით მოწყობილი საწარმო. ფიზიკური პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს მენარმედ, როცა იგი ინდივიდუალური მენარმის სახით გამოდის. სასამართლოს დასკვნით ქართული სამენარმეო სამართალი სამენარმეო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებას ანიჭებს ინდივიდუალურ მენარმეს, საზოგადოებასა და კოოპერაცივს.

სასამართლომ არასწორად მიიჩნია საწარმოს გაიგივება დირექტორთან (ე.წ. „დირექტორის თეორია“). კერძოდ, გადაწყვეტილებაში ითქვა: „სამენარმეო საქმიანობის კერძო-სამართლებრივი გაგების ვითარებაში, როდესაც მენარმე იურიდიული პირია, შეუძლებელია და ლოგიკას მოკლებულია საწარმოს ხელმძღვანელი (წარმომადგენელი) განვიხილოთ მენარმედ, ვინაიდან უსაფუძვლოა საწარმო მისი დირექტორის, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის იდენტური იყოს.“ მოკლედ, სასამართლოს აზრით, დირექტორი ვერ ჩაითვლება მენარმედ. რაც შეეხება კონსტიტუციურ - სამართლებრივ ქრილში აღნიშნული საკითხის შეფასებას, ამასთან დაკავშირებით სასამართლომ დააფიქსირა შემდეგი პოზიცია: „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის პოზიციიდან, სამენარმეო საზოგადოებაში დეპუტატის ხელმძღვანელობითი საქმიანობა შეიძლება განხილული იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ სამენარმეო საქმიანობად“.

ამ დასკვნის გაკეთებისას სასამართლო ამოდიოდა სამართალში ძირითადი ცნებების გვერდით მიზნობრივი ცნებების არსებობის ფაქტიდან. ასეთ ვითარებაში კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ტრადიციული ცნებები განსხვავებულადაც განიმარტება.

თავი მეორე

სამართლებრივი წესრიგისა და სამართლებრივი უსაფრთხოების შესახებ

§1. ფასეულობათა წესრიგი

სამართლებრივ ფასეულობათა წესრიგი სამართლის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი პირობაა. *პირველ რიგში, აუცილებელია, რომ ადგილი ჰქონდეს სამართლებრივ ფასეულობათა ჰარმონიზაციას სხვა ფასეულობებთან.* როცა აქ მხედველობაშია მორალი, ჩვეულებანი, ტრადიციები, აუცილებელია, რომ სამართალი მათ ემყარებოდეს იმდენად, რამდენადაც ეს ფასეულობანი წარმოადგენენ საზოგადოების განვითარების საფუძველს. არ შეიძლება სამართალი მხარს უჭერდეს ისეთ ფასეულობებს, რომლებიც საზოგადოების წინსვლას ამუხრუჭებენ. ეს რომ არ მოხდეს, სახელმწიფო უნდა ემყარებოდეს სამართალს და არა ასეთ ფასეულობებს. ყველა შემთხვევაში, საჭიროა ფასეულობათა ურთიერთჰარმონიზაცია და ასე აუცილებელი წესრიგის შექმნა.

ამის შემდეგ *თვით სამართალში უნდა დამყარდეს წესრიგი.* ეს კი მიიღწევა იმით, რომ სამართალი იქნება იმ წესრიგის გამოხატულება, რომელთანაც ჰარმონიზაცია სახელმწიფომ ივალდებულა. მხედველობაში მაქვს ევროპული სამართლებრივი წესრიგი, რომელიც ბევრ ქვეყანაში ეროვნული სამართლებრივი წესრიგის ნაწილი გახდა. რაც ყველაზე ძნელია, ეს არის ევროპული სამართლებრივი კულტურის გადმოღება. მას ძალიან დიდი დრო დასჭირდება, ვინაიდან მისი რეცეფცია კანონთა გადმოღებას თან არ ახ-

ლავს და დაკავშირებულია საზოგადოების მენტალიტეტის შეცვლასთან.

მივადევით იმ შემთხვევას, როცა **აუცილებელია დამყარდეს წესრიგი საჯარო და კერძო სამართლის ურთიერთობაში**. ეს ნიშნავს სამართლიან, დაბალანსებული წესრიგის ჩამოყალიბებას, რომელიც მათი განვითარებისთვის ხელშემწყობი იქნება და არა ხელშემშლელი. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ დააფიქსირა კერძო ურთიერთობებში საჯარო სამართლის დაუსაბუთებელი ჩარევის ფაქტები. აუცილებელია ჩამოყალიბდეს იმისი შეგნება, რომ საჯარო და კერძო სამართლის განვითარება ერთი მეორის ხელშემწყობაში ვლინდება და არა დაპირისპირებაში. აქ არსებულ წესრიგს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით შეუწყნარებელია საჯარო სამართლის აგრესია კერძო ურთიერთობებში. სახელმწიფო, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ამ სფეროში დაბალანსებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ვერ განვითარდება.

ამით არ მთავრდება სამართლებრივი წესრიგის შრეები. **იგი გულისხმობს სამართლის ნებისმიერი დარგის შიგნით წესრიგს**. მხედველობაშია ინსტიტუციური წესრიგი. თუ ავიღებთ კერძო სამართალს, აუცილებელია, რომ მისი სხეულის ყველა ნაწილი შეხამებულად ფუნქციონირებდეს. ეს კი მიიღწევა სწორი სამართლებრივი პოლიტიკით. არ შეიძლება გქონდეს განვითარებული ვალდებულებითი სამართალი, თუკი საკუთრების სამართალში გაქვს ჩამორჩენა. საკუთრება ხომ ხელშეკრულებაში ავლენს თავის თავს ყველაზე სრულყოფილად. **ნებისმიერი დარგი ადამიანის სხეულივით უნდა ფუნქციონირებდეს და ემყარებოდეს ყველაზე ფასეულ პრინციპებს. ამას უნდა დაემართოს თავად დარგთაშორისი წესრიგი**.

დაბოლოს, **ყველაზე მნიშვნელოვანია პრაქტიკული სამართლებრივი წესრიგი**, რომლის ჩამოყალიბებასაც სამართალი უწყობს ხელს, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მას ლომის წილი მიუძღვის ამაში. ასეთი წესრიგი თითქმის დამოუკიდებლად ყალიბდება და მას განაპირობებს ადამიანთა მზაობა სამართლებრივი ღირებულებების მიმართ. ეს ღირებულებანი მარტო საზოგადოდ (ხელოვნების მსგავსად) კი არ უნდა იყოს მისთვის ფასეული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც. პიროვნებას უნდა სწამდეს, რომ ამ წესრიგს მისთვის სარგებლობა მოაქვს, იგი ამ წესრიგის ყურადღების ცენტრშია და არა მის მიღმა.

ერთხელ საკონსტიტუციო სასამართლომ ელექტროენერჯის ტარიფის საქმის განხილვისას აღნიშნა, რომ მომხმარებელი სამართლებრივმა წესრიგმა სამოქალაქო ბრუნვის მიღმა დააყენა. ასე რომ, როცა ვლავარაკობთ სამართლებრივ წესრიგზე, როგორც უმაღლეს ფასეულობაზე, ისეთი სამართლებრივი წესრიგი გვაქვს მხედველობაში, რომელთან მიმართები-

თაც ადამიანები არ არიან გაუცხოებული. **ასეთი წესრიგი შეიძლება ადამიანს ავალდებულებდეს.**

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან ჩანს, რომ მყარი და სტაბილური სამართლებრივი წესრიგი უფლების არსებობის მნიშვნელოვანი პირობაა. **საკმარისია მოიშალოს სამართლებრივი უსაფრთხოება, რომ ნებისმიერი უფლება ეჭვის ქვეშ აღმოჩნდეს. არ შეიძლება კანონმდებელმა უფლების უეჭველობის პრეზუმფცია შეცვალოს მისი საეჭვოობით.** ამ მხრივ სერიოზული დებულებები დააფიქსირა საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ 2003 წლის 30 აპრილის N1/3/161 გადაწყვეტილებაში საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები — ოლა სუმბათაშვილი და იგორ ხარპოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”. მოსარჩელები არაკონსტიტუციურად მიიჩნევდნენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილს იმ მოტივით, რომ იგი სასამართლო გადაწყვეტილების მიღებიდან მხოლოდ 5 წლის განმავლობაში იძლევა შესაძლებლობას, ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. მოკლედ, მოსარჩელეთა იდეით გადაწყვეტილების გასაჩივრებას ვადა არ უნდა ზღუდავდეს. ერთი შეხედვით, ამაში არაფერი არ უნდა იყოს ცუდი და მიუღებელი. რატომ არ უნდა გადაისინჯოს გადაწყვეტილება ნებისმიერ დროს, თუკი ამის საფუძველს იძლევა ახლად აღმოჩენილი გარემოება. განა ჭეშმარიტების დადგენა შეიძლება ვადებით შემოიფარგლოს, სამართლის მიზანიც ხომ ის არის, რომ მიაგნოს მას, როდემდე დევნაც არ უნდა დასჭირდეს. რა თქმა უნდა, თუკი ამისი მიღწევა შესაძლებელია, ნებისმიერი ნება, ეს იქნება საკანონმდებლო თუ სასამართლო, რომელიც ხელშემშლელი აღმოჩნდება ამ გზაზე, მიუღებელია. სასამართლო გადაწყვეტილებიდან გამოჩნდა, რომ, როცა ამის მიღწევა შეუძლებელია და სამართლებრივი ნება მაინც მისი ძიებით იქნება დაკავებული, ადვილი შესაძლებელია, ამით მოიშალოს უფლებათა წესრიგი და სამართლებრივი საეჭვოობის ანტიპრინციპი გაბატონდეს ცხოვრებაში. უფრო დაკონკრეტდებით და მოვიხმობთ აღნიშნული გადაწყვეტილებიდან სათანადო დებულებებს, კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა:

“462-ე მუხლის სადავო მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ნორმა გამართლებულია სამართალში არსებული უფლებრივი წესრიგით. უფლება, როგორც ფასეულობა, არ შეიძლება მუდმივად, განუსაზღვრელად, საეჭვოობის (საცილოობის) ხასიათს ატარებდეს. თუკი კანონმდებლობა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო უსასრულოდ დაუშვებდა უფლების საეჭვოობის შესაძლებლობას, ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა თვით უფლების

იდეასთან და საფუძველს გამოაცლიდა სამართლებრივ წესრიგს. უფლების დაუსრულებლად (მუდმივად), მხოლოდ ეპიზოდურად, გარკვეული დროის მონაკვეთში ნამდვილობა, არ შეესაბამება უფლების არსებას. ამიტომაცაა, რომ სადავო ნორმამ, გარკვეული დროით, 5 წლიანი აღმკვეთი ვადით შემოსაზღვრა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობა. სადავო ნორმით გათვალისწინებული აღმკვეთი ვადა სწორედ უფლების იდეის, მისი ნამდვილობის გარანტიას ემსახურება”²³.

სასამართლო გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ **ნებისმიერი უფლების არსებობის საუკეთესო გარემოს მოწესრიგებული და სანდო სამართლებრივი წესრიგი წარმოადგენს**. გადაწყვეტილებაში ითქვა:

“სადავო ნორმის გაუქმება მიუღებელი უნდა იყოს მოწესრიგებული და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის (ურთიერთობის) ინტერესების აზრითაც. სასამართლო გადაწყვეტილების ხანგრძლივად გადასინჯვის დაშვება საფრთხეს შეუქმნიდა იმ მესამე პირთა ინტერესებს, რომლებმაც უფლება შეიძინეს იმათგან, რომელთაც სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ეკუთვნოდათ იგი. საქმის განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოადგენს გამონაკლის შემთხვევას. ამ გამოკლისის დაშვებით საფრთხე არ უნდა შეექმნას იმ ზოგად წესს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არის საბოლოო, რომ იგი საბოლოოდ და შეუქცევადად აღგენს მხარეთა შორის ურთიერთობებს. ვინაიდან უფლების შესახებ დავა ყოველთვის ქმნის ამ უფლების განუსაზღვრელობას... სასამართლო ვალდებულია, წერტილი დაუსვას ასეთ მდგომარეობას და გადაწყვიტოს იგი. ის, რაც ინვედა კონფლიქტს მხარეებს შორის, სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ ითვლება დადგენილად და უდავოდ. დაუშვებელია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების მუდმივად ეჭვქვეშ დაყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საფუძველი გამოცვლებოდა სასამართლოსადმი სანდოობის ვარაუდს. არავინ არ არის დაზღვეული იმისგან, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას კვლავ არ გახდება საეჭვო”²⁴.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში იმავდროულად მინიშნებულია, რომ მხედველობაშია მისაღები იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებშიც ზოგჯერ ითვალისწინებენ აღმკვეთი ვადებისაგან გვერდის ავლას. მთავარი ამ გადაწყვეტილებაში ის არის, რომ ხაზი გაესვა იმ პრინციპულ დებულებას, რომ დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების პერმანენტული გადასინჯვა.

23. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2003, N3, გვ. 159.

24. იქვე, გვ. 160-161.

§2. სამართლებრივი წესრიგის ფარგლები (კერძო და საჯარო ცხოვრებაში)

დიდად სამწუხაროა, რომ ზოგჯერ კერძო ცხოვრების სფეროს სამართლებრივი წესრიგისგან მოწყვეტილად აღიქვამენ. თითქოს ისე იყოს, რომ ეს წესრიგი საჯარო სამართლისათვის შეიქმნა და კერძო ურთიერთობებში ყველაფერი შესაძლებელია. რა თქმა უნდა, კერძო სამართალში გაცილებით მეტი თავისუფლებაა, მაგრამ ამას ყველაფერს სამართლებრივი წესრიგის შიგნით აქვს ადგილი. თანდათანობით მინიმუმამდე დადის აღნიშნული გაუცხოება. კერძო მენარმემ იცის, რომ მან მალაზია გარკვეულ საათებში უნდა გააღოს; სამარშუტო ტაქსის მძღოლიც უკვე აცნობიერებს, რომ მანაც გარკვეულ დროს უნდა დაინყოს მუშაობა. მოკლედ, ადამიანები გრძნობენ, რომ მათი კერძო საქმიანობა მონესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის პირობებშია შესაძლებელი. ადამიანებმა უპირობოდ უნდა გააცნობიერონ ის ამბავი, რომ კერძო-სამართლებრივი ცხოვრება ერთიანი სახელმწიფოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ამ თვალსაზრისით რაც უფრო შეკრულია სახელმწიფო, მით მეტია ნებისმიერი სუბიექტის თავისუფლების გარანტიები.

საკონსტიტუციო სასამართლოში კერძო ურთიერთობათა სამართლებრივი წესრიგისაგან გაუცხოების შემთხვევები ყველაზე მეტად მაინც საკუთრების სფეროში გამოვლინდა. ბევრი მოსარჩელისათვის “ჩემი საკუთრება” აბსოლუტურად თავისუფალია საზოგადო — “ჩვენი ინტერესებისაგან”. თითქოს სახელმწიფოს ამოცანა მარტო იმაში იყოს, კერძო პირების საკუთრება რაც შეიძლება სრულად “განზანოს” სოციალური ფუნქციისაგან. ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდებით. სხვაგანაც ბევრი გვაქვს მოთხრობილი.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2004 წლის 30 აპრილის (N1/2/204) გადაწყვეტილებაში მოქალაქე გრიგოლ კარგინის საქმესთან დაკავშირებით აღნიშნა: “სამართლის ნებისმიერი სუბიექტის მოქმედება სამართლებრივი წესრიგის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა განხორციელდეს”²⁵. ზოგი სუბიექტისათვის ეს წესრიგი მეტ თავისუფლებას იძლევა, ზოგისთვის კი ნაკლებს. მთავარი ის არის, რომ ერთი და მეორეც ერთიანი წესრიგის გამოვლინებაა.

სახელმწიფოს არა აქვს უფლება, გაუცხოებული იყოს კერძო სამართლის სუბიექტების მიმართ. საქმე ეხება სამოქალაქო ბრუნვას. ეს სუბიექტები სამოქალაქო ბრუნვისათვის არიან გაჩენილი და სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს მათ და ნდობა გამოუცხადოს. სასამართლოს პრაქტიკაში დადასტურდა ამგვარი გაუცხოების ფაქტებიც. სანიმუშოდ მოვი-

25. “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2004, N2, გვ. 218.

ტან საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 30 ოქტომბრის (N2/1-7) გადაწყვეტილებას, რომელითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი “ქ. ფოთის სამეგრელოს ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე ნავთობგადამცვირთავი ტერმინალის მშენებლობის კანონიერების შესახებ” ქ. ფოთის მერის 1996 წლის 9 აგვისტოს N452 განკარგულება. სრულიად მარტივია ამ აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის მოტივი. მერის განკარგულება მიზნად ისახავდა ნავთობგადამცვირთავი ტერმინალის დაპროექტებაში, მშენებლობასა და ექსპლოატაციაში კერძო სამართლის სუბიექტის — შპს “კოლხის” ჩამოცილებას და მის ადგილზე სახელმწიფო ორგანიზაციებისა და საწარმოების ჩანაცვლებას. რაც ყველაზე მიუღებელია, ის არის, რომ არაკონსტიტუციური განკარგულება არა მარტო შპს “კოლხს” ეხება, არამედ საერთოდ გამორიცხავს კერძო სტრუქტურების მონაწილეობას ტერმინალის მშენებლობის პროცესში²⁶. **მერის განკარგულება თავდაყირა აყენებს საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ძირეულ პრინციპებს, როგორცაა საკუთრების ხელშეუხებლობისა და მენარმეობის თავისუფლება.** მხოლოდ კომუნისტური მართლშეგნების გადმონაშთად თუ შეიძლება ჩაითვალოს ფოთის მერის საქციელი. სამწუხაროდ, მსგავსი მიდგომები სხვა დროსაც დაფიქსირებულა, როცა კერძო სამართლის სუბიექტების ადგილი დაუკავებია საჯარო სამართლის სუბიექტებს.

წ3. კვლავ სამართლებრივი წესრიგის გაორების საფრთხის შესახებ

ყველაზე მკვეთრად სამართლებრივი წესრიგის გაორების საფრთხე სასამართლოს პრაქტიკაში სოციალურ უფლებებთან მიმართებით გამოჩნდა. აქ შეიძლება დისკრიმინაციის თავისებური სახე გვექონდეს, რაც კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფართოდ განმარტებაში შეიძლება ამოვიკითხოთ. ყველაზე საშიში ის არის, როდესაც ადამიანთა თანასწორობას ფეოდალური მართლშეგნებით აცნობიერებ. რა თქმა უნდა, ადამიანთა საქმიანობის ფუნქციური ხასიათიდან გამომდინარე, მათ უფლებებში შეიძლება არ იყოს თანასწორობა. ეს არც უნდა განვიხილოთ მე-14 მუხლის დამრღვევ მოვლენად. **ყველაზე მიუტყვებელი ის არის, როცა სამართალი საეჭვოს ხდის თავად უფლებას და არა იმას, რომ ეს უფლება ვილაცას მიანიჭა და ვილაცა მის გარეშე დატოვა.** კომიკურია, როცა თვით უფლების მატარებელიც კი გაოგნებულია მისი არსებობით.

26. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 1996-1997, თბ., 2002, გვ. 8-10.

ახლა კონკრეტულად ვნახოთ, როგორც გამოჩნდა გაორებული სამართლებრივი წესრიგი ჩვენი პრაქტიკიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ 2002 წლის 15 ოქტომბერს გამოიტანა გადაწყვეტილება (N1/2/174,199) საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები — ტრისტან ხანიშვილი, თევდორე ნინიძე, ნოდარ ჭითანავა, ლევან ალექსიძე, გიორგი ქავთარაძე და სხვები (სულ 12 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, რომელშიც დავის საგანს წარმოადგენდა პარლამენტის (ყოფილი უზენაესი საბჭოს) დეპუტატთა პენსიების მომწესრიგებელი კანონმდებლობა. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ შეიძლება მხარი დავუჭიროთ სამართლიანობის კატეგორიის გაორებას კერძო და საჯარო სამართალში:

„კერძო და საჯარო სამართალში არსებულ თავისებურებათა მიუხედავად, დაუშვებელი უნდა იყოს ადამიანთა სოციალური უზრუნველყოფის საერთო პრინციპების მთლიანად იგნორირება. პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებაში მონაწილეობა არ უნდა იქცეს ისეთ პრივილეგიად, რაც არსებით წინააღმდეგობაში მოვა ადამიანის უფლებათა თანასწორობის უნივერსალურ პრინციპებთან“²⁷.

სასამართლომ ეს მიდგომა დააფიქსირა, მოსარჩელეთა მხრიდან, პენსიით უზრუნველყოფის საკითხისადმი პრინციპულად განსხვავებული დამოკიდებულების მიმართ. კერძოდ, მათი აზრით, პარლამენტის წევრს, სტაჟის მიუხედავად შეიძლება დაენიშნოს პენსია, ხოლო იმ ადამიანებმა, რომლებიც არ წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს, ეს უნდა დაიმსახურონ შრომითი საქმიანობის გარკვეული სტაჟის დაგროვებით. ამრიგად, მოსარჩელეთა შეხედულებით, პარლამენტარს პარლამენტარობის მართოდენ ფაქტი ყოფნის პენსიის მისაღებად, ხოლო უნივერსიტეტის რექტორმა საამისოდ სტაჟი უნდა დააგროვოს. სასამართლომ ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებაში აღნიშნა:

“...სამსახურებრივ პენსიაზე პარლამენტის წევრის უფლებას ვერ წარმოშობს პარლამენტარობის შიშველი ფაქტი. პარლამენტარი, როგორც საჯარო-პოლიტიკური თანამდებობის პირი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უფლებამოსილი და მოღვაწე (მოსაქმე) პირია. სწორედ ამ ვადებში ვლინდება აღნიშნულ უფლებამოსილებათა შინაარსი. პარლამენტის წევრი, როგორც გარკვეული საქმიანობის სუბიექტი, სწორედ საპარლამენტო ვადის დინების პროცესში ავლენს თავის თავს. ამიტომაცაა, რომ პენსიაზე უფლება გარკვეულ ვადებში წარმოშობილი უფლებაა. ამ უფლებებს შობს არანებისმიერი ვადა, არამედ გონივრულად განსაზღვრული ვადა, რომელშიც

27. უფრნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2002, N4, გვ. 104.

აისახება პარლამენტის წევრის სამსახურებრივი საქმიანობის გარკვეული პერიოდი. უფლების წყაროდ ვერ გამოდგება თვით ამ საქმიანობის შედეგები, როგორც ამას ამტკიცებენ მოსარჩელები. მათი თქმით, “შეიძლება პირი ერთი დღე იყოს დეპუტატი, მაგრამ მან ისე შეასრულოს თავისი მისია, რომ ისტორიაში შევიდეს მისი საქმე”. ამ ლოგიკით თუ ვიხელმძღვანელებთ, ბევრი დეპუტატი, რომელსაც ასეთი “გმირული მისია” არ შეუსრულებია, საპარლამენტო ვადის გასვლის შემდეგაც შეიძლება უპენსიოდ დარჩეს”.

§4. სამართლებრივი წესრიგი (უსაფრთხოება) და ძირითადი უფლებები

ძირითადი უფლებების დაცვა შეუძლებელია, თუკი არ არსებობს უფლებათა საერთო წესრიგი. ეს წესრიგი ადამიანის ორგანიზმივითაა და რაც უფრო ჯანმრთელია იგი, მით უფრო გარანტირებულია აღნიშნული უფლებების დაცვა. საკუთრების უფლების გარანტიებს საკუთრებითი წესრიგი ქმნის. სამოქალაქო ბრუნვის წესრიგი საფუძველია სამოქალაქო უფლებების რეალიზაციისათვის. **ნებისმიერი წესრიგი საერთო კონსტიტუციური წესრიგის გამონახულებას უნდა წარმოადგენდეს და სამართლით აღიარებულ ფასეულობებზე უნდა იყოს აგებული.** ასეთი წესრიგი საზოგადოების სამართლებრივი უსაფრთხოების აუცილებელი პირობაა. **სამართლებრივი წესრიგი ისეთივე მიმართებაშია ძირითად უფლებებთან, როგორც შენობის საძირკველი შენობასთან.** საკმარისია ეს საძირკველი გამოეცალოს მას, რომ შენობაც დაინგრევა. ასე რომ, საძირკველს აზრი არა აქვს შენობის გარეშე და არც შენობა არსებობს უიმისოდ. უფრო მეტიც, შენობაც და საძირკველიც ერთი ორგანიზმია. ამ მიმართების გამორკვევა ერთობ მნიშვნელოვანია, ვინაიდან პრაქტიკაში ზოგჯერ წამოიჭრება საკითხი, წესრიგის, როგორც ფასეულობისა და ძირითადი უფლების პრიმატის შესახებ. ჩემი ნაამბობიდან ჩანს, რომ უფლება, როგორც ფასეულობა სამართლებრივი წესრიგის ფარგლებშია შესაძლებელი და, ბუნებრივია, ნებისმიერი გადაწყვეტილება, მას კანონმდებელი მიიღებს თუ სასამართლო, რომლითაც კონკრეტული პირის უფლებას პრიორიტეტი მიეცემა სამართლებრივ უსაფრთხოებასთან მიმართებით, მიუღებელი იქნება. ეს იმიტომ, რომ ნებისმიერი პირის უფლება უფლებათა საერთო წესრიგის ნაწილია და თუ ეს პრიორიტეტი ძირს უთხრის აღნიშნულ წესრიგს, მაშინ იგი მიუღებელია. **ნებისმიერი უფლების დაცვა სამართლებრივი წესრიგის სივრცეში უნდა ჯდებოდეს.** ასეთი უფლებები არც კი შეიძლება მიჩნეულ იქნეს უფლებებად. როცა კონსტიტუცია არ ცნობს საკუთრების ფორმებს

და ერთიან საკუთრებით წესრიგს აღიარებს, ცხადია, ამ ფორმის საფუძველზე ვინმესთვის პრიორიტეტის მინიჭება გაუცხოება იქნება საკუთრების კონსტიტუციური წესრიგისადმი. კვლავ მინდა გავიმეორო, **რომ ეს წესრიგი უმაღლესი ფასეულობების გამოვლინებაა და იგი, საზოგადოდ, უზრუნველყოფს უფლებათა გარანტიებს.**

აღნიშნული განსაკუთრებულად ავალდებულებს კანონმდებელს, ძირითადი უფლებები სამართლებრივი წესრიგით მოაზრებულ სივრცეში გააცნობიეროს. ყოველივე ეს გარანტია ხდება სამართლებრივი სტაბილურობისა და საიმედოობისა. რაც უფრო ახლოა კანონმდებელი სამართლის საზოგადოდ აღიარებულ ფასეულობებთან, მით უფრო განვითარებულ სამართლებრივ წესრიგს შეიძლება ჩაეყაროს საფუძველი. კანონმდებლის ნებისმიერი ნაბიჯი ორგანულად უნდა ჯდებოდეს ამ წესრიგში. თუ ეს არ მოხდება, მას ვერ გაითავისებს ეს წესრიგი და დასალუბად იქნება განწირული. ყველაზე ცუდი ის იქნება, რომ ადამიანები ნდობას დაკარგავენ სამართლისადმი.

არ შეიძლება სამართლებრივი წესრიგი (უსაფრთხოება) გავავივივოთ საზოგადო ინტერესებთან. სამართლებრივი უსაფრთხოება მთელი საზოგადოების (კერძო თუ საერთო) ინტერესების, თვით სახელმწიფოს არსებობის საფუძველია. ამ წესრიგითაა “შეზღუდული” ყველა.

§5. კანონმდებლისა და სასამართლოს ბოჭვა სამართლის პრინციპებით

კანონმდებელიცა და სასამართლოც შებოჭილია სამართლის პრინციპებით. ეს ნიშნავს იმას, რომ, როგორც ნორმატიული აქტის, ისე გადაწყვეტილების საძირკველს სამართლის პრინციპები წარმოადგენენ. ეს პრინციპები “სიკეთეთა ობიექტური წესრიგის” საფუძველს ქმნიან. საკონსტიტუციო სასამართლოს გაცილებით ფართო შესაძლებლობები აქვს ამ პრინციპების განსავითარებლად, ვიდრე კანონმდებელს. ეს ალბათ იმიტომ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებებში პოვენენ ისინი ცოცხალ გამოვლინებას. თუ ნორმატიულ აქტებში ეს პრინციპები სტატიკური სახითაა მოცემული, სასამართლოში ვლინდება მათი დინამიკა, რეალური სიცოცხლე. **კანონმდებელი ნორმატიული ენის ფარგლებშია თავისუფალი, მაშინ როცა სასამართლო წარმოადგენს კანონის ნამდვილ სალაპარაკო ენას.**

საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, გააკონტროლოს — ხომ არ ასცდა პრინციპების სამყაროს კანონმდებელი. პოსტსაბჭოურ სინამდვილეში, როცა კანონმდებლობა ექსპერიმენტებითაა სავსე, ბუნებრივია

ასეთი გზის აცდენა. ვიდრე არ ჩამოყალიბდება სტაბილური სამართლებრივი წესრიგი, მანამდე ადვილი შესაძლებელია, რომ კანონმდებელი შეცდეს. მთავარია, იგი განზრახ არ მოქმედებდეს. **ვინ ირწმუნებს კანონმდებლის შეცდომას, როცა იგი ანგარიშს არ გაუწევს ელემენტარულ აქსიომებს და პრინციპების ადგილზე ანტიპრინციპებს შემოიღებს. არ შეიძლება კანონმდებელმა ღირებულებათა წესრიგს გადააბიჯოს.** ეს წესრიგი მას ავალდებულებს. კანონმდებელი, რომელიც საგამონაკლისო ნორმით ნახალისებს ადამიანს, სამსახური მიატოვოს, ის გამოდის სამართლებრივი ინსტიტუტების წინააღმდეგ. როცა საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს სამართლის პრინციპებიდან კანონმდებლის გადახვევას, მან ეს სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახადოს და კიდევ ყოფილა ჩვენს პრაქტიკაში ამისი შემთხვევები. სახელმწიფო ხომ სამართლის პრინციპებზე აგებული დანესებულეა. **კანონმდებელი, რომელიც ანგრევს პრინციპებს, ის, ნებით თუ უნებლიეთ, სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოდის.**

ამასთან, კანონმდებელი თავადაა ახალი პრინციპების შემოქმედი. ჩვენს ცხოვრებაში განსაკუთრებით შესამჩნევია ეს. ამჟამად ფაქტობრივად ადგილი აქვს სამართლის ძველი და ახალი პრინციპების ომს, რაც უეჭველად ახლის გამარჯვებით დამთავრდება. თუმცა სრულად ეს მაშინ მიიღწევა, როცა მოხდება სამართლებრივი მენტალიტეტის ტრანსფორმაცია.

საკონსტიტუციო სასამართლომ ბევრჯერ მიუთითა კანონმდებელს, რომ დაუშვებელია მის მიერ დადგენილი პრინციპული დებულებებიდან გადახვევა. ყოფილა შემთხვევები, როცა კანონმდებელს ეს არაფრად ჩაუგდია. კომიკურ მაგალითს მოვიტან, საკონსტიტუციო სასამართლომ არჩევნების პრინციპებიდან გამომდინარე, არაკონსტიტუციურად ცნო არჩევნები საქართველოს რამდენიმე საარჩევნო ოლქში. ამით კონკრეტული დეპუტატების არჩევას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა. პარლამენტმა არ შეუწყვიტა ამ დეპუტატებს უფლებამოსილება (ეს იგივეა მკვდარს არ შეუწყვიტო სადეპუტატო უფლებამოსილება) და შემდეგ აღმოჩნდა, რომ პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფის მიერ შემოტანილ ერთ-ერთ სარჩელს ეს “დეპუტატებიც” აწერდნენ ხელს.

შეიძლება თუ არა კანონმდებელმა გადაუხვიოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრინციპებს? ჩემი აზრით, ეს შესაძლებელია, მაგრამ იშვიათად, და მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს კონსტიტუციურ ცვლილებებს, როცა სამართლის პრინციპული რეფორმაცია ხდება და სხვადასხვა სამართლებრივი ოჯახებიდან შემოდის ახალი ინსტიტუტები. თუმცა სასამართლო ამ შემთხვევაშიც ვალდებულია, შეამონმოს, რამდენად მორგებადია იგი ქვეყნის სამართლებრივი შუბლისათვის. აქაც შეიძლება

იოლად მოგვარდეს საქმე, ვინაიდან ღირებულებათა წესრიგი, მით უმეტეს, როცა ადამიანის უფლებებს ეხება საქმე, ერთიანი მიდგომებით ხასიათდება. მაგალითად, გერმანელი პროფესორების დაკვირვებით, კერძო სამართლის უმთავრესი პრინციპები ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნებში დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

წმ. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სამართალგამოყენების პროცესში

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არ მთავრდება კარგი კანონების მიღებით. სახელმწიფო ვალდებულია, ყველანაირად უწყობდეს ხელს მის ცხოვრებაში გატარებას. არ შეიძლება კანონის არსებობის ფორმა მხოლოდ წერილობითი აქტი იყოს. კანონი, იმავდროულად, რეალურ ცხოვრებაში მოქმედი სიკეთეა. მხოლოდ ამ ერთიანობით შეიძლება განვიხილოთ იგი როგორც ცოცხალი ორგანიზმი. **კანონი ყველა შემთხვევაში, ცხოვრებიდან ამოდის და ისევ ცხოვრებას უნდა დაუბრუნდეს.** თუ მისი წყარო არ არის ცხოვრება, ვერც ამ ცხოვრებას დაუბრუნდება. **შეიძლება სიძნელები შეხვდეს მის განხორციელებას, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ცხოვრების ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.** სხვანაირად, კანონი არარსებულად უნდა ჩაითვალოს. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა, ერთ დღეს შეიკრიბა პარლამენტი და დაადგინა, რომ საქართველოს მოქალაქის საშუალო ხელფასი იქნება 10 000 ლარი. იქნება კი ასეთი კანონი ძალაუხარიანი? უეჭველად არა, იმიტომ რომ იგი ვერავის ვერ დაავალდებულებს. ამრიგად, **კანონი სახელმწიფოს უნდა ავალდებულებდეს.** ეს რომ ასე იყოს, იგი სინამდვილეს უნდა ასახავდეს და არა ილუზიებსა და ოცნებებს. ან კიდევ ავიღოთ საპირისპირო მაგალითი, სახელმწიფომ ეს ხელფასი განსაზღვრა იმ ოდენობით, რომ იგი ელემენტარულადაც ვერ უზრუნველყოფს ადამიანის ყოფით მოთხოვნილებებს. არც ეს კანონი შეიძლება ჩაითვალოს კანონად, ვინაიდან იგი ადამიანს არაფერს აძლევს. **სადაც არ არსებობს სახელმწიფოს ვალდებულება, იქ არც ადამიანის უფლებები მოიაზრება.** მოკლედ, აქ ის შემთხვევა გვაქვს, როცა ვალდებულება წარმოშობს უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამოჩნდა, რომ დარღვეულია ვალდებულებისა და უფლების ურთიერთიმართების აღიარებული პრინციპები. **კერძოდ, “არის” უფლება, მაგრამ არ არის ვალდებულება.**

ამგვარად, სახელმწიფოს კონსტიტუციურ ვალდებულებად უნდა ჩაითვალოს, რომ მის მიერ მიღებული ნორმატიული აქტები “ქალაქის ნა-

გლექზე” არ დარჩეს და რეალურ ცხოვრებაში პოულობდეს განხორციელებას. არ შეიძლება სახელმწიფო თავის უძლურებას ნორმების ხშირი გამოცვლით ასაბუთებდეს, ან კიდევ მისდევდეს ნორმის “დადანაშაულების” პოლიტიკას.

რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია, რომ “დამნაშავე” თავად ნორმა იყოს, როცა იგი ცხოვრებისაგან გაუცხოებულია. ასეთი ნორმები სახელმწიფომ მართლაც უნდა ცვალოს ხშირად. პირველ რიგში, უნდა ეცადოს, რომ არ დაუშვას მათი მიღება, მაგრამ, რადგანაც შეცდომისაგან არც სახელმწიფოა დაზღვეული, მას აქვს უფლება, ეს შეცდომა გამოასწოროს. თუმცა იგი ვალდებულია, აქაც გონივრულად მოიქცეს და ნორმის ცხოვრებაში გატარებისას წარმოშობილმა წინააღმდეგობებმა არ დააფრთხოს, თუკი ნორმის არსებობა აუცილებელია. ჩვენს სამართალში ძალიან ბევრი ახალი ინსტიტუტი შემოვიდა. მაგალითად, ლიზინგი, ფრენშიაზინგი და სხვა. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ცხოვრებაში დანერგვის სიძნელეების გამო, სახელმწიფო შეშინდა და უარი თქვა მათზე. რა გამოგვივა? გამოვა ის, რომ სახელმწიფო ამით შეაფერხებს თავის განვითარებას. დიდად სამწუხაროა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ამდაგვარი შემთხვევებიც დაფიქსირდა. სანიმუშოდ მინდა მოვიტანო საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნა საქმეზე “სააქციო საზოგადოებები — “საქგაზი” და “ანა ჯგუფი” (ყოფილი “თბილგაზოპარატი”) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”.

სასამართლო გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ კანონმდებელს კონსტიტუციური ნორმა შეუცვლია ანტიკონსტიტუციურით, იმის გამო, რომ ადგილი ჰქონია სამართალგამოყენებით პრაქტიკაში სერიოზულ დარღვევებს. კერძოდ, პროცესზე წარმოდგენილი ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს:

“...სადავო ნორმის მიღების საფუძვლად მიჩნეულია ის, რომ აღსრულება უმრავლეს შემთხვევაში მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით. დაყადაღების საფუძველი ხშირად გაურკვეველია და ემსახურება ცალკეული კლანებისა თუ ძლიერი ფინანსური დაჯგუფებების ინტერესებს. ქონების რეალიზაცია ხდება მის რეალურ ღირებულებაზე ნაკლებად და ამ პროცესში არ არის დაცული სახელმწიფოს ინტერესები”²⁸.

სასამართლო კოლეგიამ ნორმის გაუქმების ამგვარ მოტივაციას მკაცრი შეფასება მისცა და აღნიშნა, რომ იგი არ შეიძლება ყოფილიყო სადავო არაკონსტიტუციური ნორმის მიღების საფუძველი. კერძოდ, მან აღნიშნა:

“მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, არ შეიძლება სამართალგამოყენე-

28. ურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2005, N4, გვ. 165.

ბის პროცესში არსებულმა დარღვევებმა ეჭვის ქვეშ დააყენოს სამართლის ნორმის არსებობა. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო ვალდებულია, იყენებდეს მის ხელთ არსებულ ყველა კანონიერ და გონივრულ საშუალებას ნორმის რეალიზაციის მიზნით. თავად ნორმის “დადანაშაულების” პოლიტიკა ზიანს აყენებს სამართლებრივ სტაბილურობასა და სამართლებრივ წესრიგს, რაც სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. სამართალგანვითარება მიიღწევა არაეფექტიან და გაუმართლებელ ნორმებზე უარის თქმით და არა პოზიტიური სამართლებრივი ფასეულობებისაგან გაუცხოებით”²⁹.

სამართალგამოყენების პროცესში სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა სამოქალაქო კოდექსის 303-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელშიც ნათქვამია:

“თუ მოვალე მარტო ან თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს იმ შენობაში ან შენობის ნაწილში, რომელიც დატვირთულია იპოთეკით, მას უფლება აქვს დარჩეს დამქირავებლად”.

307-ე მუხლის მე-4 ნაწილის მეორე წინადადებაც იგივეს ამბობს: “ახალ შემძენზე საკუთრების გადასვლით ძველი მესაკუთრე განიხილება დამქირავებლად საბაზრო პირობების შესაბამისად”.

ამ ნორმაში ჩასმულია როგორც ძველი, ისე ახალი მესაკუთრის ინტერესები. ძველი მესაკუთრის ტვირთი ახალს თავისუფლად შეუძლია მოიშოროს, თუკი დაასაბუთებს, რომ აღნიშნული ქონება თავად სჭირდება. მას შეუძლია გაასახლოს ძველი მესაკუთრე და მშვიდად გამოიყენოს თავისი საკუთრება. თუ ვერ დაასაბუთებს ამ საჭიროებას, მაშინ ძველი მესაკუთრე გააგრძელებს მშვიდად ცხოვრებას. გონივრული სამართლებრივი წესრიგის თვალსაზრისით, აქ ყველაფერი თავის ადგილზეა და ახალ მესაკუთრეს არაფერში არ უნდა ეშლებოდეს ხელი. მაგრამ ბანკებს ასე არ წარმოუდგენიათ. ისინი სხვაგვარად სვამენ კითხვას: ვინ იყიდის აუქციონზე გატანილ სახლს (ბინას), თუკი შემძენს ეცოდინება, რომ კანონი ძველ მესაკუთრეს აძლევს იქ ცხოვრების უფლებას? მათი აზრით, ასეთ ვითარებაში ნასყიდობა არ შედეგება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შედეგადად ნასყიდობა და მას იყიდის ის პირი, ვისაც სჭირდება ეს ქონება (შეიძლება ახლა, შეიძლება სამომავლოდ). თუ ახლა არ სჭირდება, რა არის იმაში ცუდი, რომ ძველი მესაკუთრე იცხოვრებს მის ბინაში. თუკი სჭირდება, ხომ შეუძლია გამოასახლოს იგი ბინიდან? მათი აზრით, ამასაც დიდი დრო სჭირდება და ახალი შემძენის უფლებები ილახება. გამოსავალი კი ის არის, რომ გავაუქმოთ სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ნორმები. სწორედ ამაზე შეიძლება ითქვას: “თავის ტკივილის ყველაზე კარგი წამა-

29. იქვე, გვ. 165.

ლი თავის მოჭრაა”. ის ვინც გონივრულად განმარტავს და გამოიყენებს კოდექსის ნორმებს და ვისაც სწორად ესმის საკუთრების არსი, აქ ვერ დაინახავს ახალი მესაკუთრის უფლების დარღვევას³⁰.

§7. ურთიერთობის მოუნესრიგებლობასთან დაკავშირებით

კონსტიტუციური სარჩელების შემოტანის მიზეზი ხშირად ის არის, რომ ესა თუ ის ურთიერთობა კანონმდებლობით არ არის მონესრიგებული. უცნაურია, როცა კანონმდებელი მოქალაქეებს ჰპირდება მათ მონესრიგებას, მაგრამ გადის წლები და ყველაფერი ძველებურად რჩება. მოკლედ, კანონმდებლის ნება დეკლარაციულ შინაარსს იძენს. სამაგალითოდ მოვიტან მოქალაქე ნელი ნებიერიძის კონსტიტუციურ სარჩელს საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. პარლამენტმა 1997 წლის 11 დეკემბერს მიიღო კანონი “საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ”. ეს კანონი, მართალია, აღიარებს რეპრესირებულთა უფლებების აღდგენას, მაგრამ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით ადგენს, რომ „რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი განისაზღვრება ცალკე კანონით“. ვინაიდან აღარ დაადგა საშველი ამ კანონის მიღებას, მოსარჩელემ ჩათვალა, რომ სწორედ აღნიშნული დებულებაა მისთვის ხელშემშლელი და მოითხოვა მისი არაკონსტიტუციურად ცნობა. ამრიგად, მოსარჩელე მხარის პრეტენზია გამონვეულია ნორმატიული აქტის დროზე მიუღებლობით. არაფერი ცუდი იმაში არ არის, რომ აღნიშნული საკითხი ცალკე მონესრიგდეს. ვერა-ვინ ვერ აუკრძალავს კანონმდებელს სპეციალური მონესრიგების უფლებას, მაგრამ მან იგი ბოროტად არ უნდა გამოიყენოს. ბოროტება იმაში გამოიხატება, რომ სადავო დებულებით კანონმდებელმა ფაქტობრივად “დაბლოკა” ქონებრივი უფლებების დაცვის მოქმედი ზოგადი წესი. სასამართლო კი უძლურია არაკონსტიტუციურად ცნოს კანონმდებლის მოქმედება. სარჩელი განსახილველად არც იქნა მიღებული, თუმცა სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცალკე კანონის მიუღებლობა “...სერიოზულ პრობლემებს ქმნის რეპრესირებულ პირთა ქონებრივი უფლებების აღდგენასთან დაკავშირებით”³¹. სარეზოლუციო ნაწილში სასამართლომ საგანგებოდ სთხოვა პარლამენტს, რომ მან განსაზღვროს რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი. მეტის გაკეთება სასამართ-

30. დაწვრილებით ამ საკითხზე: ბესარიონ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, გვ. 502-507.

31. უურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2004, N2, გვ. 179.

ლოს, ცხადია, არ შეეძლო. სამწუხაროდ, ამ თხოვნის შემდეგაც არ მიღებულია რაიმე კანონი.

სად უნდა წასულიყო სანყალი მოსარჩელე და ისევ საკონსტიტუციო სასამართლოს მოაკითხა. არც ამჯერად არ იქნა მიღებული სარჩელი, მაგრამ სასამართლომ ისევ შეახსენა პარლამენტს, რომ იგი “...ვალდებული იყო დაუყოვნებლივ მიეღო ცალკე კანონი რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლების აღდგენის წესის შესახებ”³². ყოველივე ეს არ შეიძლება არ მიგვანიშნებდეს კანონმდებლის უპასუხისმგებლობაზე. **ცუდი კანონი იმდენად არ შელახავდა ადამიანის უფლებებს, ვიდრე ამ კანონის საერთოდ არარსებობა.**

აქ არ შევეხებით ანაბრების ისტორიას. საკმაოდ ბევრი დეკლარაციული ნორმები გამოსცა ხელისუფლებამ, ბევრი კომისია შექმნა ამ საკითხის მოსაწესრიგებლად, მაგრამ საშველი არ დაადგა მას. **პირიქით, ნორმატიული სინამდვილიდან ხელისუფლება მიექანებოდა დეკლარაციულისაკენ.** ამ შემთხვევაშიც სასამართლომ დააფიქსირა თავისი პოზიცია და აღნიშნა, რომ კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულებით მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები ილახება. სასამართლომ სთხოვა საქართველოს პარლამენტს, საქართველოს მთავრობასთან ერთად, გონივრულ ვადაში შეემუშავებინა და მიეღო სათანადო საკანონმდებლო აქტები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო — კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების სამართლიანად დაბრუნებას³³. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ საერთოდ შეწყდა ანაბრების დაბრუნებაზე საუბარი და დეკლარაციული ნორმებიც გაქრა ნორმატიული ცხოვრებიდან.

ყველაფერი ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ კანონმდებელს ძალიან მარტივად ესმის კანონმდებლობის კონსტიტუციური პოლიტიკა. **ნებისმიერი კანონი დასაბუთებული და ასჯერ აწონილ-დაწონილი უნდა იყოს.** სხვანაირად, მუდამ ცვალებადი და შეუსრულებადი კანონები გვექნება. **კანონიც ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმივით უნდა ვითარდებოდეს. თუ არ ხარ მზად რომელიმე კანონის მისაღებად, არ უნდა მიიღო. თუ მიიღებ, კიდევ უნდა შეასრულო.**

§8. სპეციალური მოწესრიგების ფარგლების შესახებ

კანონთა დაყოფა ზოგად და სპეციალურ კანონებად სამართლებრივ სისტემებში ერთობ მიღებული წესია და იგი არც ჩვენთვისაა უცხო და, შეი-

32. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2004, N4, გვ. 158.

33. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2004, N2, გვ. 185.

ძლება ითქვას, ფართოდ იყენებს მას ქართველი კანონმდებელი. სპეციალური კანონის მიღება უფლებრივი ურთიერთობის ბუნებითაა განპირობებული და მასში ყველაზე სრულყოფილად აისახება ამ ურთიერთობის თავისებურებანი. შეუძლებელია ცხოვრების ყველა სფერო საზოგადო ნორმებით შეფასდეს. სპეციალური კანონების ასპარეზი კერძო სამართალშია. თუმცა კანონმდებელმა აქაც გონიერება უნდა გამოიჩინოს და აუცილებლობის შემთხვევაში დაუჭიროს მას მხარი. აღარ მოეყვები ამ პოლიტიკის ისტორიას, ვინაიდან იგი ცალკე წიგნში მაქვს მოთხრობილი³⁴. კანონმდებელმა მოაწესრიგა ის შემთხვევა, როცა ზოგადი და სპეციალური კანონები (ნორმები) წინააღმდეგობაში მოდიან და საჭიროა ამ დაპირისპირების მოხსნა. სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლში ეს ასე აისახა: “ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები”. ვფიქრობთ, კოდექსის ამ დანაწესს დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. მართლაც, საერთო სასამართლოების პრაქტიკაში მისი გამოყენებით ბევრჯერ მოხსნილა კოლიზია მსგავსი კატეგორიის ნორმებს შორის.

ზოგადი ნორმების ღირსება იმაშია, რომ ისინი ადგენენ მონესრიგების ერთიან მასშტაბს და გარკვეული გვარის საზოგადოებრივ ურთიერთობებს ერთ ორგანიზმად კრავენ. რაც ყველაზე მთავარია, ზოგადი ნორმები შეიცავენ პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ მონესრიგებული ურთიერთობების ბუნებას. ამ **პრინციპებში ვლინდება სამართლებრივ ღირებულებათა “პიროვნულობა”**. ამ პრინციპების იქით სხვა სამართლებრივი ცხოვრება იწყება. თუ ეს ასეა, მაშინ როგორ უნდა გავიგოთ სპეციალური მონესრიგების ფარგლები. გულისხმობს კი კოლიზია ამ პრინციპებთან დაპირისპირებას? სწორედ ამ საკითხზე გამოთქვა საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი პოზიცია 2001 წლის 7 ივნისის (N1/1/103,117,147-148,152-153) გადაწყვეტილებაში “საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ” კანონის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. სასამართლომ აღნიშნა:

“სპეციალური სამართლებრივი მონესრიგება არ უნდა მოასწავებდეს სამართლის შესაბამისი დარგის სფეროდან გასვლას და ძირითადი პრინციპების იგნორირებას”³⁵.

მაშასადამე, ადგილი არ უნდა ჰქონდეს დაპირისპირებას ძირითად (ფუნდამენტურ) პრინციპებთან. თუ ასე მოხდება, ეს იქნება სწორედ სამართლებრივი მონესრიგების გაორება. თუკი კანონმდებელი რაღაც ახალ პრინცი-

34. ბესარიონ ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, გვ. 92-133.

35. უურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2001, N3, გვ. 98.

პებს გვთავაზობს სამართალგანვითარების ფონზე, მაშინ მან ჯერ ზოგად კანონებს უნდა მიხედოს და იქ გაითვალისწინოს იგი.

თუკი ჩვენ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ დებულებას უგულებელვყოფთ, მაშინ კანონმდებელს გზა გაეხსნება, ნებისმიერი კანონის არსებობა დაასაბუთოს სპეციალურობის მოტივით. ასე კანონმდებელმა შეიძლება არარად აქციოს ზოგადი კანონები, თუკი მათ ხერხემალს გამოაცლის. ამით უნესრიგობა გაბატონდება საკანონმდებლო ორგანიზმში. იგი სტიმულატორი იქნება გარკვეული ჯგუფებისათვის, პარლამენტს მიადებინოს მხოლოდ მათთვის სასურველი კანონები, რისი პრეცედენტებიც არც ისე უცხოა ჩვენთვის. ასე რომ, **სპეციალური კანონები დასაშვებია არსებული სამართლებრივი პრინციპების ფარგლებში**. იგი შეიძლება უპირისპირდებოდეს ზოგადი კანონის რომელიმე ნორმას, მაგრამ არა პრინციპებს. ამდენად, კანონმდებელიც შებოჭილია ამ პრინციპებით. 2003 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებაში (N1/1/138,171,179-09) სასამართლომ აღნიშნა: "...კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს არა მარტო ზოგადი ნორმები, არამედ საგამონაკლისო ნორმებიც. საერთო წესიდან გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობას თვით კონსტიტუცია უნდა იძლეოდეს"³⁶.

§9. კანონთა ამოქმედების ხშირი გადავადების უარყოფითი შედეგების შესახებ

საკონსტიტუციო სასამართლო ვერ წაართმევს კანონმდებელს უფლებას, განსაზღვროს კანონის ამოქმედების დრო. საკონსტიტუციო სასამართლო ფუნქციურადაა ვალდებული კონსტიტუციურობის თვალსაზრისით შეაფასოს — თუ როგორ აისახება კანონის ხშირი გადავადება ადამიანის უფლებებზე. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამ დროს შეიძლება თავად უფლება გახდეს ეჭვის ობიექტი. კანონმდებლის ასეთი პოლიტიკით შეწუხებულ ადამიანებს ისლა დარჩენიათ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ. სასამართლომ 2005 წლის 23 მარტს მიიღო გადაწყვეტილება (N1/3/301) საქართველოს მოქალაქეების — დავით სილაგაძის, ლიანა დარსანიასა და ეკატერინე ნონონავას საქმეზე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. დავის საგანს წარმოადგენდა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის ცალკეული ნორმები, შრომით უფლებებთან დაკავშირებით.

საქმის განხილვიდან გამოჩნდა, რომ ის ნორმები, რომელთა ამოქმედებასაც მოსარჩელები ითხოვდნენ, მათი მიღებიდან სარჩელის შემოტანამდე

36. უურნალი "ადამიანი და კონსტიტუცია", 2003, N2, გვ. 100.

ცხრაჯერ გადავადებულა. მიუხედავად იმისა, რომ სარჩელის შემოტანის მომენტისათვის სადავო აქტის ამოქმედებამდე — 2005 წლის 1 იანვრამდე, დიდი დრო აღარ იყო დარჩენილი, მოსარჩელებმა მაინც საეჭვოდ მიიჩნიეს ეს, რაც მართლაც გამართლდა და 2006 წლის 1 იანვრისათვის გადაიდო კანონის ამოქმედება. ამ დროისათვის მოვლენები ისე განვითარდა, რომ რამდენიმეჯერ გადავადებულ ზოგიერთ უფლებაზე კანონმდებელმა საერთოდ უარი თქვა. ასეთი სინამდვილის პირობებში სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, კანონმდებლისათვის ეთქვა, რომ ეს ამბავი მე არ მეხება და მოიქეცი ისე, როგორც შენ ჩათვლიო. სასამართლომ სადავო ნორმების ნაწილი არაკონსტიტუციურად ცნო და რამდენიმე მნიშვნელოვანი დებულება ჩამოაყალიბა უფლების სამართლებრივი გაგებისა და საერთოდ საკანონმდებლო პასუხისმგებლობის შესახებ.

სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ კანონთა ამოქმედების ხშირი გადავადებით, საფრთხე ექმნება ადამიანის კონსტიტუციური უფლების არა მარტო დაცვას, არამედ საერთოდ არსებობას: “მართალია, კანონმდებელს უფლება აქვს, სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, შეაჩეროს ნორმატიული აქტის მოქმედება, მაგრამ ეს არ უნდა იღებდეს უსასრულოდ პერმანენტულ ხასიათს და არ უნდა იქცეს კანონის ამოქმედების პრინციპად. კანონის მოქმედებისადმი ასეთი დამოკიდებულება მოსარჩელებს აყენებს უსასრულოდ გაურკვეველ მდგომარეობაში, უარყოფითად აისახება კანონის ავტორიტეტზე და ხელს უწყობს მოქალაქეთა მხრიდან მის მიმართ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას. ამგვარი მიდგომით ეჭვის ქვეშ დგება არა მარტო უფლების რეალიზაცია, არამედ თვით ამ უფლების არსებობაც. ასეთ ვითარებაში უფლებები ფიქტიურ ხასიათს იძენენ და შინაარსგამოცლილი ხდებიან. ...ნებისმიერი კანონის მოქმედების უსაფუძვლოდ გაუთავებელი შეჩერება-გადავადება ბლალავს კანონის უზენაესობის პრინციპს და საზოგადოებაში ამკვიდრებს განუკითხაობის შეგრძნებას”³⁷.

კანონებისადმი ასეთი მიდგომა ლახავს საკანონმდებლო ორგანოს ავტორიტეტს და სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის გაუცხოებას უწყობს ხელს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამის მიზეზი უნდა იყოს კანონმდებლის ზერელე მიდგომა საკანონმდებლო საქმიანობისადმი. სასამართლომ გაითვალისწინა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა და აღნიშნა, რომ **საკანონმდებლო პროცესისადმი პასუხისმგებლობით მიდგომა კანონმდებლის კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს**. კერძოდ, გადანყვეტილებაში აღინიშნა: „...ნორმატიული აქტის მიღებისას კანონმდებელი ვალდებულია, სწორად განსაზღვროს მისი მოქმედების სავა-

37. უფრნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2005, N2, გვ. 169-170.

რადიკალური შედეგები. კანონმდებლის პროგნოზი ამ თვალსაზრისით უნდა იყოს დასაბუთებული და გამართლებული, რათა ადგილი არ ჰქონდეს კანონის ამოქმედების ხშირად გადავადებას და ადამიანის უფლებათა მართლმადიდებლურ დეკლარირებას. კანონმდებლის მხრიდან საკანონმდებლო პროცესისადმი ასეთი დამოკიდებულება მიჩნეული უნდა იქნეს მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონსტიტუციურ ვალდებულებად. ამ პროცესში ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება საკანონმდებლო საქმიანობის ერთ-ერთი სერიოზული გარემოებაა³⁸.

სხვა საქმეზე, საკონსტიტუციო სასამართლო პირველმა კოლეგიამ 2005 წლის 18 მაისის განჩინებაში (N2/10/242) აღნიშნა: "...სადავო ნორმების ამოქმედება ზედიზედ ხუთჯერ გადაავადდა. ასეთი გადავადება ფაქტობრივად უმოქმედოდ აქცევს მათ. ნორმის ავკარგიანობის მიუხედავად, სამართალშემოქმედების პროცესისადმი ამგვარი დამოკიდებულება არ გამოხატავს ადამიანის უფლებებისადმი კონსტიტუციური პასუხისმგებლობით მიდგომას. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ნორმატიული აქტის მიღება ყველა აუცილებელი გარემოების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს"³⁹.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები ერთგვარი საძირკველია კანონშემოქმედებითი თეორიისათვის. შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელმა ასჯერ უნდა გაზომოს და ერთხელ გაჭრას. **ჯობია უარი თქვა კანონების მიღებაზე, თუ არ მომზადებულია სათანადო პირობები, ვიდრე მიიღო შეუსრულებადი კანონები და ამის გამო ხალხის გულისწყრომა დაიმსახურო.**

§10. სიმბოლურ სამართალთან დაკავშირებით

სიმბოლური სამართლის პრობლემა ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა კანონმდებლობაში. საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადამიანის უფლება არ შეიძლება სიმბოლურ ხასიათს ატარებდეს, იგი რეალური შინაარსის შემცველი უნდა იყოს. კაცმა რომ თქვას, სიმბოლური უფლება არც კია უფლება. კანონმდებელმა შეიძლება გამოიყენოს სიმბოლოები ამა თუ იმ უფლების მიმართ განსაკუთრებული ხაზგასმის მნიშვნელობით და არა იმ მიზნით, რომ მან ამით უფლების შინაარსი მოხაზოს. როგორც ჩემთვის ცნობილია, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ხელფასი სიმბოლურად აღემატება პრეზიდენტის ხელფასს. ეს გარემოება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო ხელისუფლება აღემატება ყველა სხვა ხელისუფლებას და ამ შემთხვევაში პრეზიდენტისას. ეს უბრალოდ

38. იქვე, გვ. 170.

39. უფრო ადგილი "ადამიანი და კონსტიტუცია", 2005, N3, გვ. 169.

ხაზგასმამა სასამართლოს განსაკუთრებული მნიშვნელობისათვის საზოგადოებაში. ეს მინიშნებაა იმაზე, რომ ამქვეყნად ყველა სხვა ხელისუფლები-საგან “დევენილი” ადამიანის ერთადერთი თავშესაფარი სასამართლოა. თუ **სასამართლოსაგანაც ვერ მიიღებს იგი დაცვას, მაშინ ან ქვეყნის გარეთ უნდა ეძებოს სამართალი, ან შეამზობდ იქცეს, ანდა ეკლესიას შეაფაროს თავი.** ამ სიმბოლოში ვლინდება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა სასამართლო-სი. თუმცა მე ახლაც მეექვსეა მისი ოდენობა მართლაც სიმბოლოა თუ ხელ-ფასზე სერიოზული დანამატი. სიმბოლოდ უცხოური გამოცდილება ერთ დოლართან სხვაობას აფიქსირებს და როცა სიმბოლოს უწოდებენ იმას, რაც პენსიონერის რამდენიმე თვის პენსიას უდრის, აქ რალაც ცდომილებას უნდა ჰქონდეს ადგილი.

ამდენად, სიმბოლო შეიძლება იყოს უფლების სიმტკიცის გამოხატულება და არა თვით უფლების შინაარსის განმსაზღვრელი. ყოფილა შემთხვევები, როცა სოციალურ სამართალში სიმბოლოებით უცდიათ უფლების განსაზღ-ვრა. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ეს საკითხი პირველად წამოიჭრა 2002 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში (N1/1/126,129,158) მოქალაქე ბაჭუა გაჩეჩილაძისა და სხვების კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით. მოსარჩელები არაკონსტიტუციურად მიიჩნევდნენ ელექტროენერგიით სარგებლობისას, სახელმწიფოს მხრიდან, მათთვის ადრე დაწესებული შეღავათების შემცირებას. სასამართლომ თავის გადაწყვეტი-ლებაში აღნიშნა:

“ყოველი სახელმწიფო ვალდებულია არსებული რესურსების ფარგლებში მოსახლეობის სოციალური უფლებების დასაცავად მაქსიმალურ ძალისხმე-ვას მიმართავდეს, რათა ამ უფლებათა დაცვის, სულ მცირე, მინიმალურად აუცილებელი დონე მაინც რომ უზრუნველყოს. სხვანაირად, აზრი ეკარგე-ბა სახელმწიფოთა საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს მოქმედებანი ამ მიმართებით სტა-ბილურ, ევოლუციურ ხასიათს უნდა ატარებდეს და დადებითი დინამიკით გამოირჩეოდეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელეთა მიმართ დარღ-ვეულია ეს მოთხოვნები. შეღავათი, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებე-ბამდე ზოგჯერ სრულად ათავისუფლებდა მოსარჩელებს ელექტროენერ-გიის საფასურის გადახდისგან, გონივრულ ზღვრამდე კი არ შემცირებულა, არამედ იმდენად უმნიშვნელო გახდა, რომ მას სიმბოლოურად თუ შეიძლე-ბა ეწოდოს შეღავათი”⁴⁰. სასამართლომ გააუქმა სადავო ნორმები, რასაც შემდგომ კანონმდებლის მხრიდან შედარებით გონივრული შეღავათების დაწესება მოჰყვა.

40. ურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2002, N2, გვ. 161.

სამწუხაროდ, ასეთ სიმბოლოებს არ გაურბის კანონმდებელი სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისას და ქმნის მისი აღსრულების იმიტაციას. მართალია, ელექტროენერჯის ტარიფთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ სერიოზული როლი ითამაშა მოსახლეობის სოციალური უფლებების დაცვაში, **მაგრამ ტარიფის შემცირებას ბევრი არაფერი აკლდა, რომ იმ დროისათვის ეს სიმბოლურ შემცირებად მიგვეჩნია.** იგივე შეიძლება ითქვას მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ კანონმდებლობაზე. **სასამართლომ გამოკვეთილად თქვა, რომ, ვინც არ უნდა იხილავდეს მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხს, მას ამ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება უნდა მიეცეს.** შესწორდა კანონი, მაგრამ როგორ დაფიქსირდა ეს უფლება? უზენაესი სასამართლოს საკასაციო ინსტანციას მიეცა საჩივრის მხოლოდ ფორმალური ნიშნით განხილვის შესაძლებლობა. არადა, მოსამართლე დაინტერესებულია, რომ არსებითად მოუსმინონ მას. ასეთმა სიმბოლურმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ვერ გამოიღო შედეგი და კვლავ შემოვიდა სარჩელი სასამართლოში. სასამართლომ კვლავ აღნიშნა, რომ გასაჩივრების ნამდვილ შინაარსში იგი გულისხმობდა საქმის არსებითად მოსმენას. საბედნიეროდ, კანონმდებელიც მიხვდა თავის შეცდომას და სასამართლოს კიდევ დაასწრო ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.

§11. აბსტრაქტული და კონკრეტული კონსტიტუციური კონტროლის მდგომარეობა

ქართული საკონსტიტუციო სასამართლო ევროპული ტრადიციის შესაბამისად, უფლებამოსილია ნორმათა კონკრეტულ და აბსტრაქტულ კონტროლზე. კონკრეტული კონტროლი მაშინაა სახეზე, როდესაც ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებას საფუძვლად ედება კონკრეტული პირის უფლებები. აბსტრაქტული კონტროლის დროს კი, წინა პლანზეა ადამიანის უფლებები საზოგადოდ. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ყველაზე მეტად ნორმათა კონკრეტული კონტროლის შემთხვევები უნდა გვექონდეს. კლასიკური მაგალითი ასეთი კონტროლისა მაშინაა, როდესაც ფიზიკური თუ იურიდიული პირები ჩივიან თავიანთი უფლებების დარღვევის გამო. “საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის 39-ე მუხლის თანახმად, ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმება შეიძლება მოხდეს, თუკი ამით ირღვევა აღნიშნულ პირთა

უფლებები ან მოსალოდნელია მომავალში მისი დარღვევა. მართალია, ეს არის ნორმათა კონკრეტული კონტროლი, მაგრამ აქაც იგივე შედეგი დგება, რაც აბსტრაქტული კონტროლის დროს გვაქვს. კერძოდ, ის, რომ არაკონსტიტუციური ნორმა უქმდება, კონსტიტუციური კი ძალაში რჩება. გადანყვეტილების შედეგი ვრცელდება არა მარტო მოსარჩელეზე, არამედ ყველა იმ პირზე, რომელსაც ნორმა ეხება. ეს ელემენტარული ამბავი ხშირად არ იციან ადამიანებმა და ერთსა და იმავე ნორმის კონსტიტუციურობაზე შემოაქვთ რამდენიმე სარჩელი, **მაშინ როცა ერთიც იგივე შედეგებს იწვევს**. მოქალაქეებს ჰგონიათ, რომ, თუ უშუალოდ თვითონ არ შეიტანენ სასამართლოში სარჩელს, მათზე არ გავრცელდება ის შედეგები, რასაც ამა თუ იმ პირის საქმეზე გამოტანილი გადანყვეტილება იწვევს. შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტული კონტროლი, გარკვეული აზრით, მოიცავს აბსტრაქტულის ნიშნებს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ადამიანები ითხოვენ მათი უფლებების მომავალში დარღვევისაგან თავის დაზღვევას. აქ უკვე მეტად სერიოზული საკითხი დგას — რას უნდა ნიშნავდეს უფლების მომავალში დარღვევის შესაძლებლობა? სასამართლომ თავის გადანყვეტილებებში დააფიქსირა, რომ **აუცილებელია არსებობდეს მოსარჩელის უფლების დარღვევის კონკრეტული შესაძლებლობა და არა აბსტრაქტული**. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეცეს იმის გამო, რომ ნორმათა კონკრეტულ კონტროლზე უფლება მოქალაქემ არ გამოიყენოს ბოროტად და ფაქტობრივად აბსტრაქტული კონტროლის სუბიექტად არ იქცეს იგი.

იმის მიუხედავად, ვინ არის სარჩელზე უფლებამოსილი პირი, **კონკრეტული კონტროლი კონკრეტული პირის უფლებასთანაა დაკავშირებული**. ასეთ კონტროლად ასევე მიჩნეულია, მოსამართლეთა მხრიდან, ნორმის კონსტიტუციურობის წინასწარ შემოწმების უფლება⁴¹.

აბსტრაქტული კონტროლის უფლება ნაკლებად გამოიყენება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში. ასეთი კონტროლია ნორმის აბსტრაქტული შემოწმება “კონკრეტული დაზარალებულის” გარეშე⁴². არც გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონია ასეთი კონტროლის ფართოდ გამოყენების პრაქტიკა⁴³.

41. Bundesverfassungsgerichtsgesetz. Kommentar. Band 2. Verlag C.H. Beck München, 2004 (Rozeck), Kommentar zum. Art 76, S. 9.

42. იქვე, გვ.10.

43. გიორგი ხუბუა, იოჰანეს ტრაუტი, კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბ., 2001, გვ. 37.

§12. საკუთარი პასუხისმგებლობის საკონსტიტუციო სასამართლოზე გადაკისრება

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი თითოეულ ხელისუფლებას თავის ფუნქციასა და პასუხისმგებლობას აკისრებს. ერთადერთი ორგანო, რომელსაც შეუძლია სხვა ხელისუფლების ზოგი შეცდომა გამოასწოროს ეს საკონსტიტუციო სასამართლოა. ხელისუფლების პასუხისმგებლობა გულისხმობს, მისი მხრიდან მაქსიმალურ ძალისხმევას სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად. ხელისუფლება შეიძლება შეცდომას უშვებდეს, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია, ამას აკეთებდეს განზრახ, იმის იმედით, რომ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო. მახსენდება შემთხვევა, როცა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ განიზრახა მიეღო არასრულყოფილი კანონი დეპუტატის პენსიასთან დაკავშირებით, იმის იმედით, რომ “შეცდომებს” საკონსტიტუციო სასამართლო გამოასწორებდა. ეს სხვა არაფერია, თუ არა საკუთარ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობაზე უარის თქმა და ფაქტობრივად მისი გადაკისრება საკონსტიტუციო სასამართლოზე. საკუთარი ფუნქციებისადმი ასეთი დამოკიდებულება ყოვლად მიუღებელია, რა ფორმითაც არ უნდა გამოვლინდეს იგი. არც სასამართლოს არა აქვს უფლება, გაექცეს თავის პასუხისმგებლობას და იგი სხვას გადააკისროს. სამწუხაროდ, ამისი შემთხვევებიც შეიძლება დაიძებნოს. ასეთ ფუნქციურ აღრევას შეიძლება გააჩნდეს სხვადასხვა მიზეზები. თვითშეზღუდვით შეპყრობილი ხელისუფლება ფიქრობს, რაღა მე ვზიდო უსიამოვნო პასუხისმგებლობის ტვირთი, უმჯობესი არ არის საკონსტიტუციო სასამართლომ დამძრახოს და თვითონ დამავალოს მისი გაკეთება. ვთქვათ, არც სასამართლო აღმოჩნდა მონოდების სიმალლეზე, რა ვქნათ მაშინ, ანდა მართო სასამართლო რატომ უნდა იყოს მონოდების სიმალლეზე, განა ყველა ხელისუფლება არ არის შეზღუდული კონსტიტუციით, **განა შეიძლება ადამიანს მორწმუნე ერქვას, დადიოდეს ეკლესიაში და არ ცნობდეს წმინდა წიგნებს. განა შეიძლება მხოლოდ უბრალო მოკვდავი ადამიანი მოქმედებდეს ბიბლიური მორალით? კათალიკოსსაც იგივე არ ევალება? განა საერო ცხოვრებაც იგივეს არ გვაავალდებულებს?** თუკი ხარ ხელისუფლება, დაემორჩილე კონსტიტუციას. მას ხომ ამქვეყნად ყველა ხელისუფლება ემორჩილება.

§13. საკონსტიტუციო სასამართლოს ნეგატიური საკანონმდებლო ფუნქცია

ჯერ კიდევ ევროპული კონსტიტუციური მართლმსაჯულების მთავარი მესაძირკვე კელზენი ამტკიცებდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ნეგატიური კანონმდებელია, რადგანაც იგი ანადგურებს ანტიკონსტიტუციურ კანონებს, მაშინ როდესაც პოზიტიური კანონმდებელი ეწევა სამართალშემოქმედებას პოზიტიური გაგებით⁴⁴. ეს აზრი ერთობ გავრცელებულია კონსტიტუციონალისტებში. თუმცა არის ამის საწინააღმდეგო მოსაზრებებიც. კერძოდ, გერმანიის ფედერალური კონსტიტუციის ერთ-ერთ ცნობილ კომენტარებში აღნიშნულია, რომ ნორმათმაკონტროლებელ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია არც კანონმდებლის და არც “ნეგატიური კანონმდებლისა” თუ “ვითომ კანონმდებლის” ფუნქცია. კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმათა კონტროლი ფუნქციურად გამონაკლისი სამართალწარმოებაა, როგორც ინდიკატორი სამართალთან შესატყვისობის კონტროლისა⁴⁵.

კონსტიტუციური მართლმსაჯულება ინკორპორირებულია სამართალწარმოებაში. საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებლობის თანამწარმოებელი (Mitproduzent) კი არ არის, არამედ მისი კონტროლიორია. ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ამონებს კანონთა ძალაში შესვლას (Gesetzeskraft), ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი საკანონმდებელი პროცესში მონაწილეობს. მასალის შემოწმება არ შეიძლება მივიჩნიოთ წარმოებად. საკონსტიტუციო სასამართლო არ იყოფს საკანონმდებლო ძალაუფლებას⁴⁶. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ათმა წელმა აჩვენა, რომ იგი ნამდვილად შეიძლება მივიჩნიოთ “კვაზი კანონმდებლად”. **კანონმდებელს უკეთესი თანაშემწე, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოა, არა ჰყავს.** მართალია, ეს სასამართლო არ იღებს ნორმებს, მაგრამ არაკონსტიტუციური ნორმების გაუქმებით, კანონმდებელს ეხმარება სწორი საკანონმდებლო ნების ჩამოყალიბებაში. **საკანონმდებლო საქმიანობა არ არის მარტო კანონის კენჭისყრა და მისი მიღება, იგი გაცილებით ფართო პროცესია და მონტესკიეს სიტყვები რომ მოვიშველიოთ, გულისხმობს კანონთა სულში წედომას.** ამის გარეშე ვერ ჩამოყალიბდება ისეთი საკანონმდებლო ნება, რომელიც სრულყოფილად გაითვალისწინებს კანონის სიცოცხლისუნარიანობისათვის საჭირო ფაქტორებს. კანონმდებელი თავის შეცდომებზე იზრდება და ამ

44. ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი. თბ., 2003, გვ. 285.

45. Bundesverfassungsgerichtsgesetz. Kommentar, Band 2. Begründet von Dr. Theodor Maunz. Verlag C.H.Beck, München (RozeK), 2005. S.8.

46. Schlaich/Korioth. Das Bundesverfassungsgericht. Stellung, Verfahren, Entscheidungen. 5. Auflage. Verlag C.H. Beck, München, 2001. S. 342-343.

შეცდომებზე საკონსტიტუციო სასამართლო მიანიშნებს, როცა იგი შეახსენებს კანონმდებელს, ასეთი კანონი კი არ უნდა მიგელო, არამედ სხვაგვარიო, არ უნდა იყოს ეს საკანონმდებლო საქმიანობაში არაპირდაპირი ჩარევა? არადა, ამ ფუნქციითაა აღჭურვილი ნებისმიერი საკონსტიტუციო სასამართლო. ზოგიერთი ქვეყნის სასამართლოს იმისი უფლებაც აქვს, გამოავლინოს ნორმის არარსებობის კონსტიტუციურობა და პარლამენტს მიუთითოს მისი აღმოფხვრა⁴⁷. ასე რომ, ძალიან ხშირად, კანონმდებლის ნებას აყალიბებს საკონსტიტუციო სასამართლო და განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ამ უკანასკნელს არ ძალუძს ამ კანონების მიღება. კანონმდებელი ასეთ ვითარებაში გამოიყურება სასამართლოს ნების აღმსრულებლად. იგი ვალდებულია, მიიღოს კანონები. გამოდის, რომ კანონმდებელი შებოჭილია საკონსტიტუციო სასამართლოს ნებით და ამისი საფუძველი ნორმათა კონტროლის ფუნქციაში მდგომარეობს.

სასამართლო პრაქტიკა იცნობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებით არაკონსტიტუციური ნორმა ისე “შეკეთებულა”, რომ შეცვლილა მისი შინაარსი და კანონმდებელსაც აღარაფერი დარჩენია გასაკეთებელი. ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსარჩელები ითხოვენ იმ სიტყვებისა თუ წინადადებების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლებიც ნორმის შინაარსს არაკონსტიტუციურობის თვისებას სძენენ. საკმარისია ამოვარდეს ეს სიტყვები (წინადადებები) ნორმიდან, რომ ყველაფერი თავის ადგილას ჯდება. ფაქტობრივად სასამართლო ცვლის ნორმას. თუ სასამართლო მთელ ნორმას გააუქმებდა, მაშინ კანონმდებელი ვალდებული იქნებოდა, ახლებურად ჩამოეყალიბებინა იგი. და მაინც, ფართოდ გავრცელებული პრაქტიკის შემდეგ ჩნდება კითხვა — სწორად ვიქცევით, როცა ცალკეულ სიტყვებსა და წინადადებებს ვაუქმებთ, თუ საჭიროა, რომ მთელი ნორმა გაუქმდეს. წარმოვიდგინოთ ასეთი დისკრიმინაციული ნორმა: “არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ მამაკაცებს 18 წლის ასაკიდან, ხოლო ქალებს 20 წლის ასაკიდან”. როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, როცა მოსარჩელე ითხოვს, გაუქმდეს მხოლოდ სიტყვები “ხოლო ქალებს 20 წლის ასაკიდან”. დისკრიმინაციული ნაწილი ამ ნორმისა ამ სიტყვების შინაარსშია, მაგრამ იგი არ არსებობს დანარჩენი ნაწილის გარეშე, ამიტომაც, მართლაც სერიოზულად დასაფიქრებელია დავის საგნის ფორმულირება.

საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი არ ეცილება კანონმდებელს თავის საქმიანობაში. სასამართლოს პირველი კოლეგიის 2002 წლის 20 სექტემბრის განჩინებაში ითქვა:

47. ჰერმან შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, თბ., 2003, გვ. 144.

“...ნორმატიულ აქტში დამატებით ახალი ნორმის შეტანა მისი მიმღები ორგანოს პრეროგატივას წარმოადგენს და აღნიშნული საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი”⁴⁸.

ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო, მართალია, არ არის კანონმდებელი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ სერიოზულ გავლენას ახდენს საკანონმდებლო ნების ჩამოყალიბებაზე. ეს ფუნქციური თავისებურება მისი განუყოფელი თვისებაა. **ვინაიდან კანონმდებელი შებოჭილია კონსტიტუციით, ივარაუდება, რომ იგი შებოჭილია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებითაც.**

შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გარკვეულ ფარგლებში აყენებს კანონმდებელს. კონსტიტუციურ კონტროლს ამის გარეშე აზრი დაეკარგებოდა. ერთ-ერთ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ 2005 წლის 18 მაისის განჩინებაში აღნიშნა:

...“ნებისმიერ შემთხვევაში ტარიფი ისე უნდა დადგინდეს, რომ ამან არ გამოიწვიოს მომხმარებელთა ხარჯზე ვინმეს უსაფუძვლო გამდიდრება და **საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული პრინციპული დებულებებიდან გადახვევა**”⁴⁹.

§14. საკონსტიტუციო სასამართლო სამართალგამოყენების შესახებ

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს არ ევალება შეაფასოს მხოლოდ კონსტიტუციური ნორმების გამოყენების პრაქტიკა. არადა, მოსარჩელეთა გარკვეული ნაწილი ნუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ადგილი აქვს ნორმების არასწორად გამოყენებას. სასამართლო, როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში უარს ეუბნება მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე, მაგრამ ხშირად ნორმის ახსნა-განმარტებასაც იძლევა. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ამას სერიოზული გავლენა მოუხდენია მოქალაქის უფლებაზე. ასეთი მიდგომა სავსებით ნორმალურად უნდა ჩაითვალოს. კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს არა მარტო თავად ნორმები, არამედ მათი განმარტებანიც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლში ეს ასეა გადმოცემული: “სამოქალაქო კოდექსი, კერძო სამართლის სხვა კანონები და მათი განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას”. ამ განმარტებებში სასამართლო განმარტებებიც უნდა ვიგულისხმოთ. ასე რომ, სასამართლოს ნებისმიერი განმარტება კონსტიტუციას უნდა პასუხობდეს. სასამართლო გადაწყვეტილებათა კონსტიტუ-

48. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2002, N4, გვ. 93.

49. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2005, N3, გვ. 169.

ციური კონტროლი სხვა არაფერია, თუ არა ნორმის ახსნა-განმარტებათა კონტროლი. ვფიქრობთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ერთობ კეთილშობილურ საქმეს აკეთებს, როცა თავს არ არიდებს განმარტებებს. ჩვენს პრაქტიკაში ამ საკითხზე ორნაირი მიდგომა გამოიკვეთა. ერთ შემთხვევაში, სასამართლო “უპასუხოდ” ეუბნება უარს მოსარჩელეს, სხვა დროს კი ნორმის ახსნა-განმარტებასაც იძლევა. ასე მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ 2004 წლის 23 ივლისის განჩინებაში აღნიშნა:

“...ნორმის არასწორ გამოყენებაზე საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იმსჯელებს, ვინაიდან იგი იხილავს დავებს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შესახებ. სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ნორმით მანიპულირების და მისი ორაზროვანი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, საქარველოს პარლამენტმა უნდა მოახდინოს მისი დაკონკრეტება და საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრა”⁵⁰. მსგავსი შეფასებები არცთუ ისე ცოტა გვხვდება სასამართლო გადაწყვეტილებებში. ვერაფერს ვერ იტყვი საწინააღმდეგოს, მაგრამ ვინ აუკრძალა სასამართლოს, საქმის არმიღებასთან ერთად, ნორმის განმარტებაც მიაყოლოს თან. ეს ხომ ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება არ იქნება. ამაზე შეიძლება გვიპასუხონ, რომ, რაც კონსტიტუციურობის ფარგლებს სცილდება, ის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე არ არის. მაგრამ, განა კონსტიტუციურობის კუთხით შეფასებისას ნორმის ნებისმიერი ახსნა-განმარტება მთლიანად ამ შეფასებით არ არის დატვირთული. რა თქმა უნდა, ყველაფერი საკანონმდებლო დონეზე თუ იქნება გადაწყვეტილი, ეს უკეთესია, მაგრამ რაში გვჭირდება ეს პრეცედენტები, თუკი კანონმდებელს არ ნაეშველება და სწორ გზაზე არ დააყენებს მას. სწორედ ასეთად უნდა მივიჩნიოთ, საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან, განმარტებისადმი მხარის დაჭერა.

§15. ნორმატიული აქტის გაგების შესახებ

ხელისუფლების მიერ მიღებული აქტის ნორმატიულობის საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ვინაიდან მისი საქმიანობის უდიდესი ნაწილი ამ ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმებას ეხება. ნორმათა როგორც აბსტრაქტული, ისე კონკრეტული კონტროლის დროს ჯერ უნდა გაირკვეს, გვაქვს თუ არა საქმე თავად ნორმასთან. ნორმის განმარტებას კი იძლევა “ნორმატიული აქტების შესახებ”

50. უურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2004, N3, გვ. 161.

კანონი. მთავარი ნიშანი ნორმისა ის არის, რომ იგი მრავალჯერადი და ხანგრძლივი გამოყენებისათვისაა განკუთვნილი. ამდენად, ნორმა ზოგადი ქცევის წესის შემცველი ფასეულობაა. აქტი ნორმატიულად რომ იქცეს, ამას მთელი პროცედურა სჭირდება, რომლის დაცვაც კანონმდებლის კონსტიტუციურ მოვალეობას წარმოადგენს.

ნორმატიულობის გამორკვევას სასამართლო ახდენს განმწესრიგებელ სხდომაზე და თუ დაადგენს, რომ არა გვაქვს ასეთი აქტი, მაშინ არც არსებითად განსახილველად მიიღებს საქმეს. სასამართლო ვალდებულია, ყველაფერი გააკეთოს ამის დასადგენად, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის უხერხულობა, როცა არსებითი განხილვის დროს საქმე აქტის არანორმატიულობის გამო წყდება.

ამდენად, ნორმატიული აქტის შეფასებისას მოქმედი კანონმდებლობა მოითხოვს, რომ დაცული იქნეს, როგორც მატერიალური, ისე ფორმალური ნიშანი. ვთქვათ, კანონმდებელმა არ დაიცვა მარტოოდენ მატერიალური ნიშანი ან მარტოოდენ ფორმალური. როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში სასამართლო — ცნოს აქტი ნორმატიულად თუ არა? ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოში განსხვავებული პრაქტიკა გამოიკვეთა. პირველი კოლეგია ამოდის რა “ნორმატიული აქტების შესახებ” კანონის მოთხოვნებიდან, მიიჩნევს, რომ, თუ არ არის შესრულებული ფორმალური-პროცედურული მოთხოვნები ნორმატიული აქტის გაფორმებისა, არც ასეთი აქტია სახეზე. 1998 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში (N1/1/72-73) სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო აქტი “...ვერ ჩაითვლება ნორმატიულ აქტად, ვინაიდან დარღვეულია მისი მომზადების, გამოქვეყნების, რეგისტრაციისა და ძალაში შესვლის წესები”⁵¹.

ფორმალური (კანონით გათვალისწინებული) მომენტია წინა პლანზე წამოწეული საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის უფრო ადრინდელ — 1997 წლის 15 აპრილის (N1/10/25) განჩინებაში. საქმე ეხება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების ნორმატიულობის საკითხს. სასამართლო ემყარება რა “საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ” 1990 წლის 28 დეკემბრის კანონის 59-ე მუხლს, აღნიშნავს, რომ სასამართლოს პლენუმის დადგენილება წარმოადგენს ნორმატიულ აქტს. თუმცა, ვითარება შეცვლილა “ნორმატიული აქტების შესახებ” კანონის მიღების შემდეგ. მასში აღნიშნული აქტი არ არის მოხსენიებული, როგორც ნორმატიული. აქედან გამომდინარე, სასამართლომ გააკეთა დასკვნა, რომ პლენუმის სადავო დადგენილება 1997 წლის 1 თებერვლიდან ნორმა-

51. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 1998-1999, თბ., 2002, გვ. 13.

ტიული აქტების კატეგორიას აღარ მიეკუთვნება, კერძოდ: “აღნიშნული კანონით (“ნორმატიული აქტების შესახებ” კანონი — ბ.ზ.), განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, პლენუმის დადგენილება ამიერიდან ნორმატიულ აქტად აღარ მიიჩნევა”⁵².

წმინდა ნორმატიული თვალსაწიერიდან გამომდინარე, ძნელია რაიმე სანინააღმდეგო ითქვას აღნიშნულის თაობაზე. კანონი უდგენს გარკვეულ პირობებს ნორმატიულ აქტებს და თუ ისინი არ არის დაცული, არც ნორმატიულ აქტებად შეიძლება ჩაითვალოს ისინი, განსაკუთრებით, როცა საუბარია სასამართლოს პლენუმის დადგენილებაზე. თავად “ნორმატიული აქტების შესახებ” კანონი ჩამოთვლის ნორმატიულ აქტებს და ადგენს მათი მიღების წესს. ეს დადგენილება კი ამ ნიშნით ნამდვილად არ ჯდება ნორმატიული აქტების სივრცეში.

ახლა ვნახოთ სხვა მიდგომა. საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ ნორმატიულ აქტად მიიჩნია ისეთი აქტი, რომლის მიღების წესი დარღვეული იყო. კერძოდ, 2003 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში აღნიშნა: “ის გარემოება, რომ ბრძანების მიღების დროსაქტი არ არის რეგისტრირებული იუსტიციის სამინისტროში, თავისთავად არ წარმოადგენს მისი ნორმატიულობის უარყოფის საფუძველს. ნორმატიული აქტის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს ნორმის არა მარტო სიტყვა-სიტყვით განმარტებას, არამედ მასში გამოხატულ ნამდვილ აზრსა და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსს. ბრძანებაში გამოხატული აზრისა და შინაარსის მიხედვით, იგი ნორმატიული აქტის ნიშნის შემცველია”⁵³.

ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ შეიძლება დარღვეული იყოს ნორმატიული აქტის მიღების წესი, მაგრამ თავისი შინაარსით იგი ნორმატიულ აქტს წარმოადგენდეს. სხვა საქმეზე ამავე კოლეგიამ აღნიშნა, რომ ფორმალური ნიშნით აქტის ნორმატიულად მიჩნევა ვერ აქცევს მას ასეთად, თუკი არსობრივად არ პასუხობს ნორმატიული აქტის ბუნებას. კერძოდ, ერთ-ერთ განჩინებაში ითქვა:

“საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის N387 ბრძანებულება არ აკმაყოფილებს “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მეორე მუხლის მესამე პუნქტის მოთხოვნებს, რადგან იგი ეხება კონკრეტულ პირებს და არ ადგენს მრავალჯერადი გამოყენების ქცევის წესს, ანუ სადავო აქტი თავისი შინაარსიდან გამომდინარე არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმატიულ აქტად. “...ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება რეგისტრი-

52. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 1997, N2, გვ. 96-97.

53. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2001, N1, გვ. 155.

რებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, არ წარმოადგენს მისი ნორმატიულობის მტკიცების უდავო საფუძველს”⁵⁴.

ყოფილა შემთხვევები, როდესაც სასამართლოს უთქვამს, რომ სახეზეა შერეული ხასიათის აქტი, ვინაიდან მისი მხოლოდ ერთი ნაწილი მიუჩნევია ნორმატიულად⁵⁵.

რა შეიძლება ითქვას აღნიშნული პრეცედენტების შესახებ? როგორც ჩანს, რომელიმე აქტის ნორმატიულ აქტად ცნობისათვის აუცილებელია, რომ იგი კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მიღებულ აქტს წარმოადგენდეს. თუმცა სასამართლო ვალდებულია, შეაფასოს, რამდენად სწორად მოიქცა კანონმდებელი. მან ჯერ ამ აქტის მატერიალურ სხეულში უნდა ჩაიხედოს, და თუ ნახავს, რომ კანონმდებელი აქ შეცდა, რეგისტრაციის ფორმალური წესების დაცვა ვერ აქცევს მას ნორმატიულად. თუკი საპირისპირო შემთხვევას ექნება ადგილი, მაშინ სასამართლომ უნდა აღნიშნოს, რომ სახეზეა აქტი, რომელიც ნორმატიული შინაარსისაა, მაგრამ მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან დარღვეულია მისი გამოცემის წესი. ამდენად, **კონსტიტუციურობის კუთხით, შეფასებაუნარიანი უნდა იყოს აქტის შინაარსობრივი ნორმატიულობა.**

§16. კანონის უკუძალის პრობლემა

სასამართლო პრაქტიკიდან გამოჩნდა, რომ, თუკი კანონმდებელი წარსულს ვერაფერს უშველის, მომავალს კონსტიტუციური პასუხისმგებლობით უნდა შეხედოს. ნორმატიულ აქტში გამოხატული ნება უნდა იძლეოდეს ადამიანის უფლების არსებობისა და დაცვის რეალურ საფუძველს. დაუშვებელია ისეთი მიდგომა, როცა წყდება კავშირი უფლებასა და მის მატარებელ სუბიექტს შორის, რასაც შედეგად ამ უფლების უარყოფა მოსდევს. უფლების ამოქმედების ხშირ გადავადებას ასეთი შედეგი შეიძლება მოჰყვეს. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მოქალაქე ანზორ თევზაიას საქმესთან დაკავშირებით 2004 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებაში (N1/5/224) აღნიშნა: “მიუღებელია ისეთი მდგომარეობის შექმნა, როცა ვადაში შეიძლება შთაინთქას უფლება”⁵⁶. ძირითადი უფლებები არარად იქცევა, თუკი არ მოხდება მისი გამოვლენა კონკრეტულ დროში. მაგალითად, საკუთრების ბუნებითი უფლება აზრს დაკარგავდა, თუკი ადამიანი ვერ მოახდენდა მის რეალიზაციას კონკრეტულ საკუთრებასთან (სიკეთესთან)

54. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2001, N3, გვ. 190.

55. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, 1996-1997, თბ., 2002, გვ. 24.

56. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2005, N1, გვ. 131.

მიმართებით. ეს რეალიზაცია უნდა მოხდეს კონკრეტულ დროში, რომელიც ადეკვატური იქნება უფლების მატარებლის არსებობისა და საქმიანობის დროსთან. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა, როცა კანონმდებელი პირდება საშუალო ასაკის ადამიანს, რომ მისი რომელიმე უფლების დაცვას მოახდენს 50 წლის შემდეგ. ეს შეპირებული უფლება უშუალოდ ამ პიროვნებისათვის ფაქტობრივად არარსებული უფლებაა. მახსენდება მეცნიერებათა აკადემიაში ატეხილი დავა ღირსების ორდენით დაჯილდოების პირობებთან დაკავშირებით. 75 წლის ასაკს მიღწევა იყო საჭირო რიგითი პროფესორი რომ წარდგენილიყო ამ ჯილდოზე.

ყოველივე აღნიშნული სახელმწიფოს ავალდებულებს, ჰქონდეს დროის განსაკუთრებული შეგრძნება უფლების არსებობასთან მიმართებით. სხვა-ნაირად კანონები “ინდულგენციებს” დაემსგავსება და მის მიმართ ადამიანები ნდობას დაკარგავენ. მოსარჩელე თევზაიას საქმეში ამ ფაქტორს განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი სასამართლომ და აღნიშნა, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება უფლების დაცვასთან დაკავშირებით დროით არ შეიძლება იყოს შეზღუდული. კერძოდ, გადანყვეტილებაში ითქვა: “...დევნილთა უფლებების ასე განუსაზღვრელ ვადასთან (საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროსთან — ბ.ზ.) მიბმა ვერ უნდა იყოს მისი (სახელმწიფოს — ბ.ზ.) მხრიდან პოზიტიური ვალდებულების მხარდაჭერის კარგი გამოხატულება. საკუთრება არაა ისეთი ფასეულობა, რომ მუდმივად უცვლელ მდგომარეობაში იმყოფებოდეს. დრო საკუთრებას არა მარტო წარმოშობს, არამედ სპობს მას კიდევ. უფლების დაცვის ეკვივალენტური გზები (საშუალებები) ყოველთვის ვერ აღწევს თავის მიზანს და შეუძლებელი ხდება დარღვეული უფლების ძველი სახით გაცოცხლება”⁵⁷.

ამრიგად, ნებისმიერი ადამიანის უფლება კონსტიტუციურ დროში უნდა ავლენდეს თავის თავს, კანონმდებელი კი ყველაფერს უნდა აკეთებდეს მის მისაღწევად.

კანონმდებელი დროში შეზღუდულია. ეს ნიშნავს იმას, რომ წარსულში ვერ დაბრუნდება. არ შეიძლება კანონმდებელმა “საშლელი” გამოიყენოს თავისი ძველი ნაღვანის შესაკეთებლად. **ისევე როგორც მკვდარი ვერ გაცოცხლდება, ვერც კანონმდებელი ვერ იქნება სასწაულმოქმედი.** ერთი ნუთით წარმოვიდგინოთ, რომ კანონმდებელმა დაიწყო ისტორიის რევიზია, რა მოჰყვება ამას შედეგად? ის, რომ ეჭვის ქვეშ დადგება სამართლებრივი უსაფრთხოება, დაირღვევა უფლებათა წესრიგი, ვინაიდან ნებისმიერი უფლების უკან კონკრეტული პირი დგას და წარსულში დაბრუნებით, რაგინდ კეთილშობილური მოტივითაც არ უნდა იყოს ეს გამონვეული, უფლებრივი სიმშვიდე მაინც ვერ

57. იქვე, გვ.131.

მიიღწევა. ჟარგონით, რომ გამოვხატოთ, “აირევა მონასტერი”. **ნებისმიერი ისეთი ნაბიჯი, რომელიც ერთი ადამიანის უფლების ხარჯზე მეორის უფლების დაკმაყოფილებას გამოიწვევს, კანონმდებლის არასწორი ნაბიჯი იქნება. აქედან ჩანს, რომ კანონმდებელს დრო მართავს და არა კანონმდებელი დროს.** ეს კიდეც გამოხატულია ცნობილი დებულებით, რომ კანონს არა აქვს უკუძალა. როგორ გავიგოთ, ეს პრინციპი ზოგად-სამართლებრივია თუ მხოლოდ რამდენიმე დარგს ეხება. საკონსტიტუციო სასამართლო ბევრჯერ შეხებია ამ საკითხს და თავისი პოზიცია დაუფიქსირებია. საინტერესოა თავად ნორმატიული სინამდვილე. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტში წერია: “არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს”.

სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლი ადგენს: “კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას”.

ვიდრე ქართულ სასამართლო პრაქტიკას დავიმომწმებდეთ, ანდა გავარკვევდეთ ზემოთ მოყვანილი ნორმების მოქმედების ფარგლებს, მანამდე რამდენიმე სიტყვით კანონის უკუძალის თანამედროვე გაგების შესახებ. ყველაზე გამოკვეთილად ეს პრობლემა ჩანს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში. კერძოდ, ამ სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, უნდა გამოვყოთ კანონის ორგვარი უკუძალა — ნამდვილი (*echte*) უკუძალა და არანამდვილი (*unechte*) უკუძალა. პირველი მაშინ გვაქვს, როდესაც ახალი კანონი ვრცელდება წარსულში წარმოშობილ და წარსულშივე დასრულებულ ურთიერთობებზე. მეორე კი მაშინ, როცა ახალი კანონი ეხება როგორც წარსულიდან ანმყოფი განგრძობად ურთიერთობებს, ისე ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ წარმოშობილ ურთიერთობებს⁵⁸.

ნორმალური გაგებით, კანონის მოქმედება შეეხება ამჟამინდელ და სამომავლო ურთიერთობებს. სხვა სიტყვებით, იმათ, რომლებიც უკვე არსებობენ და იმათ, რომლებიც პირველად წარმოიშობიან. როცა ვამბობთ, რომ კანონს არა აქვს უკუძალა, იგულისხმება სწორედ ნამდვილი უკუძალა. **არანამდვილი უკუძალა ფაქტობრივად არც არის უკუძალა თავისი კლასიკური გაგებით.**

შესაძლებელია წარსულში წარმოშობილი და განგრძობადი ურთიერთო-

58. Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar von Hans D. Jarass und Bodo Pieroth. 5. Auflage, München, 2000, S. 487.

ბანი მონესრიგდეს ახალი კანონის მიღების შემდეგ ძალადაკარგული ნორმატიული აქტებით. ამისი ბრწყინვალე მაგალითია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი დებულებანი. 1507-ე მუხლი ამ მხრივ უაღრესად საინტერესო დებულებებს შეიცავს. მასში ნათქვამია:

“1. სამოქალაქო კოდექსი ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ.

2. იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე, ამ კოდექსის ნორმები გამოიყენება 1997 წლის 25 ნოემბრიდან წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების მიმართ.

3. სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მონაწილეობის, ან, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებს ითვალისწინებს.

4. სამოქალაქო კოდექსის 165-168 მუხლებით გათვალისწინებული ხანდაზმულობით საკუთრების შექმნის ვადა აითვლება 1993 წლის 23 ივლისიდან - საკუთრების უფლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ამოქმედებიდან”.

ამ ვრცელი მუხლიდან ჩანს, რომ კანონი, მართალია, მომავალზეა ორიენტირებული, მაგრამ ეს მომავალი ეხება არა მარტო ახლად გაჩენილ სამართლებრივ სინამდვილეებს, არამედ წარსულიდან მომდინარესაც. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ახალი კანონის ამოქმედებით, ზოგჯერ ძველი კანონი ფორმალურადაა გაუქმებული, სინამდვილეში კი, იგი აგრძელებს თავის მოქმედებას. კანონმდებელი იმავდროულად განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში “ვერ გაცოცხლდება მკვდარი კანონი”. „კანონის უკუქცევითი უძღურების“ ცხოვრებაში გატარება ამუხრუჭებს იურიდიულ პროგრესს, შეუძლებელს ხდის რაიმე რეფორმის გატარებას.⁵⁹

კანონის არანამდვილი უკუძალა უნდა მივიჩნიოთ ნორმალურ მოვლენად. მას ვერც ერთი კანონმდებელი ვერ გაექცევა, ვინაიდან მის გარეშე უფლებრივი ურთიერთობის განვითარება “ორმოებით” გაივსება და სამართალგანვითარების ბუნებრივი დინება შეფერხდება. ეს, იმავდროულად, უარყოფა იქნება სამართლის სუბსტანციური ბუნებისა, რისი გამოვლენის ერთ-ერთი სერიოზული ნიშანთვისებაა საზოგადოებრივ ურთიერთობებთან მჭიდრო, ორგანული კავშირი და არა ეპიზოდური.

59. მოსამართლე ნუგზარ სხირტლაძის განსხვავებული აზრი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 21. 02. 06წ. გადაწყვეტილებაზე (საქმე N ბს-856-442 (505)).

სამართლებრივი სახელმწიფოსათვის მიუღებელია კანონის ნამდვილი უკუძალა⁶⁰. თუკი მოხდება მისი გამოყენება, ამას განსაკუთრებული სამართლებრივი გამართლება სჭირდება. **ნამდვილი უკუძალა ეს იქნებოდა, კანონის ერთდროულად, როგორც მომავლის, ისე წარსულისაკენ მიმართვა.** როგორც ადამიანს არ ძალუძს ერთდროულად იცუროს, როგორც მდინარის დინების მიმართულებით, ისე მის საწინააღმდეგოდ, ასევე შეუძლებელია კანონის ერთდროულად გავრცელება როგორც მომავალზე, ისე წარსულზე. თუკი ამას კანონმდებელი განიზრახავს, მას დროის შეგრძნება დაეკარგება და “ივან ივანიჩის” მდგომარეობაში ჩავარდება. სამწუხაროდ, პრაქტიკაში არანამდვილი უკუძალა ზოგჯერ გაიგივებულია ნამდვილთან. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: კანონმდებელმა, ახალი კანონით, შეამცირა ხელფასი და პენსიის ოდენობა, რომელიც ძველი კანონით იყო განსაზღვრული. მოქალაქეები ამას აღიქვამენ, როგორც კანონის უკუძალას, რამაც მათი მდგომარეობა გააუარესა; **აქ მხოლოდ არანამდვილი უკუძალაა, რაც გამორიცხავს მათი უფლების ტრანსფორმაციის უკუძალის პრინციპით შეფასებას.** სხვა საქმე იქნებოდა, კანონმდებელს რომ ეთქვა, მოქალაქე ვალდებულია, სახელმწიფოს უკან დაუბრუნოს პენსიის ის განსხვავებული ოდენობა, რომელიც ძველსა და ახალ პენსიას შორისაა. ეს იქნებოდა ნამდვილი უკუძალა და მისი კონსტიტუციურობის კუთხით შეფასება შესაძლებელია. ის, რომ ამჟამად არსებული საგადასახადო შეღავათები მომავალში გაუქმდა, ეს მხოლოდ არანამდვილი უკუძალაა.

კანონის უკუძალის აკრძალვა ნაკარნახევია იმით, რომ მან არ ხელყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და არ შელახოს ადამიანის უფლებები. თუკი უკუძალის მიცემა დადებითი ეფექტის მომატანი იქნება, ცხადია, ასეთი უკუძალა მისაღები უნდა იყოს. სამოქალაქო კოდექსი ზიანის მომტანი და პირის მდგომარეობის გამაუარესებელი კანონის უკუძალას კრძალვას. მოვიტან მაგალითს ჩვენი არც ისე შორეული წარსულიდან. დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება აპირებდა ნორმატიული აქტის მიღებას, რომლის ძალითაც მებაღეობის ამხანაგობის იმ წევრებს, რომელთაც საბაღე ნაკვეთზე არ ჰქონდათ აშენებული კაპიტალური ტიპის ნაგებობანი ან დარგული მრავალწლიანი ნარგავები, ეს ნაკვეთები უნდა ჩამორთმეოდათ. ამხანაგობის საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა ასეთ ვალდებულებას არ ითვალისწინებდა. ყველაფერი ეს მოქალაქის უფლებამოსილების სფეროში შედიოდა. ცხადია, ამ შემთხვევაში, მოსალოდნელი ნორმატიული აქტის წარსულზე გავრცელება კანონის ნამდვილი უკუძალა

60. გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 146.

იქნებოდა. ეტყობა, ამან გამოიწვია ხელისუფლების გადარწმუნება და არც ნორმატიული აქტი შედგა.

პოზიტიური ეფექტის მაგალითია იმ კანონისათვის უკუძალის მიცემა, რომელიც იწვევს სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემცირებას ან მისგან გათავისუფლებას. კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი და სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი სწორედ რომ ამ მიზანმიმართულებისაა. საკითხავია, კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი თუ შეიძლება განვრცობილად განიმარტოს და კანონის უკუძალის საზოგადო ნორმად იქნეს მიჩნეული? ამ კითხვას საკონსტიტუციო სასამართლომ უარყოფითი პასუხი გასცა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2002 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში მოქალაქე დიმიტრი ციხელაშვილის სარჩელთან დაკავშირებით ითქვა: “აღნიშნული საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით, რომლის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს კანონისადმი უკუძალის მიცემას იმის მიხედვით, თუ — ამსუბუქებს ან აუქმებს, ამძიმებს პირის პასუხისმგებლობას სამართალდარღვევის ჩადენის დროს და არ წყვეტს მისი სოციალური დაცვის გარანტიების დაცვის საკითხს”⁶¹.

ამრიგად, კონსტიტუციის დასახელებული ნორმა სპეციალური ნორმა და მხოლოდ ადამიანის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ეხება უკუძალის საკითხს. ეს პოზიცია შეიძლება გაზიარებული იქნეს, მაგრამ ძნელი იმაში დათანხმება, რომ საზოგადოდ ამ საკითხს კონსტიტუცია არ წყვეტს. მართლაც, შესაბამისი კონკრეტული ნორმა არ გვაქვს კონსტიტუციაში, სამაგიეროდ, არსებობს კონსტიტუციური პრინციპები, რომლებიც მთელი კონსტიტუციის სულისკვეთებიდან გამომდინარეობენ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარებში ვკითხულობთ, რომ **ერთ-ერთი ასეთია ნდობის დაცვის პრინციპი**, რომელიც მიბმულია სამართლებრივ უსაფრთხოებასთან. ნდობის დაცვა გულისხმობს იმას, რომ ადამიანის “...მოქმედებას მოგვიანებით არ მოჰყვება მისთვის არასასურველი ის სამართლებრივი შედეგები, რისი გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო მოქმედების განხორციელებისას. სწორედ აქედან გამომდინარე, ნდობის დაცვა ეხება უკუძალის მქონე და არა მომავალში მოქმედ სამართლებრივ ნორმებს. ნდობის დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, დაუშვებელია ე.წ. “ნამდვილი უკუძალის” მქონე კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მიღება”⁶².

თუ ეს ასეა, მაშინ როგორ მოვიქცეთ — დავტოვოთ შეფასების გარეშე

61. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2002, N4, გვ. 115.

62. ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბ., 2005, 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადების კომენტარი (კ. კუბლაშვილი), გვ. 386.

არანამდვილი უკუძალის მქონე ნორმატიული აქტები? რა თქმა უნდა, მათი შეფასება შეიძლება და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა ამისი პრეცედენტები, ოღონდ არა უკუძალის მოტივაციით, არამედ სხვა საფუძვლით.

§17. ფიქტიურ (ხელოვნურ) ცნებათა შესახებ

პირველ რიგში, მინდა შევეხო ცნების წმინდა ფილოსოფიურ ხედვას. ცნება ამა თუ იმ მოვლენის არსებით ნიშანთა ერთობლიობაა. იგი საგნის სუბსტანციის (არსების) განმსაზღვრელია. ასეთი ცნება ერთადერთია და მისი გაორება შეუძლებელია. თუმცა ცხოვრება ზოგჯერ მოითხოვს ალტერნატიულ ცნებათა შემოღებას. ასეთ ცნებებს ფიქტიური ცნებები ეწოდება. იგი საგნის ბუნებრივ ცნებას კი არ ეწინააღმდეგება, არამედ მისი ფუნქციური სრულყოფისათვისაა მოგონილი. მოვიტან ორიოდე მაგალითს. ძველთაგანვე ცნობილია, რომ შვილად იწოდება არა მარტო ბუნებითი მშობლებისაგან გაჩენილი ბავშვი, არამედ ნაშვილებიც. ამ შემთხვევაში შვილად აყვანა სამართლებრივი ფიქციაა, რომელიც ავსებს შვილის ბუნებრივ ცნებას. ყველასათვის ცნობილია ნივთების უძრავად და მოძრავად დაყოფა. ფიქციის წყალობით შესაძლებელია მოძრავი ნივთი “გამოცხადდეს” უძრავად, მის მიმართ უძრავის სამართლებრივი რეჟიმის გავრცელებით. “მეწარმეთა შესახებ” კანონი ამბობს, რომ კრებას შეიძლება ესწრებოდეს ერთი პარტნიორი და მას კრება ერქვას. სამწუხაროდ, ფიქციებს ზოგჯერ უზნეო მიზანმიმართულებას აძლევენ. მაგალითად, მამაკაცი ქორწინდება მამაკაცზე და ამას ქორწინება ჰქვია. **ფიქციამ დამკვიდრებული ფასეულობების შეცვლა არ უნდა გამოიწვიოს.** იგი მისაღებია იქ, სადაც შესაძლებელია ხელოვნური სინამდვილის დაშვება. მასზე მოთხოვნილება ძირითადი ცნებისადმი სამსახურმა უნდა განაპირობოს.

ახლა რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას. სასამართლოს პირველმა კოლეგიამ 2000 წლის 25 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება (N1/1/107), რომლითაც კონსტიტუციურად ცნო საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის “ვ” ქვეპუნქტი. ეს მუხლი “მეწარმეთა შესახებ” კანონიდან გამომდინარე, ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, სანოტარო და სხვა მსგავს საქმიანობას მიიჩნევდა არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად. საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად კი, საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე, ეკონომიკური საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომელიც წარმართება მოგების,

შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად. მოსარჩელები იყვნენ ნოტარიუსები და თვლიდნენ, რომ ეს არ იყო სწორი. მართლაც, თუკი ეკონომიკური საქმიანობის დამკვიდრებული ცნების კუთხით შევხედავთ ამ მოვლენას, აღნიშნული მართლაც გაკვირვებას გამოიწვევს.

სასამართლო კოლეგიამ ეკონომიკური საქმიანობის აღნიშნული ცნება მიიჩნია პირობით საგადასახადო-სამართლებრივ ცნებად. კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებაში ითქვა: “ეკონომიკური საქმიანობის ცნება შეიძლება მივიჩნიოთ პირობით საგადასახადო-სამართლებრივ ცნებად (კატეგორიად), რომელსაც საფუძვლად ედება ამა თუ იმ პირის საქმიანობის ეკონომიკური შედეგები. ეკონომიკური საქმიანობის ცნებას მხოლოდ საგადასახადო კოდექსი ადგენს და იგი მხოლოდ საგადასახადო მიზნებისათვის გამოიყენება”⁶³. მოსარჩელეთა მისამართით სასამართლომ აღნიშნა, რომ “ნოტარიუსის მიერ სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების განხორციელება თავისთავად არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას, მაგრამ გადასახადებით დაბეგრასთან მიმართებით, საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ეკონომიკური მიზანმიმართულების მიხედვით, იგი შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკურ საქმიანობად”⁶⁴. გადაწყვეტილებაში ხაზი გაესვა იმას, რომ აქ არა გვაქვს ცნებათა ტრადიციული დუალიზმი, როცა ორი ან მეტი ცნება ერთი და იგივე საგნის დეფინაციაზე აცხადებს პრეტენზიას და ერთი მიზნისთვის კეთდება ეს. მოცემულ შემთხვევაში კი, საგანიც სხვადასხვაა და მიზანიც. თანაც, მეორე ცნება პირობითია. ეს აზრი შემაჯამებლად ასე გამოიყურება გადაწყვეტილებაში: “...სასამართლო კოლეგიის აზრით, სანოტარო საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობად ცნობა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება სანოტარო საქმიანობის სუბსტანციურ-ფუნქციურ ცნებას, რომელიც შეუძლებელია ნოტარიუსის დაბეგრის რეჟიმის განმსაზღვრელ ფაქტორად იქნეს მიჩნეული. ნოტარიუსი იბეგრება არა იმისათვის, რომ იგი სანოტარო საქმიანობას ახორციელებს, არამედ იმისათვის, რომ ამ საქმიანობის განხორციელებას შედეგად მოსდევს შემოსავალი. სანოტარო საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობად ცნობით სრულიადაც არ იცვლება ნოტარიუსის სტატუსი. საგადასახადო კოდექსით არ განისაზღვრება ამა თუ იმ საქმიანობის ბუნება. ესა თუ ის საქმიანობა სამენარმეო იქნება, სახელისუფლებო თუ თავისუფალ-პროფესიული, ეს განისაზღვრება არა საგადასახადო კოდექსით, არამედ შესაბამისი ნორმატიული აქტებით”⁶⁵.

63. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2000-2002, თბ., 2003, გვ. 12.

64. იქვე, გვ. 13.

65. იქვე, გვ. 13-14.

სამართლებრივ ცნებათა დუალიზმი დაფიქსირდა საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2004 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებაში (N1/3/209, 276). “საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ” 2000 წლის 23 თებერვლის კანონის სადავო ნორმა ადგენდა, რომ “სადისციპლინო კოლეგია საქმის განხილვისას მოქმედებს, როგორც სასამართლო”. გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ ეს ორგანო, რომელიც მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს წყვეტს, გაურკვეველი ბუნებისაა — სასამართლოა და თან არცაა სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ “მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შემფარდებელი ორგანოს სტატუსი ნათლად და გამოკვეთილად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ისე, რომ მასში ადგილი არ ჰქონდეს შეუთავსებელი ფუნქციების შეთავსებას. დაუშვებელია გაორებული ბუნების ორგანო ახორციელებდეს მოსამართლეთა დისციპლინურ დევნას და ამით გზას უკეტავდეს მათ სასამართლოში მიმართვაზე”⁶⁶.

იურიდიული სინამდვილის რეალური ბუნების გასარკვევად საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2003 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება (N1/1/138,171,179,209). დავის საგანს წარმოადგენდა “საერთო სასამართლოების შესახებ” 1997 წლის ორგანული კანონის ის ნორმა, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევდა მოსამართლის 18 თვით დანიშნვას, მაშინ როცა საქართველოს კონსტიტუცია იმპერატიულად ადგენს, რომ ეს ვადა შეიძლება იყოს არანაკლებ 10 წელი. ეს კანონმდებელსაც კარგად ესმოდა და ამ უხერხულობისაგან თავი რომ დაეძვრინა, 18 თვით დანიშნულ პირს უწოდა არა მოსამართლე, არამედ “სამოსამართლეო უფლებამოსილების განმხორციელებელი პირი”. კანონმდებელი ამ შემთხვევაში სირაქლემასავით მოიქცა, რასაც ფარდა ახადა საკონსტიტუციო სასამართლომ. მან თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ეს პირი იგივე მოსამართლეა მთელი თავისი ნიშან-თვისებებით, იმ განსხვავებით, რომ კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ ინიშნება 18 თვით. სასამართლომ აღნიშნა, რომ ადგილი აქვს მოსამართლის სუბიექტის ხელოვნურ გაორებას “მოსამართლის უფლებამოსილების განმხორციელებელი პირის” ცნების შემოტანით⁶⁷. სასამართლო ამ შემთხვევაში დაეთანხმა იმ დებულებას, რომ ამა თუ იმ სამართლებრივი კატეგორიის ბუნებას განსაზღვრავს არა მისი სახელწოდება, არამედ მისი შინაარსი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, ამა თუ იმ პირზე დაკისრებული ფუნქ-

66. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2004, N3, გვ. 142.

67. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2003, N2, გვ. 98.

ცია. ეს ფუნქცია მოსამართლის ფუნქციაა. ეს ის შემთხვევაა, როცა კანონმდებელი ამახინჯებს სამართლებრივ ცნებებს და ამ გზით ცდილობს მიუღებელი და არააზრობრივი გამონაკლისების დაშვებას.

§18. ნორმატიული და ფაქტობრივი სინამდვილის მიმართება

აღნიშნული საკითხით საკონსტიტუციო სასამართლო პირველად დაინტერესდა ვალერი გელაშვილის კონსტიტუციური სარჩელის განხილვის პროცესში (იხ. 2006 წლის 13 ივლისის №1/2/378 გადაწყვეტილება). საქართველოს პარლამენტის დადგენილების თანახმად ვალერი გელაშვილს შეუწყდა სადეპუტატო უფლებამოსილება იმ მოტივით, რომ იგი ეწეოდა პარლამენტის წევრისათვის შეუთავსებელ სამეწარმეო საქმიანობას. კერძოდ, მოქმედებდა მის საკუთრებაში არსებული კომერციული იურიდიული პირის (მხედველობაშია შპს „ევრა“) სახელით და მის ინტერესებში, რითაც ახორციელებდა საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას.

ასეთი უფლებამოსილების განხორციელების უფლება შპს-ში აქვთ დირექტორებს, ვალერი გელაშვილი კი არ იყო დირექტორი. საქმის განხილვისას გამოიკვეთა ისეთი სინამდვილე, როცა მოქმედებები დირექტორისაა, თავად მოქმედი პირი კი არაა დირექტორი.

მოკლედ, ფორმალური სინამდვილე იტყობინება, რომ მოსარჩელე არ არის შპს „ევრას“ დირექტორი, ფაქტობრივი კი იტყობინება, რომ იგი მოქმედებს ვითარცა დირექტორი.

საკონსტიტუციო სასამართლომ ამასთან დაკავშირებით დააფიქსირა ზოგად - სამართლებრივი ხასიათის ასეთი დებულება: „კონსტიტუციურ-სამართლებრივად შეფასებას მოკლებული ვერ იქნება საწარმოს ხელმძღვანელის უფლებამოსილების ფაქტობრივი განხორციელება. როცა საუბარია დეპუტატის მხრიდან სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობაზე, მართლწესრიგისათვის მიუღებელია ამ საქმიანობის არა მარტო ჩვეულებრივი სახით (ფორმალური ნიშნების დაცვით) განხორციელება, არამედ ფაქტობრივი განხორციელებაც. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სამართალში ფორმას არა აქვს დამოუკიდებელი დატვირთვა და ამდენად, ფორმა არ არსებობს ფორმისათვის. ნებისმიერი ფორმის უკან დგას კონკრეტული შინაარსი და მართლწესრიგისათვის მთავარია ამ შინაარსის განხორციელება ან არგანხორციელება. როცა ეს შინაარსი სინამდვილედ იქცევა ფორმის გარეშე, ის, ცხადია, ვერ იქნება მოკლებული შეფასებაუნარიანობას. როცა

დაუშვებელ საქმიანობაზეა საუბარი, საჯარო წესრიგისათვის საშიში იქნება ფაქტობრივი სინამდვილის იგნორირება და არსებულად მხოლოდ იმისი აღიარება, რაც მხოლოდ ფორმალურად არსებულია. ასეთი მიდგომა ხელფეხს გაუხსნიდა თანამდებობის პირებს, განეხორციელებინათ სამენარმეო საქმიანობა და ფორმის არარსებობის მოტივით ემართლებინათ თავი. ამდენად, ის, რაც ფორმის დაცვითაც მიუღებელია, ივარაუდება, რომ ფაქტობრივადაც მიუღებელია. როცა თანამდებობის პირი არ შეიძლება იყოს სამენარმეო საზოგადოების დირექტორი, ივარაუდება, რომ მას ეკრძალება შესაბამისი ფაქტობრივი ხელმძღვანელობითი საქმიანობაც”.⁶⁸

68. უურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“ № 3, 2006, გვ. 183.

თავი მესამე

საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ

§1. შეხედულებათა ევოლუცია გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილთან დაკავშირებით

ერთადერთი სასამართლო, რომელშიც სამართალი ყველაზე სრულყოფილად წარმოაჩენს თავის თავს - საკონსტიტუციო სასამართლოა. ეს სასამართლო კიდევ ვალდებულია, ხელი შეუწყოს სამართალგანვითარებას ქვეყანაში. მისი ავტორიტეტიც იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად უნარიანია ამ საქმეში. სწორედ აქ ხდება ხშირად ახალი სამართლებრივი პოზიციების (პრინციპების) ჩამოყალიბება. გერმანელი მკვლევარის იან შრედერის სიტყვებით, საერთოდ სასამართლოს, ძირითადად კი **უზენაესი სასამართლოს პრინციპული გადანყვეტილებანი, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ახალი კანონები⁶⁹. იგივე უნდა ითქვას საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებაც. ძნელად თუ ნახავ ისეთ თეორიულ ნაშრომს, რომელშიც ამოსავალ დებულებებად არ იყოს გამოყენებული გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებანი. აღარაფერს ვამბობ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს შესახებ. ყველაფერი ეს კეთდება სამართლის ნორმათა გაბედული ინტერპრეტაციის წყალობით.**

გულწრფელები თუ ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთ მიდგომას თავიდან არ ჰქონდა ადგილი ჩვენს სასამართლოში და მის გადანყვეტილებებში

69. Jan Schröder, Zur rechtlichen Relevanz der herrschenden Meinung aus historischer Sicht, in: Das Eigentum (Vorträge), Hrsg. von J.F.Baur, Göttingen, 1989, S.143.

ძირითადად მხოლოდ ფაქტობრივი მტკიცებულებები ჩანდა. ინტერპრეტაციის დონეზე შეფასებითი მიდგომები დოგმატურ გადახრად მიიჩნეოდა. ამ პოზიციით, სამართლებრივი დებულებების ადგილი მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომებში უნდა მოძებნილიყო და არა სასამართლოს გადანყვეტილებებში. შემდგომ მოხდა ამ შეხედულების ტრანსფორმაცია და სასამართლო გადანყვეტილებებიც გაივსო სამართლებრივი დებულებებით (აქსიომებით). ასე რომ, მეცნიერებას გამიჯნული სასამართლო თავად გახდა ყველაზე დიდი სტიმულატორი მეცნიერებისათვის. დასავლური სამეცნიერო კვლევები ადასტურებენ, რომ მკვლევარები სასამართლო გადანყვეტილებებში მოტანილ დებულებებს ერთობ დიდი პატივისცემით ეკიდებიან. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ალბათ ერთ-ერთი ის, რომ კანონის ღირსება-ნაკლოვანებანი ყველაზე კარგად სასამართლო გადანყვეტილებებში ჩანს. სასამართლო კანონმდებელს ეხმარება ხარვეზების დაძლევაში. ამიტომაც უნოდებენ მას კანონმდებლის თანაშემწეს. ეს გარემოება კიდევ ერთხელ გვეუბნება, **რომ ნორმის ინტერპრეტაცია სასამართლოს სერიოზული ვალდებულებაა**. სხვა ვინ, თუ არა სასამართლომ, შეიძლება “უბრძანოს” კანონმდებელს, რომ მან კანონის ნაკლი გამოასწოროს. ჩვენ მხარს ვერ დაუჭერთ ისეთ მიდგომას, როცა სასამართლო თუთიყუშით იმეორებს იმას, რასაც კანონმდებელი ადგენს და კანკალს იწყებს ინტერპრეტაციის გაგონებაზე, რამე არ შემეშალოსო. მოსამართლეს ყველაზე ნაკლებად ეპატიება ემპირიული ხედვა, მას უნდა შეეძლოს ნორმის სულში წვდებოდეს და მისი ყველა დაავადების დიაგნოზს სვამდეს.

ასეთი დამოკიდებულება, მართალია, არ აქცევს ჩვენს სასამართლოს პრეცედენტული ქვეყნების სასამართლოდ, მაგრამ მნიშვნელოვნად გაზრდის მის როლს სამართალქმნადობის პროცესში.

§2. სარეზოლუციო ნაწილთან დაკავშირებით

“საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს “საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებას კონსტიტუციური სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მისი უარყოფის შესახებ”. აქედან ჩანს, რომ როცა არ კმაყოფილდება სარჩელი, სარეზოლუციო ნაწილშიც ამავე სიტყვებით გადმოიცემა სასამართლოს დადგენილება და ასეცაა სინამდვილეში. ჩვენი აზრით, აღნიშნული ნორმის დანარჩენი ნაწილების გამო-

ყენების (განმარტების) პრაქტიკა არ უნდა გვეკონდეს სწორად შერჩეული. რა მათგან მხედველობაში? ვთქვათ, სადავოა რამდენიმე აქტი (ან ნორმა) და სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. ასეთ შემთხვევაში სასამართლო თავის დადგენილებას ათავსებს ორ პუნქტში. კერძოდ, ერთში აღინიშნება, რომ ნაწილობრივ დააკმაყოფილდეს სარჩელი და არაკონსტიტუციურად იქნეს მიჩნეული ერთ-ერთი სადავო აქტი, ხოლო მეორეში კი იწინებება, რომ არ დააკმაყოფილდეს კონსტიტუციური სარჩელი დანარჩენ აქტებთან მიმართებით. **ასეთი მიდგომა ყოველთვის უხერხულად მიმარტდება, თუმცა არ ვთვლიდი საჭიროდ, რომ იგი სერიოზული მსჯელობის საგანი გამხდარიყო.** როცა სასამართლო ამბობს, რომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილდეს, განა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დარჩენილ ნაწილში იგი არ კმაყოფილდება. ასე რომ, ცალკე მეორე პუნქტის გამოყოფა სრულიად ზედმეტია. შეიძლება არსებულ პრაქტიკას ამართლებდეს ის, რომ სარეზოლუციო ნაწილშივე უნდა გამოჩნდეს ის აქტები, რომელთა მიმართაც სარჩელი არ კმაყოფილდება. მაგრამ ამის შესახებ ხომ აღნიშნულია დავის საგანში. გადამწყვეტილების აღწერილობით ნაწილშივე შეიძლება ამოიკითხოთ იგი. ჩემი აზრით, შეიძლება ამ საკითხზე სამომავლოდ დაფიქრება.

მეორე შემთხვევა ის არის, როცა სარჩელი საერთოდ არ კმაყოფილდება. რა უნდა თქვას ასეთ შემთხვევაში სასამართლომ. დიდი ფილოსოფოსობა არ უნდა იმის მიხედვრას, რომ სარეზოლუციო ნაწილში უნდა ჩაინეროს, სარჩელი არ უნდა დააკმაყოფილდეს. მეტწილად პრაქტიკაც ასეთია, მაგრამ ზოგჯერ სიტყვასიტყვითაა გადმოღებული კანონის ტექსტი, სარჩელი “უარყოფილი იქნეს”. კანონმდებელს არ უნდა ჩაენერა ასეთი სიტყვები და მარტივად უნდა მიენიშნებინა სარჩელის არდაკმაყოფილების შესახებ. რას უნდა ნიშნავდეს სარჩელის უარყოფა, თუ არა მის არდაკმაყოფილებას. თუ ეს ასეა, მაშინ არაფერი არ უნდა უშლიდეს ხელს სასამართლოს, თქვას, რომ სარჩელი არ დააკმაყოფილდეს. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს უფლება კანონმდებლის ნება სწორად ამოიკითხოს, მაშინ სხვა ვის უნდა ხელეწიფებოდეს ეს. მართალია, არსებული პრაქტიკით, ქვეყანა არ დაქცეულა, მაგრამ ამ საკითხებზე დაფიქრება არ უნდა იყოს საზიანო.

§3. საეჭვოების შესახებ კონსტიტუციური კონტროლის შემთხვევაში

სასამართლოების პრაქტიკაში ხშირად იქმნება საეჭვო მდგომარეობა. ამ შემთხვევაში მოსამართლე გულის კარნახით მოქმედებს და თავის გა-

დანყვეტილებას ამყარებს შინაგან რწმენაზე. ზოგჯერ ნორმატიულადაა განსაზღვრული, თუ რის სასარგებლოდ უნდა აიხსნას საექვო ვითარება. ერთ შემთხვევაში ეს არის ადამიანის უფლებები, სხვა დროს კი სამართლებრივი წესრიგი. ასე მაგალითად, ნებისმიერი საექვო გარემოება ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება. კერძო სამართალში ექვი წინადადების მიმღების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ეს საკითხი წამოიჭრება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლეთა ხმები შუაზე გაიყოფა. ამ დროს სარჩელი არ კმაყოფილდება და საექვო ვითარება სამართლებრივი უსაფრთხოების სასარგებლოდ წყდება. ეს, ცხადია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი შედეგი გამოიწვია იმ მოსამართლეთა პოზიციამ, რომლებიც სარჩელის დაკმაყოფილების წინააღმდეგი იყვნენ. **გადაწყვეტილება ყველა მოსამართლის ნების შედეგია. იგი ნებათა კოლიზიის რეზულტატია.** რატომ არ ისურვა კანონმდებელმა, რომ ხმების გაყოფისას ექვი მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო? ეს ვერ მოხდებოდა, **ვინაიდან საექვობა არ ნიშნავს უფლების დარღვევის აღიარებას.** რაც შეეხება კანონმდებელს, მისი მდგომარეობა განსხვავებულია. **ვიდრე ნორმის არაკონსტიტუციურობა არ დადგინდება, მანამდე მოქმედებს ამ ნორმის კონსტიტუციურობის პრეზუმფცია.** თუ დავუშვებთ, რომ პრეზუმფციას ფარავს საექვობა, ამით ძირს გამოვუთხრით სამართლებრივ უსაფრთხოებას, რომლის აუცილებელი პირობაა ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის ვარაუდი. ამ ვარაუდის გაქარწყლება შეიძლება მხოლოდ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობით. **არ შეიძლება საექვობამ დაანგრიოს კანონთა ნდობაუნარიანობის თვისება. ნდობაუნარიანია საექვო კანონიც.**

§4. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელობის შესახებ

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის თანახმად, “საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა”. გადაწყვეტილების საბოლოობა სამართლებრივი უსაფრთხოების სერიოზული გარანტიაა. მოკლედ, აქ შეიძლება გამოვიყენოთ ჰერაკლიტეს ცნობილი დებულება, რომელიც იუწყება, რომ ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ. თუ დავუშვებთ, რომ შეიძლება ორჯერ შესვლა, მაშასადამე, უსასრულოდ შეიძლება შესვლა. ჰერაკლიტეს თეზას პასუხობდა “საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” კანონის მე-18 მუხლის “დ” პუნქტის ძველი დებუ-

ლება, რომელიც ამბობდა, რომ კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება, თუ “მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ”. მაშასადამე, ის, რაც ერთხელ გადაწყდა, ვერ გადაწყდება მეორედ. ამდენად, თუ შესაძლებელი იქნება მეორედ გადაწყვეტა, ე.ი. უსასრულოდ შეიძლება მისი გადაწყვეტა. ღირებულებათა ერთიან სივრცესა და დროში მე-18 მუხლის დებულებას არ უნდა გააჩნდეს ალტერნატივა. მაგრამ, როცა იცვლება საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებები, როცა სხვა სამართლებრივი ფასეულობანი შემოდის და იცვლება თავად ძირითადი კანონი, მაშინ როგორ უნდა მოვიქცეთ, ვთქვათ, რომ, რაც ერთხელ დადგინდა ის სამუდამოდ დადგინდა. რა გამოგვივა? სასამართლოს გადაწყვეტილება სამართალგანვითარების მუხრუჭად იქცევა. მე-18 მუხლის შინაარსში ასეთ ვითარებაში არ შეიძლება მოვიაზროთ ხელშემშლელი გარემოება. ახალ პრეცედენტებზე სასამართლოს უფლება ისტორიულად აღიარებული უფლებაა. იგივე შეიძლება ითქვას, სასამართლო შეცდომის შესახებაც. სასამართლოც შეიძლება შეცდეს. აღარ მივცეთ სასამართლოს მისი გამოსწორების უფლება? მოსამართლეთა მხრიდან გადაწყვეტილებისადმი პატივისცემა სულაც არ ნიშნავს მისდამი მონობას. **სამართალი უნდა იძლეოდეს შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობას და არა მუდმივად ცდომილებაში ყოფნას.** ყოველივე ეს არ უნდა განვიხილოთ იმ შემთხვევადად, რომელიც ძირს უთხრის სამართლებრივ სტაბილურობას. ახალი პრეცედენტები ძნელად თუ შეცვლიან დროს. **პრეცედენტებს დრო შობს და არა პრეცედენტი დროს. გამოცდილება წარსულს თუ ვერ შეცვლის, მომავალს გამოადგება.**

აქედან ჩანს, რომ ერთ მდინარეში ორჯერ შესვლაც შესაძლებელია. ეს რომ ასეა, დასტურდება, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით.

§5. კონსტიტუციურ სარჩელზე უფლების ბოროტად გამოყენება

სარჩელზე უფლება მოქალაქის სერიოზული უფლებაა. მოსარჩელემ არ უნდა გამოიყენოს იგი ბოროტად და პატივისცემით უნდა შეხვდეს საკონსტიტუციო სასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ისევე, როგორც არავინ არ იკადრებს უფლის ნების საწინააღმდეგოდ ენა მოუტრიალდეს, ასევე არავინ არ უნდა მისცეს თავს უფლება, აბუჩად აიგდოს სასამართლო. როგორც ითქვა, ერთადერთი ხელისუფლება, რომელშიც ყველაზე სრულყოფილად ვლინდება სამართალი — ესაა სასამართლო. რაში შეიძლება გა-

მოიხატოს უფლების ბოროტად გამოყენება? განვლილი პრაქტიკიდან ჩანს, რომ ზოგიერთი მოსარჩელე კარგად დაოსტატდა ერთი და იმავე შინაარსის სარჩელების შემოტანაში. მიუხედავად იმისა, რომ არის გადანყვეტილება სარჩელის არმილების თაობაზე, კვლავ განმეორებით შემოდის იგი იმავე საკითხზე. სასამართლო ვალდებულია, გამართოს განმწესრიგებელი სხდომა, გავიდეს სათათბირო ოთახში და ახალი გადანყვეტილებით შეახსენოს მოსარჩელეს, რომ ერთხელ იმსჯელა მის საქმეზე და რაც ერთხელ გადანყვდა, არ შეიძლება გადანყდეს მეორედ. ამ პასუხის შემდეგაც კვლავ შემოდის ანალოგიური სარჩელი. როგორ უნდა შეაკავოს სასამართლომ ასეთი მოსარჩელე? საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ არსებული კანონმდებლობა ამის თაობაზე **არ შეიცავს რაიმე მითითებას**. არის ქვეყნები, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოსადმი უპატივცემულობა ჯარიმის დაკისრებით მთავრდება (მაგალითად გერმანია). მე ვფიქრობ, რომ შეიძლება ამ საკითხზე კანონმდებელმა იფიქროს. ჯარიმა ისეთი სანქციაა, რომელიც ჭკუაზე მოიყვანს არა მარტო ჭკვიან მოსარჩელეს, არამედ ჭკუიდან გადასულსაც. შეიძლება ვინმე ფიქრობდეს, ჯერ ნაადრევიაო, მაგრამ სასამართლოს არსებობის ათწლიანი ისტორია უნდა იძლეოდეს ამის უფლებას.

უფლების ბოროტად გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის სასამართლოს გამოყენებაშიც ვლინდება. ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს ხშირად შემოაქვთ სარჩელები იმ მიზნით, რომ ორი საქმე გაიკეთონ. ჯერ ერთი მიაღწიონ სარჩელის დაკმაყოფილებას და მეორე, სასამართლო სხდომის დარბაზი გამოიყენონ პოლიტიკური განცხადებების გასაკეთებლად და ფაქტობრივად “მიტინგების” მოსაწყობად. ზოგჯერ ისე გაიტაცებს მოსარჩელეს პოლიტიკური განცხადებები, რომ აღარც კი ახსოვს სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი. რა თქმა უნდა, სასამართლო ცდილობს ეს არ მოხდეს, მაგრამ ის უძლურია ყოველთვის დაუპირისპირდეს მოსარჩელეთა დაბალ სამართლებრივ კულტურას.

§6. წარმომადგენლის მიერ სარჩელზე ხელმოწერის შესახებ

“საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, “კონსტიტუციური სარჩელი ხელმოწერილი უნდა იყოს მოსარჩელეთა მიერ (თუ მოსარჩელე საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფია, მათი ხელმოწერები დამოწმებული უნდა იყოს ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტში აღნიშნული წესით)...” აქედან ჩანს, რომ სარჩელზე ხელმოწე-

რის გარდა, ზოგჯერ საჭიროა მისი დამონშემა. ეს კი ხდება “სანოტარო ან შესაბამისი დანესებულებებისათვის დადგენილი წესით”. მოკლედ, კანონმდებელმა წარმომადგენლის რწმუნებულების დამონშემათვის გათვალისწინებული წესი გაავრცელა ზემოაღნიშნული ორი კატეგორიის მოსარჩელებზე. ალბათ ასეთი მომეტებული სიფრთხილე გამოწვეული უნდა იყოს მოსარჩელეთა განსაკუთრებული მდგომარეობით და ხელმოწერის გაყალბების თავიდან აცილებით. თუმცა ამ ლოგიკით თუ ვივლით, სავსებით შესაძლებელია, რომ გაფართოვდეს მსგავსი კატეგორიის მოსარჩელეთა რიცხვი. გარდა ამისა, წარმომადგენლობისათვის გათვალისწინებული წესის გადმოღება ერთგვარად ზღუდავს დამოუკიდებელ მოსარჩელეს და მასში, სრულიად უსაფუძვლოდ, წარმომადგენელი ასოცირდება. ასე რომ, აღნიშნული გამოწვევის არა მხოლოდ უთანასწორო და დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს გარკვეულ მოსარჩელებს, არამედ ინსტიტუციურად გვაყენებს უხერხულ მდგომარეობაში.

ახლა რაც შეეხება საკუთრივ მოსარჩელის მხრიდან სარჩელზე ხელის მოწერას. სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სარჩელს ხელს აწერს არა მოსარჩელე, არამედ მისი წარმომადგენელი. სასამართლო ამოდის აღნიშნული მე-16 მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან და ასეთ სარჩელს არ ღებულობს არსებითი განხილვისათვის, მასზე მოსარჩელის არაუფლებამოსილების მოტივით. ვფიქრობ, რომ ეს პრაქტიკაც გადასახედა. კანონმდებელმა მე-16 მუხლში ასახა აქსიომატური (პრინციპული) დებულება, რომ სარჩელს ხელს აწერს მოსარჩელე. უფრო მეტიც, საერთოდ რომ არ ყოფილიყო მინიშნება ხელის მოწერის შესახებ, განა ეს სავარაუდებელი (ნაგულისხმევი) არ იქნებოდა? მაშასადამე, შესაძლებელია, რომ წარმომადგენელსაც მიეცეს უფლება სარჩელზე ხელის მოწერისა, თუკი საამისოდ გვექნება მოსარჩელის რწმუნებულება. ხელმოწერის მიზანიც ხომ ის არის, რომ გავარკვიოთ, ვისი ნების გამოვლინებასთან გვაქვს საქმე. როცა წარმომადგენელს შეუძლია წარმოდგენილის სახელით ხელი მოაწეროს გარიგებებს, რატომ არ უნდა მივცეთ მოსარჩელეს ამისი შანსი სარჩელთან დაკავშირებით. ამ საკითხისადმი სხვაგვარად მიდგომამ, კიდევ ერთ, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვყავს. არის შემთხვევები, როდესაც იურიდიული პირების მხრიდან სარჩელს ხელს აწერს არა მისი კანონიერი წარმომადგენელი, არამედ რწმუნებულებითი წარმომადგენელი. მე-16 მუხლის გამოყენებისას დამკვიდრებული პრაქტიკა გვეუბნება, რომ არც ასეთი სარჩელი არ უნდა მიიღოს სასამართლომ.

მიგვაჩნია, რომ სამომავლოდ ეს საკითხიც უნდა გადაიხედოს. წარმომადგენლობის ინსტიტუტის შინაარსი ნამდვილად იძლევა ამის შესაძლე-

ბლობას. წარმომადგენელი ხომ წარმოდგენილი პირის “ორეულია”. თუკი შესაძლებელია წარმომადგენლის მეშვეობით თავდაპირველი მოთხოვნის საგნის, საფუძვლის შეცვლა, მოთხოვნის მოცულობის შემცირება და გაზრდა, საერთოდ უარის თქმა სასარჩელო მოთხოვნაზე, რატომ არ უნდა იყოს შესაძლებელი, მან ხელი მოაწეროს სარჩელს, თუკი ეს მოსარჩელის ნებიდან მომდინარეობს. ძალის თავი ისევ ნორმის ვინრო განმარტებაშია.

§7. განსხვავებული აზრის შესახებ

მოსამართლის განსხვავებული აზრი მისი დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. მოსამართლე საკუთარი სინდისისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. უმრავლესობის აზრი მისთვის არ არის სავალდებულო. **არავის არა აქვს უფლება, სხვას მოახვიოს თავისი აზრი. მოსამართლე, როგორც სუბიექტი, აზრის თავისუფლებაში ვლინდება.** ეს საკითხი მოწესრიგებულია კონსტიტუციური კანონმდებლობით. “საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” კანონის მე-7 მუხლში ნათქვამია:

“3. საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს გადაწყვეტილების მიღებისას ჰქონდეს განსხვავებული აზრი, რაც გადმოიცემა წერილობითი ფორმით.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის განსხვავებული აზრი თან ერთვის საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის ოქმს და ავტორის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად ქვეყნდება პრესაში.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავებულ აზრთან ერთად სრული სახით ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში”.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-40 მუხლის მე-5 პუნქტიც იგივეს იმეორებს, მცირეოდენი განსხვავებით:

“თუ არსებობს საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლის განსხვავებული აზრი და ავტორი მოითხოვს მის გამოქვეყნებას, საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი უზრუნველყოფს გადაწყვეტილებასთან/დასკვნასთან ერთად განსხვავებული აზრის გაგზავნას ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოსათვის”.

მოტანილი ნორმებიდან ჩანს, რომ მოსამართლეს აქვს განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლება. მაგრამ რა შემთხვევაში? ყოველთვის — საო-

ქმო ჩანანერის, განჩინების, გადანყვეტილების/დასკვნის შემთხვევაში? სამწუხაროდ, ეს საკითხი საკამათო გახდა მოსამართლეებს შორის და ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ მოსამართლე მხოლოდ გადანყვეტილების მიღების დროსაა უფლებამოსილი, გამოთქვას განსხვავებული აზრი. ასეთი მიდგომა არასწორად მიმაჩნია და იგი უნდა იყოს ზემოთ მოტანილი ნორმების ვინრო - სიტყვა-სიტყვითი განმარტების შედეგი. მხოლოდ ერთხელ დაირღვა სასამართლოში ასეთი მიდგომა და ისიც დიდი კამათის შემდეგ. მე მიმაჩნია, რომ სამართალწარმოების კანონში და რეგლამენტში მოხსენიებული სიტყვა “გადაწყვეტილება” ფართოდ უნდა გავიგოთ. სხვანაირად, გაუგებარი იქნება დასახელებული მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი, რომელშიც ნათქვამია: “სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სათათბირო ოთახში ღია კენჭისყრით. თათბირისა და გადანყვეტილების მიღების დროს სათათბირო ოთახში უნდა იმყოფებოდნენ მხოლოდ ის მოსამართლეები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ საქმის განხილვაში”. გადანყვეტილება არ გულისხმობს მარტო საკუთრივ “გადაწყვეტილებას”. აქ მოიაზრება საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა აქტებიც: საოქმო ჩანანერი, განჩინება და დასკვნა. ერთადერთი ხარვეზი, რაც აქ მოტანილ ნორმაშია, ეხება განსხვავებული აზრის გამოქვეყნებას. როგორც წესი, საოქმო ჩანანერი და განჩინება არ ქვეყნდება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. რახან ასეა, ამან გამოიწვია იმისი მტკიცება, რომ განსხვავებული აზრი შეიძლება გამოთქვას სასამართლომ იმ აქტთან დაკავშირებით, რომელიც ექვემდებარება გამოქვეყნებას. ეს მართლაც საკანონმდებლო გაუგებრობაა, რომლის გამოსწორებაც ადვილად შესაძლებელია. მოსამართლეს რომ ყველა შემთხვევაში აქვს განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლება, ეს დასტურდება სხვა ნორმებითაც. კერძოდ იმ ნორმებიდან, რომლებიც მოსამართლის დამოუკიდებლობას ეხება. საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლში ნათქვამია:

“მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს, რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადანყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით”.

იგივეს იმეორებს “საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

“საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი თავისი მოვალეობის შესრულებისას დამოუკიდებელია. იგი ფაქტობრივ გარემოებებს იკვლევს და გადანყვეტილებას იღებს საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად. მის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია და ისჯება კანონით”.

აქედან ჩანს, რომ განსხვავებული აზრის გამოთქმის თაობაზე, მოქმედი

კანონმდებლობა არ შეიძლება განიმარტოს ვინროდ. სხვაგვარად, ჩვენ წინააღმდეგობაში მოვალთ კონსტიტუციის ისეთ პრინციპთან, როგორიცაა მოსამართლის დამოუკიდებლობა. თუ მოსამართლეს არ ექნება განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლება, მაშინ იგი შეიძლება გახდეს სხვისი ნების მსხვერპლი. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: უმრავლესობის გადაწყვეტილებით საქმე მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად. რა გამოდის? მოსამართლემ, რომელიც წინააღმდეგია მისი მიღებისა, ამ საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების გამოტანაში მონაწილეობა უნდა მიიღოს თავისი ნების საწინააღმდეგოდ. საკითხავია, რა უნდა გადაწყვიტოს ამ შემთხვევაში მოსამართლემ, როცა მისი აზრით სასარჩელო მოთხოვნა არ შეიძლება შეფასდეს კონსტიტუციურობის თვალსაზრისით. ამიტომაცაა რომ განსხვავებული აზრი მოსამართლის უფლებაა და არავის არ შეუძლია იგი წაართვას.

§8. პროცესის მიმდინარეობის შესახებ

გამოცდილებამ დამანახვა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არ ყოფნიდა პროცესის ოპერატიულად წარმართვის უნარი. დამკვიდრებული ტრადიცია ზოგჯერ ერთობ გაჭიანურებული პროცესის ამსახველია. თავიდან ეს ალბათ საქმეთა სიმცირითაც შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული, მაგრამ ასეთი მიდგომა არც შემდგომ გამოსწორებულა არსებითად. მართალია, კანონის თანახმად, სასამართლომ ყველა გარემოება საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მან უექველი გარემოებების გამოკვლევას შეაღიოს მთელი თავისი ენერჯია. პროცესი არ უნდა დაემსგავსოს სამეცნიერო კონფერენციას. მოსამართლე რაც შეიძლება თავშეკავებულად უნდა მოქმედებდეს და კითხვებს დარბაზის მოსაწონებლად კი არ სვამდეს, არამედ მხოლოდ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება ისე გაგვიტაცოს, რომ მოსამართლე ამოვარდეს პროცესის რეგლამენტიდან. **ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ აქ მოსამართლეები კი არ ეჯიბრებიან ერთმანეთს, არამედ მხარეები.** საკმარისია დავუშვათ ამგვარი შესაძლებლობა, რომ ეს გამოიწვევს გაურკვევლობა-დაპირისპირებას. ყოველი მოსამართლე სასამართლოს სახელით მოქმედებს და როცა მხარეთა მიერ მის კითხვაზე პასუხი გაცემულია, სრულიად ზედმეტია იგივე შეკითხვის დასმა, თუკი მასში რაიმე არსებითად განსხვავებული აზრი არაა ჩადებული. გარდა ამისა, მოსამართლე ვალდებულია ყურადღება მიაქციოს საქმის არსს და არა არაარსებით საკითხებს.

აუცილებელია პროცესის მიმდინარეობისას არსებობდეს მოსამართ-

ლეთა მხრიდან შეკითხვების დასმის გონივრული წესრიგი. ყველა მოსამართლე თანასწორია და არავის არ აქვს რაიმე პრივილეგია. მოსამართლეები იმითაც უნდა სცემდნენ პატივს ერთმანეთს, რომ ერთმა მოსამართლემ არ “იკისროს” ერთბაშად ყველაფრის გამორკვევის “ვალდებულება”. მიუღებელია ყველა შეკითხვას სვამდეს ერთი მოსამართლე და სანამ ის არ დაიკმაყოფილებს თავის ჟინს, მანამ სხვა მოსამართლეს არ ჰქონდეს შესაძლებლობა იმავდროულად იგივე საგანზე დასვას კითხვა. თმენის ვალდებულება მარტო მეზობელს კი არ ეკისრება, არამედ მოსამართლეებს შორისაცაა. რაზედაც მე ვსაუბრობ, ცხადია, ამას კანონი ვერ მოაწესრიგებს, ეს სამოსამართლეო ეთიკის (კულტურის) საკითხია. სტრასბურგის სასამართლოს გამოცდილებამ დამანახვა, რომ აუცილებელია პროცესის დაწყებამდე მხარეებს განესაზღვროთ რეგლამენტი. **ვადა ავალდებულებს როგორც მხარეებს, ისე თვით მოსამართლეებს, რომლებმაც ყურადღება უნდა მიაქციონ მხოლოდ არსებით გარემოებებს.** გარდა აღნიშნულისა, კიდევ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: დაუშვებელია ერთი მოსამართლის კითხვა გახდეს მეორე მოსამართლის მხრიდან უარყოფითი რეპლიკის საფუძველი. თუ არ მოგწონს შეკითხვა, შეიძლება გაჩერდე ან თავად დასვა იგი. პროცესის მიმდინარეობისას ასეთი რამ მოსამართლეებს აყენებს კომიკურ მდგომარეობაში და სასამართლოს ავტორიტეტზე უარყოფითად აისახება. **პროცესზე მხარეები კამათობენ, მოსამართლეები კი სათათბირო ოთახში.** მოსამართლე დიდად მომთმენი და აუღელვებელი უნდა იყოს და არ უნდა მოქმედებდეს მხარის “გამოჭერის” მიზნით. იგივეს თუ შეიძლება მხარეები, ცხადია, ეს კარგი იქნება. კანონი პირდაპირ ავალდებულებს მათ, კეთილსინდისიერად მოიქცნენ. ეს ეხება დარბაზსაც. ისინი ვალდებული არიან, სასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას მშვიდად შეხვდნენ.

მოსამართლე, პროცესის მიმდინარეობისას, კარტებს არ უნდა შლიდეს. მოსამართლის ხელოვნება იმაშია, რომ იგი არ მიაინიშნებდეს მხარეებს საქმის გადაჭრის შესახებ. ორივე მხარე უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მოსამართლე მიიღებს ობიექტურ გადაწყვეტილებას და ეს მოხდება სათათბირო ოთახში.

§9. აღმოჩენილის ხელშეწყობა აღმოჩენის შეუძლებლობა

მრავალწლიანმა გამოცდილებამ დამანახვა, რომ საკმაოდ ხშირად, პროცესზე ირკვევა ის, რაც ადამ და ევადან მოყოლებული გამორკვეულია.

მართალია, “საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” კანონის 30-ე მუხლი ამბობს, რომ გადანყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც განხილულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქმის არსებითი განხილვის პროცესში დაინეროს გადანყვეტილება. მტკიცებულებებში, ცხადია, იგულისხმება მხარეთა მიერ წამოყენებული მტკიცებულებანი. სასამართლომ რაც შეიძლება ზომიერება უნდა დაიცვას მათ შეფასებაში პროცესის მიმდინარეობისას და თავად არ უნდა დაიკავოს მხარის ადგილი. სასამართლომ დრო არ უნდა დაკარგოს ისეთი ფაქტების ახსნა-განმარტებაში, რაც მისთვის ეჭვს არ იწვევს. **თუკი სასამართლო ყველაფერს ეჭვის თვალთ შეხედავს, იგი ვერც გადანყვეტილებას გამოიტანს.**

არ შეიძლება სასამართლო გადაიქანცოს იმის მტკიცებით, რომ ორჯერ ორი ოთხია. სასამართლო არ უნდა დაწვრილმანდეს და გადანყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორების განხილვით უნდა შემოიფარგლოს. **მოკლედ, არსებითისა და არარსებითის ერთმანეთისაგან გამიჯვნა უნდა შეეძლოს სასამართლოს.**

§10. პროცესის მონაწილეთა მიმართ დამოკიდებულება

არაეთიკურია, როცა სასამართლო ცდილობს მხარეები უცოდინრობაში ამხილოს და ამან მას სიამოვნება მოჰგვაროს. არ შეიძლება სასამართლოს ყურადღება დაამძიმდეს წვრილმან ფაქტორებზე მზერით. თუკი მოსარჩელეს არასწორად აქვს მითითებული რომელიმე კანონის მუხლი, ეს გარემოება ისე უნდა გაირკვეს, რომ მან არ გამოიწვიოს პროცესის მონაწილის დამცირება. მართლაც, ხშირია შემთხვევები, როცა სარჩელები არ არის ფორმალური ნიშნით კარგად გამართული. ერთი ხანობა “მოდაში” გვექონდა, თავად განჩინებაში მიგვეთითებინა ამის შესახებ. ცხადია, ეს შესაძლებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ სარჩელის ბევრ ისეთ ხარვეზზე ვუთითებდით, რასაც არ ქონდა არსებითი მნიშვნელობა გადანყვეტილებისათვის. გადანყვეტილებაში კი შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ის გარემოებანი, რაც არსებითია საქმის გადანყვეტისათვის. შეიძლება ეს გამართლებული ყოფილიყო გარკვეული აღმზრდელობითი მოტივებით, მაგრამ საამისოდ საკმარისი უნდა ყოფილიყო სასამართლოს ოქმები. ესეც სერიოზული საკითხია. სასამართლოს სხდომის ოქმი მნიშვნელოვანი იურიდიული დოკუმენტია და დაინტერესებულ პირს ბევრი რამის იქ ამოკითხვა შეუძლია. **მოკლედ, სასამართლოს გადანყვეტილება არ არის ის ტომარა, რომელშიც შეიძლება**

ყველაფერი ჩაყარო.

გარდა ამისა, სასამართლომ თავი უნდა შეიკავოს მხარეებისადმი “ჩაცეიბის” პოლიტიკისაგან. როცა სასამართლო მხარეს უსვამს კითხვას და იგი ვერაფერს პასუხობს, ის ამით უნდა დაკმაყოფილდეს. აქ არ გამოდგება ის შემთხვევა, როცა უცოდინარ სტუდენტს შეიძლება პირიდან “ამოგლიჯო” რამდენიმე სიტყვა, დამაკმაყოფილებელი რომ დაუნერო. როცა ხედავ, რომ მხარე თუ მონმე “ბაიბურში” არ არის, მას თავი უნდა დაეანებოთ. არც ის ვარგა, როცა ასეთი “ჩაჟინების” მიზანი ის არის, რომ თავად მოსამართლემ გამოთქვას თავისი აზრები და “უმნეო” მხარე იარაღად გამოიყენოს.

მე არაეთიკურად მიმაჩნია, როცა მოსამართლე ცდილობს, უზომოდ დაწვრილმანდეს, ჩაუსაფრდეს და დაამციროს პროცესის მონაწილეები და რაც ყველაზე მიუტევებელია, ამით სიამოვნებას განიცდიდეს. ამას ერთი მოსამართლე გააკეთებს თუ ბევრი, სულ ერთია — ნებისმიერი სასამართლოს წარმოადგენს.

ამასთან უნდა ითქვას, რომ მიუტევებელ შეცდომებზე სასამართლომ არ უნდა წაუყრუოს, მით უმეტეს, როცა ამას ადგილი აქვს თავმომწონე და პრეტენზიული იურისტებისაგან. ესეც ისე უნდა კეთდებოდეს, რომ მხარე არ აღმოჩნდეს დამცირებულ მდგომარეობაში.

თავი მეოთხე

საკუთრების უფლება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში

§1. სამართლის რეფორმა და საკუთრების უფლება საქართველოში

სამართლის რეფორმამ ყველაზე სერიოზული ცვლილებები საკუთრების სფეროში გამოიწვია. 1997 წელს ძალაში შევიდა ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომლის მეორე წიგნი მთლიანად სანივთო სამართალს მიეძღვნა. მანამდეც, მოიპოვა თუ არა საქართველომ დამოუკიდებლობა, გაჩნდა პირველი ნორმატიული აქტები, რომლებიც საკუთრებით ურთიერთობებს შეეხო. ყველაზე მთავარი ამ ნოვაციებისა ის არის, რომ ჩვენი კანონმდებლობა **საკუთრებას განამტკიცებს როგორც ადამიანის ძირითად ბუნებით უფლებას**. რაც მთავარია, ეს ისეთი უფლებაა, რომელიც მის პატრონს **ავალდებულებს - დატვირთულია ზომიერი და აუცილებელი სოციალური ფუნქციით**.

ცოტა ისტორიაშიც თუ ჩავიხედავთ, მინდა გავიხსენო, რომ საკუთრება ყველა დროში დაცული სიკეთეა. ნოდებრივი სამართლის ეპოქაში სოციალური კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე მყოფი პირის საკუთრებაც დაცულია. ზოგჯერ მას სამართლის ძეგლები უფრო ძლიერად იცავენ, ვიდრე ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ეს აუცილებლად მოგვაგონებს მაკიაველის „მთავარში“ განვითარებულ აზრს, რომელიც იტყობინება: „მანამდე კი, როცა მთავარი ვინმეს სიკვდილით დასჯას აპირებს, მას შეუძლია სისრულეში მოიყვანოს თავისი განაჩენი, თუკი საამისოდ საკმარისი სამხილი მოეპოვება, მაგრამ თავი უნდა შეიკავოს სხვისი ქონების ხელყოფისა-

გან, ვინაიდან ადამიანები უფრო ადვილად ურიგდებიან მამის სიკვდილს, ვიდრე სამკვიდროს მოშლას“.

საქართველოს ისტორია იმაზე მეტყველებს, რომ საკუთრების გამომხატველი ტერმინებიც ძველია და IX საუკუნიდან დასტურდება. თვით ფაქტები საკუთრების ბრუნვისა VI საუკუნიდან მოგვეპოვება.

ასე რომ, საქართველოში კერძო-მესაკუთრული ფსიქოლოგია ძველი დროიდან მოდის და მას ვერაფერი დააკლო კომუნისტურმა რეჟიმმა. ამასთან, ჩვენ ერთი საშიშროების წინაშე ვდგავართ. ეს ენერგია იმდენად ძლიერია, რომ, თუ მას ზომიერი სოციალური ლაგამი არ ამოვდეთ, იგი აუცილებლად ხელშემშლელი იქნება მონესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრების გზაზე. ამ მხრივ რუსეთისაგან პრინციპულად განსხვავებული მდგომარეობაა საქართველოში.

სამართლის რეფორმის ყველაზე დიდი მიღწევა ის არის, რომ ჩვენში მკვიდრდება საკუთრების ევროპული კონცეფცია. თავიდანვე ასე იყო. საქართველოში ვერ მოიკიდა ფეხი აზიურმა (აღმოსავლურმა) საკუთრებამ. თუმცა ბოლოს მივიღეთ ისეთი მდგომარეობა, რომ **საკუთრების სამართლებრივი მხარე ევროპულია, არასამართლებრივი კი აზიური.**

§2. მოსარჩელეთა მოთხოვნის კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართების პრობლემა

უფლების კონსტიტუციასთან მიმართების საკითხი ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში. სასამართლომ სარჩელის მიღებისას უნდა გადანყვიტოს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი: **არის კი სახეზე ის ძირითადი უფლება, რომლის დაცვასაც მოსარჩელე მოითხოვს? თუკი არსებობს ასეთი უფლება, მაშინ უნდა გაირკვეს - არის კი მის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულება?** ეს მოთხოვნა პირდაპირ გამომდინარეობს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სარჩელის შეტანის უფლებას აძლევს იმ შემთხვევაში „თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი“. ამავე კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი გვეუბნება, რომ „კონსტიტუციური სარჩელი ... დასაბუთებული უნდა იყოს. კონსტიტუციურ სარჩელში ... აუცილებლად უნდა იყოს მოყვანილი ის

მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელის ... აზრით, ადასტურებენ სარჩელის ... საფუძვლიანობას“. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოში საკმაოდ მდიდარი პრაქტიკა დაგროვდა.

სასამართლოს არაერთხელ მიუთითებია თავის განჩინებებში, რომ კონსტიტუციური სარჩელიდან არ გამოჩნდა მოსარჩელის მოთხოვნის საგნობრივი (უშუალო) შემხებლობა კონსტიტუციის ნორმებთან. ამდენად, თუკი არ არის მოთხოვნა კონსტიტუციასთან კავშირში, არც დასაბუთებული სარჩელია სახეზე. სხვა შემთხვევებში, მართალია, სასამართლოს დაუფიქსირებია აღნიშნული კავშირი, მაგრამ უთქვამს, რომ არსებული მტკიცებულებებიდან არ გამოჩნდა უფლების დარღვევის ან მომავალში მისი შესაძლო დარღვევის ფაქტი. ასეთ ვითარებაში არც შეფასების საგანია სახეზე. შეფასება ხდება მხოლოდ უფლების ხელყოფის ფაქტისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფლების კონსტიტუციასთან მიმართება მაშინ შეიძლება გახდეს სასამართლო შეფასების საგანი, **როდესაც სახელმწიფო სადავო ნორმით გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას მის მიმართ. ამდენად, არ არის უარყოფითი დამოკიდებულება, არც დავის საგანია სახეზე.** ამასთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკაში, ამ ბოლო ხანებში, ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებებზე დაყრდნობით ერთობ ლაკონური ფორმულირება დაფიქსირდა. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელი არ უნდა იქნეს არსებითად განსახილველად მიღებული სწორედ იმიტომ, რომ მოსარჩელემ ვერ აჩვენა **საკმარისი დამაჯერებლობით თავის უფლებათა სავარაუდო დარღვევა.**

ახალგაზრდა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ზემოაღნიშნული გარემოებებისადმი სწორ მიდგომას დიდი მნიშვნელობა აქვს. რა დასაძალია და პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც საქმე არსებითად განსახილველად მიღებულა, როცა იგი არ უნდა მიღებულიყო. მართალია, ეს იშვიათი გამონაკლისებია, მაგრამ მეტად უხერხული, ვინაიდან სასამართლოს უხდება იმისი შეფასება, რაც არ არსებობს.

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც სასამართლო, საქმის არსებითი განხილვის პროცესში რწმუნდება, რომ შეუძლებელია მოთხოვნის შემონმება კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით. ამას შედეგად მოსდევს საქმის შეწყვეტა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2003 წლის 7 ნოემბრის გადანყვეტილებიდან (N2/7/219) ირკვევა, რომ მხარემ საქმის არსებითი განხილვის დროს მოითხოვა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო ნორმის შემონმება კონსტიტუციის სხვა მუხლებთან ერთად, ასევე 21-ე მუხლთან მიმარ-

თებითაც. თავად მოსარჩელეთა მიერ არაკონსტიტუციურად მიჩნეული ნორმა ასე გამოიყურება : „პირი კარგავს დევნილის სტატუსს საქართველოს რომელიმე რეგიონში მუდმივად დასახლებისა და რეგისტრაციაში გატარებისას”. გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან ორგვარი დასკვნა კეთდება. პირველი ის, რომ სადავო ნორმა არაა კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებაში და მეორე ის, რომ ამ ნორმით არ ირღვევა კონსტიტუციის 21-ე მუხლი. კერძოდ, გადანყვეტილებაში 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით ნათქვამია: **„სასამართლო თვლის, რომ სადავო ნორმა არ ზღუდავს კონსტიტუციის აღნიშნული მუხლით გარანტირებულ საკუთრების უფლებას**, რადგან სადავო ნორმა ეხება დევნილის სტატუსის დაკარგვის საფუძვლებს. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ რეგისტრაციის ქონა-არქონა ვერ გახდება საკუთრების უფლების შეზღუდვის საფუძველი...”⁷⁰. გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში 21-ე მუხლი აღარ ჩანს, რაც იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ სასამართლომ ბოლოს გამორიცხა სადავო ნორმის მასთან კავშირურთიერთობა. ცხადია, როცა არ დასტურდება მოთხოვნის 21-ე მუხლთან მიმართება, უფლების კონსტიტუციურობის შემოწმებაც გამორიცხულია. **სამოტივაციო ნაწილიდან კი ისე გამოდის, თითქოს დევნილის საკუთრების უფლება იმიტომ არ იზღუდება, რომ სადავო ნორმა ეხება სხვა კატეგორიის უფლებებს.**

§3. კონსტიტუციური და კერძო-სამართლებრივი უფლებების მიმართება

კონსტიტუციური უფლებები არ შეიძლება „ციდან ჩამოფრენილ” უფლებებად მივიჩნიოთ. კონსტიტუცია უნდა იყოს ხალხის (სახელმწიფოს) სამართლებრივი ცნობიერების სარკე და, ამდენად, სამართალგანვითარების გამოხატულებაც. თუ ეს ასეა, მაშინ სწორი უნდა იყოს დებულება, რომელიც ამბობს, რომ კონსტიტუციური უფლებების წყარო კანონისმიერი უფლებებია. გერმანელი მეცნიერები ყურადღებით განიხილავენ კონსტიტუციური და კანონისმიერი უფლებების ურთიერთდამოკიდებულებას. ძირითადი უფლებები თავიანთ ცხოვრებასა და შინაარსობრივ თავისუფლებას ცალკეულ კანონებში პოულობენ. ბევრი **კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფასეულობა ცივილისტურ-სამართლებრივი გადანყვეტილებების საფუძველზე ყალიბდებოდა**. ამიტომაცაა, რომ ეს და-

70. უურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია”, 2004, N1, გვ. 143.

მოკიდებულება უფლებათა ერთმანეთთან დაპირისპირების წყარო კი არ ხდება, არამედ იგი ქმნის მათი ერთიანი გაგებისა და სრულყოფილად გამოხატვის შესაძლებლობას. ეს უფლებები ერთიან პრინციპებს ემყარებიან. განსხვავება იმაშია, რომ კონსტიტუცია ამ პრინციპებს შეიცავს, როგორც საზოგადო სამართლებრივი წესრიგის საფუძველს⁷¹.

გერმანელი მკვლევარების აზრით, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არაპირდაპირ ზემოქმედებას ახდენს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებზე. ძირითადი უფლებების ღირებულებითი შინაარსი კერძო სამართალში მაშინ ვლინდება, როდესაც ისინი მასში დაკონკრეტებულია გენერალური დათქმებითა და სამართლებრივი პრინციპების სახით⁷².

კონსტიტუციას მოქმედების უდავო უპირატესობა გააჩნია კერძო სამართლის შეცნობადობის უპირატესობასთან შედარებით⁷³. მართალია, არც კონსტიტუციას აკლია ეს უკანასკნელი თვისება, მაგრამ მისი ინტერესის საგანი, მაინც ცივილისტიკის მიერ მოცემული ფასეულობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასებაა.

გერმანულ დოქტრინაში მიღებული აზრით, საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაგების საფუძველს მისი ცივილისტური ცნება წარმოადგენს⁷⁴. სწორედ სამოქალაქო სამართალი განსაზღვრავს საკუთრების სუბსტანციას. მისი ცივილისტური შინაარსი კონსტიტუციური ცნების ჩამოყალიბების საფუძველია. მოკლედ რომ ვთქვათ, **კერძო სამართალი პასუხობს კითხვაზე, თუ რა არის საკუთრება, კონსტიტუციური კი იმაზე, თუ როგორია ამ საკუთრების დაცვის გარანტიები**. სწორედ ამ უკანასკნელში ვლინდება ყველაზე მეტად კონსტიტუციურ-სამართლებრივი ცნება საკუთრებისა. მისი შინაარსის განსაზღვრისას, პირველ რიგში, უნდა მივმართოთ კერძო სამართლებრივ დანაწესებს. ცივილისტიკა ახლაც რჩება, როგორც **სწავლების ოსტატი (Lehrmeister)** კონსტიტუციურ-სამართლებრივი დოგმატიკის ცენტრში⁷⁵.

71. Matthias Ruffert, Vorrang der Verfassung und Eigenständigkeit des Privatrechts. Eine verfassungsrechtliche Untersuchung des Privatrechts. Mohr Siebeck, 2001. S. 42-45.

72. Reinhard Ellger, „Europäische Menschenrechtskonvention“ und Deutsches Privatrecht. Rabels Zeitschrift. Band 63 (1999), Heft 1 (Januar), S. 628.

73. Matthias Ruffert, დასახელებული ნაშრომი, გვ. 51.

74. Leisner, Walter. Eigentum: Schriften zu Eigentumsgrundrecht und Wirtschaftsverfassung, 1970-1996. Hrsg. von Josef Isensee. - Berlin: Dunker und Humboldt, 1996 (Schriften zum öffentlichen Recht, Bd. 712), S. 85.

75. იქვე, გვ. 112.

§4. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ცნება და დაცვის სუბიექტები

საკუთრება, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება, შეიძლება ითქვას, შესახელმწიფოებრივი უფლებაა. გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ საკუთრების უფლება არის წინარე და შესახელმწიფოებრივი უფლება („vor- und überschätzlicher Charakter des Eigentumsschutzes“). ისევე როგორც თავისუფლება, საკუთრებაც ელემენტარულ ძირითად უფლებას წარმოადგენს⁷⁶.

საკუთრების ცნების ერთიანობა ემყარება „საკუთრებითი წესრიგის ერთიანობას“, რომელიც ყველას მიერაა აღიარებული⁷⁷. ამიტომაცაა, რომ კონსტიტუცია ამ ერთიან საკუთრებას იცავს, რაც თავის კონკრეტულ გამოვლინებას ცალკეული პირების საკუთრების დაცვაში ამჟღავნებს.

კონსტიტუციური საკუთრება ის არის, რომელიც ექვემდებარება დაცვას. უფრო სწორად, რომლის არსებობაც დაცვისუნარიანია. ეს გარემოება ერთობ მნიშვნელოვანია კონსტიტუციის 21-ე მუხლის განმარტებისას. **„საკუთრება აღიარებულია და უზრუნველყოფილია“ - გულისხმობს არსებობის უფლების მქონე საკუთრების დაცვას. ასეთი საკუთრება იმავდროულად ნდობისუნარიანი საკუთრებაა.** ნდობის ფაქტორი საკუთრების ცნების მნიშვნელოვანი გარემოებაა. როგორც ამბობენ იგი აფუძნებს და ლეგიტიმურს ხდის საკუთრებას⁷⁸. **ნდობისუნარიანი საკუთრება ის არის, რომელიც სამართლებრივ საძირკველზეა დამყარებული.**

ამრიგად, კონსტიტუციის 21-ე მუხლის შეფასების საგანს შეადგენს საკუთრება, რომელიც ყველა თავისი ნორმატიული ნიშნით არსებობს. შესაბამისად, ამ მუხლთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოვალეობას არ წარმოადგენს, არკვიოს საკუთრება კანონიერია თუ უკანონო. **საკუთრება, რომლის კონსტიტუციურობის საკითხს იხილავს სასამართლო, ივარაუდება, რომ კანონიერი და დასაბუთებულია.** შესაბამისად, როცა საკუთრების ჩამორთმევის შეფასება ხდება, სწორედ მსგავსი საკუთრების ჩამორთმევაზეა საუბარი.

საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 2005 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებაში (N2/5/309,310,311) აღნიშნა: „თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის დროს კი სადავოდ არის გამხდარი არა საზოგადოებრივი საჭიროების ან გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა,

76. BVerfGE 15, 126 (144).

77. Leisner, Walter. Eigentum: Schriften zu Eigentumsgrundrecht S. 102.

78. იქვე, გვ. 119-123.

არამედ ქონების კანონიერება და დასაბუთებულობა, ანუ მოცემულ ქონებაზე საკუთრების კონსტიტუციური დაცვის ფარგლების გავრცელება⁷⁹. სასამართლომ პირდაპირ თქვა, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით შეუძლებელია უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების შეფასება: „საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ ზემოაღნიშნული დებულებები ანაზღაურების თაობაზე, შეეხება კანონიერი გზით შეძენილ ქონებას, რომლის საკუთრების უფლება დავას არ იწვევს და ვერ გავრცელდება უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რადგან ამ შემთხვევაში ითვლება, რომ სწორედ საკუთრების უფლებაა დავის საგანი და მისი არსებობა ეჭვის ქვეშაა დაყენებული. ამ შემთხვევაში არ შეიძლება ჩამორთმევის კონსტიტუციურობის შემოწმება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტთან მიმართებით“⁸⁰.

სასამართლომ აღნიშნული დებულებებით ფაქტობრივად აღიარა, რომ, როცა სადავოა თვით საკუთრების უფლება და მისი არსებობაც ეჭვის ქვეშაა, საკონსტიტუციო სასამართლოს აღარაფერი აქვს განსახილველი. ასეთი საკუთრება ვერც 21-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით შეფასდება. თუ ვიკითხავთ რატომ, პასუხი შეიძლება ასეთი იყოს: **კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული და უზრუნველყოფილია არა საეჭვო საკუთრება, არამედ საკუთრება, რომელიც დაცვისა და ნდობისუნარიანია**. ასეთი საკუთრება სწორედ სამართლებრივ ნიადაგზე გაჩენილი საკუთრებაა. იგივე უნდა ითქვას 21-ე მუხლის მეორე პუნქტის თაობაზეც. ამ შემთხვევაშიც შეზღუდვები სწორედ რომ აღნიშნულ საკუთრებას ეხება და არა სხვაგვარს. თუ ასე არ შევხედავთ ამ საკითხს, მაშინ გამოგვივა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის სხვადასხვა პუნქტები სხვადასხვანაირი სახის საკუთრებას იცავენ. მესამე პუნქტი ვრცელდება მხოლოდ კანონიერ და დასაბუთებულ ქონებაზე, პირველი და მეორე უკანონო და დაუსაბუთებელზეც. ეს კი სრული ულოგიკობაა. ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება, თუკი შევთანხმდებით იმაში, რომ **კონსტიტუციური დაცვის საგანს წარმოადგენს სამართლებრივად უხარვეზო საკუთრება**.

გერმანულ დოგმატიკაში გავრცელებული აზრით, საკუთრების შინაარსსა და ფარგლებს განსაზღვრავს არა კანონი, არამედ სამართლებრივი წესრიგი. კანონი საკუთრების შინაარსს განსაზღვრავს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში. მხოლოდ ასე შეიძლება გავიგოთ გამოთქმა „საკუთრების შინაარსი კანონით განისაზღვრება“. კონსტიტუციის 21-ე მუხლიც მაშინ გამოიყენება, როცა საკუთრების შინაარსი კანონით განისაზღვრება. მისი შემფასებელი და მსაჯული იქნება სამართლებრივი წესრიგი. საკუ-

79. უფრნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, N4, გვ. 146.

80. უფრნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, N4, გვ. 146.

თრების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრა კანონმდებლის უფლება კი არა, მოვალეობაა⁸¹. ვისაც უფლება აქვს, ის ზოგად მასშტაბსაც ადგენს. კანონმდებლის ყოველი ნაბიჯი ამ მასშტაბებში უნდა ჯდებოდეს. **საკუთრებითი წესრიგის სამართლებრივი შინაარსი მის კონსტიტუციურ-სამართლებრივ შინაარსში ვლინდება.**

ამრიგად, საკუთრება სამართლებრივი წესრიგის ქმნილებაა და არა კანონმდებლის.

როცა საკუთრების დაცვაზეა საუბარი, აქაც, ისევე როგორც ყველა ძირითადი უფლების შემთხვევაში, მისი ნეგატიური მხარე (*status negativus*) მოიაზრება⁸². ყველას ვალდებულება, არ ხელყონ ჩემი საკუთრება, მისი პოზიტიური მდგომარეობის მშვიდად განხორციელების გარანტიაა. ხელყოფა სხვადასხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაში შეიძლება გამოვლინდეს. სახელმწიფომ შეიძლება ხელყოს საკუთრება ისე, როგორც ნებისმიერმა სხვა პირმა, მაგრამ **არის ისეთი ხელყოფა, რომელიც შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოდან მოდიოდეს. ამას ადგილი აქვს არაკონსტიტუციური კანონების მიღებისას**, როცა ამით ილახება მესაკუთრის უფლებამოსილებანი.

ამიტომაცაა, რომ **კონსტიტუციით აღიარებული საკუთრების არსი მდგომარეობს სახელმწიფოს ჩარევისაგან მის დაცვაში**. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი ამ თვალსაზრისით სახელმწიფოს ავალდებულებს, არ ჩაერიოს დაუსაბუთებლად მესაკუთრის ცხოვრებაში და უზრუნველყოს მისი მშვიდი არსებობა. 21-ე მუხლის შინაარსი მესაკუთრესაც ავალდებულებს, როგორც ძირითადი უფლების მატარებელს. ეს არის ვალდებულება საზოგადო ინტერესებთან მიმართებაში. ასე რომ, კონსტიტუციის 21-ე მუხლი ვალდებულებებით დატვირთული ურთიერთობების გამონახულებას უნდა წარმოადგენდეს.

გერმანელი კონსტიტუციონალისტები განსაკუთრებულად გამოყოფენ საკუთრების ელემენტებიდან განკარგვასა („*Zuordnung*“) და სუბსტანციის შენარჩუნებას („*Substanzerhaltung*“)⁸³. მათი აზრით, ამ ელემენტებში ვლინდება საკუთრების კონსტიტუციური დაცვა. ვფიქრობთ, რომ არ უნდა იყოს ასეთი შეფასება უსაფუძვლო. განკარგვა საკუთრების თავისუფალი გამოყენებისა და თვით სამოქალაქო ბრუნვის სიცოცხლისუნარიანობის სერიოზული გამოვლინებაა. მარქსის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „საკუთარი ქონების განკარგვის უფლება წარმოადგენს საკუთრების ტრადიციულ და ფუძემდებლურ ასპექტს“ (*Marcks*,

81. Leisner, Walter. Eigentum: Schriften zu Eigentumsgrundrecht S. 107, 110-111.

82. იქვე, გვ. 82-83.

83. Leisner, Walter. Eigentum: Schriften zu Eigentumsgrundrecht S. 84.

63)⁸⁴. **განკარგვაში ვლინდება საკუთრება, როგორც ადამიანის თავისუფალი ნება.** განკარგვა საკუთრების მოძრაობის აუცილებელი პირობაა.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი იცავს არა ყველა სუბიექტის საკუთრებას, არამედ კერძო სამართლის სუბიექტების საკუთრებას. გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში აღიარებული პრაქტიკით, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლი „იცავს არა კერძო საკუთრებას, არამედ კერძო პირთა საკუთრებას“⁸⁵. აქედან ცხადი ხდება, რომ შეიძლება მესაკუთრე იყოს, მაგრამ შენზე არ ვრცელდებოდეს კონსტიტუციის 21-ე მუხლი. ასეთებად სახელმწიფო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები მოიაზრებიან. ამგვარი მიდგომის ლოგიკა მარტივად ასახსნელია. **თუ კონსტიტუცია საკუთრებას იცავს სახელმწიფოსაგან, როგორ შეიძლება სახელმწიფო იყოს საკუთარი უფლების დამრღვევი.** ქართულ კონსტიტუციურ დოქტრინაშიც აღიარებულია, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირები ვერ ჩაითვლებიან ძირითადი უფლებების მატარებლად და ამ გარემოების გამო, ისინი კონსტიტუციურ სარჩელზე უფლებამოსილ სუბიექტებადაც არ მიიჩნევიან⁸⁶.

კონსტიტუციის 21-ე მუხლის დაცვის ქვეშ ივარაუდება საკუთრება ყოველგვარი ფუნქციის გარეშე. გერმანელი მკვლევარების აზრით, საკუთრება საზოგადოდ და პრინციპულად ფუნქციურობისაგან თავისუფალ ფასეულობად უნდა გავიგოთ. საჭიროა, რომ საკუთრების დოგმატიკიდან ფუნქციური საკუთრება გაქრეს⁸⁷. ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა საკუთრების დაცვისადმი უეჭველად ანგარიშგასაწევია. იგი სულაც არ მოდის წინააღმდეგობაში საკუთრების სოციალურ ფუნქციასთან. ასეთი მიდგომა მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ საკუთრების ფუნქციამ არ უნდა გამოიწვიოს დაცვის თვალსაზრისით მაღალი და დაბალი შრეების გაჩენა. **კონსტიტუცია ნემსის მესაკუთრესაც ისევე უნდა იცავდეს, როგორც უძრავი ქონების მესაკუთრეს.**

ფუნქციურობაზე უარის თქმა უნდა ნიშნავდეს საკუთრების უპირობო დაცვას, იმის მიუხედავად, სახეზე დიდი მფლობელობა გვექნება თუ პატარა. გერმანელი მკვლევარები დღეს ბევრს კამათობენ „დიდი“ და „მცირე“ საკუთრების ურთიერთმიმართებაზე⁸⁸. მართალია, პირველი მათგანი გაცილებით მეტი სოციალური ფუნქციის მატარებელია, მაგრამ კონსტიტუციურად ორივე მათგანი თანაბრადაა დაცული. სახელმწიფო ვალდებულია, ხელი

84. Микела де Сальвиа. Прецеденты Европейского суда по правам человека. Перевод с французского А.А. Жуковой, Г.А. Пашковской. Санкт-Петербург, 2004, с. 963

85. BVerfGE 61, 82 (100f).

86. ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005. 45-ე მუხლის კომენტარი (კონსტანტინე კუბლაშვილი), გვ. 402.

87. Leisner, Walter. Eigentum: Schriften zu Eigentumsgrundrecht S. 101.

88. იქვე, გვ. 253-264.

შეუწყოს ორივე საკუთრების განვითარებას. პიროვნული თავისუფლების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. „მცირე საკუთრება“, ვინაიდან ასეთი საკუთრების მქონე პირთა რიცხვი ბევრია და მასში შეიძლება გამოვლინდეს ნებისმიერი მოქალაქის საკუთრებითი უნარიანობა. მას გერმანულ სინამდვილეში აქვს უმაღლესი ღირებულებითი მნიშვნელობა. ცხადია, თავისუფლებას „დიდი საკუთრებაც“ გულისხმობს, მაგრამ იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ პიროვნული თავისუფლების მასშტაბად. ეს თავისუფლება ყველაზე მეტად ვლინდება სწორედ „მცირე საკუთრებაში“ და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობისათვის ხაზგასმა სწორია. სახელმწიფოს ძალისხმევაც მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ არც ერთი ადამიანი არ დარჩეს ამგვარი საკუთრების გარეშე. მცირე საკუთრება სოციალური სახელმწიფოს მოთხოვნაა (Gebot der Sozialstaatlichkeit).

§5. საკუთრება, როგორც ინსტიტუტის გარანტია და პიროვნების უფლების გარანტია.

საკუთრების გარანტიაზე საუბარია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტში. მასში ნათქვამია: „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“.

კონსტიტუციის ამ დებულებაში საკუთრება მოცემულია როგორც ინსტიტუტის, ისე პიროვნების უფლების გარანტია⁸⁹.

აღნიშნული ნორმის პრინციპი პირდაპირ ეხმიანება „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პირველ წინადადებას, რომლის თანახმადაც: „ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება“.

ინსტიტუტის გარანტიაში მნიშვნელოვანია საკუთრების სუბსტანციური ელემენტები. განსაკუთრებით განკარგვის, უფროსე გასხვისების უფლებამოსილება. სწორედ ამ უკანასკნელში ვლინდება საკუთრების ფუნქციურუნარიანობა და კერძოსარგებლიანობა. ინსტიტუტის გარანტიის მიზანი ის არის, რომ საკუთრება საკუთრებად დარჩეს („Eigentum muss Eigentum bleiben“)⁹⁰. ეს კი შესაძლებელია მაშინ, როცა მისი შინაარსი ისე არ დაცარელდება, რომ და-

89. ლ.იზორია, საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაგების რამდენიმე ასპექტი, ჟურნალი „სამართალი“, 2002 N9-10, გვ. 22-23.

90. Leisner, Walter, Eigentum: Schriften zu Eigentumsgrundrecht S. 88

გვრჩეს მხოლოდ საკუთრების აჩრდილი. დაუშვებელია, სახელმწიფომ მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც ეჭვის ქვეშ დააყენებენ საკუთრებას როგორც ინსტიტუტს⁹¹. სახელმწიფო, პირველ რიგში, ვალდებულია, პატივს სცემდეს ინსტიტუტს, როგორც ობიექტურ ფასეულობას. **ინსტიტუტია უფლების წყარო და არა უფლება ინსტიტუტისა.** ამის შეგნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს ინსტიტუტების შინაარსით ხშირ მანიპულირებას ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად. სახელმწიფოს უნდა ახსოვდეს, რომ საკუთრება, არც ობიექტური გაგებით და არც სუბიექტური მნიშვნელობით, არ არის მისი შემოქმედების შედეგი. ერთიც და მეორეც იდეალური და ბუნებრივი ფასეულობანია, რომლებიც სახელმწიფოს ავალდებულებენ. როგორი კანონებიც არ უნდა მიიღოს სახელმწიფომ მათ სანინააღმდეგოდ არაპოზიტიურ სინამდვილეში ისინი მაინც იარსებებენ. შეიძლება სახელმწიფომ ადამიანს წაართვას მთელი ქონება, მაგრამ იგი საკუთრების უფლებას ვერ წაართმევს. **ინსტიტუტის გარანტია საფუძველია ნებისმიერი პირის საკუთრების უფლებისა.**

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როცა **დავის საგანი უშუალოდ საკუთრების გარანტიის საკითხი გამხდარა.** საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2004 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებიდან საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ გამოჩნდა, რომ **საკუთრების გარანტია გულისხმობს არა მარტო სახელმწიფოს მხრიდან უარყოფითი ზემოქმედებისაგან თავდაცვას, არამედ მისი მხრიდან პოზიტიური მოქმედებების განხორციელებასაც.** საქმე მდგომარეობს შემდეგში: საქართველოს პარლამენტმა 2001 წლის 27 დეკემბერს მიიღო დადგენილება „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ“. მისი მოქმედება არ გავრცელდა აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებზე - როგორც იქ მცხოვრებლებზე, ისე იქიდან დევნილებზე. სწორედ **ასეთი უარყოფითი გამოწვევის დაშვება მოსარჩელეთა მიერ მიჩნეულ იქნა** საკუთრების უფლების გარანტიის დარღვევად. ამ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაფიქსირდა დიამეტრალურად საპირისპირო აზრები, ვინაიდან მოსამართლეთა ხმები გაიყო შუაზე. მოსამართლეთა ერთი ნაწილის შეხედულებით, კონსტიტუციის 21-ე მუხლის დებულება - „საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“. . . იცავს მესაკუთრეებს სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ უარყოფითი ჩარევებისაგან (როგორიცაა მისი გაუქმება, უსაფუძვლო შეზღუდვა ან ჩამორთმევა), **არამედ სახელ-**

91. ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბ., 2005, 21-ე მუხლის კომენტარი (ლევან იზორია), გვ. 146.

მნიფოს აკისრებს ვალდებულებას, განახორციელოს აქტიური პოზიტიური მოქმედებანი საკუთრების შინაარსის რეალური გამოვლინებისათვის. საკუთრების უფლების უზრუნველყოფა ასევე გულისხმობს მის დასაცავად ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის შექმნას. **საკუთრების აღიარებას აზრი დაეკარგებოდა და უშინაარსო გახდებოდა, თუკი სახელმწიფო არ მოახდენდა მის უზრუნველყოფას.** ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფო აღიარებს საკუთრების უფლებას, მაგრამ დროებით უარს ამბობს მის გარანტიაზე. „საკუთრების გარანტიაზე უარის თქმით ფაქტობრივად სახელმწიფო (მართალია, გარკვეული ვადით) დევნილებს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოქმედების მიღმა ტოვებს. **უზრუნველყოფასა და დაცვას მოკლებული საკუთრება ვარდება კონსტიტუციურ-სამართლებრივი სივრციდან.** ეს კი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიზანდასახულობას“⁹².

არასწორად იქნა მიჩნეული სახელმწიფოს მხრიდან დევნილთა მიმართ დაცვითი ვალდებულებების აღიარება მხოლოდ მას შემდეგ, როცა აღდგება სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და ისინი დაუბრუნდებიან თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. ამასთან დაკავშირებით გადანყვეტილებაში ნათქვამია: „აშკარაა, რომ უალრესად გაძნელებულია და თითქმის შეუძლებელია სეპარატისტული რეჟიმით დაკავებულ ტერიტორიებზე ქართული სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დაცვა. მაგრამ ეს სულაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ მძიმე ფაქტობრივი სინამდვილე მაღლა დავაყენოთ სახელმწიფოს უფლება-ვალდებულებებზე, რაც მისი ბუნებიდან გამომდინარეობს და წარმოადგენს ნებისმიერი სუვერენული ქვეყნის იმპენეტურ და განუყოფელ მახასიათებელს (ფასეულობას)“⁹³.

მოსამართლეთა ამ პოზიციას საფუძვლად დაედო ევროპული სასამართლოს 2004 წლის 8 ივლისის გადანყვეტილება საქმეზე „ილაშკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის წინააღმდეგ“.

სასამართლომ აღნიშნული პოზიციით აღიარა ის ფაქტი, რომ საკუთრების უფლება, როგორც სამართლებრივი ფასეულობა, სახელმწიფოში არსებული უფლებაა. საკმარისია გაქრეს მის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს შემხვედრი ვალდებულებები, რომ ეს უფლებაც თან მიჰყვება მას. მოკლედ, სასამართლოს ამ გადანყვეტილების შეგონება ის არის, რომ ადამიანის უფლებები სახელმწიფოს ავალდებულებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკუთრება ავალდებულებს არა მარტო მის მატარებელს, არამედ სახელმწიფოსაც. ეს ის შემთხვევაა, როცა ერთი ვალდებულების არსებობის საფუძველი მეორე ვალდებულებაა.

92. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, N1, გვ. 130.

93. იქვე, გვ. 129.

წმ. საკუთრების უფლების შეზღუდვის შესახებ

არ არსებობს შეუზღუდავი საკუთრება. კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამისი ნათელი გამომხატულებაა: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით“. ამას არ უარყოფს ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლი.

საკუთრების უფლების შეზღუდვებზე, სხვა სიტყვებით, ბოჭვებზე, სამოქალაქო კოდექსიც ლაპარაკობს. კერძოდ, მის 170-ე მუხლში ნათქვამია: „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვების ფარგლებში ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით...“

ამდენად, საკუთრების შეზღუდვას ითვალისწინებს კონსტიტუციაც და სამოქალაქო კოდექსიც. **ახალგაზრდა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მნიშვნელოვანია იმ ზღვარის გავლება, რაც საკუთრების კონსტიტუციურ და კერძო სამართლებრივ შეზღუდვებშია.** არ შეიძლება, რომ 170-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. **როცა ბრუნვის ერთი მონაწილის საკუთრება იზღუდება მხოლოდ მეორე მონაწილის სასარგებლოდ, ასეთ შემთხვევაში ვერ ვილაპარაკებთ საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ბოჭვაზე.** სულერთია, ეს შეზღუდვა ხელშეკრულებით ხდება თუ კანონით. საკუთრების კონსტიტუციური ბოჭვა ყოველთვის დაკავშირებულია საზოგადოებრივ ინტერესებთან. ჩვენს ეროვნულ ლიტერატურაში ამ საკითხზეც გამახვილდა ყურადღება და აღინიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ არის საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაგება დამკვიდრებული⁹⁴. ცოდვა გამხელილი სჯობია და უნდა ითქვას, რომ მართლაც არის ჩვენს პრაქტიკაში საკუთრების კერძო-სამართლებრივი ხედვის შემთხვევები. მოვიტან ორიოდე მაგალითს - ერთს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილებიდან და ერთს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილებიდან, რაც ჩემი „შემოქმედების“ ნაყოფიცაა.

პირველი გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო 1997 წლის 25 მარტს საქმეზე: „ლევან ფურცხვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელე არაკონსტიტუციურად მიიჩნედა საბინაო კოდექსის 154-ე მუხლს, რომელიც მესაკუთრეს უფლებას აძლევ

94. ლევან იზორია, დასახელებული ნაშრომი, გვ.22.

ვდა, შეენწყვიტა დამქირავებელთან განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო დაადგენდა, რომ საცხოვრებელი სადგომი პირადი სარგებლობისათვის სჭირდება თვით მესაკუთრეს და მისი ოჯახის წევრებს. **სასამართლო, მესაკუთრის უფლების შეფასებისას, დაეყრდნო სახელშეკრულებო კერძო-სამართლებრივ ბოჭვებს, სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანად ჩათვალა და დააკმაყოფილა იგი.** კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებაში ითქვა: საქართველოს საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი ზღუდავს მესაკუთრის უფლებებს, ვინაიდან მესაკუთრეს აქვს თავისი ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება. ამ შემთხვევაში კი იზღუდება მესაკუთრის განკარგვის უფლება, რადგან განკარგვა გულისხმობს მესაკუთრის მიერ მისი ქონების ბედის გადაწყვეტას ყოველგვარი პირობების დათქმის გარეშე (საჭიროებისათვის თუ სხვა მიზნით)⁹⁵. ამ დებულების უსაფუძვლობა მკვლევართა აზრით, იმაშია, რომ სასამართლო საკუთრების სოციალურ ფუნქციას სახელშეკრულებო ბოჭვაში ხედავს, რაც კიდევ უფრო ცხადად ჩანს გადაწყვეტილების იმ დებულებაში, რომელშიც ეს ფუნქცია დაკავშირებულია მესამე პირთა — „სხვათა“ უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფის დაუშვებლობასთან.

მეორე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2003 წლის 1 აპრილს საქმეზე „აკაკი საღირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელე არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 523-ე მუხლს, რომელიც გამჩუქებელს უფლებას აძლევდა, უკან გამოეთხოვა გაჩუქებული ნივთი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში სერიოზული სამართლებრივი პოზიციები დააფიქსირა, ახლანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ არ არსებობდა საფუძველი 523-ე მუხლის კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით შეფასებისა. **სასამართლომ ამ შემთხვევაში ფაქტობრივად საკუთრების კერძო-სამართლებრივი შინაარსის ანალიზი გააკეთა.** ამიტომაც იყო, რომ ზოგიერთმა ცნობილმა ცივილისტმა ეს გადაწყვეტილება მიიჩნია დასახელებული ნორმის შესანიშნავ კომენტარად. მართალია, ამ მუხლის ნორმა კანონით განსაზღვრული ნორმაა, მაგრამ იქ არ ჩანს არავითარი საზოგადოებრივი ინტერესით განპირობებული მოტივი. **არსებული შეზღუდვა ბრუნვის მონაწილეთა კერძო ინტერესების ფარგლებშია.**

95. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 1996-1997, თბ., 2002, გვ.64.

§7. საკუთრების შეზღუდვის ფარგლები და სამართლებრივი ინტერესი

საკუთრება შეიძლება შეიზღუდოს, მაგრამ როგორი უნდა იყოს ამ შეზღუდვის ფარგლები? ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სპორონგისა და ლორონტის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „...კერძო საკუთრების შეზღუდვამ მესაკუთრებს თავისუფლების განსაზღვრული დონე უნდა დაუტოვოს, სხვაგვარად, ეს შეზღუდვა საკუთრების ჩამორთმევის ტოლფასი ხდება“⁹⁶. თავის მხრივ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ დებულებაზე დაყრდნობით თქვა, რომ „...საკუთრების კანონისმიერი თუ სახელშეკრულებო ბოჭვის ნებისმიერ შემთხვევაში საკუთრების არსება უნდა შენარჩუნდეს და მისი შინაგანი შინაარსი არ უნდა დაზიანდეს“⁹⁷.

საკუთრება, როგორც ფასეულობა, სოციალური ფუნქციის მატარებელია და არა მისი იდენტური. საკუთრებაში ინდივიდი პირველ რიგში ვლინდება როგორც კერძო ინტერესების მქონე სუბიექტი. ამ გარემოებას საგანგებოდ გაუსვა ხაზი გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ. მან აღნიშნა, რომ საკუთრებაში კერძო ინტერესები უპირობოდ პრიორიტეტულია საერთო ინტერესებთან შედარებით⁹⁸.

ამდენად, საკუთრების შეზღუდვამ საკუთრება არ უნდა მოსპოს. საკუთრების სუბსტანცია უნდა შენარჩუნდეს, რათა შესაძლებელი იყოს მისი შინაარსის რეალიზაცია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეს ეხება საკუთრების არა მარტო კონსტიტუციურ-სამართლებრივ შეზღუდვებს, არამედ კერძო-სამართლებრივსაც. ამ თვალსაზრისით, **საკუთრება ავალდებულებს არა მარტო სახელმწიფოს, რომელიც შეიძლება ზღუდავდეს საკუთრებას საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებსაც, რომლებიც კერძო ინტერესებზე დაყრდნობით მოქმედებენ.**

ახლა საკითხავია, რა უნდა იწვევდეს საკუთრების უფლების შეზღუდვას? კონსტიტუციის 21-ე მუხლის დებულებით, ასეთია „**საზოგადოებრივი ინტერესები**“. ამდენად, შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ ისეთი საკუთრების, რომელიც შეიძლება დაექვემდებაროს საზოგადოებრივ ინტერესებს. კერძოდ, საერთო კეთილდღეობის სამსახურს. ევროპულმა სასამართლომ

96. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რჩეული გადაწყვეტილებები. ტ.1, თბ., 2001, გვ.343.

97. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. 2000-2001. თბ., 2003, გვ.124.

98. Karl Dietrich Erdmann. Eigentum, Partnerschaft, Mitbestimmung. Zur Theorie des Sozialstaats in Österreich und der Bundesrepublik Deutschland. Das Eigentum (Vorträge). Hrsg. von I. Baur - Göttingen: Vandenhoeck u. Ruprecht, 1989, S. 12.

სპორონგისა და ლორონტის საქმეში აღნიშნა: „არ არსებობს საკუთრების მოხმარების გარანტირებული უფლება მარტო მისი მფლობელის ინტერესებიდან გამომდინარე, საერთო კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, მოხმარება შეიძლება კანონით შეიზღუდოს“⁹⁹. ორივე სიტყვით გამოხატავს ამას გერმანიის ფედერაციის კონსტიტუცია, როცა ამბობს, რომ **„საკუთრება ავალდებულებს“**.

ჩვენ სპეციალურად არ გავეჩერებით საზოგადოებრივი ინტერესების ცნებაზე, რაზედაც საკმაოდ მდიდარია ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. იგი ყოველთვის გულისხმობს სამართლიან და კანონიერ საზოგადოებრივ ინტერესს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ შეზღუდვა გამონეუული იყოს ამ ინტერესებით და არა სხვა, ვთქვათ, კერძო პირთა ინტერესებით. **ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე არ უნდა განიხილოს. ამ მიმართებით სასამართლო პრაქტიკა სრულყოფას საჭიროებს. სასამართლომ, ყველა შემთხვევაში, უნდა აჩვენოს საკუთრების უფლების შეზღუდვა გამონეუულია თუ არა არსებული საზოგადოებრივი ინტერესებით.**

საკუთრების შეზღუდვის პრინციპებზე ევროპულმა სასამართლომ ბევრჯერ დააფიქსირა თავისი პოზიცია. პირველ რიგში, ხაზი ესმება იმას, რომ **საკუთრების შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს**. თუკი შესაძლებელია იგივე მიზნის მიღწევა სხვა გზებით, მაშინ სხვა საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული. სპორონგისა და ლორონტის საქმეზე ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: სასამართლო „...ავალდებულებს განსაზღვროს ნამდვილად დაცული იყო თუ არა წონასწორობა ისეთი ხერხით, რომელიც შეესაბამება განმცხადებლის უფლებას (თავისი) ქონების შეუფერხებელ გამოყენებაზე 1-ლი მუხლის პირველი წინადადების შინაარსის თანახმად“¹⁰⁰.

ამდენად, **საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა ინვესტირდეს მესაკუთრის უფლების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად**. პროპორციულობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვაზე სპორონგისა და ლორონტის საქმეზე სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა: „სასამართლომ უნდა დაადგინოს, დაცული იყო თუ არა **სამართლიანი წონასწორობა** (თანაზომიერება) საზოგადოებრივი ინტერესების მოთხოვნებსა და პიროვნების ძირითადი უფლებების აუცილებელ პირობებს შორის“¹⁰¹. მოკლედ, **ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსი უნდა დამყარდეს**.

ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ბრუმარესკუ რუმინეთის წინააღმდეგ“, ასევე ხაზი გაუსვა აღნიშნული პრინციპის დაცვას. კერძოდ, გა-

99. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რჩეული გადაწყვეტილებები. ტომი I, თბ., 2001,

100. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებები, ტ. 1, თბ., 2002, გვ.332.

101. იქვე, გვ. 331.

დანყვეტილებაში ითქვა: „...ნებისმიერი ჩარევა საკუთრების უფლებით სარგებლობაში უნდა პასუხობდეს თანაზომიერების პრინციპს. როგორც სასამართლოს ადრეც განუცხადებია, სათანადო და **სამართლიანი ბალანსი უნდა იქნეს მიღწეული საზოგადოების ზოგად ინტერესებსა და პიროვნების ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის...** ასეთი ბალანსი ვერ მიიღწევა, თუ შესაბამის ფიზიკურ პირზე არ არის დაკისრებული ინდივიდუალური და თანაზომიერი ტვირთი“¹⁰².

ამრიგად, **საკუთრების უფლებას უნდა შეეძლოს აღნიშნული ტვირთის ტარება ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს მისი გაუქმება. უფრო მეტიც, საკუთრება მინიმალური სახით უნდა დამძიმდეს.**

როგორც ჩანს, თანაზომიერების პრინციპის დაცვა სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებელი მოთხოვნაა. სახელმწიფოს არა აქვს უფლება, მიიღოს ისეთი კანონი რომელიც უვარგისია დასახული მიზნის მისაღწევად. თავად ნორმატიული აქტის მიღება აუცილებლობით უნდა იყოს გამონვეული და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს აქტი, როგორც რალაც მიზნის მიღწევის საშუალება, პროპორციული (თანაზომიერი) უნდა იყოს საკუთრების შეზღუდვასთან¹⁰³.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებებში, განსაკუთრებით ბოლოდროინდელში, სწორედ აღნიშნულ პრინციპზეა საუბარი. 2001 წლის 7 ივნისის გადანყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლებას, ითქვა: **„სასამართლო კოლეგია თვლის, რომ მე-5 მუხლით დარღვეულია ის სამართლიანი ბალანსი, წონასწორობა, რომელიც უნდა არსებობდეს საკუთრების უფლების დაცვასა და საერთო ინტერესებს შორის.** მართალია, კანონმდებელს არა აქვს უფლება უყურადღებოდ დატოვოს მოსარგებლის ინტერესები, მაგრამ **დაუშვებელია ერთი პირის უფლების დაცვის მოტივით მეორის უფლებათა დარღვევა.** ყველა შემთხვევაში დაცული უნდა იყოს თანაზომიერების პრინციპი. ეს ნიშნავს იმას, რომ **სახელმწიფომ უნდა დაადგინოს ისეთი სამართლებრივი ნებსრიგი, რა დროსაც საკუთრების უფლება დაიტვირთება მინიმალურად და თავის თავს გამოავლენს მაქსიმალური სახით**“¹⁰⁴.

სასამართლომ საკუთრების უფლების შელახვად მიიჩნია ის შემთხვევა, როცა მესაკუთრეს ფაქტობრივად უხდება მოსარგებლისაგან თავისი ბინის გამოსყიდვა. კანონმდებელმა არ გაითვალისწინა ის, რომ **შეუძლებელია საკუთარი ნივთის ყიდვა.**

102. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რჩეული გადანყვეტილებანი, ტ. II, თბ., 2003, გვ. 261.

103. ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ზუბუა. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 21-ე მუხლის კომენტარი (ლევან იზორია), თბ., 2005, გვ. 151-152.

104. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები, ტ. II, თბ., 2003, გვ. 122.

წმ. მოთხოვნის უფლებაზე საკუთრების კონსტიტუციური გარანტიები

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის მიერ განხილულ საქმეში “სააქციო საზოგადოებები — “საქგაზი” და “ანაჯგუფი” (ყოფილი “თბილგაზოაპარატი”) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” **პირველად წამოიჭრა საკითხი მოთხოვნის შეუსრულებლობის შედეგად საკუთრების კონსტიტუციური უფლების დარღვევის თაობაზე**. საქმე იმას, რომ მოსარჩელებს ჰქონდათ სასამართლო გადაწყვეტილებებით აღიარებული მოთხოვნის უფლებები, რომელთა შესრულებასაც გზა გადაუკეტა “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” კანონის 2¹ მუხლმა იმით, რომ ნორმატიულად აიკრძალა გადახდევინების მიქცევა ქონებაზე, რომელიც სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა მთლიანად ან ნაწილობრივ. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ **საკუთრების უზრუნველყოფა და დაცვა ეხება არა მარტო ფიზიკურ ნივთებზე საკუთრებას, არამედ მოთხოვნის უფლებებზე საკუთრებასაც**. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ითქვა: “მოსარჩელებს გააჩნიათ კონკრეტული სუბიექტების მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული მოთხოვნები, რომელთა უზრუნველყოფასაც აბრკოლებს სადავო ნორმა. მოთხოვნის უფლებაზე საკუთრება აღიარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. ამ სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საკუთრების ცნებას ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის პირველ ნაწილში აქვს ავტონომიური მნიშვნელობა. იგი არ გულისხმობს მარტოდენ ფიზიკურ ნივთებზე საკუთრების უფლებას და ზოგიერთი სხვა უფლებები და სარგებელი, რომლებიც ქმნიან ქონებას, მაგალითად, მოთხოვნის უფლება, ასევე შეიძლება განხილული იქნეს, როგორც საკუთრების უფლება”¹⁰⁵.

ყველაზე პარადოქსული ის არის, რომ სახელმწიფო „შეშფოთებულია“ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებით. პროცესზე წარმოდგენილი ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, სადავო ნორმის გაუქმების საკითხიც კი დამდგარა, მაგრამ იგი იმიტომ შენარჩუნებულა, რომ ადგილი ჰქონია კრედიტორთა „მიზანმიმართულ და პერმანენტულ მცდელობებს“ იძულებითი აღსრულების თაობაზე. იმის მაგივრად, რომ სახელმწიფოს ხელი შეეწყოს აღსრულებისათვის, კანონიც კი მიუღია საიმისოდ, რომ ეს არ მომხდარიყო და სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებანი არარად ექცია.

105. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, N4, გვ. 166.

ყოველივე ეს ვერ ჯდება სახელმწიფოებრივ აზროვნებაში, ვინაიდან ასეთი მიდგომით სახელმწიფო გამოდის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ამგვარი სამართალშემოქმედებით მთელი სამოქალაქო ბრუნვა თავდაყირა დგება და სასამართლოსადმი მიმართვაც აზრს კარგავს. **სამწუხაროა, რომ კანონმდებელს ერთი ხელის დაკვრით შეუძლია აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს არსებობისა და ძლიერების ფუძემდებლურ პრინციპებს. სწორედ ამასთან დაკავშირებით ითქვა გადაწყვეტილებაში:** „...სადავო ნორმის მიღებით გამოწვეული სინამდვილე აკნინებს სამოქალაქო ბრუნვის იმ ფუძემდებლურ პრინციპს, რომლის თანახმადაც ვალდებულება უნდა შესრულდეს. შესრულებას აზრი დაეკარგებოდა, თუკი არ იქნებოდა გარანტირებული მისი დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის იძულებით რეალიზაცია. მიუღებელია ისეთი მდგომარეობის შექმნა, როცა უფლება ფორმალურად აღიარებულია, მაგრამ გაუმართლებლადაა გართულებული მისი რეალიზაცია — მით უმეტეს, როცა საქმე შეეხება სასამართლოს მიერ აღიარებულ უფლებას. დაუშვებელია, როდესაც უფლება აღიარებულიცაა და იმავდროულად უარყოფილიც. ფუნდამენტური უფლებებისადმი ასეთი დამოკიდებულება აბრკოლებს სამოქალაქო ბრუნვას, რაშიც თავის სერიოზულ გამოვლინებას პოულობს საკუთრების კონსტიტუციით აღიარებული უფლება“¹⁰⁶.

სადავო ნორმა ერთმანეთს უპირისპირებს საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას. იმის ნაცვლად, რომ კანონმდებელმა პატივი სცეს სასამართლო გადაწყვეტილებას, ფაქტობრივად მისი შეუსრულებლობისაკენ მოუწოდებს ბრუნვის მონაწილეებს და ამით ძირს უთხრის სამართლებრივ ნებსრიგს.

სასამართლომ კონსტიტუციის 21-ე მუხლის დარღვევა 42-ე მუხლის დარღვევასთან ერთად ახსნა. კერძოდ, გადაწყვეტილებაში ჩაინერა: „...21-ე მუხლის დარღვევა პირდაპირ კავშირშია კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებასთან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული პრეცედენტია, როცა სასამართლოსადმი მიმართვაში გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულებაც ივარაუდება. მართლაც, ყოველგვარი აზრი ეკარგება უფლების, მით უფრო — დარღვეული უფლების ნებისმიერ დონეზე აღიარებას, თუკი არ მოხდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება... შეიძლება ითქვას, რომ უფლების რეალიზაცია - აღსრულებაშია ამ უფლების რეალური (ნამდვილი) შინაარსი. სხვანაირად, ნებისმიერი უფლება მარტოოდენ დეკლარაციულ ხასიათს შეიძენდა. უფლებისადმი

106. იქვე, გვ. 168.

ამგვარი დამოკიდებულება ბევრს ავალდებულებს სახელმწიფოს, რომელმაც თავი დააღწია კომუნიზმის მარნუხებს და დემოკრატიისა და თავისუფლების გზას დაადგა¹⁰⁷.

აღნიშნული იმის შეგონებაცაა, რომ *კანონმდებელს არა აქვს უფლება, სამოქალაქო ცხოვრების დინების სანინალმდეგოდ მოქმედებდეს. კანონმდებელი გავლენას ახდენს ცხოვრებაზე, მაგრამ თავად არ ქმნის ამ ცხოვრებას. არ შეიძლება კანონმდებელმა სამოქალაქო ბრუნვისაგან გაუცხოებული წესებით ცხოვრება მოსთხოვოს ბრუნვის ამ მონაწილეებს. კანონმდებელს არ უნდა შეექმნას იმის ილუზია, რომ რასაც იგი იტყვის, მხოლოდ ის იქნება სამართალი. არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ კანონმდებელი კი არ ქმნის სამართალს, არამედ მისი არსებობის ფორმას იგონებს.*

§9. ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრების გამიჯვნა (საკუთრების სუბიექტის განსაზღვრა)

სამართლის სუბიექტების უფლებათა გამიჯვნა ერთ-ერთი სერიოზული საკითხია სასამართლო პრაქტიკაში. ერთი შეხედვით, ეს უმარტივესი რამაა, მაგრამ ცხოვრება გვეუბნება, რომ მთლად ასე არ არის საქმე. ადამიანებს, რომლებიც რომელიმე საზოგადოებაში არიან გაერთიანებული, ჰგონიათ, რომ ამ საზოგადოების უფლებები მათი უფლებებია. რა თქმა უნდა, მათი უფლებების შინაარსი ბევრადაა დამოკიდებული ორგანიზაციის უფლებებზე, მაგრამ მათ შორის იგივეობას ნამდვილად არა აქვს ადგილი. ერთი პირის მიერ დაფუძნებულ საზოგადოებაზეც კი ვერ ვიტყვით, რომ უფლებრივად დამფუძნებელი და საზოგადოება ერთი და იგივეა. ამ ფაქტის სანიმუშოდ შეიძლება მოვიტანოთ, საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 25 ივლისის (N1/14/335) განჩინება „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეას“ სარჩელთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“. სასამართლომ ამ განჩინებაში დააფიქსირა შემდეგი დებულება: „...არ შეიძლება „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“, როგორც იურიდიული პირისა და მისი წევრების უფლებების ერთმანეთთან გაიგივება. ყოველი სუბიექტი მხოლოდ თავისი უფლებების მატარებელია“¹⁰⁸.

სასამართლომ სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების პროცესში კარგად უნდა გამოარკვიოს კონსტიტუციით აღიარებული **უფლების სუბიექტი და ამის შემდგომ უნდა გადანყვიტოს სარჩელზე უფლებამოსილების**

107. იქვე, გვ. 168.

108. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, N4, გვ. 155.

საკითხი. პრაქტიკულად ეს მართლაც ასე ხდება, მაგრამ ზოგიერთი გადაწყვეტილება ამ მხრივ საჭოჭმანოდ გამოიყურება და მოსარჩელე არაუფლებამოსილი პირის შთაბეჭდილებას ტოვებს.

პირველივე გადაწყვეტილება, რომელიც საკუთრებისა და თავისუფალი მენარმეობის კონსტიტუციურ უფლებასთან დაკავშირებით მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ, ეხებოდა სწორედ, რომ იურიდიული პირის საკუთრებას. მეორე კოლეგიის 1996 წლის 30 ოქტომბრის N2/1-7 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად ჩაითვალა ქ. ფოთის მერის 1996 წლის 9 აგვისტოს N452 განკარგულება „ქ. ფოთის სამეგრელოს ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე ნავთობგადამტვირთავი ტერმინალის მშენებლობის კანონიერების შესახებ“. მოსარჩელედ, მოქალაქე, კერძოდ, შპს „კოლხის“ დამფუძნებელი თენგიზ სუდაძეა დასახელებული, სინამდვილეში კი საქმე ეხება შპს-ის საკუთრებას. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიც იურიდიული პირის საკუთრების დარღვევაზე ამახვილებს ყურადღებას. როგორც ჩანს, სასამართლომ ვერ გაბედა მოსარჩელედ შპს „კოლხი“ დაესახელებინა. არც შემოვლითი გზისათვის არსებობს სამართლებრივი საფუძველი. დამფუძნებელს შპს-თან საკუთრების წილში მხოლოდ წილზე უფლება აკავშირებს. მაგრამ სხვაა შპს-ის საკუთრება და სხვა დამფუძნებლის (პარტნიორის) საკუთრება. **კონსტიტუციით კი ყოველი პირი უფლებამოსილია, დაიცვას მხოლოდ თავისი საკუთრება,** ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. სასამართლო უფრო გაბედული რომ ყოფილიყო მოსარჩელედ პირდაპირ შპს „კოლხს“ დაასახელებდა, მაგრამ ეს იმ დროისათვის, მაინც მოსარჩელეთა მხრიდან გაკეთებული სერიოზული ნაბიჯი იყო, რომელიც პირდაპირ კონსტიტუციისაკენ მიდიოდა¹⁰⁹.

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ საქმეში „ირაკლი ტულუში, ლონდა სიხარულიძე და სხვები საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, რომელიც პროფკავშირების საკუთრებას ეხებოდა, გაიზიარა მოსარჩელის, ვფიქრობთ, მცდარი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ეს საკუთრება მისი საკუთრებაცაა და სარჩელი მიიღო არსებითად განსახილველად. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მოქალაქეებს, როგორც პროფკავშირების წევრებს „...პროფკავშირული ქონების მიმართ ... პროფკავშირების სხვა წევრებთან ერთად აქვთ საკუთრების უფლება“¹¹⁰. ამის საბუთად სასამართლო იმონმებს „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 2 აპრილის კანონის 22-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმადაც, „პროფესიული კავშირი, პროფესიული კავშირების გაერთიანება (ასოციაცია) საკუთარი წესდების შესაბამისად

109. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 1996-1997, თბ., 2002, გვ. 5.

110. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 1998-1999, თბ., 2002, გვ. 53.

ფლობენ, სარგებლობენ და განკარგავენ მათ მიერ შექმნილ ქონებას და ფულად სახსრებს...” აქედან კი აშკარად ჩანს, რომ საქმე ეხება იურიდიული პირის საკუთრებას და არა მისი წევრების საკუთრებას. სასამართლოს გადაწყვეტილებიდან, ნებით თუ უნებლიეთ, გამოდის, რომ პროფკავშირების საკუთრება მისი წევრების საკუთრებაა, როგორც ამას ამტკიცებს მოსარჩელე. ეტყობა, სასამართლოს ასეთი დამოკიდებულება იმითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ გადაწყვეტილების მიღების დროისათვის (1998 წლისათვის) იურიდიულ პირებს არ ჰქონდათ უფლება, სარჩელი შეეტანათ საკონსტიტუციო სასამართლოში.

ფიზიკური და იურიდიული პირის საკუთრების გამიჯვნის საკითხი დადგა საქმეში „მოქალაქე გიორგი ყორღანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“¹¹¹. მოსარჩელე მოითხოვდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის იმ დებულების გაუქმებას, რომლის თანახმადაც: „პარტიის აკრძალვის ან თვითლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა სახელმწიფოს ხაზინას“. სარჩელი არ დაკმაყოფილდა მოსამართლეთა ხმების გაყოფის გამო. სასამართლოს არც მტკიცებულებები შეუფასებია იმ მოტივით, რომ არსებითი განხილვის სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსამართლეთა ერთი ნაწილი იზიარებდა მოპასუხე მხარის პოზიციას, რომელიც, ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს იურიდიული პირისა და მისი წევრების საკუთრების გამიჯვნის თვალსაზრისით. კერძოდ, მოპასუხის წარმომადგენლის გამოსვლიდან ჩანს, რომ სადავო ნორმა არ შეეხება ფიზიკური პირის - გიორგი ყორღანაშვილის საკუთრებას. კერძოდ, მისი აზრით: „პოლიტიკური გაერთიანების წევრობა მოქალაქის პირადი, პოლიტიკური ხასიათის უფლებაა და იგი არ არის ქონებრივ უფლებებთან უშუალო კავშირში. ...პარტიას როგორც იურიდიულ პირს აქვს დამოუკიდებელი ქონება და ეს ქონება არც ერთ შემთხვევაში არ უკავშირდება წევრთა პირად ქონებას. პარტია, როგორც იურიდიული პირი, ამ ქონების მესაკუთრეა. თავად პარტია კი არავის საკუთრება არ არის, არც დამფუძნებლების და არც სხვა წევრების და ამდენად, „მესაკუთრის“ ცნების გამოყენება იურიდიული პირის მიმართ სამართლებრივი თვალსაზრისით არამართლზომიერია ...პარტიის წევრები არ ინარჩუნებენ საკუთრების უფლებას საწევრო შენატანებზე, პარტიისათვის გადაცემულ ქონებაზე, პოლიტიკური პარტიის არც ერთ წევრს არა აქვს საკუთრების უფლება პარტიის კუთვნილი ქონების ნიღზე გაერთიანებიდან გასვლის შემთხვევაშიც კი . . . კანონმდებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია პოლიტიკური პარტიის აკრძალვის ან

111. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2000-2001, თბ., 2003, გვ. 50-53.

თვითლიკვიდაციის შემთხვევაში დარჩენილი ქონება, როგორც უპატრონო გადაეცეს სახელმწიფოს¹¹².

აღარ ვთვლით მიზანშეწონილად მოპასუხე მხარის წარმომადგენლის მიერ გამოთქმული სხვა დებულებების გადმოცემას. მართალია, არის მის შეხედულებებში მიუღებელი აზრებიც, მაგალითად, თუნდაც ის, რომ, თურმე პარტიის წევრები, როცა ქონებას გადასცემენ პარტიას, ეს არის სახელმწიფო ბოჭვა. სინამდვილეში **სახელმწიფო ბოჭვა სულაც არ აუქმებს საკუთრებას. იგი გულისხმობს ჩემი საკუთრების ჩემივე ნებით ხელმწიფოების ფარგლებში ბოჭვას.** ასეთია ქირავნობა, იჯარა და ა.შ. აქ კი რა ბოჭვებზეა საუბარი, როცა პარტიის წევრებმა ქონება გადასცეს პარტიას. არ ვაპირებ, მოპასუხის წარმომადგენლის შეხედულებათა ანალიზს. რაც ყველაზე მთავარია, მასში არის მცდელობა, გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან იურიდიული პირისა და მისი წევრების საკუთრება.

ფიზიკური და იურიდიული პირის საკუთრების გამიჯვნას ეხება სასამართლოს პირველი კოლეგიის 2001 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება (N1/3/113) საქმეზე: „მოქალაქეები — ლევან შარაშენიძე, დავით ნიკლაური, თენგიზ გაჩეჩილაძე და თენგიზ ჩხაიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“¹¹³. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლეთა ერთმა ნაწილმა ისე მკვეთრად არა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა „პროფკავშირების“ საქმეში, მაგრამ მაინც აღიარა „დოსააფის“ ქონებაზე მისი წევრების საკუთრების უფლება. ეს კი ჩანს შემდეგი დებულებებიდან: „დოსააფის“ როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქონების შექმნაში წესდების შესაბამისად, მონაწილეობდნენ მისი წევრები, როგორც სანევრო შენატანებით, ისე მათი საქმიანობით. ...საქმის მასალებით აშკარად, თვალსაჩინოდ დასტურდება, რომ ისინი განსაზღვრულ ფარგლებში ფლობდნენ, სარგებლობდნენ და მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით განკარგავდნენ ქონებას. „დოსააფის“ ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქონება ნაწილობრივ მაინც უმალლესი ორგანოს (ცენტრალური კომიტეტის) გადაწყვეტილებით, გარკვეული წესით, „დოსააფის“ წევრებზეც შეიძლება გადანაწილებულიყო პრივატიზაციის ანალოგიურად“¹¹⁴.

„დოსააფის“ წევრებზე ქონების გადანაწილება რახან არ არის პრივატიზაცია და მხოლოდ მისი ანალოგიურია, გამოდის რომ ეს ქონება „დოსააფის“ წევრების საერთო საკუთრებაა. ვფიქრობთ, რომ საკუთრების ბუნებისადმი ასეთი დამოკიდებულება საფუძველს მოკლებულია. „დო-

112. იქვე, გვ. 51-52.

113. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2001, N4, გვ. 97-110.

114. იქვე, გვ. 105.

სააფის” ქონების შექმნასა და მართვაში მონაწილეობა არ უნდა ნიშნავდეს, რომ მის წევრებს ამ ქონებაზე საკუთრების უფლება გაუჩნდათ. ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრების გამიჯვნის საკითხს სწორად უნდა პასუხობდეს მოსამართლეთა სხვა ნაწილის პოზიცია, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: „ყოფილი „დოსააფის” ქონებაში მისი წევრების საკუთრებითი უფლებამოსილების საბუთად ვერ გამოდგება იმაზე მინიშნება, რომ „დოსააფის” ქონების შექმნაში დიდი იყო სანეწრო შენატანების როლი, ან კიდევ ის, რომ „დოსააფის” წევრები იყენებდნენ მის ქონებას, სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდნენ ამ ქონების მართვა-გამგებლობაში. უნდა ითქვას, რომ მოსარჩელეთა და „დოსააფის” სხვა წევრთა მხრიდან ამ ორგანიზაციის ქონებით სარგებლობის საფუძველს წარმოადგენდა არა მოცემულ ქონებაზე საკუთრების, კერძოდ, საერთო საკუთრების უფლება, არამედ „დოსააფის”, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრობის უფლება, რომლის შექმნის ერთ-ერთი პირობა იყო სანეწრო შენატანების გადახდა. „დოსააფი” წარმოადგენდა საკუთრების უფლების დამოუკიდებელ სუბიექტს და მოსარჩელები, როგორც ამ ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მონაწილეობდნენ სწორედ რომ სხვისი საკუთრების მართვა-გამგებლობაში”¹¹⁵.

სასამართლოს თავიდანვე რომ გაეზიარებინა ეს პოზიცია, მაშინ შეიძლება არც კი დამდგარიყო სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი. ამასთან დაკავშირებით, საფუძველს მოკლებული მეჩვენება იმაზე მითითება, რომ „... საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლება არ გააჩნია იურიდიულ პირს და იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელები ცნობილი არ იქნებიან უფლებამოსილ სუბიექტებად, საერთოდ დაუცველი რჩება მილიონობით ადამიანის უფლება”.

სამეწარმეო იურიდიული პირის, კერძოდ, შპს კაპიტალში დამფუძნებელთა მიერ შეტანილ ქონებაზე მესაკუთრის ვინაობის გარკვევას ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მე-2 კოლეგიის 1998 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „იური კირაკოსიანი, სპირიდონ ვართანიანი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”. მოქალაქეები სადავოდ მიიჩნევდნენ „მეწარმეთა შესახებ” კანონის 46-ე და 47-ე მუხლებს იმ მოტივით, რომ, მათი აზრით, ამ ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, უფლება აღარ აქვთ, თავისუფლად განკარგონ შესატანები, რომლებიც განახორციელებს მათ სანარმოში. ვფიქრობ, რომ **სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე უნდა გამოერკვია შესატანის მესაკუთრე და შემდეგ გადაეწყვიტა სარჩელის მიღება-არმიღების საკითხი.** თუკი სასამართლო

115. იქვე, გვ. 104-105.

დაადგენდა, რომ შესატანი საწარმოს საკუთრებაა, რაც შემდგომ, არსებითი განხილვისას, კიდევ გაირკვა, მაშინ არც სარჩელის მიღება მოხდებოდა. ის, რაც სპეციალისტებმა აღნიშნეს პროცესზე, ეს სასამართლოს თავად უნდა სცოდნოდა. თუკი სასამართლო დაადგენდა, რომ მოსარჩელები არ არიან მესაკუთრეები შპს-ში განხორციელებული შესატანისა, მაშინ საფუძველი გამოეცლებოდა დავას. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს ერთ-ერთი სპეციალისტის, კერძოდ, პროფესორ ლადო ჭანტურიას დასკვნა, რომელშიც ნათქვამია: „...მესაკუთრეთა კონსტიტუციური უფლების დარღვევაზე საუბარი აქ სრულიად უადგილო და დაუსაბუთებელია. მას შემდეგ, რაც შპს-ის დამფუძნებლებმა ქონება გადასცეს შპს-ს, ამ ქონების მესაკუთრე არის შპს“. ფაქტობრივად, სპეციალისტმა **21-ე მუხლთან მიმართება უსაფუძვლოდ მიიჩნია**. დაახლოებით ანალოგიური პოზიცია მექონდა მეც, როგორც ამ საქმეზე მოწვეულ სპეციალისტს.

სასამართლო მთლიანად დაემყარა სპეციალისტების მოსაზრებებს და სამოტივაციო ნაწილში აღნიშნა ის, რაც განმწესრიგებელ სხდომაზე უნდა გარკვეულიყო. „შპს, რომელიც ნებაცხოვრებით ყალიბდება, თვითონ ხდება შეტანილი ქონების მესაკუთრე და მას ისევე იცავს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, როგორც ნებისმიერ ფიზიკურ პირს (ეს საკითხი სარჩელში არ იდგა — ბ.ზ.). ქონება, რომელიც პარტნიორებმა შეიტანეს საზოგადოებაში, არ ქმნის მათ საერთო საკუთრებას და ამ ქონებაზე არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით საერთო საკუთრებისათვის დადგენილი ნორმები. **იურიდიული პირის ქონება, იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის საკუთრებაა და არა მისი დამფუძნებლების ან მასში მონაწილეების**“¹¹⁶. ამასთან, სასამართლომ სწორად აღნიშნა, რომ პარტნიორებს უფლება აქვთ, თავისუფლად განკარგონ თავიანთი წილი, კერძოდ, გაასხვისონ ან მემკვიდრეობით გადასცენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა ამისი გამორკვევა არ ყოფილა. მაგრამ, რადგანაც სასამართლომ მიიღო სარჩელი, სრულიად ლოგიკურია, რომ სადავო ნორმა შეეფასებინა 21-ე მუხლთან მიმართებით. ასეთი შეფასება მიღებულია ევროპულ სამართალში. კერძოდ, გერმანელი კონსტიტუციონალისტების აზრით, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს საწარმოს საკუთრება წილზე საკუთრებისაგან. საწარმოს (მენარმის) საკუთრება ისევე დაცულია, როგორც ფიზიკური პირის საკუთრება. თუკი ჩვენ საწარმოს (მენარმის) საკუთრებას გავაიგივებთ წილის მესაკუთრეთა საკუთრებასთან, მაშინ მოხდება საზოგადოების საკუთრების იგნორირება, რაც ძირითადი კანონის მე-19 მუხლის

116. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები (1998-1999), თბ., 2002, გვ.31-34.

სანინალმდეგოა. აქციონერს საკუთრების უფლება გააჩნია აქციებზე. იგი არ არის სანარმოს მესაკუთრე¹¹⁷.

„აქციაზე“ საკუთრების დაცვის საკითხს ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 21 დეკემბრის N2/85/1 გადაწყვეტილება. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელებს შეუძენიათ შპს „ნინანდლის“ აქციებზე საკუთრების უფლება. შემდეგ კი ისევ სახელმწიფოს, კერძოდ, პრეზიდენტის ბრძანებულებით ჩამოურთმევია. ერთ-ერთი მოსამართლის განსხვავებულ აზრში მითითებულია, რომ „...აქცია წარმოადგენს საკუთრების ობიექტს და იგი დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით. დაუშვებელია აქციის, როგორც საკუთრების შექმნის, გასხვისებისა ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება საკანონმდებლო წესით“. მნიშვნელოვანი ის არის, რომ აქვეა მცდელობა იმისა, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს აქციონერის საკუთრება თავად სანარმოს საკუთრებისაგან. მართალია, წინააღმდეგობრივად (შეიძლება ერთი-მეორის გამომრიცხავი მსჯელობით), მაინც ნაჩვენებია, რომ, როცა კერძო სანარმოთა ორგანიზაციული ფორმა უქმდება და მის ადგილზე სახაზინო სანარმო იქმნება, ეს მანიშნებელია არა მარტო „წილზე“ საკუთრების უფლების შელახვისა, არამედ თავად შპს-ის, როგორც იურიდიული პირის საკუთრების შელახვისა. ასეთი შელახვა საკუთრების ჩამორთმევის გამოსახტულება უნდა იყოს. განსხვავებულ აზრში ვკითხულობთ:

„საკუთრების კონსტიტუციური დაცვის საგანი დასახელებულ შემთხვევაში არის არა სანარმოს ქონებისათვის განკუთვნილი ნივთები და უფლებები, არამედ სააქციო საზოგადოების წევრობა, რომელიც დასტურდება აქციით. სააქციო საზოგადოება იმ ქონების მესაკუთრეა, რომელიც მის ბალანსზეა, ამიტომ კონსტიტუციის 21-ე მუხლი ვრცელდება სააქციო საზოგადოებაზეც, როგორც ქონების მესაკუთრეზე“¹¹⁸.

§10. საკუთრების უფლება და არასაკუთრებითი უფლებები

სასამართლოების წინაშე სერიოზულად დგას საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა კონსტიტუციის 21-ე მუხლის გამოყენებით, საკუთრების გარდა, სხვა სანივთო უფლებების დაცვა. უფრო მეტიც, ამ თვალსაზრისით საინტერესო ხდება სახელმეკრულებო უფლებების დაცვის საკითხიც. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე პირობებში საკუთრების უფლება იმდენად „გამოიშინა“ სხვა ქონებრივი უფლებებით, რომ ეს უკანასკნელნი მეტო-

117. Leisner, Walter. Eigentum: Schriften zu Eigentumsgrundrecht... S. 131.

118. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები (1998-1999), თბ., 2002, გვ. 121.

ქეობასაც კი უწევნ მას. გერმანიის კონსტიტუციაში ჩადებული დებულება - „საკუთრება ავალდებულებს“ — თანდათანობით ვრცელდება სხვა ქონებრივ უფლებებზე. **მეცნიერები დღეს ხაზგასმით ლაპარაკობენ ადამიანის ქონებრივი უფლებების განვითარების ტენდენციებზე.** ხშირად ამას შედეგად საკუთრების უფლების არნახული შეზღუდვები მოსდევს.

გავიხსენებთ „უზუფრუქტთან“ დაკავშირებულ დავას, რაც, სამწუხაროდ, სარჩელზე უარის თქმის მოტივით შეწყდა. საქმე მდგომარეობდა შემდეგში: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი იყო, რომ აკადემიის, როგორც უზუფრუქტუარის მიერ იჯარით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავალი (ქირა), ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. ვინაიდან აქ ადგილი არ ჰქონდა საკუთრების უფლებას, მოსარჩელემ არ ჩათვალა საჭიროდ მისი კონსტიტუციურობის შემოწმება კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით. მიინდა გავიხსენო, რომ უზუფრუქტთან დაკავშირებით, აღნიშნულ საკითხზე სარჩელის შემოტანამდეც სერიოზული დავები ყოფილა. მე ახლაც მიმაჩნია, რომ მსგავსი საკანონმდებლო ნორმები პრინციპულად ეწინააღმდეგება ამ ინსტიტუტის ბუნებას და არც სანივთო უფლებათა არსებობის სივრცეში თავსდება. უზუფრუქტუარს ესპობა საკუთრების შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა, როგორცაა იჯარის გზით საიჯარო ქირის მიღების შესაძლებლობა. ეს მანიშნებელი უნდა იყოს 21-ე მუხლით გათვალისწინებული საკუთრების შექმნის უფლების ხელყოფისა.

21-ე მუხლი არ შეიძლება განვიხილოთ სხვა უფლებებისაგან მოწყვეტილად. **დაცვის ქვეშ უნდა მოექცეს ის უფლებებიც, რომლებიც საკუთრების არსებობის გამოხატულებას წარმოადგენენ** (მხედველობაში მაქვს სახელშეკრულებო უფლებები) და ისინიც, რომლებიც საკუთრებიდან აღმოცენდნენ (სანივთო უფლებები). **უფლებათა ევოლუციური გზა მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ბრუნვის თავისუფალი მონაწილე არ არის აუცილებელი იყოს მესაკუთრე.** ასეულობით მილიონი ადამიანი ამ თავისუფლებას საკუთრების გარეთ ნახულობს და საქმე იქამდეც მიდის, რომ ფუნქციურად საკუთრების **გლობალური განსაზოგადოება ხდება.**

მფლობელობის ცალკეული შემთხვევების დაცვის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება შეიმჩნევა, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, ისე საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკაშიც. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 1993 წლის 26 მაისის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ **„დამქირავებლის მფლობელობის უფლება დაქირავებულ ბინაზე არის საკუთრება, ძირითადი**

კანონის მე-14 მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით¹¹⁹. ანალოგიურად უნდა გავიგოთ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩადებული დებულება. აღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დამქირავებელი ქონების მესაკუთრე ხდება. მფლობელობაზე საკუთრება გულისხმობს ქირავნობაში მოაზრებულ უფლებებზე დამქირავებლის საკუთრებას. ყოველივე ამას კარგად გამოხატავს სიტყვა „ეკუთვნის“, რაც ისევე დაცული, როგორც ნივთზე მესაკუთრის უფლებები. ამრიგად, დამქირავებლის საკუთრება არსებობს ვალდებულებითი უფლებების სივრცეში და მისი არსებობის ხანგრძლივობაც ამით არის განსაზღვრული. ყოველივე ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ კონსტიტუციურ-სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, საკუთრებაში არ მოიაზრება ქონების მხოლოდ სამისდღემშიო მფლობელობა. **დროებითი მფლობელობაც შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საკუთრება და, შესაბამისად, კონსტიტუციურად დაცვის უნარიანი ფასეულობა.**

სასამართლოების აღნიშნული მიდგომა განპირობებული უნდა იყოს თავად ქირავნობის უფლების იმ შინაარსითაც, რაც მას დღეს მოქმედი კანონმდებლობით გააჩნია. პირველ რიგში, მხედველობაშია დამქირავებლის და მესაკუთრის ურთიერთდამოკიდებულება. იმდენად ფართო და ძლიერია დამქირავებლის უფლებები, რომ ზოგჯერ მესაკუთრეც კი უძღურია, გაუმკლავდეს მას, თუ საამისოდ არ ექნება ერთობ ძლიერი, სამართლებრივად მნიშვნელოვანი საფუძვლები.

კონსტიტუციის 21-ე მუხლის ქირავნობის უფლებაზე გავრცელებით საფუძველი ეყრება “ზექირავნობის უფლების“ ჩამოყალიბებას.

ამრიგად, საკუთრების კლასიკური ინსტიტუტის გვერდით, სასამართლოები ცნობენ შეზღუდული სანივთო უფლებებისა თუ ვალდებულებითი უფლებების კონსტიტუციურ-სამართლებრივ დაცვას როგორც საკუთრებისას. შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოები იცავენ სახელმწიფოს ჩარევისაგან არა მარტო საკუთრებას სტატიკურ მდგომარეობაში, არამედ საკუთრებას დინამიურ მდგომარეობაში. ამიტომაცაა რომ, თუკი საფრთხე შეექმნება აღნაგობის უფლებას, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის გამოყენებით მოხდება მისი დაცვა. აღნაგობის უფლება მეაღნაგის საკუთრებაა და მისი დაცვა ისევე გარანტირებულია, როგორც იმ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება, რომელზედაც არსებობს მოცემული შეზღუდული უფლება. ქირავნობაც და იჯარაც ასეთივე დაცვის ქვეშ მოექცევიან. ყველა ამ შემთხვევაში საკუთრების შინაარსი უფლებით სარგებლობაშია. არ არსებობს სარგებლობა, არც აღნიშნული უფლებები არსებობენ. სარგებლობა აქ უფლების ერთ-ერთი ელემენტი კი არ არის,

119. BVerfGE 89,1, Leitsatz 1.

როგორც ეს საკუთრების კლასიკური გაგების შემთხვევაში გვაქვს, **არამედ თვით სარგებლობაში ვლინდება საკუთრება**. გერმანელი კონსტიტუციონალისტები, როგორც ჩანს, ამ გარემოებებს იღებენ მხედველობაში, როდესაც კონსტიტუციური დაცვის საგნად მიიჩნევენ ორი სახის საკუთრებას: „განკარგვითი საკუთრება“ („Verfügungseigentum“) და „სარგებლობითი საკუთრება“ („Nutzungseigentum“)¹²⁰.

აქედან ჩანს, რომ საკუთრების დაცვით, კონსტიტუცია იცავს სარგებლობის ქვეშ მოაზრებული უფლებების შინაარსს და ამ თვალსაზრისით, დაცვის საგანი ხდება ხელშეკრულების თავისუფლება, რომელიც საკუთრების თავისუფლების გამოვლენის ბრწყინვალე ფორმაა. დამქირავებლის დაცვით კონსტიტუცია იცავს არა მარტო სარგებლობით საკუთრებას, არამედ განკარგვით საკუთრებასაც.

§11. ქონების კონფისკაციის კონსტიტუციურობის შესახებ

საკუთრების დაცვის სფეროში მიღებული გადანყვეტილებებიდან კონსტიტუციონალისტები საგანგებოდ გამოყოფენ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 1997 წლის 21 ივლისის გადანყვეტილებას ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე. რაიონული სასამართლო ითხოვდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე და 96-ე მუხლებში დამატებით სასჯელად შემოღებული „ქონების კონფისკაციის“ გაუქმებას კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით.

სასამართლომ სწორად გააუქმა სადავო ნორმა, ოღონდ კონფისკაციის საერთო შეფასებაში არ იყო თანმიმდევრული, ვინაიდან მიიჩნია, რომ „ქონების კონფისკაციის დაკანონება ... საკუთრების უფლების დაუცველობის გამოვლენაა“¹²¹. შეიძლება სასამართლოს არ სურდა ამის თქმა და მეც მგონია, რომ ეს ასეცაა, მაგრამ მოტივაციის შინაარსი სამწუხაროდ ასე გამოიყურება.

კონფისკაციის შეფასებისას უდავოდ მხედველობაშია მისაღები ამ საქმეზე მოწვეული სპეციალისტის - პროფესორ ლადო ჭანტურიას აზრი, რომლის თანახმადაც **„მთლიანად კონფისკაცია კი არ არის კონსტიტუციის სანინაამლდეგო, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მისი გავრცელება მსჯავრდებულის მთელ ქონებაზე ... კონსტიტუციის სანინაამლდეგო შეიძლება იყოს მისი შინაარსი, უფრო ზუსტად, კონფისკაციის გავრცელების ფარგლები,**

120. Maunz - Dürig. Grundgesetz. Kommentar. Band II. Art. c-16 a. Kom. zum Art. 14. Verlag - C. H. Beck, 2005, S. 58-59.

121. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები, (1996-1997), თბ., 2002, გვ. 86.

ანუ რამდენად კონსტიტუციურია კონფისკაციის გავრცელება მსჯავრდებულის მთელ ქონებაზე და არა მხოლოდ დანაშაულის საგანსა და იარაღზე”¹²².

სასამართლომ დამატებითი სასჯელის სახით ქონების კონფისკაცია მიიჩნია, არა მარტო დამნაშავის, არამედ მისი ოჯახის სანინალმდეგო მოქმედებადაც. კერძოდ, გადანყვეტილებაში ნათქვამია: „...ქონების კონფისკაცია თავისი შედეგებით არ შეესაბამება სასჯელის ინდივიდუალობის ძირითად პრინციპს, რადგანაც იგი ჩვეულებრივ მიმართულია არა მხოლოდ დამნაშავის, არამედ მისი უდანაშაულო ოჯახის წინააღმდეგ”¹²³.

აქვე მინდა გავისხენო ჩვენი ძველი ქართული სამართალი, რომელიც მკაცრად სჯის მტრის მხარეზე გადასულ მეომარს, მაგრამ ქონების კონფისკაციისათვის ვერ იმეტებს. ვახტანგის სამართლის წიგნის 220-ე მუხლში ჩანერილია: „თუ ხელმწიფეს ლაშქრიდამ კაცი წაუვიდეს და მტერს მიუვიდეს, და იმავ ხელმწიფეს დარჩეს, თავად ხელმწიფის მონყალებაზე კიდია, თუ არადა ფეხის მოკუეთა ჯერ არს. გაღარიბება და გახეიბრება ორივ არ არის“. ეტყობა, ამ შემთხვევაშიც ზემოთ აღნიშნული მოტივები უნდა ყოფილიყო ასეთი გულმონყალების გამოვლენის საფუძველი.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ კონფისკაციას, როგორც დამატებით სასჯელს, როდი უარყოფს ყველა ქვეყანა. კრიმინალისტების ნაწილი მას სრულიად მისაღებ მოვლენად მიიჩნევს. მათი აზრით, ეს სასჯელის სახეა და, მაშასადამე, იგი ყოველთვის დაკავშირებულია დანაშაულის ჩამდენ პირთან. **მოკლედ, დანაშაული ამართლებს დამატებით სასჯელსაც.** რაც შეეხება ოჯახის მიმართებას ამ ფაქტთან, მისთვის არა მარტო ეს უნდა იყოს მტკივნეული, არამედ ისიც, რომ თავისუფლების აღკვეთა შეეფარდება ამ ოჯახის ერთადერთ მარჩენალ პირს.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ქონების კონფისკაციაზე, რომლის სარგებლობა არის უკანონო და საშიში საერთო ინტერესებისათვის.

§12. საკუთრებაში კანონით ჩარევის გარანტიასთან დაკავშირებით

საკუთრების უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს ის, რომ საზოგადოებრივი ინტერესის მოტივით მასზე ზემოქმედება უნდა ხდებოდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ეს არის საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის იმპერატიული მო-

122. იქვე, გვ. 85.

123. იქვე, გვ. 87.

თხოვნა. აქედან ჩანს, რომ საკუთრებაში ჩარევა განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა და მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია მისი აუცილებლობის განსაზღვრა. სხვანაირად, საკუთრება ყველასათვის ხელნამოსაკრავ უფლებად იქცევა და დაკარგავს თავის დანიშნულებას საზოგადოებაში. **ეს ეხება, საკუთრების როგორც შეზღუდვას, ისე ჩამორთმევას.** ამ უკანასკნელ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებაცაა აუცილებელი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1997 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის დადგენილება, რომელიც ადგენდა მავნე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადს. არაკონსტიტუციურობა კი, სასამართლოს აზრით, მდგომარეობდა იმაში, რომ გადასახადი დადგენილი იყო კანონქვემდებარე აქტით და არა კანონით. ეს ის შემთხვევაა, როცა შეფასების საგანს არ წარმოადგენს თავად გადასახადის სამართლიანობა. სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „ადამიანის მოვალეობას — იხადოს გადასახადები და მოსაკრებლები, თან ახლავს სახელმწიფოს ვალდებულება, რომ ეს გადასახადები და მოსაკრებლები, სათანადო წესით, განსახილველ საქმესთან მიმართებით — კანონით დაადგინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გადასახადები ყოველთვის ხელყოფს საკუთრებას, მესაკუთრის იმ უფლებებს, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტითაა გარანტირებული“¹²⁴.

§13. საკონსტიტუციო სასამართლოს დამოკიდებულება საკუთრების ფორმების რეანიმაციასთან დაკავშირებით

ახალი ქართული კანონმდებლობა **საკუთრებას იცავს როგორც ერთიან და განუყოფელ კატეგორიას.** ამ თვალსაზრისით, არ არსებობს პრივილეგირებული საკუთრება. საკუთრების სუბიექტი უკვე აღარ ხდება სამართლებრივად სპეციფიკური საკუთრების (ფორმის) დაფუძნების წყარო. საქართველომ პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ერთ-ერთმა პირველმა თქვა უარი საკუთრების ფორმებზე და ეს მოხდა სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე.

ასეთი სინამდვილის პირობებში საკონსტიტუციო სასამართლოში 1998 წლის 11 მაისს შემოდის სარჩელი, რომლის ავტორიც მოითხოვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე და 96¹ მუხლების არაკონს-

124. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 1996-1997, თბ., 2002, გვ. 41.

ტიტუციურად ცნობას იმ მოტივით, რომ ისინი „სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ“ მიმართულ დანაშაულს მიჯნავენ „მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ“ მიმართული დანაშაულისაგან პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. კერძოდ, უფრო მკაცრად ისჯება პირი პირველი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ვიდრე მეორე შემთხვევაში. მოსარჩელის აზრით, ასეთ დაყოფას მაშინ ჰქონდა იდეოლოგიური და პოლიტიკური მნიშვნელობა, როდესაც სოციალისტური იდეოლოგიის მიხედვით, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონება სარგებლობდა უპირატესი დაცვის უფლებით¹²⁵.

ამ სარჩელზე სასამართლომ შეწყვიტა საქმე, რადგანაც სადავო ნორმები კანონმდებელმა ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანა. უნდა ვიფიქროთ, რომ **საქმე არსებითად რომ განხილულიყო, ალბათ თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწევდა მათი გაუქმება**. ამისი პრეცედენტი კონსტიტუციური კონტროლის პრაქტიკაში ყოფილა კიდეც. რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა სისხლის სამართლის კოდექსის ის ნორმა, რომელიც განსხვავებულად უდგებოდა ფიზიკური და იურიდიული პირის საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას. უფრო მკაცრად სჯიდა „საზოგადოებრივი სიმდიდრის“ ხელმყოფს, ვიდრე პირადი საკუთრების ხელმყოფს¹²⁶. **მოკლედ სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია საკუთრების დაცვისადმი დისკრიმინაციული მიდგომა**.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დებულება - „საკუთრება აღიარებული და უზრუნველყოფილია“ ყველა მესაკუთრეს თანაბრად შეეხება. საკონსტიტუციო სასამართლომ 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებაში (N1/4/184,228) საქმეზე „სააქციო საზოგადოებები - „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 21-ე მუხლის დებულება ასე განმარტა:

„კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა, პირველ რიგში, გულისხმობს საკუთრების უფლების ყველასათვის თანაბრად აღიარებასა და უზრუნველყოფას ... „ყველასათვის ერთიანი და თანასწორი საკუთრების უფლების დამკვიდრებას“¹²⁷.

ის ფაქტი, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლი იცავს კერძო პირთა საკუთრებას, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საკუთრება, რომლის დაცვაც ამ მუხლით არ ხდება, წარმოადგენდეს კერძო პირთა საკუთრებაზე მეტად ან ნაკლებად პრივილეგირებულს. **ამქვეყნად საკუთრება ყველასათვის თა-**

125. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1998, N4, გვ. 79.

126. Ромул Петру Воника. Защита права собственности в практике Конституционного суда Румынии, в сборнике: Роль Конституционных судов в обеспечении права собственности .М. 2001, с. 58, 60.

127. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, N4, გვ. 166.

ნასწორია. ამიტომაც, ამ თვალსაზრისით, სწორი უნდა იყოს გადანყვეტილებამი აღნიშნული დებულება: „საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლში ჩადებული საკუთრების იდეა, სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრეს, უფლებრივად ათანაბრებს სხვა მესაკუთრებთან“¹²⁸. სხვანაირად, სახელმწიფოს საკუთრების უფლება კონსტიტუციის გარეთ აღმოჩნდებოდა. **მართალია, სახელმწიფო 21-ე მუხლით თავის თავს ვერ დაიცავს, მაგრამ არც იმისი უფლება აქვს, რომ თავისი საკუთრება პრიორიტეტულ რეჟიმში ჩააყენოს სხვების საკუთრებასთან მიმართებით.**

საკონსტიტუციო სასამართლომ დასახელებული გადანყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 16 აპრილის კანონის 2¹ მუხლი სწორედ იმის გამო, რომ მასში საკუთრების ფორმების რეანიმაციის მცდელობას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, სახელმწიფოს საკუთრება პრიორიტეტულ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული კერძო პირთა საკუთრებასთან შედარებით. სიცხადისათვის მოვიტან სადავო ნორმას, რომლის თანახმადაც: იძულებით აღსრულებას, იძულებით აუქციონს, ყადაღის დადებასა და სეკვესტრს არ ექვემდებარებიან აგრეთვე გენერაციის ობიექტები, ელექტროგამანაწილებელი და რეგიონალური გაზის ქსელები, რომლებიც სახელმწიფოს საკუთრებას ან იმ საწარმოთა საკუთრებას წარმოადგენენ, სადაც სახელმწიფო ფლობს აქციათა ან სანესდებო კაპიტალში წილის არანაკლებ 50%-ს¹²⁹.

დიდი მოსამართლეობა არ სჭირდება იმის დანახვას, თუ რამდენად განსხვავებულ - პრივილეგიურ რეჟიმშია ჩაყენებული სახელმწიფო.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობაში მომხდარი „... სამართალგანვითარების პირობებში სადავო ნორმა, გამოიყურება ერთგვარ უკან გადადგმულ ნაბიჯად. იგი ფაქტობრივად ხელს უწყობს საკუთრების ფორმების რეანიმაციას და პრივილეგიურებული მესაკუთრის ინსტიტუტის შემოღებას. სადავო ნორმის წყალობით სახელმწიფოსთან ერთად ასეთ პრიორიტეტულ მდგომარეობაში ექცევიან ის კერძო საწარმოებიც, რომლებშიც სახელმწიფოს აქციათა ან სანესდებო კაპიტალში წილის 50%-ზე მეტი გააჩნიათ“¹³⁰.

აქედან სულაც არ კეთდება ის დასკვნა, რომ, რადგანაც ვილაც პრივილეგიურ მდგომარეობაშია, სხვებიც ამ მდგომარეობაში უნდა ჩავაყენოთ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ პრინციპულად მიუღებელია ასეთი შეღავათი და სწორედ ამიტომ იყო მისი გაუქმება საჭირო. ეს ისეთი პრივილეგიაა, რომელიც ძირს

128. იქვე, გვ. 166.

129. იქვე, გვ. 163.

130. იქვე, გვ. 166-167.

უთხრის კონსტიტუციით აღიარებულ პრინციპებს. ამის თაობაზე ითქვა: „სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში ასეთი პრივილეგირებული სუბიექტების წარმოშობა ეჭვის ქვეშ აყენებს სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების უპირობობას და საფრთხეს უქმნის მართლმსაჯულების განხორციელების ზოგად პრინციპებს **სახელმწიფოს არა აქვს უფლება, საკანონმდებლო ხელისუფლება გამოიყენოს იმგვარად, რომ ამით ხდებოდეს საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი პრინციპების უარყოფა, ვინაიდან სახელმწიფოც შეზღუდულია სამართლით**“¹³¹.

ასეთი მოქმედებით სახელმწიფო თავის თავს სამოქალაქო ბრუნვისაგან განზე აყენებს და მასთან დაპირისპირებაში ვარდება. ასეთი მიდგომით ქართული სახელმწიფო აკანონებს იმას, რაზედაც პოსტსაბჭოურ ქვეყნებში პირველმა თქვა უარი - ეს არის საკუთრების ფორმების გაუქმება. ამიტომაც ითქვა გადაწყვეტილებაში: „...სახელმწიფო ვალდებულია საკუთრების ფორმების აღდგენის ნებისმიერი გამოვლინება აღკვეთოს“¹³².

ერთობ მნიშვნელოვანია ის აზრი, რომ სასამართლომ ყველა სუბიექტის საკუთრება მიიჩნია ვალდებულებით შებოჭილად და ნებისმიერი შეღავათი გამოორიქხა. გადაწყვეტილებაში აღინიშნა: „...**სახელმწიფო ვალდებულია საზოგადოებრივი ინტერესებით საკუთრების შეზღუდვის ყველაზე სწორი და ეფექტიანი გზა გამოიხილოს, რაც მძიმე ტვირთად არ დანება სამეურნეო ბრუნვის მხოლოდ ერთ მონაწილეს**. მიუღებელია ერთი ასეთი მონაწილის საკუთრების გარანტიაზე უარის თქმა ბრუნვის მეორე მონაწილის საკუთრების სასარგებლოდ ... საკუთრების საზოგადოებრივი საჭიროება და შესაბამისად სოციალური ფუნქცია არ შეიძლება განისაზღვრებოდეს იმის მიხედვით, თუ ვინ არის მესაკუთრე სუბიექტი. საკუთრება, როგორც ფასეულობა, ავალდებულებს ნებისმიერ სუბიექტს - იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო პირი. ეს ვალდებულება უშუალოდ საკუთრებიდან გამომდინარეობს“¹³³.

აღნიშნული დებულებების მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი სახელმწიფო საკუთრებას საზოგადო კატეგორიებით განიხილავენ და კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებული ფუნქციით ტვირთავენ. მართლაც რომ ვთქვათ, კონსტიტუცია სახელმწიფოს ეუბნება, რომ შენი საკუთრება სუბსტანციურად (შინაარსობრივად) ისეთივეა, როგორც კერძო პირთა საკუთრება. განსხვავება მხოლოდ დაცვის სფეროშია.

131. იქვე, გვ. 167.

132. იქვე, გვ. 167.

133. იქვე, გვ. 167-168.

§14. მემკვიდრეობის უფლების დაცვა

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული და უზრუნველყოფილია არა მარტო საკუთრების უფლება, არამედ მემკვიდრეობის უფლებაც. მემკვიდრეობა საკუთრების განკარგვისა და შექმნის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული საშუალებაა და სამართალი იცავს მას სახელმწიფოს უარყოფითი ჩარევებისაგან.

მემკვიდრეობის უფლების დაცვაში იმავდროულად ვლინდება საკუთრების გარანტიებიც. მემკვიდრეობის დაცვა, საკუთრებისაგან განსხვავებით, გულისხმობს საკუთრების გადაცემა-გადასვლის უზრუნველყოფას მამკვიდრებლის ხელიდან მემკვიდრეთა შორის. სწორედ ამ გადაცემა-გადასვლის თავისუფლებაში ვლინდება მემკვიდრეობის უფლება. ამ უფლების სუბიექტია როგორც მამკვიდრებელი, ისე მემკვიდრე. უფრო თუ დავაზუსტებთ, ამ უფლების მატარებელია მამკვიდრებელი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ - მემკვიდრე, ვინაიდან მამკვიდრებლის სიცოცხლეში მას არავითარი სამართლებრივი პოზიცია არ გააჩნია¹³⁴.

გაბატონებული შეხედულებით, მემკვიდრეობის თავისუფლებაში მოიაზრება ანდერძის თავისუფლება და ნათესავთა მემკვიდრეობის უფლება. გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს ეჭვი გამოუთქვამს იმის თაობაზე, თუ რამდენად მოიაზრება მემკვიდრეობის გარანტიაში ნათესავთა მემკვიდრეობა. კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ კონსტიტუციურად ეს საკითხი არ არის გადანყვეტილი¹³⁵.

სამართლის რეფორმის პროცესში სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა მემკვიდრეობის ინსტიტუტმა, თუმცა ძველი სამართლის გავლენები ნაწილობრივ მაინც შემორჩა. საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის 2 დეკემბრის საოქმო ჩანაწერით, არსებითი განხილვისათვის მიიღო საქართველოს მოქალაქის სარჩელი, რომელშიც არაკონსტიტუციურად იყო მიჩნეული კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლი იმ მოტივით, რომ მესაკუთრეს თავის სიცოცხლეში მემკვიდრეობის გზით საკუთრების განკარგვის უფლება ესპობა. აღნიშნულ ნორმაში ვკითხულობთ: „კომლში კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან“. ეს ნორმა ძველ სამოქალაქო კოდექსშიც ამ სახით იყო შეტანილი. სასამართლოს არ დასცალდა საქმის არსებითი გადანყვეტა, ვინაიდან მოსარჩელე ამ დროისათვის გარდაცვლილი იყო. ეს კი, მოქმედი კანონმდებლობით, საქმის შეწყვეტას იწვევს. თუმცა

134. Leisner, Eigentum: Schriften zu Eigentumsgrundrecht... S. 166-168.

135. BVerfGE 67, s. 329 (341).

სასამართლოს კარგად ჰქონდა შესწავლილი ამ საქმესთან დაკავშირებული მასალები, რამაც საშუალება მისცა მას განჩინებაშივე დაეფიქსირებინა გარკვეული პოზიცია. კერძოდ, სასამართლომ თქვა: ... „განმწესრიგებელ სხდომაზე და საქმის არსებითად განხილვისათვის მომზადების პერიოდში გამოიკვეთა სადავო ნორმით — საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლით („სამკვიდროს გახსნა კომლში“) გათვალისწინებული ურთიერთობების საკანონმდებლო მონესრიგების სრულყოფის საჭიროება“. მართალია, სასამართლომ არ შეაფასა კონსტიტუციურობის კუთხით სადავო ნორმები, ვინაიდან საქმე არსებითად არ განხილულა, მაგრამ კანონმდებელს გარკვეული „დავალება“ მისცა.

უნდა ითქვას, რომ მსგავსი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი განიხილა რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ. 1996 წლის 16 იანვრის (N1-II) დადგენილებით, მან გააუქმა რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 560-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, როგორც კონსტიტუციასთან შეუსაბამო. სასამართლომ მიიჩნია, რომ მემკვიდრეობის აღნიშნული წესი ხელყოფდა არა მარტო მემკვიდრეობის კონსტიტუციურ უფლებას საკუთარი ქონების თავისუფალ განკარგავსთან დაკავშირებით, არამედ იგი ეწინააღმდეგებოდა მემკვიდრეთა უფლებას, შეეძინათ სამკვიდრო. ამ გადაწყვეტილებაში დაფიქსირდა ბევრი საინტერესო დებულება.

უფლებას ვიტოვებ თავი შევიკავო სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის კონსტიტუციურობის შეფასებისაგან.

§15. პრივატიზაცია როგორც საკუთრების შექმნის საფუძველი

სამართლის რეფორმის პროცესში სახელმწიფო ქონების განკერძოება, იგივე პრივატიზაცია, ჩაითვალა ერთ-ერთ სერიოზულ ღონისძიებად. საამისოდ ქვეყანაში შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, რომელთაგან დღესაც ყველაზე მნიშვნელოვანია „კანონი პრივატიზაციის შესახებ“. ამ პროცესის დაწყებიდან დღემდე საკონსტიტუციო სასამართლოში არაერთი სარჩელი შემოვიდა, რომელთა უმრავლესობაში მოსარჩელები მიუთითებენ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, კერძოდ, საკუთრების შექმნის უფლების დარღვევას. თუმცა არის სარჩელები, რომლებშიც მოსარჩელები თვლიან, რომ **პრივატიზაციით დაირღვა საკუთრების გარანტია**. ასე მაგალითად, სასამართლოს მეორე კოლეგიის 1998 წლის 22 მაისის (N2/59-8) გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ

სადავო აქტით, „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის N107-ე დადგენილებით, მოსარჩელის აზრით, დარღვეულია მისი უფლებები. კერძოდ, ეს გამოიხატება იმაში, რომ სადავო აქტებმა არ გაითვალისწინეს მემკვიდრეთა უფლებები და დაუშვეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩამორთმეულ სახლებში არანამდვილი მესაკუთრის მემკვიდრეთა მიერ ბინების პრივატიზაციის შესაძლებლობა¹³⁶.

სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა უფლება, შეეფასებინა 30-იან წლებში სახლების (ბინების) ჩამორთმევის მიზნით მიღებული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი. მინისტრთა კაბინეტის სადავო აქტის საფუძველზე კი მოხდა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ბინების პრივატიზაცია, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის საწინააღმდეგოდ. სასამართლომ ამ შემთხვევაში დაიცვა დამქირავებელთა უფლებები.

რაც შეეხება საკუთრების შექმნას, მოსარჩელები უმეტესწილად დაობენ იმის თაობაზე, რომ დაირღვა პრივატიზაციის წესი, მათ ჰქონდათ უფლება ექონება პირდაპირი მიყიდვის გზით შეეძინათ, მაგრამ ეს არ მოხდა¹³⁷. ანდა, პრივატიზაციის დროს დაირღვა აქციათა უსასყიდლოდ შექმნის უფლება, რაც კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული¹³⁸.

დასტურდება შემთხვევები, როდესაც სადავო აქტებით გაუქმებულია პრივატიზაციით შექმნილი უფლება. ამჯერათ, მხოლოდ იმისი თქმა შემიძლია, რომ პრივატიზაციის კონსტიტუციურობის კუთხით შეფასება სერიოზულ დაფიქრებას საჭიროებს.

136. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1998, N3, გვ. 74.

137. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1998, N2, გვ. 89.

138. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1999, N4, გვ. 107.

დანართი

მოდერნობა საკანონმდებლო კულტურის შესახებ*

(ამ ნერილით მინდა, ჩემი მოკრძალებული მხარდაჭერა გამოვხატო ქართული სახელმწიფოს მშენებლობის შეუქცევადი პროცესისადმი და ერთი ადამიანის ძალა წავაშველო მისი წინსვლის საქმეს)

I. საკანონმდებლო სიახლეებისადმი მზაობა

სამართლის რეფორმის პროცესში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეფორმატორთა მხრიდან საკანონმდებლო ნოვაციების მოწონება, არამედ კანონის ადრესატების — ჩვეულებრივი მოქალაქეების მზაობა, იცხოვრონ ამ კანონებით. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ხალხი აუცილებლად ტაშის გრივით უნდა შეხვდეს ყველა სიახლეს. ამას არც არასდროს ჰქონია ადგილი და არც ექნება. პირიქით, საკმაოდ ხშირად, კრიტიკოსები უფრო ბევრი ჰყავს ახალ წამოწყებას, ვიდრე მომხრეები. მაკიაველი ამბობდა, რომ „...არ არსებობს უფრო ძნელი, წარმატების თვალსაზრისით უფრო საეჭვო და უფრო სახიფათო საქმე, ვიდრე ახალი წესრიგის დაფუძნება. რადგანაც სიახლის დამწერგავს მტრად ექცევა ყველა, ვისთვისაც ხელსაყრელი იყო ძველი წესრიგი, ხოლო ისინი, ვისთვისაც, პირიქით, ახალი უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, ძალზე დუნედ და გაუბედავად იცავენ მას“ (მთავარი, თბ., 1984, გვ. 119). რა თქმა უნდა, ეს არ აძლევს სახელმწიფოს უფლებას, ხელი ჩაიქნოს. ნაპოლეონმა ვერ შეძლო პირველივე ცდაზე სამოქალაქო კოდექსის მიღება, რომელიც უცხო არ უნდა ყოფილიყო

* ნაშრომი დაიბეჭდა ჟურნალში: „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, №1, გვ.30-51.

ფრანგი ხალხისათვის, ვინაიდან იგი ცალკე კანონების სახით ყალიბდებოდა მანამდე. სამაგიეროდ, ათათურქის ავტორიტეტმა გაჭრა და თურქები შეეგუვნენ შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის გადმოღებას, რომელსაც მათ საოჯახო ცხოვრებაშიც სერიოზული კორექტივები შეჰქონდა. ძნელია იმისი დაჯერება, რომ ფრანგებზე უფრო მეტად თურქები იყვნენ მზად დიდი საკანონმდებლო ცვლილებებისათვის. შეიძლება სულაც ხმა არ ამოიღოს ხალხმა, მაგრამ ეს არაფრის მთქმელი არ იქნება. **ხალხი თავისი სამართლებრივი შეგნებით უნდა იყოს მზად ახალ კანონებთან შესახვედრად.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი კანონები შედეგის მომტანი ვერ იქნება. ჟან ჟაკ რუსო პეტრე პირველს იმაში ამტყუნებდა, რომ მან ევროპული კანონებით ცხოვრება მოუწადინა იმ ხალხს, რომელიც არ იყო მზად ამისათვის. პეტრე პირველმა „...მოისურვა მისი ხალხი ცივილიზაციას ზიარებოდა მაშინ, როდესაც ჯერ იგი ამგვარ ყოფასთან დაკავშირებულ სირთულეებში უნდა გამოეწრთო. მან მოისურვა, თავისი ქვეშევრდომები ჯერ ინგლისელებად და გერმანელებად ექცია, ნაცვლად იმისა, რომ რუსები გაეხადა. პეტრე რუსებს უნერგავდა, რომ ისინი სხვანი არიან და არა ის, რასაც სინამდვილეში წარმოადგენდნენ, და ამით ხელი შეუშალა მათ, ოდესმე იმად გამხდარიყვნენ, რაც შეეძლოთ. იგი იმ ფრანგი აღმზრდელივით მოიქცა, რომელიც ცდილობს, მისმა მოსწავლემ ბავშვობაში იბრწყინოს, შემდეგ კი სამუდამოდ არარაობად დარჩეს” (საზოგადოებრივი ხელშეკრულება, თბ., 1997, გვ. 47-48). ცხოვრება გვასწავლის, რომ არავის არ ძალუძს საკუთარ თავზე მალა დადგომა. ხალხის განვითარების დონე ნამდვილად ანგარიშგასაწევია. მაგრამ ამ პროცესში იძულების გამორიცხვა შეუძლებელია. ახალი და ძველი სამართლის ბრძოლის პროცესში ახლის დამკვიდრებისათვის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი იძულებაა. **ადამიანები ახალ სამართლებრივ გარემოს რომ შეეგუონ, ადაპტაციის პერიოდი უნდა გაიარონ.** ამ დროს სამართალი თავად ხდება კულტურის შემოქმედი. ევროპულმა სამოქალაქო კოდექსმა სერიოზული გავლენა მოახდინა თურქების კულტურულ ცხოვრებაზე. ასე რომ, **მარტო ხალხის კულტურა კი არ ქმნის სამართალს, არამედ თავად სამართალიც ქმნის ხალხის კულტურას.** ვისაც ძლიერი კულტურა აქვს, იმ ხალხებს გაცილებით უადვილდებათ ახალ სამართლებრივ ოჯახებში ჰარმონიზაცია. ასეთად უნდა მივიჩნიოთ ჩვენი ხალხი. თუმცა სიყალბე იქნება, ზედმეტი ხოტბა შევისხათ და მომეტებულად მოვიწონოთ თავი. ჩვენი ხალხი უფრო თეორიულად (იდეალურად) ცნობს სამართლებრივ წესრიგს. როცა საქმე მიდგება ამ წესრიგის პრაქტიკულად განხორციელებაზე, ზოგჯერ, ყველაზე გამორჩეული ადამიანიც კი გაურბის მას. ვინც დაჟინებით უჭერს მხარს ახალი სამართლებრივი წესრიგის შემოღებას, სწორედ ის შეიძლე-

ბა აღმოჩნდეს მისგან გაუცხოებული. ყოველივე ეს ამართლებს ცნობილი ჰოლანდიელი იურისტის ფელდბრუგეს სიტყვებს, რომ სხვისი სამართლის გადმოღება გაცილებით ადვილია, ვიდრე მისი გამოყენების კულტურისა. საჭიროა ყველა ხალხმა თვითონ შექმნას ეს კულტურა. არიან ხალხები, რომლებიც დიდად არ გამოირჩევიან სამართლის განვითარებით, მაგრამ მისი გამოყენების კულტურა ნამდვილად გააჩნიათ. ასეთი ხალხი გაცილებით მეტ წარმატებებს აღწევს, ვიდრე ის ხალხი, რომელთაც, მართალია, სამართალი განვითარებული აქვთ, მაგრამ მისი გამოყენების კულტურა დაბალია.

II. კანონისადმი პატივისცემის კულტურა

ვერ ვიტყვით, რომ ისტორიულად, ჩვენი ხალხი თავგადასმკვდარი იყო სამართლისადმი პატივისცემით. მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ ამ ხალხს არ ჰქონდა თავისი სამართლის შესატყვისი პრაქტიკული სამართლებრივი წესრიგი. **ისტორიული საბუთები, რომლებმაც დღემდე მოაღწიეს, ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის მაღალ დონეზე მეტყველებენ.** რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პრაქტიკულად ყველა ლებულობს იმას, რაც სამართალს გაუჩენია მისთვის. მაგრამ ამ მედალს მეორე მხარეც ჰქონია, რაზედაც მიგვანიშნებს დიდი სჯულმდებელი -ქართველ იუსტინიანედ ნოდებული ვახტანგ VI, რომელსაც პოეტური ხელოვნებით გაუღებქსავს თავისი ნახელავი და ასე უთქვამს: „სამართლის წიგნი მიაგავს დედაზარდლის ბადესა, ულონო ბუზი მუნ დარჩეს, ძლიერი შიგ გავარდესა” („სიბრძნე მალალობელი”, ლექსები და პოემები ალ. აბაშიძის რედაქციით, თბ., 1975, გვ. 121). ერთობ დამალონებელი ნათქვამია, მაგრამ შეიძლება იმით დამშვიდდე, რომ ასეთი „ძლიერი ბუზები” სხვა ხალხების სამართლის წიგნებსაც ჰყავს. მას შემდეგ, რაც საქართველოს მომავალი რუსეთის ისტორიას დაუკავშირდა, სულ წახდენილა საქმე და დარიალის ხეობიდან შემოსულ რუს მოხელეებს მთლად დაუბინძურებიათ ქართული სამართალი. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ჩვენში ასეთი „ბუზებით” გაივსო ქვეყანა, როცა დაემხო საქართველოს დამოუკიდებელი ხელისუფლება. თითქოს ვახტანგ VI-ს თავისი ეპოქისათვის კი არ გაურითმავს სამართლის წიგნი, არამედ ამ ხანისათვის. დასრულდა ეს დროც და ხელისუფლებამ სახელმწიფოს არსებობისა და სიძლიერისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ღირებულებების გაჯანსაღების გზით იწყო მოძრაობა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში იყო მიძინებული სამართლის პრაქტიკული გამოღვიძება და სამართლე-

ბრივი წესრიგის დამკვიდრებისათვის ხელის შეწყობა. საამისოდ ერთ-ერთ გზად მიჩნეულ იქნა „დედაზარდილის“ ბადის გამაგრება და უსამართლო უფლებრივი იერარქიების მოსპობა. რა თქმა უნდა, ეს ძველი ფეოდალების გარკვეულ წრეში უკმაყოფილებას იწვევს. მთავარია, რომ მიდგომა ყველასათვის ერთნაირი იყოს - შინაური იქნება იგი თუ გარეული. უფრო სწორად, **სახელმწიფოსათვის ყველა შინაურია და ეს მან არ უნდა დაივიწყოს.** შეცდომის უფლება აქ არა გვაქვს. ყველა ვითარებაში სახელმწიფოს მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვება, ვიდრე ნებისმიერ მომაკვდავ ადამიანს.

კიდევ ერთხელ მინდა ავლნიშნო, რომ სამართლებრივი კულტურაა ყველაფერი სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად. ჩვენს თანამოქალაქეებს, ვინც განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში ყოფილან, მუდამ ერთ კითხვაზე პასუხი ანუხებთ: ბუნებრივი ნიჭიერებითა და გაქანებით ჩვენი თანამემამულენი არათუ ჩამორჩებიან, არამედ ზოგჯერ ჯობნიან კიდევ საათივით ანუბილი სახელმწიფოს მოქალაქეებს. მაშ რა უნდა იყოს მიზეზი ჩვენი ჩამორჩენისა და მათი აღზევებისა? **მთავარი მიზეზი სამართლებრივ კულტურაში მარხია და არა იმდენად ნიჭიერებაში.** როგორ ფიქრობთ, დიდი ნიჭის მქონე კაცი, თუ ის არაფრად აგდებს საზოგადოების არსებობის ძირეულ პრინციპებს, სარგებლობას მოუტანს ქვეყანას? რა თქმა უნდა, არა! შედარებით დაბალი ნიჭის, მაგრამ მაღალი კულტურის ადამიანმა შეიძლება დიდი სამსახური გაუწიოს თავის ხალხს. **ნიჭიერება თავისთავად არ წარმოადგენს ფასეულობას. ფასეულია ნიჭიერება, რომელიც სიკეთის სამსახურში დგება.** მაშასადამე, ნიჭიერება შეიძლება ბოროტებად იქცეს და ბევრჯერ ქცეულა კიდევ. ასე რომ, **სამართლებრივი წესრიგი სამართლებრივ კულტურაზე აგებული წესრიგია.** ეს კულტურა თანამედროვე ეპოქის სახელმწიფოებში ერთ დღეში არ გაჩენილა. მათი წარმატების გასაღები სახელმწიფოებრიობის ტრადიციებშია. ამ ტრადიციის ბუნებრივ დინებას მშვიდად და უკონფლიქტოდ მიჰყვება როგორც ნიჭიერი, ისე უნიჭო ადამიანი განვითარებული ქვეყნისა. მან იცის, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება მისი არსებობა სახელმწიფოში. თუ არ გაქვს ეს ტრადიცია, უნდა შექმნა. სხვანაირად დაილუპები. **კარგი კანონები თავისთავად ვერ მოიხსამენ ნაყოფს, მისი გამოყენების კულტურის გარეშე. ნებისმიერი ადამიანი სულითხორცამდე უნდა განიცდიდეს, რომ ის სახელმწიფოში ცხოვრობს და არა რომელიმე ქალაქში თუ სოფელში.** ეს სახელმწიფო კი არის როგორც მისი კერძო ცხოვრება, ისე საზოგადო, არა ცალ-ცალკე, არამედ ერთად, როგორც ერთიანი სხეული. **არავის ძალუძს მხოლოდ კერძო ინტერესის დინებით ცხოვრება.** ეს კანონი მოქმედებს ცხოველთა სამყაროშიც.

ამრიგად, საჭიროა, სახელმწიფოს ისეთივე განცდა ჰქონდეს ადამიანს,

როგორც საკუთარი ოჯახისა. სახელმწიფოს ტკივილიცა და სიხარულიც შენს ტკივილად და სიხარულად უნდა მიგაჩნდეს. პლატონის სიტყვებით, სახელმწიფო ამ მხრივ „... ყველაზე მეტად მოგვაგონებს ცალკეულ კაცს. ასე მაგალითად, ვინმემ რომ თითი გაიჭრას, მთელი სხეული თითქოს ერთ მუშტად შეიკვრის და სულს შესთხოვს შველას, როგორც მის მბრძანებელსა და წარმმართველ სანყისს. სულიც მთელის არსებით შეიძვრის და თანაულმობს ტკივილით გატანჯულ ასოს, და მაშინ ჩვენ ვამბობთ, აი, ამ კაცს თითი სტკივაო. იგივე ითქმის ყოველნაირ სიხარულსა და ტანჯვაზედაც, რასაც ავადმყოფობისას თუ გამოჯანმრთელებისას განიცდის კაცი ყველაზე უკეთესი ნყობილების მქონე სახელმწიფო ყველაზე მეტად უნდა ჰგავდეს ცალკეულ კაცს” (სახელმწიფო, თბ., 2003, გვ. 188-189).

III. იძულების შესახებ

სამართლებრივი წესრიგის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ყველა ადამიანი აცნობიერებდეს, რომ სახელმწიფო თავისი ქვეშევრდომების მიმართ გულმონყალებას კი არ იჩენს მარტო, არამედ იძულების გამოყენების უფლებაც აქვს. მთავარია, რომ იძულება არ შეცვალოს ძალადობამ და დემოკრატიულ ფასეულობებს საფრთხე არ შეექმნას. სახელმწიფომ კანონსა და ძალადობას შორის არჩევანი კანონის სასარგებლოდ უნდა გააკეთოს. ვინაიდან, როგორც მაკიაველი ამბობდა, „პირველი ნიშნეულია ადამიანებისათვის, მეორე კი მხეცებისათვის” (მთავარი, თბ., 1984, გვ. 182).

სახელმწიფო, ყველა შემთხვევაში, თავის თავს უნდა ავლენდეს სამართლით მოხაზულ წრეში. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი სამართლითაა შებოჭილი. ნებისმიერი იძულება სამართლებრივად დასაბუთებული უნდა იყოს. სახელმწიფო, რომელსაც არ ძალუძს დამნაშავე დასაჯოს, ის, თავისთავსაც, ვერ დაიცავს. არც ის შეიძლება, რომ სახელმწიფოს ძლიერებას აღემატებოდეს პიროვნების ძლიერება (თუნდაც ფინანსური თვალსაზრისით). საზოგადოებამ მედლის ამ მხარის აუცილებლობაც უნდა გააცნობიეროს. **სამართლებრივად დასაბუთებული იძულება ისევე აუცილებელია სახელმწიფოსათვის, როგორც ადამიანისათვის ჰაერი.** მთავარია, ამ იძულების წინაშე თანასწორობა. იძულებას უნდა შეეძლოს ყველას კართან დაჩოქება, თუკი ვინმე ხელყოფს არსებულ სამართალს. ცდებიან ის „მეგობრები”, რომლებიც ათასნაირ „ხოტბა-დიდებას” ასხამენ სახელმწიფოს, როცა იგი იყენებს იძულებას. ეს უკვე ანარქიზმია და მოწოდება უწესრიგობისაკენ. არ შეიძლება საზოგადოება „ბარაბას” მსგავს ადამიანებს მფარველობდეს. **არ შეიძლება**

ნესრიგს აცნობიერებდე მხოლოდ მაშინ, როცა დამნაშავე შენს კარს მოადგება. კანონის წინაშე თანასწორობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ ამ იძულებას ვერ გაექცევა ვერავინ - მეცნიერი იქნება იგი თუ მწერალი, ცნობილი მომღერალი თუ სახელმწიფო მოღვაწე. უთვალავია შემთხვევები, როცა სახელმწიფოზე ძლიერი რომ ეგონათ თავი, იძულების ქვეშ მოქცეულან.

სახელმწიფოებრივი იძულების ასპარეზი მით უფრო ფართოა, რაც უფრო ღარიბია ადამიანთა შინაგანი იძულება. შინაგანი იძულება ეს შინაგანი პასუხისმგებლობაა. ეს პასუხისმგებლობა კი სახელმწიფოებრივ აზროვნებაში ვლინდება. ვინ უნდა აზროვნებდეს ასე - მარტო სახელმწიფო მოხელე თუ ყველა? ალბათ ყველა! ასეთი აზროვნება კი გვეუბნება, რომ, თუ სახელმწიფო არ იქნება ძლიერი, ისე არც არავინ არ იქნება ბედნიერი. ყველას ბედნიერება კი თითოეულის ბედნიერებას გულისხმობს. არ შეიძლება სახელმწიფოში მარტო შენი „ბოსტნისათვის“ შექმნილ დაწესებულებას ხედავდე და რაც შენ არ გეხება შენ საქმედ არ მიგაჩნდეს. ჟან ჟაკ რუსო ამბობდა: „როგორც კი ვინმე საქვეყნო საქმეების მიმართ იტყვის: „რა ჩემი საქმეაო“ - ის სახელმწიფო დაღუპულად უნდა ჩაითვალოს“ (საზოგადოებრივი ხელშეკრულება, თბ., 1997, გვ. 93). აქ არის დამარხული ძალის თავი. სამარხი კი, კვლავ ვიტყვი, არასახელმწიფოებრივი აზროვნებაა. **ის მინისტრი, რომელიც ქვეყანას მხოლოდ თავისი სამინისტროს სარკმლიდან (ინტერესებიდან) ხედავს, მინისტრად არ გამოდგება. ასეთ მინისტრს ქვეყნის** ბიუჯეტის ნახევარი რომ შესთავაზო, უსიტყვოდ მიიღებს ამ წინადადებას და მუქთახორებით გაავსებს თავის დაწესებულებას. არასახელმწიფოებრივი აზროვნებაა, როცა უგულებელვყოფთ საზოგადოებრივ ინტერესებს. უფრო მეტიც, მას აღიქვამ შენს კერძო ინტერესებთან დაპირისპირებაში. **დამნაშავეს სახელმწიფო გართობის მიზნით კი არ სჯის, არამედ ამას აიძულებს საზოგადო ინტერესები.** შინაგანი იძულება ის არის, რომ საზოგადო საქმეს შენს საქმედ აღიქვამდე და აცნობიერებდე, რომ ყველა კერძო ინტერესის ყველაზე ფართო ასპარეზი საზოგადო ინტერესებშია. უხეშად რომ ვთქვათ, მოწესრიგებული საზოგადოება იქ არის, სადაც ყველა ერთისათვისაა და ერთი ყველასათვის. არავინ იფიქროს, მე უარვყოფ კერძო ინტერესებს. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ საზოგადო ინტერესი კერძო ინტერესის არსებობისა და გამოვლენის საუკეთესო ფორმაა. ამიტომაც, სახელმწიფოს ძალისხმევა ამ მიმართულებით გამართლებული და აუცილებელი უნდა იყოს. ვერ ამენდება სახელმწიფო, თუკი ჩვენში საზოგადო ინტერესის ძლიერი განცდა არ ჩამოყალიბდა. აქაც ისეთივე პატივისცემა უნდა დამკვიდრდეს, როგორც ეს ხალხს აქვს ხოლმე მამაპაპეული ტრადიციებისადმი. **ვინც არ ცნობს საზოგადოებრივს, ის არც სახელმწიფოს ცნობს. სახელმწიფო, რომელიც არ ცნობს**

კერძო, ის არც სახელმწიფოა. კერძო პირმა უნდა ცნოს საზოგადოებრივი, სახელმწიფომ კი - კერძო. სახელმწიფო - ეს კერძო და საზოგადოებრივი ინტერესის ჰარმონიული შერწყმაა.

ამრიგად, საჭიროა, მენტალიტეტის სრული ტრანსფორმაცია და საზოგადოებრივი სოლიდარობის დამკვიდრება. საზოგადოებრივ ინტერესებთან გაუცხოებას ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეხვედებით და ყველაზე ელემენტარულ ურთიერთობებშიც კი ვლინდება იგი. შევხედოთ ამ საგანს ჩვენი მრავალსართულიანი სახლის მაგალითზე. რა მოხდება თვალში ადამიანს, თუკი იგი კარგად დაათვალიერებს კერძო და საზოგადო საკუთრებას? კარგად დალაგებულ-დასუფთავებული და შეძლებისდაგვარად გარემონტებული ბინები, დაულაგებელი და დაუსუფთავებელი კიბეები, ნაგვით მოსვრილი ეზოები, ყოველგვარი სამშენებლო ნორმების დარღვევით მიშენებული აივნები, დანგრეული მზიდი კედლები, მითვისებული და ბოსტნებად ქცეული მიწები, დაჟანგული და მწყობრიდან გამოსული საერთო სარგებლობის მიწები, ახლად აშენებული მრავალსართულიანი სახლები ეზოების გარეშე. ცოტა მოშორებით თუ გავაღოთ - დავინახავთ ფილებაყრილ ტროტუარებს (მოსახლეობას გამოუყენებია „გარაჟების“ სამშენებლოდ), ტროტუარებზე აგებულ ნაგებობებს. ახლა შევიხედოთ ჩვენს სათაყვანებელ უნივერსიტეტში: მტვრით სავსე, გაყინულ-დაბინძურებული და დანაგვიანებული აუდიტორიები, „დასახინჩრებული“ მერხები, მონგრეული კარები, ფეხის ნაკვალევები კედლებზე და კიდევ სხვა მრავალი „ღირსშესანიშნაობები“.

სხვა მაგალითებს აღარ მოვიტან, შეიძლება ყველაფერი ხალხს არ გადავაბრალოთ, მაგრამ ლომის წილი ხომ მათ მენტალიტეტში ძევს. უკაცრავად, მაგრამ კანონმდებელი ვერ ასწავლის მოქალაქეს, რომ მან ლიფტში არ უნდა აივნიდან ეზოში არ უნდა მოისროლოს ნაგავი და ა. შ. არის ისეთი რამ, რასაც ადამიანი ადამიანურობის გამო უნდა აკეთებდეს. ძალმაც კი იცის, რომ პატრონის კარ-მიდამოს „დანაგვიანება“ არ შეიძლება და შენ რაღა მოგივიდა ადამიანო?! სამარცხვინო და შეურაცხმყოფელია, როცა სახელმწიფო ცხვირს ჩაყოფს იქ, სადაც მას არაფერი ესაქმება. განა რუსები უხერხულად არ უნდა გრძნობდნენ თავს იმის გამო, რომ მათ პეტრე დიდი ელემენტარული ყოფითი კულტურის წესებს ასწავლიდა.

შესანიშნავი სამეზობლო სამართალი გვაქვს, მაგრამ ვინ უწევს მას ანგარიშს. **როგორი ხელისუფლებაც არ უნდა გვყავდეს, სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ, თუკი ჩვენს ცნობიერებაში არ მოხდა ღირებულებითი რევოლუცია.** ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, სახელმწიფო ყველაფერში ჩაერია კეთილი მოსაზრებებით. ეს არც შეიძლება და, რომც მოხდეს, უეჭველად უარყოფით შედეგს გამოიწვევს. ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის პრობლემები

ამ ამხანაგობამ უნდა მოაგვაროს. გავიხსენებ ერთ ამბავს. როგორც წესი, მეზობლები როცა შეიკრიბებიან, თუ ერთი-ორი კაცი წინააღმდეგია რაღაც გადანყვეტილების მიმართ, მას ვერ იღებენ. ერთხელ, მეზობლებს გაახსენდათ სამოქალაქო კოდექსი და როგორც ის ითვალისწინებდა, იმის მიხედვით კენჭი ვუყარეთ სადავო საკითხს. გადანყვეტილება მიღებულ იქნა. ხომ შეიძლება მსგავს შემთხვევებში ასევე მოვიქცეთ, ვიდრე ერთიმეორე ლანძღვა-გინებით ავიკლოთ. ამ მიზეზს კანონისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება ჰქვია.

როგორ ფიქრობთ, კანონებისადმი მორჩილება ადამიანებს სიამოვნებით არა მგონია ეს ასე იყოს. მაშ რა აიძულებს მათ, პატივი სცენ კანონებს? ეტყობა, იმისი შეგნება, რომ მათი ნორმალური ცხოვრება მხოლოდ მოწესრიგებულ საზოგადოებაშია შესაძლებელი, იმისი შეგნება, რომ კანონი მარტო კი არ აიძულებს მათ, არამედ იცავს კიდეც. სადაც მეტია ამისი შეგნება, იქ გაცილებით განვითარებულია საზოგადოება. ესეც მენტალიტეტის საკითხია.

IV. სამართლის უზენაესობის შესახებ

ნებისმიერ მოქალაქეს რომ ჰკითხოთ, რა არის კანონის უზენაესობაო, იგი მარტივად და გაცილებით სწორად გაგცემთ პასუხს, ვიდრე ეს მიღებულია ჩვენს კანონმდებლობასა და დოქტრინაში. მოქალაქის პასუხი ერთობ გასაგები იქნება: **კანონი ყველასათვის სავალდებულოა შესასრულებლად და ამიტომ არის იგი უზენაესიო**. ასეთ პასუხს თუ მოისმენ სტუდენტისაგან, დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ზოგიერთ ჩვენს ფრიად პატივცემულ პროფესორს ხელი არ აუკანკალდება, არადამაკმაყოფილებელი შეფასება მისცეს მას. ხოლო მეორე სტუდენტი, რომელიც სხაპასუხებით ეტყვის, რომ კანონის უზენაესობა გულისხმობს მის მიმართ ყველა სხვა ნორმატიული აქტის შესაბამისობასო, უეჭველად მონონებას დაიმსახურებს. მოქალაქეთა აბსოლუტურ უმრავლესობასაც ისე ესმის კანონის უზენაესობა, როგორც პროფესორისაგან დაწუნებულ სტუდენტს. რა ძალამ ჩასძახა ხალხს, რომ ამ მოვლენის შინაარსი ასე გაეგო. ნებისმიერი მოკვდავისათვის კანონები, უპირველეს ყოვლისა, სამართლიანობის გამოხატულებადაა მიჩნეული. საზოგადოება არც ისე ბრმაა, რომ მან ვერ შენიშნოს უსამართლო კანონები. მაშინ, რა უნდა იყოს სხვა ძალა, რომელიც მას მაინც თავს ახრევიანებს ამ კანონების წინაშე? ასეთი ძალა წესრიგის განცდაა. ნებისმიერმა მოკვდავმა სოკრატესავით უწყის, რომ სამართლებრივი წესრიგი მისი არსებობის

აუცილებელი პირობაა. რას იზამ, კანონი კანონია, მოგწონს თუ არ მოგწონს, მაინც უნდა შეასრულო. მარტო კანონებისადმი აქვთ ადამიანებს ასეთი დამოკიდებულება თუ სხვა ნორმატიული აქტებისადმიც? მგონია, რომ მათ კანონების ქვეშ ყველა ნორმატიული აქტი აქვთ მხედველობაში და, ამდენად, კანონი მათ ფართო მნიშვნელობით ესმით. ე. ი., მათი აზრით, უნდა შესრულდეს ყველა ნორმატიული აქტი. აქედანვე არ უნდა იყოს ძნელი იმის მიხვედრა, თუ რა ესმის მომაკვდავ ადამიანს კანონის უზენაესობაში. **მისთვის კანონის უზენაესობა სამართლის უზენაესობაა.** ამ სამართალში კი იგი აცნობიერებს მთელ ნორმატიულ სივრცეს. ასე რომ, შემთხვევით არ ყოფილა კანონის უზენაესობის ამგვარი გაგება. როგორ შევაფასოთ ხალხის ნააზრევი? ვთქვათ, რომ აქ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე? არა, პირიქით, **ხალხი მალა დგას იმ პროფესიონალებზე, რომლებიც ვერ მონყვეტილან მხოლოდ ემპირიული (თვალთ) ხედვის ფარგლებს.** როცა საუბარია ნორმატიული აქტების პრიორიტეტებზე, იგი მათ შორის წესრიგისათვისაა მოგონილი, რაც, თავის მხრივ, უფლებრივი წესრიგის აუცილებელი პირობაა. ე. ი. ვერც ამ გამოთქმას ვერ შეველევით? როგორც ჩანს ვერა, სანამ სხვა შესატყვის გამოთქმას არ მოვიგონებთ. ისე კი, უზენაესობის ეს მხარე სამართლის უზენაესობის შინაარსში უნდა იყოს ჩადებული. როცა ლაპარაკია სამართლის უზენაესობაზე, ივარაუდება, რომ აქ ეს სამართალი ორგანულად ერთიან და ჯანმრთელ სხეულს წარმოადგენს და თუკი ადგილი ექნება მის შიგნით რაიმე „დაავადებას“, ამისი ერთ-ერთი ნამალი იქნება კანონის უზენაესობის მიღებული ფორმა. ამდენად, შეიძლება ვილაპარაკოთ სამართლის უზენაესობაზე. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის 2004 წლის თარგმანში, რომელსაც ევროპული სასამართლოს თავმჯდომარის შეფასებაც ახლავს, საუბარია „სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობაზე“. ყოველივე აღნიშნული იმაზე მიგვანიშნებს, რომ **უზენაესობა სამართლებრივი ღირებულებების ყველასათვის თანაბრად სავალდებულობას მეტყველებს.** მაგრამ სამართლის უზენაესობა აქ არ მთავრდება. სამართალი გაცილებით მეტია, ვიდრე მოქმედი კანონმდებლობაა. იგი არაპოზიტიურ ფორმაშიცაა. ამაზე მიგვანიშნებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც იტყობინება, რომ სიტყვა „კანონის“ ქვეშ უნდა გავიგოთ არა მარტო დაწერილი სამართალი, არამედ დაუწერელიც. მაშინ ვის ევალება კანონის უხილავი - ამ „უჩინმაჩინის“ ქუდის დანახვა? ასეთი სასამართლოა. **სწორედ სასამართლოა ის დანესებულება, რომლისთვისაც სამართალი კანონმდებლობის გარეთ არსებულ ღირებულებებთან შეჯერების შედეგია.** ეხლაც მიინდა გავიხსენო ერთ-ერთი მოსარჩელე, რომელმაც საკონსტი-

ტუციო სასამართლოს სთხოვა, რომ მას ემოქმედა არა მარტო დაწერილი სამართლით, არამედ დაუწერელითაც. შეიძლება მან არც კი იცოდა საფუძვლიანად, რა მნიშვნელოვანი დებულება წამოაყენა. სასამართლო მართლაც ვალდებულია, კანონმდებლობა გამოიყენოს სხვა ღირებულებათა ფონზე და ამით მართლაც ნამდვილი სამართალი გააჩინოს. კვლავ მინდა გავიმეორო, რომ **სასამართლო სამართლის არსებობისა და მისი შინაარსის გამოვლენის ყველაზე ადეკვატური დაწესებულებაა.**

ახლა რაც შეეხება თვით კანონთა შიგნით არსებულ იერარქიულ კიბეს. ამას წინათ, ერთობ ნიჭიერმა ქალბატონმა, დისერტაციის დაცვისას, წამოაყენა წინადადება, რომ ამ კიბისათვის მიგვემატებინა კიდევ რამდენიმე საფეხური. მაშინვე გამიჩნდა სანინაალმდეგო აზრი და ვიფიქრე, პირიქით, ხომ არ შეიძლება, ეს კიბე დავაპატარავოთ და ორსაფეხურიანი გავხადოთ-მეთქი. მაღლა იქნება კონსტიტუცია, დაბლა კი სხვა კანონები. ასე მივიღებთ კანონთა თანასწორობას. ამჟამინდელი იერარქიით, კანონთა ურთიერთობებში იგივე მოდელია გადმოღებული, რაც კანონსა და კანონქვემდებარე აქტებს შორის გვაქვს. კანონების ერთიმეორესთან ქვემდებარეობის არსებული მოდელი უარყოფითად მოქმედებს კანონის ავტორიტეტზე. კანონი ყველა შემთხვევაში კანონია და მათი დახარისხება ძალამოსილების ჭრილში ერთობ საჭოჭმანოა. ანდა, შეგვიძლია მაღალი რანგის კანონების მნიშვნელობის მიხედვით სწორი გამოიჯვნა? ასე მაგალითად, ორგანული კანონების ჩამონათვალს კონსტიტუცია შეიცავს. ერთ-ერთი ასეთთაგანი „სახალხო დამცველის შესახებ“ კანონია. სამაგიეროდ, სამოქალაქო კოდექსი ჩვეულებრივი კანონია. როგორ ფიქრობთ, ნაკლებად მნიშვნელოვანია ეს კოდექსი ქვეყნისათვის? სხვათა შორის, რუსებმა მას კანონთა იერარქიაში სხვაგვარი დატვირთვა მისცეს. კერძოდ, ის, რომ ყველა კერძოსამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო კოდექსს. ჩვენ არ ნავედით ამ გზით და სწორადაც მოვიქეცით. **ყველა კანონის მიმართ ერთიანი პასუხისმგებლობა უნდა დამკვიდრდეს.** ჩემთვის უცხოა იოლად და ძნელად მისაღები კანონები. უნდა არსებობდეს ზომიერი, გონივრული მასშტაბი ყველა კანონის მისაღებად. ეს უკვე აღარ გამოიწვევს პასუხისმგებლობის გაორებას. პრაქტიკა გვეუბნება, რომ, როცა კანონი მარტივად შეიძლება მიიღო, აქ პასუხისმგებლობაც კლებულობს, კანონმდებელი ნაკლებად ფიქრობს შეცდომებზე იმ იმედით, თუ არ გაამართლებს კანონი - ერთი ხელის დაკვრით შეცვლის მას. სინამდვილეში ასეც ხდება. კანონი ძალაში არ არის შესული, ნახევ შეცვლილია. თუნდაც რომ კენჭისყრის რაიმე განსხვავებული წესი გვექონდეს, ეს მაინც არ უნდა დაედოს საფუძვლად კანონთა იერარქიას. რაც შეეხება კანონთა შორის წინააღმდეგობას, ეს უნდა გადაწყდეს არა იე-

რარქიული კიბით, არამედ სხვა გზით. ძველი და ახალი კანონის ზოგადი და სპეციალური კანონის ურთიერთმიმართების პრინციპით. მიუხედავად იმისა, რომ კანონთა იერარქიულ კიბეს განვითარებული ქვეყნებიც იცნობენ, დოქტრინაში საკმაოდ ძლიერია სანინაალმდეგო მოსაზრებები. დავიმონებ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს, პროფესორ როლფ კნიპერს. მისი აზრით, „გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთ დაყოფას არა აქვს რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა და იწვევს მხოლოდ საკანონმდებლო პროცესის გართულებას“.

V. კანონმდებლობა და უფლების შექმნის გზები

არ შეიძლება კანონმდებლობა გავდეს კანტის „წმინდა გონების“ კრიტიკას, რომელსაც „პროლოგომენების“ დანერგვაც ვერ უშველა. კანონმდებელს არ მოეთხოვება, რომ კანონები „ნაცარქექიას ზღაპარით“ მარტივად დაწეროს, მაგრამ არც „ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებს“ არ უნდა დაამსგავსოს იგი. არ შეიძლება კანონთა სირთულემ მათ მიმართ ადამიანების გაუცხოება გამოიწვიოს. **ადამიანის ყველაზე დიდი მტერი ბიუროკრატიული კანონმდებლობაა**, როცა პიროვნება ნელში წყდება, ელემენტარული უფლება რომ მოიპოვოს. ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანები ხელის ჩაქნევას ამჯობინებენ, ვიდრე იმას, რომ ჯანმრთელობა და სიცოცხლე შესწირონ უფლების შექმნას. მხოლოდ განსაკუთრებული ინტერესის შემთხვევაში ახერხებენ, გამოიჩინონ რკინის ნებისყოფა და ბოლომდე მიიყვანონ საქმე. როგორც მაიაკოვსკი ამბობდა ხოლმე, „მგელის გასახრავია“ ეს უსაფუძვლო ბიუროკრატიზმი. რაგინდ მეტი უფლებებიც არ უნდა მიანიჭო ადამიანს, თუ მასთან მისასვლელი გზა „ბიუროკრატიული ხერგილებით“ გაავსე, შეუძლებელია ვილაპარაკოთ ადამიანის უფლებებზე. **უფლება მხოლოდ ის არის, რომლის რეალიზაციაც შესაძლებელია**. თავად კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს „ბიუროკრატ“ მოხელესთან თუ დანესებულებასთან გამკლავების გზებს. ამ მიმართებით ბევრ კარგ ნამონყებას ჩაეყარა საფუძველი და მე ვისურვებდი, რომ სხვა ნაბიჯებიც გადადგმულიყო. ახლა კიდევ ერთ საკითხს მინდა მივაქციო ყურადღება. **უფლების შექმნის გამარტივება სულაც არ ნიშნავს ამ უფლების ღირებულებით დამცრობას**. კერძოდ, იმას, რომ ყველამ ყველაფერი მარტივად შეიძლება შეიძინოს. მართლაც არის უფლებები, რომელთა შექმნაში ყველა თანასწორია, მაგრამ არის უფლებები, რომლებიც მალალ მოთხოვნებს ექვემდებარებიან. სწორედ ახლა მივაღქვით ერთ საკითხს, რაც ჩემნაირი კაცის პროფესიას ეხება, კერძოდ, პროფესორად

გახდომას. რა იყო ადრე საამისოდ საჭირო? ორი დისერტაციის დაცვა, რამდენიმე წლის პროფესორის თანამდებობაზე მუშაობა და შედეგიც დადგებოდა. ამ დისერტაციების დაცვას ადამიანის იმდენი უსარგებლო შრომა სჭირდებოდა, რომ ბევრი ნიჭიერი მეცნიერი ხელის ჩაქნევას ამჯობინებდა. „განათლების შესახებ“ კანონმა პრინციპულად შეცვალა მდგომარეობა და მხოლოდ ერთი სადოქტორო ხარისხის დაცვით დაკმაყოფილდა. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დაბალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე დოქტორმა სიზმარი ნახა, რომ პროფესორია და გაიღვიძა თუ არა, აღმოჩნდა, რომ ეს სიმართლეა. ასეთი კაცი ნაშრომების წერას ხელს აღარ მოკიდებს. ეს საკითხი სერიოზულად დასაფიქრებელია, რამეთუ მან ცუდი შედეგი არ მოგვცეს მეცნიერების განვითარებაში. კაცს, რომელსაც არ შეუძლია ერთი ხეირიანი ნაშრომი დაუსახელოს სტუდენტებს თავისი შემოქმედებიდან ის რა პროფესორია.

VI. სამართალი როგორც ზნეობის „მაქსიმუმი“

სამართალს ვერ შევაცვარებთ ხალხს, თუ იგი ზნეობასთან მიმართებაში მუდამ დამცირებულ მდგომარეობაში გვეყოლება. არ შეიძლება ადამიანებს მარტო ის სწამდეთ, რომ სამართალი ზნეობის მინიმუმია, როგორც ამას ამტკიცებდა ცნობილი გერმანელი იურისტი გეორგ ელინეკი. ამ დებულებას, პრინციპში, ვერავინ ვერ გაექცევა, მაგრამ არ შეიძლება სამართალსაც ჰქონდეს პრეტენზია, რომ თავად გახდეს ზნეობრივ ფასეულობათა მხარდამჭერი და ზოგჯერ კიდევ ქმნიდეს ამ ფასეულობებს? ის ქვეყანა, რომელიც ამ გზით წავა, უდავოდ სერიოზულ წარმატებებს მიაღწევს და ხალხი ქვების სროლას კი არ დაუნყებს სამართალს, არამედ შეიყვარებს. ეს მაშინ მოხდება, როდესაც ზნეობა და სამართალი ჩინური კედლით კი არ გაემიჯნებიან ერთმანეთს, არამედ ზნეობა იქნება ერთ-ერთი სერიოზული წყარო სამართლისა. ეს არ ნიშნავს ამ ფასეულობათა ერთმანეთში აღრევას. ორივე ინარჩუნებს ავტონომიურობას. რაც ყველაზე მთავარია, სამართალი არ უპირისპირდება ზნეობრივ ღირებულებებს.

კანონმდებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ იგი არ უნდა დაუპირისპირდეს აღიარებულ ზნეობრივ ფასეულობებს. ასეთი დაპირისპირება საფრთხეს შეუქმნის თვით ადამიანის არსებობას, ვინაიდან **არ შეიძლება არსებობდეს ადამიანი, როგორც მარტოდენ სამართლებრივი სუბიექტი**. თუკი მოხერხდება, რომ სამართალი საზოგადოდ აღიარებულ ზნეობრივ ფასეულობებს დაემყაროს და მისი განვითარების ხელშემწყობი გახდეს, ასეთი

სამართალი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ზნეობის მინიმუმად. როგორ უნდა მოვიქცეთ, თუკი ამა თუ იმ ხალხს ჩამორჩენილი ზნეობა აქვს? თუკი სამართალს ამ ზნეობის მინიმუმად მივიჩნევთ, მთლად წახდება საქმე. სწორედ აქ შეიძლება ითამამოს სამართალმა ზნეობის გაკეთილშობილების ფუნქცია. ავიღოთ ელემენტარული მაგალითი, თუკი სამართლის მეშვეობით იმ ხალხებში, რომლებშიც მრავალცოლიანობაა, მონოგამია დამკვიდრდება, ეს არ იქნება ზნეობრივი ფასეულობებისადმი მხარდაჭერა. ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. როცა სამოქალაქო კოდექსის პროექტის განხილვა ხდებოდა პარლამენტში, ერთმა ნორმამ გამოიწვია სერიოზული კამათი. კერძოდ, პროექტი კრძალავდა გვერდითი ხაზის ნათესავებს შორის ქორწინებას მეოთხე თაობის ჩათვლით. ქართველი დეპუტატები უფრო შენუხდნენ მუსლიმანი მოქალაქეების ბედზე, ვიდრე თავად თვითონ. პარლამენტარები გაესაუბრნენ მოლებს, მუსლიმან დეპუტატებს. ამ უკანასკნელებმა კი თქვეს, რომ ვინც ჩვენ ხალხს ახლო ნათესავებს შორის ქორწინებას გადააჩვევს, იმას ნობელის პრემია ეკუთვნისო. იუსტინიანესაც, რომ ჩვენსავით ეფიქრა, სომხებთან დაკავშირებით, იგი ვერ გამოსცემდა ცნობილ ნოველებს, რომელთა მიზანმიმართებაც იყო არაბუნებრივი და უსამართლო მემკვიდრეობის წესისაგან სომხების გათავისუფლება. როგორ ფიქრობთ, შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსმა არ გააკეთილშობილა მილიონობით აზიელის ზნეობრივი ცხოვრება? როცა სამართალი ებრძვის ზნეობისაგან გაუცხოებულ ზნე-ჩვეულებებს და ამით ახალი ფასეულობების დამკვიდრებას უწყობს ხელს, ამ შემთხვევაშიც იგი ზნეობის მინიმუმია? სწორად უნდა გამიგოს ყველამ, მე მხოლოდ იმისი თქმა მინდა, რომ **სამართლის ქმნადობის პროცესი ისე უნდა ავანყოთ, რომ იგი საზოგადოების სასიცოცხლო ზნეობრივ ფასეულობებს დირეგად (ბოძად) ედგეს და არა ძირს უთხრიდეს მას.** ასეთ სამართალს ყველა შეიყვარებს და მაშინ საეჭვო გახდება ის დებულება, რომ სამართალი ზნეობის მინიმუმია. ამით ბოლო მოელება სამართლებრივ ნიჰილიზმს, რაც ერთობ ძლიერადაა გამჯდარი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

სამართლის ასეთი პოზიტიური ფუნქცია ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სამართალი კაი ხელოსანივით მხოლოდ ზნეობის გაკეთილშობილებითაა დაკავებული. არა, ნამდვილად სხვაგვარადაა საქმე. არის ზნეობრივი ცხოვრების სფერო, რომელშიც სამართალს ცხვირს არავინ ჩააყოფინებს. ეს იმიტომ კი არა, რომ ვინმე დაუდგება მას დარაჯად, არამედ იმიტომ, რომ ეს, უბრალოდ, შეუძლებელია. ვინც არ უნდა მოინადინოს ამისი გაკეთება, ნებისმიერი მცდელობა კრახით დამთავრდება. ამისი მონდომება არც იქ ვარგა, სადაც ადამიანებს შეუძლიათ არჩევანი გააკეთონ - მოიქცნენ ან ზნეობის მიხედვით, ანდა მისგან თავისუფალი სამართლის მიხედვით.

ელემენტარული მაგალითი, მეგობარმა მიაშობო ტესტის შესახებ, რომელშიც ასეთი კითხვა ყოფილა დასმული: ახალგაზრდა კაცი მგზავრობს ავტობუსით, ამოდის მოხუცი და ინვალიდი. ვის უნდა დაუთმოს მან ადგილი. სწორი პასუხი გვეუბნება, რომ არავის არ უნდა დაუთმო, რადგანაც შენ გაქვს უფლება, უმწეო ხალხის დანახვაზე გული არ შეგინუხდეს. გამოდის, რომ ეს პასუხი თუ არ შემოხაზე, ცუდად ყოფილა შენი საქმე. ვის უნდა მოსვლოდა ასეთი აზრი, თუ არა ზნეობისაგან დაცლილ ადამიანს. სწორი პასუხი არც ზნეობით გაჯერებულ სამართალს შეესაბამება. **ისე კარგი იქნება, თუ სათანადო დანებსებულებები დაინტერესდებიან საგამოცდო ტესტების ზნეობრივი კუთხით. სახელმწიფოს ამ თვალსაზრისითაც ეკისრება პასუხისმგებლობა.**

ამრიგად, სამართლის აგრესია ზნეობაში შეუძლებელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთეულ შემთხვევებს. ნურც იმის შეგვემინდება, რომ, თითქოს უცხო სამართლის რეცეპციას თან მოყვება უცხოელთა ზნეობისა და ყოფა-ცხოვრების გადმოღება. ზნეობა ისეთი რამ არის, რომ მის მიმართ აგრესია შეუძლებელია. ზნეობრიობა ადამიანის შინაგანი თვისებაა და ისტორიულადაც, ჩვენი ხალხის გადარჩენის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო იყო.

VII. ნდობისა და რწმენის ფაქტორები სამართალში

ნდობის ფაქტორი ნებისმიერი საზოგადოების არსებობის დედაბოძია. ეს ნიშნავს იმას, რომ ნდობის ატმოსფერო სუფევს ყველა მიმართულებით. ხალხი ენდობა სახელმწიფოს, სახელმწიფო - ხალხს და ყველა - ერთმანეთს. ამას კი კეთილსინდისიერი და სოლიდარული საზოგადოება ჰქვია, რომელშიც სამართალი ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. საკანონმდებლო რეფორმებმა სერიოზულად შეუწყო ხელი ამგვარი საზოგადოების ჩამოყალიბების რწმენას. მარტო სამოქალაქო ბრუნვის მაგალითი რომ მოვიხმოთ, ვნახავთ, რომ მისი მონაწილენი მგლებივით კი არ უღრენენ ერთმანეთს, არამედ ისე იქცევიან, როგორც კეთილსინდისიერ პარტნიორებს შეეფერებათ. სიტყვას „ულვამის დამატება“ აღარ სჭირდება. ცოტა კი ვაზვიადებ, მაგრამ ამას რწმენა მაღაპარაკებს. თუ გწამს - კიდევ ენდობი და თუ ენდობი, ე.ი. გწამს. არც ერთი ეს თვისება უნიადაგოდ არ ყალიბდება. როცა საზოგადოება დაინახავს, რომ იგი განწირულია იმისგან, ვინც ყველაზე მეტად უნდა ზრუნავდეს მასზე, აქ ნდობისათვის ადგილი აღარაა. იყო ამისთანა დროც და მისი შედეგიც ყველამ უწყის. **ნდობის საზოგადოება გულისხმობს სახელმწიფოს არა სიძულვილს, არამედ მის სიყვარულს**

თუ არა, მასთან ნაკლებ დაპირისპირებას მაინც. არ შეიძლება სახელმწიფოში მუდამ შენთან დაპირისპირებულ დანესებულებას ხედავდე. სახელმწიფოს „ბავშვივით“ ქებაც სჭირდება და კრიტიკაც. აბა მოინადინე და სრულიად საფუძვლიანად შეაქე იგი, შეიძლება ამის გამო საზოგადოების მონონება ვერ დაიმსახურო. რა თქმა უნდა, მონონება კი არა, ლანძღვა-გინება გეკუთვნის, როცა ხოტბა-დიდებას ასხამ იმას, რაც მხოლოდ კრიტიკის ღირსია. ასეთი ადამიანი მართლაც გაუცხოებულია სახელმწიფოსაგან და ცუდ საქმეს აკეთებს. მაგრამ განა სწორად ვიქცევით, როცა ადამიანებს სჭირდებათ რწმენის სიმტკიცე და ორ თბილ სიტყვასაც ვერ ვიმეტებთ საამისოდ. განა ესეც თავისებური გაუცხოება არაა. არ შეიძლება ადამიანი მედლის ერთ მხარეს ხედავდეს მართო. ასეთ კაცს არც ნდობა ექნება და არც რწმენა. ელემენტარული მაგალითი მოვიყვანოთ. ექნება კი ნდობა სტუდენტს იმ პროფესორისადმი, რომელიც, როგორც წესი, პატრონიან სტუდენტებს პროტექციით უმატებს ნიშანს, უპატრონოს კი „წურავს“. ან კიდევ, იმდენს მოითხოვს მათგან, რამდენი თვითონაც არ იცის. აქაც მენტალიტეტი თუ არ შეიცვალა, ძნელია შედეგის მიღება. **პირველ რიგში, პროფესორ-მასწავლებლის მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს და ათასი ნავით არ უნდა გამოუტენოს მან სტუდენტს ტვინი.** გამოცდის მიღებისას თავი კრივის რინგზე არ უნდა ეგონოს და სტუდენტის „გამოჭერის“ ჰალუცინაციებით არ უნდა იყოს შეპყრობილი. ამ საკითხზე ბევრი მაქვს სათქმელი და თუ განწყობა მომეცა, საფუძვლიანად მივუბრუნდები მას.

ამდენად, სახელმწიფო უნდა ენდოს ხალხს და ხალხი სახელმწიფოს. **თუ სახელმწიფომ ხელი გამოგინოდა, მას ზურგი არ უნდა შეაქციო და პირიქით - ხალხის ხმა სახელმწიფოს ხმად უნდა აღიქმებოდეს.**

VIII. სამართლის გრძნობა და განცდა

სამართლის ნამდვილ დანიშნულებას ადამიანი ვერ გაიგებს, თუ მან იგი არ იგრძნო და განიცადა. როდიდან შეიძლება ეს თვისებები ჩაუნერგოთ მას? როგორც ჩანს ბავშვობიდან და ამისათვის არ არის აუცილებელი ჩვენს შვილებს კანონები ვაზუპირებინოთ. საკმარისია, მათ ვასწავლოთ ელემენტარული სიკეთეები, რომელთა მიმართ პატივისცემის გარეშე ისინი ვერ ჩამოყალიბდებიან სრულფასოვან მოქალაქეებად. როგორ შეიძლება ამის გაკეთება და ვინ უნდა ასწავლოს იგი ჩვენს შვილებს? ამისი ადგილი ყველგან შეიძლება გამოინახოს - სახლშიც და კარშიც. ბავშვი მშობლებისაგან უნდა სწავლობდეს, რომ ამქვეყნიურ ცხოვრებაში მთავარი ფასეულობანია

სიკეთე და სამართლიანობა. მათი ასპარეზი კი იმ საზოგადოებაშია, რომელშიც პატივს სცემენ სამართალს. **ბავშვს თავიდანვე უნდა ჩავაგონოთ სიყვარული საზოგადო სიკეთეებისადმი.** მან უნდა იცოდეს, რომ არ შეიძლება დაზიანება არა მარტო საოჯახო ნივთებისა, არამედ სკოლის ქონებისა. არ შეიძლება არა მარტო საკუთარი ბინის დანაგვიანება, არამედ საერთო ეზოსიც. ვინ იცის, რამდენი რამ შეიძლება ვასწავლოთ მათ. ბავშვმა ოთახი რომ დაანაგვიანოს, შეიძლება ზოგიერთმა მშობელმა ამის გამო მკაცრად დასაჯოს იგი, მაგრამ თუ მის თვალწინ ეზოში ნაგავს მოისვრის, ამაზე შეიძლება ხმაც არ ამოიღოს. ზოგჯერ ამ საქმეში დიდებიც „კარგად აღზრდილები“ არიან. **ყველა მშობელი ვალდებულია, მონესრიგებული შვილი გაზარდოს. ნესრიგი კი კერძო და საერთო ინტერესების მშვიდობიანად და გვერდიგვერდ არსებობის განცდაა.** ასეთი განცდა სასურველი სახელმწიფოს აუცილებელი პირობაა. კაცმა რომ თქვას, ამაზე ზედგამოჭრილია საქართველოს გერბზე ამოკვეთილი სიტყვები „ძალა ერთობაშია“. ასე რომ, სახლი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები თუ ნებისმიერი სხვა დანესებულება, ამნაირად უნდა მოიმართოს. **არ უნდა დარჩეს ადგილი, საიდანაც ახალგაზრდა „გაფუჭებულ საკვებს“ მიიღებს და სამოქალაქო ნესრიგის სიძულვილით დაიმუხტება.** ასე აღზრდილი ადამიანი, როგორი დონის პროფესიონალიც არ უნდა იყოს - ნესრიგის წყალობით, გაცილებით მეტს შესძენს საზოგადოებას, ვიდრე უკეთესი, მაგრამ უნესრიგოდ აღზრდილი ადამიანი. **სახელმწიფოც ხომ ადამიანის სხეულივით მონესრიგებული ორგანიზმია, რომელიც შეიძლება შექმნას მხოლოდ ამ ნესრიგით შთაგონებულმა ადამიანმა.**

IX. კანონმდებლის ბოჭვა სამართლის პრინციპებით

კანონმდებლს არ უნდა ეგონოს, რომ, რასაც თვითონ დაადგენს, მხოლოდ ის არის სამართალი. **სამართალი გაცილებით მეტია, ვიდრე პარლამენტის მიერ მიღებული კანონები.** ამიტომაც, კანონმდებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ არის ისეთი ფასეულობანი, რომელთაც ის უნდა დაემორჩილოს კანონების მიღებისას. ასეთს კი წარმოადგენს სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები. სწორედ ეს პრინციპები განსაზღვრავენ სამართალგანვითარების დონეს ამა თუ იმ ქვეყანაში. ამ პრინციპებით რომ თავი შეიზღუდო, უნდა გესმოდეს მისი ბუნება. მაშასადამე, **შენ, როგორც კანონმდებელი, ყველაზე გამორჩეული ადამიანი უნდა იყო.** ტყუილად არ ამბობდა ჟან ჟაკ რუსო, რომ „კანონმდებელი სახელმწიფოში არა მარტო თავისი გენით, არამედ თავისი მდგომარეობითაც ყოველმხრივ არაჩვეულებრივი კაცი უნდა იყოს“-ო

(„საზოგადოებრივი ხელშეკრულება“, თბ., 1997, გვ. 43). მოკლედ, კანონმდებელს კარგად უნდა შეეძლოს საზოგადოების სასიცოცხლო ღირებულებებს ადვილად მოარგოს გასაღები. სხვანიარად, ხალხი და ქვეყანა დაიჩაგრება და სახელმწიფო ვერ განვითარდება. მახსოვს, როცა სამოქალაქო კოდექსის პროექტი იხილებოდა პარლამენტში, სადავო შეიქმნა პროცენტის საკითხი სავალო ურთიერთობებში. პროექტი ზღუდავდა პროცენტის განსაზღვრის სრულ თავისუფლებას და აწესებდა გარკვეულ ზღვარს. ამან დეპუტატების გარკვეული ჯგუფის პროტესტი გამოიწვია. მათი თქმით, ვისი რა საქმეა, მხარეები რამდენ პროცენტზე შეთანხმდებიან. ამ ადამიანებს კარგად რომ სცოდნოდათ სამართალში მოქმედი პრინციპები, კერძოდ, სახელშეკრულებო თავისუფლების მოქმედების ფარგლები, საჯარო წესრიგის მნიშვნელობა, მაშინ ასეთი აზრები არ გაუჩნდებოდათ. ნებისმიერმა საშუალო დონის იურისტმა იცის, რომ როგორც საეკლესიო, ისე საერო სამართალი, მათი გაჩენის დღიდან, ებრძვის ზღვარგადასულ პროცენტს. ისტორია გვეუბნება, რომ ცნობილი ტირანი მეფეებიც კი შეწუხებულან მაღალი პროცენტით და მისი შეკავების მექანიზმები მოუგონიათ. ასე რომ, არც ისე დიდი ცოდნაა საჭირო აღნიშნულის სწორი შეფასებისათვის.

როცა ეს პრინციპები ცნობილია კანონმდებლისათვის, მაშინ მას კანონის ნორმის განმარტებაც არ გაუჭირდება და აღარ მოითხოვს კანონების სახელმძღვანელოს სტილზე აგებას. მახსოვს, ისევ სამოქალაქო კოდექსთან დაკავშირებით, რამდენი ენერგია დაიხარჯა მასში ცვლილებების შესატანად, მაშინ როცა საქმე გვექონდა მხოლოდ ნორმის განმარტებასთან. ეს ისტორია კარგად დამამახსოვრდა ლიზინგის ინსტიტუტთან დაკავშირებით. მე არ უარვყოფ საკანონმდებლო ცვლილებებს, მაგრამ, როცა მხოლოდ ნორმის განმარტების საკითხი დგას, იქ ამას უნდა მოვერიდოთ.

ყველაზე აუტანელი ის არის, როცა კანონმდებელი ხედავს, რომ მის მიერ მიღებული აქტით ირღვევა კონსტიტუცია, მაგრამ ამას არაფრად აგდება და კომიკურ მდგომარეობაში იყენებს თავს. ამის მაგალითად გამოდგება საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2003 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება (N1/1/138,171,179,209) საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ლეკვეიშვილი, კობა გოცირიძე, კობა კობახიძე და სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“. სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის 852-ე მუხლის პირველი პუნქტი საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით სწორედ იმ მოტივით, რომ დარღვეული იყო კონსტიტუციის ცხადზეუცხადესი დებულება. კერძოდ, კონსტიტუციით დად-

გენილია, რომ მოსამართლის უფლებამოსილების ვადა არანაკლებ 10 წელია, კანონმა კი დაუშვა 18 თვით მისი არჩევა ცალკეულ შემთხვევაში. იმდენად მადის აღმძვრელი აღმოჩნდა ეს ნორმა, რომ სათვალავი არ ჰქონდა ამ ვადით დანიშნულ მოსამართლეებს. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ითქვა: „საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინანდაცის თანახმად, „მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით ... კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა იმპერატიულ ხასიათს ატარებს და არ იძლევა რაიმე გამონაკლისების შესაძლებლობას“.

სამოსამართლეო უფლებამოსილების კონსტიტუციით დადგენილი ვადა კი მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის ერთ-ერთი სერიოზული საფუძველია. კანონმდებელს ამის გაგება ნამდვილად უნდა შეძლებოდა და არ დაეწყო სიტყვებით მანიპულირება. მხედველობაში გვაქვს ის, რომ სადავო ნორმა 18 თვით დანიშნულ მოსამართლეზე ამბობს, იგი მოსამართლე კი არ არის, არამედ „სამოსამართლეო უფლებამოსილების განმახორციელებელი“ პირიაო. ამაზეა ზუსტად ნათქვამი „ალიხოჯა“ - „ხოჯაალი“. სასამართლომ აღნიშნა, რომ „მოსამართლე და „სამოსამართლეო უფლებამოსილების განმახორციელებელი“ პირი ფუნქციურად იდენტურ სუბიექტებს წარმოადგენენ. ერთი და მეორეც ახორციელებს მართლმსაჯულებას და ამ თვალსაზრისით მათ შორის არაა რაიმე განსხვავება.

კანონმდებლის სამართლით შებოჭვა გულისხმობს მის უდიდეს პასუხისმგებლობას საკანონმდებლო სტაბილურობის მიმართ, რომელიც მყარი სამოქალაქო წესრიგის საფუძველია ქვეყანაში. კანონების წამდაუნუმ ცვლა ბადებს სამართლებრივ ნიჰილიზმს. მართალია, პოსტსაბჭოური ქვეყნების სინამდვილეში ვერ გავექცევით კანონების სიცოცხლისუნარიანობის ხშირ შემონმებას, მაგრამ აქაც სტაბილურობის მინიმუმი უნდა შენარჩუნდეს. უფლება რომ გარანტირებული იყოს, მას ნაკლებად უნდა ემუქრებოდეს საკანონმდებლო ცვლილებები. კანონმდებელი უნდა აცნობიერებდეს, რომ ამის უზრუნველყოფა მისი კონსტიტუციური პასუხისმგებლობაა. კონსტიტუციის პრინციპები გვავალდებულებს კანონთა სტაბილურობას.

X. საკანონმდებლო ძალაუფლება და ხალხის ელემენტარული ღირებულებითი წარმოდგენები

დაუშვებელია არა მარტო უფლების, არამედ საკანონმდებლო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. ხელისუფლება ც ისევეა შებოჭილი სამართლის პრინციპებით, როგორც სამოქალაქო ბრუნვის ნებისმიერი მონაწილე.

ეს პრინციპები საკანონმდებლო ხელისუფლების მოქმედების ფარგლებს განსაზღვრავენ. ამიტომაც, ვერ იტყვის კანონმდებელი „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“. როგორც მონტესკიე აღნიშნავდა „უნდა ვერიდოთ კანონებისათვის ისეთი ფორმის მიცემას, რომელიც თვით საგანთა ბუნებას ეწინააღმდეგება“ (კანონთა გონი, თბ., 1994, გვ. 668).

„საკანონმდებლო ძალაუფლების“ წყარო ხალხია და არ შეიძლება ამ ხალხის ნებას ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლის ნება. კანონმდებელი შებოჭილია ხალხის ელემენტარული მართლშეგნებით. არ შეიძლება კანონმდებელმა გადაუხვიოს საყოველთაოდ აღიარებულ იმ ელემენტარულ ღირებულებებს, რომლებიც ყველაზე დაბალი მართლშეგნების ადამიანისთვისაც ბუნებრივია. კანონმდებელი იმავდროულად ხელს უნდა უწყობდეს ხალხის მართლშეგნების განვითარებას. ვინაიდან ხალხი ყოველთვის არ არის მზად, მაშინვე ჩასწვდეს სამართლებრივი ნოველების არსს. ცხადია, ცოტა ხანს ადგილი ექნება მისგან გაუცხოებას. მთავარია, რომ თავად ნოველები იყოს მისაღები და თანდათანობით ისინი ხალხის სამართლებრივ ცნობიერებაში ჩაჯდებიან. წარმოვიდგინოთ, კანონმდებელმა რაღაც უცნაური რამ მოიგონა, რაც არაფრით არ შეესაბამება საზოგადოების წარმოდგენებს სამართალზე. ცხადია, აქ შეიძლება სამუდამო გაუცხოებას ექნეს ადგილი. ასეთ ვითარებაში სამართალი კანონებში კი არ გააგრძელებს არსებობას, არამედ მის მიღმა და საზოგადოება ამ სამართლით იცხოვრებს. აი მაგალითიც - კომუნისტურმა სამართალმა ვერ შეძლო გამარჯვება საქართველოში. ქართველი ხალხი სამართალს არასდროს არ აღიქვამდა სოციალური ფუნქციის იდენტურ მოვლენად. ყოველივე ამის გამო იყო, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ყველაზე მეტად კერძო ინტერესების განცდას ადგილი საქართველოში ჰქონდა. ეს კი იწვევდა პოზიტიურ და არაპოზიტიურ სამართალს შორის მუდმივ დაპირისპირებას. შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელი ხალხის მართლშეგნებიდან კიდევ ამოდის და კიდევ უპირისპირდება მას. დაპირისპირებას აქვს ადგილი დადებითი მნიშვნელობით. **კანონმდებელმა ხალხს უნდა ჩაუწეროს სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელი სამართლებრივი ღირებულებების განცდა.** რას ფიქრობთ, როგორ მოიქცევა საზოგადოება, როცა კანონმდებელი ცუდი მასწავლებლის როლში გამოვა და მონყდება აღიარებულ ფასეულობებს. ასეთ კანონმდებელს ხალხი არ ცნობს. საზოგადოება ყველაზე მტკივნეულად განიცდის კანონმდებლის უსამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეეხება მისი არსებობის სოციალურ მხარეს. რა თქმა უნდა, სახელმწიფო ვერ დაუჭერს მხარს კომუნისტური გათანაბრების პრინციპს, მაგრამ იგი უნდა ეცადოს, არც უფსკრული გაჩნდეს ადამიანის უფლებათა მიმართებაში. **არ შეიძლება**

ადამიანთა გარკვეული ჯგუფი სახელმწიფოში სარგებლობდეს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის სოციალური უფლებებით, მეორეს კი ელემენტარული პირობები არ გააჩნდეს და ამას კანონმდებელი ასაბუთებდეს შესრულების შეუძლებლობით. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში სარჩელების საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ ამ უფლებებს ეხება. ფეოდალური მიდგომა იწვევს ადამიანების ერთი მეორეზე გადამტერებას. არადა, კანონმდებელი ვალდებულია, მათ შორის მშვიდობა ჩამოაგდოს. დავიმონმებ პროფესორ ნოლის წიგნს „მოდერნობა კანონმდებლობის შესახებ“, რომელშიც ხატოვნადაა ნათქვამი, რომ კანონმდებელს არ შეუძლია დაადგინოს, ოქრო ვერცხლია, ანდა შეცვალოს წლის ან კვირის დრო, ან კიდევ თქვას, რომ კაცი იგივეა რაც ქალი, ძალი კი - კატა.

XI. კომიკური ნორმები კანონმდებლობაში

კანონმდებელი ყველანაირად უნდა ეცადოს, რომ კანონის ნაცვლად მას არ გამოუვიდეს რალაც კომიკური თხზულება. არ შეიძლება პიტერის პრინციპებს დაამსგავსოს მან კანონები. **კანონმდებელი უნდა მოერიდოს ისეთი სინამდვილის ნორმატიულ წარმოდგენას, რაც ელემენტარულზე ელემენტარულია და ყველასათვისაა გასაგები.** მახსენდება, ერთი მოხუცი კაცი სოფელში ჩასვლისას სულ ჭკუას რომ მასწავლიდა ამგვარი დარიგებით: „ძველი კაცის ნათქვამია, რომ წვიმაში ყანის მორწყვა არ შეიძლება“. ზოგჯერ კანონმდებელიც გამოურევს ხოლმე ასეთ სიბრძნეს. უკრაინის სამოქალაქო კოდექსში ნათქვამია, რომ ფიზიკური პირები არიან ადამიანები. ამით კოდექსმა მოქალაქეებს უთხრა, რომ სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტია ადამიანი და არა ცხოველი. აზერბაიჯანის სამოქალაქო კოდექსი იმდენად დეტალურად ჩამოთვლის ცხოველთა დაავადებებს ნივთის ნივთობრივი ნაკლის საჩვენებლად, რომ შეიძლება ვეტერინარებიც კი დაინტერესდნენ შესაბამისი მუხლებით. ერთ-ერთ ქართულ კანონქვემდებარე აქტში აქლემების დაკვლის წესზეა ნაამბობი. რა შეიძლება ვუნოდოთ ასეთ ნორმებს, თუ არა კომიკური ნორმები. არ არის კომიკური, როცა კანონმდებელი გეუბნება, ოღონდ წადი სამსახურიდან და წაგახალისებო. კომიკური არ უნდა იყოს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-16 მუხლის ნორმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილება უწყდება, თუკი „წელიწადში 3 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს თავის მოვალეობას“. ასეთი ნორმა მოსამართლეს უფლებას აძლევს, მიატოვოს სასამართლო და რამდე-

ნიმე თვით დასასვენებლად წავიდეს. პასუხს ვერავინ მოსთხოვს. მე რომ მკითხვით, ამისი ნორმატიული გაფორმება კი არა, გულში გავლებაც დიდი უზნეობაა. ეს ის შემთხვევაა, როცა სამართალი ახალისებს უწესრიგობას.

კომიკური ნორმები ადამიანებს ან ართობენ, ანდა არავის არ სჯერა მისი. ნორმა, რომელიც მოწყდება სინამდვილეს, მას დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია და, ცხადია, ის ვერ გახდება სტაბილური საკანონმდებლო ცხოვრების საფუძველი. არ შეიძლება ნორმა სიცოცხლისუნარიანი იყოს, როცა მისი არც კანონმდებელს სჯერა და არც მის ადრესატს. ამას შეიძლება ეწოდოს კანონმდებლობის ბოროტად გამოყენება. ბოროტება იმაშია, რომ კანონმდებელი ღებულობს ასეთ ნორმას იმ განზრახვით, რომ მას მალევე შეცვლის - მიაღწევს თუ არა მისი მოქმედების სასურველ მიზანს. **სწორედ ამის გულში გავლებაც დამლუპველი საკანონმდებლო სტაბილურობისათვის.** როცა კანონმდებელი არ არის შებოჭილი ასეთი სტაბილურობით, მას „შეუძლია“ ნებისმიერ დროს ცვალოს კანონები.

XII. კანონმდებელი და მონოპოლიური მართლშეგნება

კანონმდებლის ამოცანაა, ხელი შეუწყოს თავისუფალი და სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბებას. კერძოდ, ისეთი საზოგადოებისა, რომელშიც როგორც სახელისუფლებო ძალაუფლება, ისე სიკეთეები სამართლიანადაა გადანაწილებული. ყველაზე ცუდი, სახელისუფლებო ძალაუფლების უსაფუძვლო მონოპოლიაა, როცა შეიძლება ეს ძალაუფლება გადანაწილდეს. უბრალოდ, ძალაუფლების უზურპაცია ვერ იძლევა კეთილსასურველ შედეგებს. თანამედროვე სახელმწიფოებში იმდენად ფართოა სახელისუფლებო მართვა, რომ მისი დანაწილების გარეშე შეუძლებელია ეფექტიანი ფუნქციონირება. **მართვის სირთულიდან მოდის იმისი იძულება და აუცილებლობა, რომ ხელისუფლება დანაწილდეს.** მსგავსი ვითარება გვაქვს საკუთრების მართვისას. თუ ადრე, მარტივი სასაქონლო წარმოებისას, მესაკუთრეს იოლად შეეძლო თავისი საკუთრებითი ძალაუფლების გამოყენება, ახლა სხვაგვარადაა საქმე. გელბრეიტის სიტყვებით, დღეს სააქციო საზოგადოებაში მესაკუთრის ძალაუფლება ნულის ტოლია, ხოლო მენეჯერებისა - ყველაფრისა. მოკლედ, **კომერციული საკუთრების ეპოქაში მესაკუთრე იძულებულია, ძალაუფლება გაუყოს არამესაკუთრეს. სხვანაირად, იგი ვერ გამოიყენებს თავის საკუთრებას. მოკლედ, ძალაუფლებათა სამართლიანი ბალანსი წარმოადგენს ძლიერი სახელმწიფოს საფუძველს.** სახელმწიფო ვალდებულია, ებრძოდოს მონოპოლიურ-ფეოდალურ მართლშეგნებას. ერთი ასეთი

ისტორიული ნაბიჯი მან უკვე გადადგა აჭარის მიმართ. მაგრამ, როგორ ფიქრობთ, ეს ფსიქოლოგია მარტო სახელისუფლებო ძალაუფლებას ეხება? სამწუხაროდ, იგი შეიძლება დავინახოთ საზოგადოებრივი ურთიერთობის ნებისმიერ სფეროში. ავიღოთ მეცნიერება. მასხოვს, ჩემი მასწავლებლები როგორ იწონებდნენ თავს იმით, რომ სამეცნიერო დისერტაციების დაცვა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იყო შესაძლებელი. სამწუხაროდ, ამ ფსიქოლოგიას ახლაც ჰყვანან მიმდევრები. პირიქით, თავად დედა - უნივერსიტეტი უნდა დაინტერესდეს იმით, რომ ხელი შეუწყოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებს, თვითონაც იკისრონ ეს ტვირთი. **ყოველთვის მიკვირდა, ადამიანებს რატომ მოსწონთ ზედმეტი ტვირთი, თუ ეს მართლა ტვირთია.** მე რომ მკითხოთ, არსად ისეთ მონოპოლიურ მართლშეგნებას არ ჰქონია ადგილი, როგორც ეს იყო მეცნიერებაში. ახალი კანონმდებლობა იძლევა ამისგან თავდაცვის გზებს. მთავარია, არ მოხდეს მისი ბოროტად გამოყენება, რომლის მაგალითებიც უკვე სახეზეა.

არავინ არ კრძალავს ბუნებრივ მონოპოლიას. თუ ღმერთმა მარტო შენ მოგცა ჭკუა, ეს არ არის ცოდვა. მაგრამ თუ ამას გამოიყენებ იმისათვის, რომ სხვებს გასაქანი არ მისცე, ეს შენი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაა. ასეთი მონოპოლია ხელს უშლის სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა არ გაძლევს უფლებას, კონკურენციისა და თავისუფალი მენარმეობის ნორმები უგულვებელყო. კანონმდებელმა ასეთი ფსიქოლოგია არ უნდა წაახალისოს. სასამართლოს პრაქტიკაში არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც სწორედ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო ჩიოდნენ მოქალაქეები. მეტს აღარ გავაგრძელებ ამ საკითხზე საუბარს. მხოლოდ იმისი თქმა მინდა, რომ ძალაუფლება საზოგადოებაში ისე უნდა გადანაწილდეს, ამ საზოგადოებამ ადამიანის ორგანიზმივით იმუშაოს. პრინციპი ასეთი უნდა იყოს: **არც მეტი ძალაუფლება და არც ნაკლები.**

XIII. კანონმდებელი და ასაკის პრობლემა

კანონმდებლის ყველაზე სუსტი ადგილი ადამიანთა ასაკის მოწესრიგებაა, ვინაიდან ასაკი ხდება უფლების წარმოშობის წყარო. იგი უნდა ეხამებოდეს ადამიანის განვითარების დონეს. კერძო და საჯარო სამართალი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ასაკთან დამოკიდებულებაში. როცა საქმე ეხება ადამიანის უფლებით აღჭურვას, კერძო სამართალი გაცილებით დემოკრატიულია და ცალკეულ შემთხვევაში ხასიათდება

მისი შემცირების ტენდენციით. მაგალითად, თუ სრული სამოქალაქო ქმედუნარიანობის ასაკი 18 წლიდან დგება, ახალმა სამოქალაქო კოდექსმა სამენარმეო ურთიერთობებში მხარი დაუჭირა ასაკობრივ ემანსიპაციას და იგი 16 წლის მიღწევას დაუკავშირა. კერძო სამართალში ასაკის „ბრალით“ გამოწვეული უარყოფითი შედეგები, პირველ რიგში, აისახება ადამიანის კერძო ცხოვრებაში. ასე მაგალითად, სამოქალაქო კოდექსი ამბობს, რომ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი შეიძლება იყოს წარმომადგენელი. თუ არ მივაქცევთ ყრადღებას კერძო ურთიერთობის ბუნებას, შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს ასეთი რამ. ქმედუნარიანობა შეზღუდულ პირს თვითონ სჭირდება წარმომადგენელი და სხვების წარმომადგენლობა როგორ უნდა შეეძლოს? მაგრამ შევხედოთ ამ საკითხს კერძო ავტონომიის კუთხით. არჩევანს აკეთებს წარმომდგენი პირი და, ცხადია, რისკის მატარებელიც თვითონაა. ასეთი არჩევანით შეიძლება მხოლოდ თვითონ დაზარალდეს. შეიძლება ითქვას, რომ ასაკით გამოწვეული შედეგების პირდაპირი სამიზნე კერძო პირის უფლებებია და არაპირდაპირი - საზოგადო ინტერესები. სხვა მდგომარეობაა საჯარო სამართალში. აქ კანონმდებლის ასაკობრივი შეცდომები პირდაპირ აისახება საზოგადოებრივ ინტერესებში. როგორ უნდა მოიქცეს კანონმდებელი ნაკლები შეცდომები რომ დაუშვას? კანონმდებელმა ეს ასაკი უნდა მოხაზოს ადამიანთა ასაკობრივი განვითარების საერთო მდგომარეობით და არა რომელიმე კონკრეტული პირის ასაკობრივი განვითარებით. მოკლედ, მან საზომად საშუალო მასშტაბი უნდა აიღოს და არა ერთეული ვუნდერკინდების ასაკი. აქ მან არ უნდა გადაუხვიოს წესს, რომელიც იტყვის, რომ **კანონმდებელს ავალდებულებს მხოლოდ ასაკი და სხვა არაფერი**. რამდენი ნიჭიერი ადამიანი ცხოვრობს ჩვენს გვერდით, რომელთაც შესანიშნავად შეუძლიათ, დაიკავონ მაღალი თანამდებობანი, მაგრამ თუ დადგენილ ასაკს არ მიაღწევენ, ცხადია, არაფერი გამოვა. აქ კანონმდებელმა თავი უნდა შეიკავოს გამონაკლისებისაგან. ვინაიდან არავინ არაა დაზღვეული, მას სწორად გამოიყენებენ თუ არა. სწორედ ამიტომაც საშიში გამონაკლისები. იგივე უნდა ითქვას საპენსიო ასაკთან დაკავშირებითაც. არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც საპენსიო ასაკი არ ჰქონდეს განსაზღვრული ადამიანისათვის. ამ ასაკის მიღწევაც ყველასათვის, განურჩევლად მისი ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობებისა, ინვესტს სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტას. კარგი პენსიის პირობებში ადამიანები სიამოვნებით ხვდებიან ამ ასაკს. **ასე რომ, ასაკი ავალდებულებს კანონმდებელს**. ასაკი თავისებურად აისახება ადამიანთა ცნობიერებაში. ახალგაზრდა კაცის მოქმედებაში ერთნაირა-

დაა მოცემული დიდი პასუხისმგებლობაცა და უპასუხისმგებლობაც. პასუხისმგებლობა იმიტომ, რომ მას ეშინია არ გახდეს შეცდომების მსხვერპლი, ვინაიდან ჯერ წინ აქვს ყველაფერი და მომავალი ცხოვრება აიძულებს, სიფრთხილე გამოიჩინოს. მოკლედ, **ახალგაზრდა ადამიანს მომავალი ავალდებულებს**. უპასუხისმგებლობაც აქვე ვლინდება და ეს მომავალი მას იმავდროულად ანებივრებს და აიმედებს იმაში, რომ დროში შეიძლება ყველა შეცდომა გაქარწყლდეს. გარდა ამისა, მისი მოქმედება მაღალრისკიანია და ხშირად გრძნობებს უფრო ემყარება, ვიდრე გონებასა და გამოცდილებას. ამ თვისებებით ახალგაზრდა კაცი მაინც სიცოცხლე-სა და მოძრაობას უნდა განასახიერებდეს. **მისი ყველაზე დიდი პრიორიტეტი ის არის, რომ მას ახლის შეგრძნების, რეფორმირების, განახლების, გარდაქმნის, მოკლედ, აზვირთებული ცხოვრების შეგრძნება აქვს**. ეს, ცხადია, უდიდესი ენერჯიაა და თუ ქვეყანა მას გონივრულად გამოიყენებს, წარმატებებიც გარდუვალია. ამის შემდეგ შეიძლება ვინმემ თქვას, რომ აღარ გვჭირდება ასაკოვანი ხალხის დახასიათება, ვინაიდან პასუხი უკვე გაცემულიაო? ნამდვილად არა! ასაკოვანი კაცის ცხოვრებაც ასევე სავსეა პასუხისმგებლობითა და უპასუხისმგებლობით. პასუხისმგებლობა იმაში ვლინდება, რომ მას ყველაზე კარგად ესმის ამ პასუხისმგებლობის სიმძიმე. ასაკში შესული კაცის პასუხისმგებლობას არ განაპირობებს მისი მომავალი. ყველამ იცის, რომ რალაც ასაკში ადამიანის კარიერა მთავრდება. პასუხისმგებლობას სხვათა მომავალი განსაზღვრავს. ასეთი კაცის უპასუხისმგებლობის მიზეზებიც აქ უნდა ვეძიოთ. რახან კარიერა ძირითადად დასრულებულია, მომავალი აღარ ბოჭავს მას. შეიძლება მთელი თავისი მოქმედებები მხოლოდ შინაურების მომავალზე ააგოს. ასეთი კაცი ნაკლებრისკიანიცაა და მისი ქმედებები სიცოცხლეზე ფიქრში კი არაა მომართული, არამედ იმაზე, თუ როგორ გაუმკლავდეს და მოერიოს სიკვდილს. დავით აღმაშენებელს ასაკმა უკარნახა, დაენერა „გალობანი სინანულისანი“. ამ ჭკუაზე იგი ადრეულ ასაკში რომ ყოფილიყო, ის არ იქნებოდა დავით აღმაშენებელი. ასაკოვანი ადამიანი სიახლეებს ძნელად ეგუება და აკვიატებული აზრებითა და ეჭვიანობით გამოირჩევა. სამაგიეროდ, **ასეთ კაცს დიდი გამოცდილება აქვს და ყველაზე უნიჭო მოხუცმაც კი ბრძნული აზრებით შეიძლება გაგაკვიროს**. ასეთი ხალხი კარგ მრჩევლებს უნდა წარმოადგენდნენ. ოღონდ, ახალგაზრდა კაცმა მათ ყოველთვის არ უნდა მოუსმინოს, ვინაიდან ხშირად ისინი კონსერვატიულები არიან. ვიცი, ბევრი გამინაწყენდება ამას რომ ვნერ, მაგრამ რა ვქნა, ასე ამბობენ ცნობილი ფსიქოლოგები. **სახელმწიფო ვალდებულია, ასაკოვანი ხალხის ნიჭი და გამოცდილება ისევე გამოიყენოს, როგორც ახალგაზრდე-**

ბის ენერჯია. მარტო ქვეყანას ვერც ახალგაზრდები ააშენებენ და ვერც ასაკოვანი ხალხი. ყველაზე დიდი შეცდომა მაშინ მოგვივა, როცა თაობები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ყველაზე ძნელი ის არის, როგორ გავარკვიოთ, ვინაა ახალგაზრდა და ვინ ასაკოვანი კაცი. ყველა შემთხვევაში, **კანონმდებელს უნდა ახსოვდეს, რომ ასაკი ბუნების შემოქმედებაა და იგი თავისი ნებით ადამიანს ვერც მოაკლებს და ვერც მოუმატებს ასაკს, ვერც გაახალგაზრდავებს და ვერც დააბერებს. ნებისმიერი არასწორი ნაბიჯი ბუნებისაგან გაუცხოება იქნება.**

კონსტიტუციის ინტერპრეტაციის პრობლემა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში¹

I. კონსტიტუციაში ნაგულისხმევი პრინციპების შესახებ

ვინაიდან კონსტიტუცია, კონსტიტუციონალისტების აზრით, არ წარმოადგენს კოდექსს, ამის გამო, ბევრი რამ მისი ინტერპრეტაციის გზით დადგინდება. უფრო მეტიც, ზოგიერთი საკითხის მოწესრიგება შეგნებულად ღიადაა დატოვებული. კონსტიტუციას წარმოადგენს არა მარტო ის ნორმები, რომლებიც მის ტექსტშია, არამედ მისი პრინციპები და იდეები, რომლებიც უშუალოდ არაა მითითებული არც ერთ კონსტიტუციურ დებულებაში, მაგრამ გამომდინარეობენ მისი ერთიანობიდან, საერთო ცნებებიდან და მნიშვნელობიდან².

გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში უთქვამს, რომ “ძირითადი კანონის” ცნება მოიცავს ისეთ საერთო პრინციპებსა და იდეებს, რომლებსაც, აერთიანებენ სხვადასხვა კონსტიტუციური ნორმები და არ საჭიროებენ დაკონკრეტებას ცალკეულ დებულებებში.

როგორც ამბობენ, კონსტიტუციის პრინციპები ან კონსტიტუციის ტექსტშია მოცემული, ან კიდევ კონსტიტუციური ნორმების ინტერპრეტაციით დგინდება³. ლიტვიის საკონსტიტუციო სასამართლოს ამჟამინდელი თავმჯდომარე ეგიდიუს კურისი წერს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო

1. მოხსენება თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის, კიოლნის უნივერსიტეტისა და გერმანიის აკადემიური გაცვლების სამსახურის (DAAD) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „კონსტიტუციის ნორმათა ინტერპრეტაცია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში: თეორია და პრაქტიკა“, თბ; 2005 წლის 13 ოქტომბერი.

2. Владас Павилонис. Конституция как предмет интерпретации в решениях Конституционного Суда Литовской Республики. В сборнике: Конституционное правосудие в посткоммунистических странах. М., 1999, с. 142, 144.

3. იქვე, გვ. 144.

კონსტიტუციაში მოცემული პირველადი და კომპლექსური პრინციპების ღრმა განმარტების საფუძველზე ქმნის ისეთ ახალ პრინციპებს, როგორცაა ნაწარმოები პრინციპები. ასეთებად იგი მიიჩნევს შემდეგ დებულებებს: “კონსტიტუციით გარანტირებულია მემკვიდრეობის უფლება”, “საკუთრება ავალდებულებს”⁴. მსგავსი მაგალითები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაშიც გვაქვს საკუთრებისა თუ სხვა სამართლებრივი ღირებულებების მიმართ, რომელზედაც შემდგომ გვექნება საუბარი.

არ შეიძლება კონსტიტუცია განხილულ იქნეს როგორც მხოლოდ ეროვნული სულის პროდუქტი. **კონსტიტუცია იმავდროულად საერთო სულის გამონათქვამაცაა.** ამიტომაც ნებისმიერი კონსტიტუციის ღირსება უნდა შეფასდეს იმით, თუ რამდენად მორგებული გასაღებია მასში ჩადებული საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ფასეულობების გამოყენების თვალსაზრისით. საკონსტიტუციო სასამართლო ამ შემთხვევაში წარმოადგენს ამ ფასეულობებთან დამაკავშირებელ ყველაზე მოხერხებულ დაწესებულებას. სწორედ მან უნდა განსაჯოს ამ ფასეულობათა მნიშვნელობა.

საქართველოს კონსტიტუცია საამისოდ რამდენიმე დებულებას შეიცავს, რითაც აღიარებულია აღნიშნული ფასეულობები. ისინი ფაქტობრივად წარმოადგენენ კონსტიტუციურ ფასეულობებს და ამდენად, ეროვნული კანონმდებლობის ნაწილსაც. კონსტიტუციის მე-6 მუხლით პირდაპირაა აღიარებული, რომ “საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს”. კონსტიტუცია აღიარებს მათ უპირატესობას შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. თუმცა კონსტიტუციასთან წინააღმდეგობისას უპირატესობა ამ უკანასკნელს (კონსტიტუციას) ენიჭება. ასეთ ვითარებაში შესაძლებელია გაჩნდეს კონსტიტუციის შინაგანი კონფლიქტი. კერძოდ, კონსტიტუციაში ჩაიდოს ისეთი ნორმა, რომელიც გაუცხოებული იქნება მისი მთლიანი ორგანიზმისაგან. მე მიმაჩნია, რომ **საკონსტიტუციო სასამართლო გადანყვეტილების მიღებისას უნდა ამოვიდეს კონსტიტუციის საერთო სულისკვეთებიდან და მის საფუძველზე უნდა მიიღოს გადანყვეტილება.** მოკლედ, ამა თუ იმ ნორმის კონსტიტუციურ პრინციპებთან წინააღმდეგობისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამ პრინციპებს. ეს მოვლენა არ უნდა გავაიგივოთ ზოგადი და სპეციალური ნორმების კავშირთიერთობასთან. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადანყვეტილებაში აღნიშნა, რომ სპეციალური მონესრიგება ამა თუ იმ დარგით აღიარებული ფასეულობების ფარგლებშია შესაძლებელი. საკმარისია ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის დამაკავშირებელი ძაფი განყდეს, რომ სპეციალური

4. Эгидиус Курис. Доктрина разделения властей в практике Конституционного суда Литвы. Сборник докладов: „Конституционный суд как гарант разделения властей“. М., 2004, с. 95.

მონესრიგება ეჭვის ქვეშ დადგება. თუ უფრო შორს წავალთ, რაც კონსტიტუციის მიმართ ავლნიშნე, შეიძლება გამოყენებადი აღმოჩნდეს სამართლის ნებისმიერ დარგში. საკონსტიტუციო სასამართლო, მას შემდეგ, რაც მიიღებს გადაწყვეტილებას, ვფიქრობ, ვალდებულიცაა ხელისუფლებას მიმართოს გაუცხოებული კონსტიტუციური ნორმის გაუქმების შესახებ.

II. კონსტიტუციაში ნაგულისხმევი უფლებების შესახებ

აღბათ არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში არ უნდა იყოს ყველა საყოველთაოდ აღიარებული უფლება პირდაპირ ფიქსირებული. ეს, ცხადია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უარია ნათქვამი მათ დაცვაზე. ამ შემთხვევაში გამოიყენება საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი პრინციპები, კერძოდ, კონსტიტუციის ის ნორმები, რომლებშიც გამოხატულია პატივისცემა ადამიანის საზოგადოდ აღიარებული უფლებების მიმართ. პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი, რომელშიც ნათქვამია: “სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით”. საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ გამოუყენებია კონსტიტუციის 39-ე მუხლი იმ უფლებების დასაცავად, რაც კონსტიტუციაში არ არის მოხსენიებული. ამ მუხლში ნათქვამია: “საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან”. ამ ნორმიდან კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ უფლების აღიარებისთვის არაა აუცილებელი მისი კონსტიტუციის რომელიმე ნორმაში მოხსენიება, მთვარია, ეს უფლება კონსტიტუციის პრინციპებიდან გამომდინარეობდნენ.

მოვიტან რამდენიმე შემთხვევას, როცა საკონსტიტუციო სასამართლომ ამ პრინციპებზე დამყარებით მიიღო გადაწყვეტილება. პირველ რიგში, ეს ეხება სოციალური უფლებების დაცვას. დოქტრინა და სასამართლოების პრაქტიკა ერთობ წინააღმდეგობრივია ამ უფლებების დაცვის საქმეში. არის აზრი, რომ ეს უფლებები ახალი ეპოქის უფლებებია და არ შეიძლება ისინი მივაკუთვნოთ ძირითად უფლებებს. მინდა გავიხსენო გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გენერალური მდივნის სიტყვები ამასთან დაკავშირე-

ბით, რომელიც მან განაცხადა ქართულ ჟურნალში დაბეჭდილ სტატიაში. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ სოციალური სამართლის სფეროში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არ წამოეგო “სამოსამართლო სამართლის” ცდუნებას და კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ ნაწილში მოცემული “სოციალური სახელმწიფოს ზოგადი პრინციპის” დაკონკრეტებისა და შეფასებისას ძალიან ფრთხილად მოქმედებს. ამას, მისი აზრით, იმიტომ აკეთებს სასამართლო, რომ გერმანიის კონსტიტუციის შემდგენლები აცნობიერებდნენ, რომ კონსტიტუცია უნდა მოიცავდეს დეტალურ, კონკრეტულად ფორმულირებულ ძირითად სოციალურ უფლებებს⁵.

თუ გადავხედავთ პოსტკომუნისტური ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკას, იქ ძირითადად სოციალურ უფლებებზე მიღებული გადაწყვეტილებანი დომინირებს. არც საქართველოა ამ მხრივ გამონაკლისი. თუმცა მე მიმაჩნია, რომ ერთგვარი თავშეკავება გვმართებს ამ საქმეში. მართალია, სოციალური უფლებები ყოველთვის ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებზეა მიბმული და, ერთი შეხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს არაფერი ესაქმება ამ სფეროში, მაგრამ ხშირად არსებობს სერიოზული საფუძველი ჩარევისა. საქმე იმაშია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფო ვერ ახერხებს სწორი ბალანსის დაცვას სახალხო დოვლათის განაწილებაში. ამისი შედეგი კი ხშირად ის არის, რომ უფლების დაცვის მატერიალური საფუძველი არსებობს, მაგრამ სახელმწიფო არ იყენებს მას. აქ ისეთი მდგომარეობა იქმნება, როცა ერთი ხელისუფლების შეცდომებს ასწორებს მეორე, მისთვის, შეიძლება ითქვას, “უხერხული ფუნქციის” შესრულებით. ამ წინააღმდეგობებზე მეტყველებს ისიც, რომ ჩვენს გადაწყვეტილებებს ამ საქმეში ჰყოლია სერიოზული ოპონენტები, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების სახით. მე ერთ შემთხვევას გავიხსენებ. 2002 წლის 30 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება (N1/3/136) მოსახლეობის მიერ ელექტროენერჯის შესყიდვის ტარიფთან დაკავშირებით და არაკონსტიტუციურად ცნო მისი მომწესრიგებელი ნორმა⁶. ამ გადაწყვეტილებამდე ტარიფის გადასინჯვის საკითხი (მისი მომატების მიზნით) წელიწადში ორჯერ განიხილებოდა. ამ გადაწყვეტილების მიღებიდან სამწელიწადზე მეტხანს არ ჰქონია ადგილი ტარიფის მომატებას. მე მიმაჩნია, ხელისუფლება ისე უნდა მოქმედებდეს, რომ ასეთი საკითხები საკონსტიტუციო სასამართლოს გადასაწყვეტი არ გახდეს. ამ გადაწყვეტილების მნიშვნელოვანი ღირსება

5. კარლ-ჟორჯ ცირლანი, საკანონმდებლო ნორმების საკონსტიტუციო კონტროლი, ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2001, N4, გვ. 21.

6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები. 2002, თბ., 2003, გვ. 88-116.

ის არის, რომ მასში ჩამოყალიბდა სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვისა და, სახელმწიფოს მხრიდან, მოქალაქეების სოციალური დაცვის პრინციპები. ანალოგიური გადანყვეტილება მიიღო გაზის ტარიფთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ. ასე რომ, პოსტკომუნისტური ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოები გვერდს ვერ აუვლიან სოციალურ უფლებებზე გადანყვეტილებების მიღებას. თუმცა ამ მორევში ღრმად შეცურვა არ შეიძლება.

III. კონსტიტუციის ნორმათა გამიჯვნის პრობლემა

ეს საკითხი ერთობ მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში. მოსარჩელები ფიქრობენ, რომ, რაც უფრო მეტ კონსტიტუციურ ნორმასთან მიმართებით **დააყენებენ მოთხოვნის შემონმებას**, მით უფრო მეტი შანსი ექნებათ სარჩელის დაკმაყოფილებისა. ამ შემთხვევაში სასამართლოს ამოცანაა სწორად განსაზღვროს ის კონსტიტუციური ნორმა, რომელთან მიმართებითაც შეიძლება შემონმდეს სადავო აქტის კონსტიტუციურობა. მოკლედ, სასამართლომ კონსტიტუციურ ნორმათა იდენტიფიკაცია უნდა მოახდინოს. ასე რომ, პირველ რიგში, სარჩელის მიღება-არმიღების ეტაპზე უნდა შეძლოს სასამართლომ კონსტიტუციური ნორმის ინტერპრეტაცია. მართლაც, არის კონსტიტუციაში ნორმები, რომლებიც მოსარჩელებს აძლევენ ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას. ერთ-ერთი ასეთთაგანია მე-15 მუხლის პირველი პუნქტი, რომელშიც ნათქვამია, რომ “სიცოცხლე ადამიანის შეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი”. მოსარჩელეთა ფართო კატეგორია, რომელიც სოციალური უფლებების დაცვას მოითხოვს სასამართლოსაგან, მე-15 მუხლთან მიმართებითაც აყენებს მოთხოვნის შემონმების საკითხს. ხშირია, როცა მოსარჩელე უმტკიცებს სასამართლოს, რომ რადგანაც მან ვერ მიიღო კუთვნილი პენსია (თანხები), ეს პირდაპირ კავშირშია მისი სიცოცხლის უფლებასთან. ბევრისთვისაა ცნობილი ათიოდე წლის წინანდელი შემთხვევა, როცა აკადემიკოსი შიმშილით გარდაიცვალა და ვინ იცის, რამდენი ადამიანი გახდა შიმშილობის მსხვერპლი. ერთ-ერთი მოსარჩელე წლების განმავლობაში უმტკიცებდა სასამართლოს, რომ, ვინაიდან ვერ მიიღო კუთვნილი ანაბარი, შვილს ვერ ჩაუტარა სათანადო მკურნალობა და ამის შედეგად გამოეცალა იგი ხელიდან. უფრო მეტიც, თვითონაც ამ უფლებისათვის ბრძოლას შეენირა. კიდევ მეტი, ამ კატეგორიის მოსარჩელები კონსტიტუციის მე-17 მუხლსაც მოიშველიებენ, რომელიც პატივისა და ღირსების დაცვას ეხება.

სასამართლო ასეთ ვითარებაში ცდილობს, დაადგინოს აღნიშნულ ფასეულობებთან მოსარჩელის კავშირი. სასამართლომ უნდა იმსჯელოს კონსტიტუციის იმ ნორმასთან მიმართებით, რომელშიც ყველაზე სწორად აისახება სავარაუდოდ დარღვეული უფლება. პრაქტიკა ამ გზით მიდის. თუმცა მე მიმაჩნია, რომ დამატებით იმ მუხლების არაპირდაპირი დარღვევაც უნდა დააფიქსიროს სასამართლომ, რომლებთანაც შეიძლება დადასტურდეს ამგვარი კავშირი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რამდენადაც ეს მისი პრაქტიკიდანაა ცნობილი, ფართო ინტერპრეტაციის მომხრეა. ეს ცხადია, სულაც არ ნიშნავს უფლებათა ერთმანეთში აღრევას, მაგრამ უფლებათა (ნორმათა) კავშირ-ურთიერთობა ნამდვილად უნდა გაირკვეს.

IV. კონსტიტუციის აბსტრაქტული განმარტების შესახებ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციას განმარტავს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. ასეა უმეტესი ქვეყნების პრაქტიკაშიც. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებას აძლევს მოახდინოს კონსტიტუციურ ნორმათა განმარტება აბსტრაქტულად, საამისოდ უფლებამოსილი სუბიექტების განცხადების საფუძველზე. ცნობილი კონსტიტუციონალისტი ვოლფგანგ გაული თვლის, რომ ასეთი ფუნქციით საკონსტიტუციო სასამართლო გამოდის პოზიტიური კანონმდებლის როლში. კონსტიტუციის განმარტების ასეთი ფუნქცია წააგავს საბჭოთა კავშირში უზენაესი სასამართლოს მიერ კანონების განმარტების ფუნქციას⁷.

ბუნებრივია, კონსტიტუციის აბსტრაქტულ განმარტებას აქვს თავისი საფუძველი. როცა რაიმე საკითხს იხილავ, უმჯობესია, თავიდანვე გაერკვე კონსტიტუციის დებულებათა შინაარსში და ამით თავი დაიზღვიო არასწორი გადაწყვეტილებისაგან, ვიდრე ის, რომ კონსტიტუციის გაუგებრობაზე დამყარებულ გადაწყვეტილებებს საკონსტიტუციო სასამართლო გიუქმებდეს. მოლა ნასრედინისა არ იყოს, ბავშვი ნყლის მოტანამდე უნდა სცემო და არა მაშინ, როცა კოკა გაუტყდება. ეს უხეში შედარებაა, მაგრამ, მართლაც, უმჯობესია, ასჯერ გაზომო და ერთხელ გაჭრა. ასეთ ვითარებაში საკონსტიტუციო სასამართლო კარგი კონსულტანტის როლში გვევლინება.

მიუხედავად ამ კეთილშობილური მიზნებისა, მე მიმაჩნია, რომ ქართველი კანონმდებელი სწორად მოიქცა, როცა უარი თქვა კონსტიტუციის აბს-

7. ვოლფგანგ გაული, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში, თბ., 2002, გვ. 260-261.

ტრაქტულ განმარტებაზე. სასამართლო, ყველა შემთხვევაში, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით უნდა განმარტავდეს კონსტიტუციას, ვინაიდან არ არსებობს სასამართლო კონკრეტული საქმის გარეშე. ამიტომაცაა რომ კონსტიტუციის კონკრეტული განმარტება ყოველთვის ბევრად ანონილ-დანონილი და საფუძვლიანია, ვიდრე აბსტრაქტული.

გარდა ამისა, აბსტრაქტული განმარტება მოსამართლეს არ აძლევს შესაძლებლობას, სრულად გამოავლინოს თავისი თავი. არც ის არ არის გამორიცხული, რომ ასეთი განმარტება შემდგომ წინააღმდეგობაში მოვიდეს კონკრეტული საქმის განხილვის დროს გაკეთებულ განმარტებასთან.

ზოგიერთი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლო მიმდინარე კანონმდებლობის განმარტების ფუნქციითაცაა აღჭურვილი. მე ეს მიმაჩნია სამართალგანვითარების საწინააღმდეგო აქტად. კერძოდ, პრეცედენტული სამართლის ჩამოყალიბება-განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად. არ შეიძლება ერთმა ორგანომ, რაგინდ ავტორიტეტული და კომპეტენტურიც არ უნდა იყოს იგი, იკისროს ასე მძიმე ტვირთი. შეუძლებელია, ცხრა მოსამართლემ იტვირთოს ის, რაც ასეულობით მოსამართლის პრაქტიკულმა გონებამ უნდა განსაჯოს. ისევ საერთო სასამართლოს უნდა დარჩეს კანონმდებლობის განმარტების უფლება. ამ პროცესში სხვადასხვა სასამართლოების განსხვავებული განმარტება ახალი პრეცედენტების დამკვიდრების წყარო გახდება. ყოველივე ეს კი ხელშემწყობი იქნება სამართალგანვითარებისათვის. სხვა საქმეა, როცა საკონსტიტუციო სასამართლო კონკრეტული საქმის განხილვის პროცესში ახდენს კანონმდებლობის განმარტებას. ეს, ცხადია, სრულიად ბუნებრივია და მას გვერდს ვერ აუვლით.

აღნიშნული ფუნქციით საკონსტიტუციო სასამართლოს დატვირთვა შეიცავს იმ საშიშროებასაც, რომ ამ სასამართლოებმა შეიძლება თავი აარიდონ ნორმის განმარტებას და უმარტივეს შემთხვევებშიც კი საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ. სასამართლოების მხრიდან შემოსული კონსტიტუციური წარდგინების ფორმით ეს მდგომარეობა არაერთხელ დაფიქსირებულა.

მოკლედ, არ შეიძლება ერთი სასამართლო გახდეს მეორის განვითარების შემაფერხებელი დაწესებულება. მოსამართლის ხელოვნება კანონთა განმარტებაშია და ესეც თუ ვერ შეძლო მან, მაშინ რისი მოსამართლეა იგი. უფრო მეტიც, იგი ნორმებს არა მარტო განმარტავს, არამედ კანონმდებლობის გარეთ არსებული ნორმების მომძიებელიცაა.

V. ევროპულ სამართალთან ინტეგრაციის პრობლემა კონსტიტუციის განმარტებისას

კონსტიტუციის განმარტებისას ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყანაში არსებული სამართლებრივი სისტემის ბუნებას. **დაუშვებელია კონსტიტუციასა და სამართლებრივ სისტემას შორის გაუცხოება.** მართალია, კონსტიტუციები გამოირჩევიან რიგი ღირებულებებისადმი ერთნაირი მიდგომებით (მაგალითად, როგორცაა ადამიანის უფლებები), მაგრამ ყოველი კონსტიტუცია მიმართულია რომელიმე სამართლებრივ სისტემაზე. ჩვენს სინამდვილეში ასეთია რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახი. უფრო კონკრეტულად კი, ესაა ევროსაბჭოს მიერ აღიარებული სამართალი. საკონსტიტუციო სასამართლოს როლი მოქმედი კანონმდებლობის ამგვარი ხასიათის შენარჩუნებაში უეჭველად მნიშვნელოვანია. კანონმდებელი ანგარიშს უნდა უწევდეს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივ პოზიციებს. სამწუხაროდ, საკანონმდებლო პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როცა კანონმდებელი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სამართლებრივი პოზიციების პრინციპულად საწინააღმდეგოდ მოქცეულა. საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით, კონსტიტუციურად ცნო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი და “პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ” კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი, რომლებშიც პატივისა და ღირსების დაცვაზეა საუბარი. სასამართლომ მიიღო ერთობ ვრცელი გადაწყვეტილება, რომელიც მთლიანად ევროპული სამართლის სულისკვეთებითაა გაჟღერებული. შემდგომ კანონმდებელმა ეს საკითხი ახლებურად მოანერგა, კერძოდ, მიიღო კანონი “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ”, რომელიც სრულიად განსხვავებულ ღირებულებით პრინციპებზეა აგებული, ვიდრე ამის შესახებ საუბარია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში. ბუნებრივია, ვერც კანონმდებელს ვერ მოვთხოვთ, რომ იგი ყოველთვის სასამართლოს მიერ შემუშავებული პრინციპების “მონა” იყოს, მაგრამ არც ის არის გამართლებული, რომ კანონმდებელი ანგარიშს არ უწევდეს საზოგადოებაში გაბატონებულ ღირებულებებს, რომლებიც ხალხის ზნე-ჩვეულებებიდან მომდინარეობს. ძველი ქართული სამართალი სოციალური კიბის ნებისმიერ საფეხურზე მყოფი პირის პატივსა და ღირსებას იცავდა. ახალი კანონი, როგორც ამას მეტყველებს მის შესახებ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილები, სრულიად გაუცხოებულია პატივისა და ღირსების დაცვის ევროპულ სამართალში მიღებულ გაგებასთან. რაც ყველაზე ცუდია, პატივისა და ღირსების დაცვის წრეს

ერთობ ავინროებს. თუ ქეიფის დროს შეაგინებ ვინმეს, ბოდიშს მოიხდი, მაგრამ, თუკი პოლიტიკურ დებატებში გაგიჩნდებათ ამის სურვილი, მაშინ რამდენიც გნებავთ იმდენი შეგიძლიათ იგინოთ. როგორც შენიშნავენ ამ კანონის კრიტიკოსები, იგი ინგლისურ-ამერიკული სამართლის პრინციპებზეა აგებული. ყოველივე ეს დაგვაფიქრებს იმის თაობაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, მოქმედი კანონმდებლობა იმყოფებოდეს შესაბამისობაში კონსტიტუციით აღიარებულ ღირებულებებთან. **სამართლებრივ ოჯახში უსისტემობა ყოველთვის გამოიწვევს ამ სამართლის შინაგან კონფლიქტს.** ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი კონფლიქტი უეჭველად სახეზეა.

და მაინც, საკონსტიტუციო სასამართლომ პირველი სიტყვა უნდა თქვას ამ კონფლიქტის მოსახსნელად. ყველაფერი ამ შემთხვევაში დამოკიდებულია კანონმდებლის სამართლებრივ კულტურაზე და თვალსაწიერზე. კანონმდებელი სამართალს უნდა აცნობიერებდეს როგორც ერთიან ორგანიზმს. როცა იგი ვერ ერკვევა სამართლის სისტემის ერთიანობაში, ბუნებრივია, ადვილად შესაძლებელია, რომ ორგანულად ერთმანეთთან დაკავშირებული ინსტიტუტები შინაარსობრივად სრულიად წინააღმდეგობრივი აღმოჩნდნენ სწორედ იმის გამო, რომ ერთი გადმოღებული იყოს საერთო სამართლიდან, მეორე — ევროპული სამართლიდან. ეს რომ არ მოხდეს, კარგი იქნება, თუკი კანონმდებელი დაემყარება იმ ექსპერტების მოსაზრებებს, რომელთაც შეუძლიათ ესა თუ ის კანონი თუ ერთეული ნორმები მთელი სამართლის სისტემის ფონზე გააცნობიერონ.

VI. კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტის ინტერპრეტაცია⁸

საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, კონსტიტუცია განიხილოს როგორც ადამიანის ორგანიზმით შეკრული ფასეულობა. მართალია, ამ საკითხზე ნაწილობრივ ზემოთ გვექონდა საუბარი, მაგრამ, ამჯერად, რამდენიმე შემთხვევასთან მიმართებით შევხებით მას. კერძოდ, ჩემი აზრით, საქმე ეხება იმ არასწორ პრაქტიკას, რაც წლების განმავლობაში ყალიბდება სასამართლოში. ეს ითქმის კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტის ინტერპრეტაციაზე. ამ ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ორგანული კანონით დადგენილი წესით, “მოქალაქის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან

8. მოხსენების გაკეთების შემდეგ აღნიშნული მუხლის რედაქცია შეიცვალა. ამჯერად, უცვლელად ვტოვებთ ამ მუხლის თავდაპირველი რედაქციის ჩემეულ ანალიზს.

მიმართებით”. მე-2 თავის სახელწოდება კი ასეთია: “საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი”. სასამართლოში დამკვიდრდა პრაქტიკა, რომ, თუ ადამიანის უფლებაზე საუბარია არა მეორე თავში, არამედ კონსტიტუციის სხვა თავებში, ასეთ შემთხვევაში მოქალაქეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის მიღებაზე. ანდა, თუკი ადამიანის უფლებაზე ერთდროულად საუბარია ორივე თავში, მაშინ მეორე თავის გარეთ არსებული ნორმა მხოლოდ მტკიცებულების მნიშვნელობით უნდა იქნეს გამოყენებული და არა კონსტიტუციურობის შემონიშნების კუთხით. ასე მაგალითად, 2003 წლის 26 თებერვალს სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება (N1/1/138,171,179,209), რომლითაც არაკონსტიტუციურად გამოცხადდა “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 85²-ე მუხლი იმ მოტივით, რომ იგი ფაქტობრივად ითვალისწინებდა პირის მოსამართლედ გამწესებას 18 თვით და არა 10 წლით, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-2 პუნქტით. სასამართლომ სადავო ნორმა ფორმალურად არაკონსტიტუციურად ცნო კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, ფაქტობრივად კი 86-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. საკმარისია გაეცნოთ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს და ამაში ადვილად დარწმუნდებით. ვფიქრობ, ჩვენ შეგვეძლო, სადაო აქტი არაკონსტიტუციურად გვეცნო კონსტიტუციის ორივე მუხლთან მიმართებით. კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტის გონივრული ინტერპრეტაცია სწორედ ასეთი იქნებოდა. ამ პუნქტში მოტანილი გამოთქმა — “მეორე თავის საკითხებთან მიმართებით” სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ თავის საკითხები კონსტიტუციის სხვა თავებით არ არის მოწესრიგებული. საკონსტიტუციო სასამართლომ ბოლომდე უნდა დაძლიოს კონსტიტუციის ვინრო განმარტების პრაქტიკა და ადამიანის უფლებები მთელი კონსტიტუციის საერთო ფონზე უნდა გააცნობიეროს. ის ერთეული პრეცედენტები, რომლებსაც ადგილი აქვს კონსტიტუციის სწორედ ასეთი გაგების სასარგებლოდ, საერთო პრეცედენტად უნდა იქცეს.

ამ კრიტიკული შეფასების შემდეგ მინდა მოვიშველიო სხვა პრეცედენტი საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობიდან, რომელიც სწორედ ჩემ მიერ გამოთქმულ პოზიციას ადასტურებს. კონსტიტუციის დასახელებული 89-ე მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტიდან ჩანს, რომ კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებულ საკითხებზე სარჩელის შეტანის უფლება აქვს ფიზიკურ პირს. იქ იურიდიული პირი მოხსენიებული არ არის. “საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის არც 39-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტით იყო თავდაპირველად

გათვალისწინებული მეორე თავის საკითხებთან მიმართებით იურიდიული პირის სასარჩელო უფლებაუნარიანობა. 2002 წლის თებერვალში ამ მუხლმა განიცადა ცვლილებები და იურიდიული პირი მოგვევლინა მოსარჩელის რანგში. ვიდრე ეს მოხდებოდა, მანამდე საკონსტიტუციო სასამართლო არ იღებდა განსახილველად იურიდიული პირების სარჩელებს. თუმცა ასეთი სარჩელები საკმაოდ ხშირი იყო. ამ გაუგებრობას სასამართლოც შეუწუხებია და ყოფილა პრეცედენტები, როდესაც იურიდიულ პირს, ფიზიკური პირის ნიღბით, მოუხერხებია სარჩელის შეტანა და, შესაბამისად, მასზე გადაწყვეტილებებიც მიღებულა. საკონსტიტუციო სასამართლომ 1998 წლის 15 მაისის განჩინებით, არსებითი განხილვისათვის მიიღო პროფესიული კავშირის წევრთა სარჩელი საკუთრების უფლების დაცვასთან მიმართებით. სადავო აქტები ეხებოდა პროფკავშირის საკუთრებას და არა მისი წევრების საკუთრებას. ფაქტობრივად სასამართლო გადაწყვეტილებით დაცულ იქნა იურიდიული პირის, კერძოდ, პროფკავშირების საკუთრება. 2002 წელს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ ერთობ მომრავლდა იურიდიულ პირთა სარჩელები. აღსანიშნავია, რომ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილება დაეფუძნა კონსტიტუციის 45-ე მუხლის დებულებას, რომლის მიხედვითაც, “კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე”. რაც შეეხება კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტს, მასში სუბიექტების დაკონკრეტებასთან დაკავშირებით რაიმე ცვლილება არ შესულა. აქ ერთგვარ პარადოქსულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. სასამართლო კონსტიტუციას ემყარებოდა, როცა არ იღებდა იურიდიული პირების სარჩელებს განსახილველად. ასევე იმავე კონსტიტუციას ემყარება დღეს, როცა უკვე იღებს აღნიშნულ პირთა სარჩელებს. “საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის 39-ე მუხლი მართლაც კონსტიტუციიდან გამომდინარეობს, თუმცა უმჯობესი იყო 89-ე მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტს ფიზიკური პირების გვერდით იურიდიული პირებიც დამატებოდა. გასაკვირი მხოლოდ ის არის, რომ, თურმე კონსტიტუცია ამ მუხლის გარეშეც აძლევს იურიდიულ პირებს სარჩელის შეტანის უფლებას საკონსტიტუციო სასამართლოში, მაგრამ ეს უფლება ადრე არ გამოიყენებოდა. მე მიმაჩნია, რომ ამ ლოგიკიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონდა უფლება, განსახილველად მიეღო იურიდიულ პირთა სარჩელები 2002 წლის საკანონმდებლო ცვლილებებამდეც, რაც პირდაპირ კონსტიტუციიდან გამომდინარე უფლება იქნებოდა.

VII. კონსტიტუციის მე-14 მუხლის ინტერპრეტაციის საკითხი

კონსტიტუციის მე-14 მუხლი შეიცავს ადამიანთა თანასწორობის ფუძემდებლურ ნორმას. კერძოდ, მასში ნათქვამია: “ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა”.

დისკრიმინაცია შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სამართლებრივად დაუშვებელი (მიუღებელი) უთანასწორობა სამართლებრივად გამართლებულ (მიღებულ) სიკეთებთან მიმართებაში. მაგრამ, თუკი ადგილი აქვს უთანასწორობას ისეთი ფორმით, როცა სამართლებრივად დაუშვებელია და მიუღებელი თავად სიკეთე, მაშინ ვერ ვილაპარაკებთ დისკრიმინაციაზე. ასეთ შემთხვევაში აქ დადგება თვით მართლწესრიგის სამართლიანობის პრობლემა. სიცხადისათვის წარმოვადგინოთ შემთხვევა: კანონმდებელმა მამაკაცებს გაუზარდა ხელფასი მონესრიგებულ და სამართლიანი ხელფასის მხედველობაში მიღებით, ქალებს კი იგივე ხელფასი დაუტოვა. ცხადია, ეს უკანასკნელნი აღმოჩნდებიან დისკრიმინაციულ სივრცეში და მათი მოთხოვნა იქნება სამართლიანი. მეორე შემთხვევაში მამაკაცებს გაუზარდათ ხელფასი, მაგრამ ყველაფერი ეს გასცდა არსებული სამართლებრივი წესრიგის ფარგლებს. რა უნდა ვუწოდოთ ამ შემთხვევას? ყოველივე ეს გაცილებით მეტია, ვიდრე დისკრიმინაცია. დისკრიმინაცია შესაძლებელია მხოლოდ არსებული სამართლებრივი წესრიგის შიგნით. ამ წესრიგიდან გასვლა და გარკვეული კატეგორიის ადამიანებისათვის „ახალი წესრიგი“ შექმნა რალაც სუპერდისკრიმინაციის მსგავსი მოვლენა უნდა იყოს. ჩვეულებრივი დისკრიმინაციისაგან განსხვავება ის არის, რომ, თუ ამ შემთხვევაში დისკრიმინაციის აღმოფხვრა შეიძლება ქალების კაცების მსგავს მდგომარეობაში ჩაყენებით, სუპერდისკრიმინაციის დროს ეს შეუძლებელია, ვინაიდან ახალი სამართლებრივი წესრიგი ვერ თავსდება არსებული სამართლებრივი წესრიგის ფარგლებში. ამდენად, **თუ ჩვეულებრივი დისკრიმინაციისა უფლებებში უთანასწორობას აქვს ადგილი, სუპერდისკრიმინაციის დროს „სამართალში“ უთანასწორობაა.** სხვა სიტყვებით, უთანასწორობა სამართლის უარყოფის შედეგს წარმოადგენს. სამწუხაროდ, ასეთი გადახრები საკმაოდ შეინიშნება მოქმედ კანონმდებლობაში. მისი გამომწვევი მიზეზი ის არის, რომ პრინციპს უპირისპირდება ანტიპრინციპი.

როგორც ვხედავთ, მე-14 მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის თანასწორობის სფეროებს. იგი არ იძლევა განვრცობითი განმარტების შესაძლებლო-

ბას. სასამართლოს პრაქტიკაში კი ყოფილა შემთხვევა, როცა სავარაუდო დისკრიმინაცია ჩანდა, მაგრამ იგი არ ჯდება მე-14 მუხლით აღიარებული დისკრიმინაციის არც ერთ გამოვლინებაში. საქართველოს მთავრობამ, 2004 წელს მიიღო ნორმატიული აქტი, რომლითაც პენსიონერთა ერთ კატეგორიას მოემატა პენსია, მეორეს კი - არა. სასამართლომ დიდხანს არკვია, დისკრიმინაციის გამოვლენის ფორმა, თუმცა მე-14 მუხლით გათვალისწინებული ვერც ერთი ადგილი ვერ მოუნახა მას. სასამართლომ მაინც გადადგა სერიოზული ნაბიჯი და მე-14 მუხლი ფაქტობრივად განმარტა კონსტიტუციით აღიარებული საერთო პრინციპების ფონზე და სარჩელი მიიღო არსებითი განხილვისათვის. შემდგომ, ნორმატიული აქტის გაუქმების გამო, საქმე წარმოებით შეწყდა, თორემ სასამართლო მისცემდა მას სათანადო შეფასებას. მართლაც, მოსარჩელები თავიანთ სარჩელებში ძალიან ხშირად საუბრობენ დისკრიმინაციაზე, მოითხოვენ სადავო აქტების გაუქმებას კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით, მაგრამ შემდგომ აღმოჩნდება, რომ მათ მიერ დანახულ დისკრიმინაციას არ ითვალისწინებს მე-14 მუხლი.

ყოველივე ეს უეჭველად დააფიქრებს სასამართლოს, თუ როგორ მოხაზოს მან დისკრიმინაციის სივრცე. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“ ამ საკითხს უფრო შემოქმედებითად უდგება. კონვენციის მე-14 მუხლში ნათქვამია: „ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად“. ჩანს, რომ კონვენცია არ შემოიფარგლება დისკრიმინაციის ძირითადი შემთხვევების ჩამონათვალთ და დაუშვებლად მიიჩნევს მის სხვაგვარად გამოვლენას.

აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო დისკრიმინაციის შეფასებისას უნდა ამოვიდეს არა მარტო მე-14 მუხლიდან, არამედ კონსტიტუციის მთელი ორგანიზმიდან და თუ რამ აკლია ამ მუხლს, იგი უნდა შეავსოს ამ ორგანიზმის საერთო ღირებულებითი მიდგომებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან შეუსაბამოდ მიიჩნია „პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის და საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 24 ივნისის კანონის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტი. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, „... იგი არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს საკანონმდებლო ხელისუფლების

ფუნქციონალურად ერთნაირი სტატუსის მქონე პირებს. კერძოდ, უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან პარლამენტის წევრები. ეს კი იმაში გამიხატება, რომ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს საპენსიო უზრუნველყოფა პარლამენტის წევრებთან შედარებით ერთი წლით გადაუვადდათ”⁹. სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია „...ერთი კატეგორიის სუბიექტების სოციალური უფლებებისადმი პრინციპულად განსხვავებული მიდგომა“¹⁰.

VIII. კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის ინტერპრეტაცია

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, “ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს”. კონსტიტუციის ეს დებულება პირდაპირ ეხმიანება “ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის” მე-6 მუხლით გათვალისწინებულ საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. კერძოდ იმას, რომ “ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებების და მოვალეობების ან მისთვის წარდგენილი სისხლის სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ”.

საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელ პრაქტიკაში მკვეთრად გამოიკვეთა სასამართლოსადმი მიმართვის უფლების იმ შინაარსით ინტერპრეტაცია, როგორც ამას ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში. ამ პრაქტიკის თანახმად კი, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ შემოიფარგლება მარტო სასამართლოში სარჩელის შეტნით და გადანყვეტილების მიღებით. იგი გულისხმობს მოსარჩელის უფლებას, გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში - ბოლო ინსტანციის ჩათვლით, მისთვის მიუღებელი გადანყვეტილება. ასევე ეს უფლება მოიცავს მოსარჩელის უფლებას, მოითხოვოს სასამართლო გადანყვეტილების აღსრულება. ასე მაგალითად, საქმეზე “ბრუმარესკუ რუმინეთის წინააღმდეგ” ევროპულმა სასამართლომ თავის გადანყვეტილებაში აღნიშნა: სასამართლოსადმი მიმართვის უფლება “ასევე მოიცავს კანონზომიერ ვარაუდსაც, რომ საბოლოო სასამართლო გადანყვეტილებას პატივს

9. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2002, N4, გვ. 106.

10. იქვე, გვ. 107.

სცემენ ხელისუფლების ეროვნული ორგანოები და შესაბამისად აღასრულებდნენ კიდევ”¹¹.

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ — 2005 წლის 28 ივლისს მიღებულ გადაწყვეტილებაში (N4/164,228) საქმეზე „სააქციო საზოგადოებები — “საქგაზი” და “ანაჯგუფი” (ყოფილი “თბილგაზოაპარატი”) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, ევროპული სასამართლოს აღნიშნულ დებულებაზე დაყრდნობით აღნიშნა: “ყოველგვარი აზრი ეკარგება უფლების, მით უფრო — დარღვეული უფლების ნებისმიერ დონეზე აღიარებას, თუკი არ მოხდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება”. “შეიძლება ითქვას, რომ უფლების რეალიზაცია — აღსრულებაშია ამ უფლების რეალური (ნამდვილი) შინაარსი. სხვანაირად, ნებისმიერი უფლება მარტოდენ დეკლარაციულ ხასიათს შეიძენდა”. ასეთი მიდგომა, ვფიქრობთ, სწორად უნდა ასახავდეს არა მარტო სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციური უფლების ნამდვილ შინაარსს, არამედ იგი კარგად მიესადაგება სხვა კონსტიტუციურ უფლებებსაც. საქმე იმაშია, რომ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში სერიოზულად დგას “დეკლარირებული უფლების” პრობლემა. ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოები ზოგჯერ მომეტებულად აფასებენ თავიანთ შესაძლებლობებს და მოქალაქეებს პირდებიან ისეთ უფლებებს, რისი რეალიზაციის ეკონომიკური საფუძველი მათ არ გააჩნიათ. ასეთ ვითარებაში იქმნება ისეთი სინამდვილე, როცა უფლება მხოლოდ დეკლარირებულია, ხოლო, მისი განხორციელება შეუძლებელი. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ ამ მოვლენას სერიოზული შეფასება მისცა 2005 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებაში (N1/3/301) საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები — დავით სოლაგაძე, ლიანა დარსანია და ეკატერინე წონონავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა: “... ნორმატიული აქტის მიღებისას კანონმდებელი ვალდებულია სწორად განსაზღვროს მისი მოქმედების სავარაუდო შედეგები. კანონმდებლის პროგნოზი ამ თვალსაზრისით უნდა იყოს დასაბუთებული და გამართლებული, რათა ადგილი არ ჰქონდეს კანონის ამოქმედების ხშირად გადავადებას და ადამიანის უფლებათა მარტოდენ დეკლარირებას. კანონმდებლის მხრიდან საკანონმდებლო პროცესისადმი ასეთი დამოკიდებულება მიჩნეული უნდა იქნეს მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონსტიტუციურ ვალდებულებად”. ანალოგიური მიდგომა დაფიქსირდა გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაშიც. სასამართლოს მიერ დაფიქსირებული დებულება კარგი შეგონება იქნება კანონმდებლისათვის, რომელიც ვალდებულია, მოსახლეობას შეპირდეს ის, რისი განხორციელებაც შესაძლებელია.

11. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რჩეული გადაწყვეტილებები, ტ. II, თბ., 2003, გვ. 265.

მსგავსი დამოკიდებულება ამ უფლებისადმი სასამართლოს სხვა გადანყვეტილებებშიცაა. თუკი ისევ სასამართლოსადმი მიმართვის კუთხით შევხედავთ ამ მოვლენას, დავინახავთ, რომ ამგვარ უფლებას აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, როცა გარანტირებული იქნება სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულება. დემოკრატიისა და თავისუფლების გზაზე მდგარმა ქვეყნებმა ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

IX. კონსტიტუციის 21-ე მუხლის ინტერპრეტაცია

კონსტიტუციის 21-ე მუხლი საკუთრებასა და მემკვიდრეობას ეხება. ყველაზე მდიდარი პრაქტიკა სწორედ ამ მუხლის გარშემო დაგროვდა. ეს მუხლი სამი პუნქტისაგან შედგება და მასში საკუთრების კონსტიტუციური უფლების შინაარსი სრულყოფილადაა მოხაზული. მისი ინტერპრეტაციის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო პრაქტიკამ ბევრ ისეთ კითხვას გასცა პასუხი, რაზედაც პირდაპირ არაა საუბარი 21-ე მუხლში. მხედველობაში მაქვს საკუთრების ფორმებისადმი კონსტიტუციის დამოკიდებულება. სამწუხაროდ, კანონმდებელმა ბოლომდე ვერ გაიგო, რომ საკუთრების ფორმებს, როგორც სამართლებრივ მოვლენას, არ ცნობს საქართველოს კონსტიტუცია და რიგ სამართლებრივ აქტებში მაინც გვხვდება დისკრიმინაციული ნორმები. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ 2005 წლის 28 ივლისის გადანყვეტილებით (N1/4/184,228) არაკონსტიტუციურად ცნო “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” კანონის 21-ე მუხლის ის ნაწილი, რომელიც ადგენდა, რომ არ ექვემდებარება იძულებით აუქციონს, ყადაღის დადებასა და სეკვესტრს გენერაციის ობიექტები, ელექტროგამანაწილებელი და რეგიონალური გაზის ქსელები, რომლებიც სახელმწიფოს საკუთრებას ან იმ საწარმოთა საკუთრებას წარმოადგენენ, სადაც სახელმწიფო ფლობს აქციათა ან სანესდებო კაპიტალში წილის არანაკლებ 50%-ს. ამ ნორმიდან ჩანს, რომ, თუ აღნიშნული ობიექტები კერძო პირის იქნება, მაშინ მათზე გავრცელდება იძულებითი აღსრულება, იძულებითი აუქციონი, ყადაღის დადება და სეკვესტრიც. საკონსტიტუციო სასამართლომ მრავალმხრივ შეაფასა სადავო ნორმა. კერძოდ, მან აღნიშნა: “სადავო ნორმა ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის იმ დებულებას, რომ “საკუთრება... აღიარებული და უზრუნველყოფილია”. “კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა, პირველ რიგში, გულისხმობს საკუთრების უფლების ყველასათვის თანაბრად აღიარებასა და უზრუნველყოფას... საქართველო

პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, რომელმაც უარი თქვა საკუთრების ფორმებზე და, შესაბამისად, პრივილეგიური მესაკუთრის ინსტიტუტზე. ასეთ მესაკუთრეს საბჭოთა სინამდვილეში წარმოადგენდა სახელმწიფო. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლში ჩადებული საკუთრების იდეა სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრეს, უფლებრივად ათანაბრებს სხვა მესაკუთრეებთან... ასეთი სამართალგანვითარების პირობებში სადავო ნორმა გამოიყურება ერთგვარ უკან გადადგმულ ნაბიჯად. იგი ფაქტობრივად ხელს უწყობს საკუთრების ფორმების რეანიმაციას და პრივილეგიური მესაკუთრის ინსტიტუტის შემოღებას“. მოკლედ, სასამართლომ განმარტა, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლს საკუთრება ესმის როგორც ერთიანი და განუყოფელი ფასეულობა და არა ფორმებად დანაწევრებული კატეგორია.

ამ მუხლის ინტერპრეტაციის მეორე მნიშვნელოვანი გამოვლინება უნდა იყოს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დაფიქსირება. საქმე იმაშია, რომ სახელმწიფო ვალდებულია არა მარტო იმაში, რომ დაიცვას საკუთრება ხელყოფისაგან, არამედ მან ხელი უნდა შეუწყოს ამ საკუთრების რეალიზაციას. მოვიტან საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2004 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებას, რომელიც ეხება სეპარატისტული რეჟიმების — აფხაზეთისა და სამაჩაბლოს (ყოფილი სამხრეთ ოსეთის) მოქალაქეების საკუთრების უფლების დაცვას. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების დებულება, რომ “საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია” ასე განმარტა: კონსტიტუციის ეს ნორმა „... იცავს მესაკუთრეს სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ უარყოფითი ჩარევებისაგან (როგორცაა მისი გაუქმება, უსაფუძვლო შეზღუდვა ან ჩამორთმევა), არამედ სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, განახორციელოს აქტიური პოზიტიური მოქმედებანი საკუთრების უფლების შინაარსის რეალური გამოვლენისათვის. საკუთრების უფლების უზრუნველყოფა ასევე გულისხმობს მის დასაცავად ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების შექმნას. საკუთრების აღიარებას აზრი დაეკარგებოდა და უშინაარსო გახდებოდა, თუკი სახელმწიფო არ მოახდენდა მის უზრუნველყოფას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფო, მართალია, აღიარებს საკუთრების უფლებას, მაგრამ დროებით უარს ამბობს მის გარანტიაზე. საკუთრების გარანტიაზე უარის თქმით ფაქტობრივად სახელმწიფო (მართალია გარკვეული ვადით) დევნილებს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოქმედების მიღმა ტოვებს. უზრუნველყოფასა და დაცვას მოკლებული

საკუთრება ვარდება კონსტიტუციურ-სამართლებრივი სივრციდან. ეს კი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიზანდასახულობას”¹².

აღნიშნული დებულებიდან ჩანს, რომ საკუთრების აღიარება გულისხმობს სახელმწიფოს მზადყოფნას, შექმნას ისეთი სამართლებრივი გარემო, როცა შესაძლებელი იქნება ამ საკუთრების შინაარსის რეალური გამოვლინება.

შემდეგი დებულება, რომელიც აღსანიშნავია საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებებიდან, ეს უნდა იყოს საკუთრების გაგება, როგორც ვალდებულებისა. ეს ვითარება გერმანიის კონსტიტუციაში ასეა ფორმულირებული: “საკუთრება ავალდებულებს”. ასეთი ლაკონური გამოთქმა საკუთრების სოციალური ტვირთის გამოსახატავად არც ერთ ქართულ საკანონმდებლო აქტში არა გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრება ჩვენშიც ასეა გაგებული. პირველად იგი დაფიქსირდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის გადანყვეტილებაში. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ “საკუთრება, როგორც ფასეულობა, ავალდებულებს ნებისმიერ სუბიექტს — იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო პირი. ეს ვალდებულება უშუალოდ საკუთრებიდან გამომდინარეობს”. რატომღაც გამართლებულად მიმაჩნია, თუკი მომავალში 21-ე მუხლი კიდევ დაიხვეწება ამ ფორმულირების იქ შეტანით. საკუთრივ საკუთრების შეზღუდვის განმარტების პრაქტიკა ევროპული სასამართლოს ანალოგიურია და იქ ჩამოყალიბებულ პრინციპებზეა აგებული. სასამართლო თავის გადანყვეტილებებში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო ვალდებულია, საკუთრების შეზღუდვის ყველაზე სწორი და ეფექტიანი გზა გამოიხატოს. ამ შეზღუდვამ საკუთრება არ უნდა მოსპოს. საკუთრების სუბსტანცია უნდა შენარჩუნდეს. “სახელმწიფომ უნდა დაადგინოს ისეთი სამართლებრივი წესრიგი, რა დროსაც საკუთრების უფლება დაიტვირთება მინიმალურად და თავის თავს გამოავლენს მაქსიმალურად”¹³.

სათქმელი ამ თემაზე ბევრი გვაქვს, მაგრამ ამჯერად ამით დაკმაყოფილდებით.

12. ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2005, N1, გვ. 130.

13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები, ტ. II, 2000-2003, თბ., გვ. 122.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა)¹

I. ერთ-ერთი მთავარი გარანტია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრულებისა უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგი დებულება: **„სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“**. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სასამართლო გადაწყვეტილებანი იურიდიული ძალის თვალსაზრისით დაუძლევადი - გადაუღაბავია. ისინი კონსტიტუციის ძალასთანაა გათანაბრებული. არც ერთ ორგანოს, რა დონისაც არ უნდა იყოს იგი, არ ძალუძს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დაძლევა². ამის გარანტიას წარმოადგენს ასევე კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების დებულება: „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა“. გერმანელ პროფესორ ჰელმუტ შტაინბერგერს უთქვამს: „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ისევე მოქმედებს, როგორც საყოველთაოდ სავალდებულო აბსტრაქტული ნორმა“.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა სავალდებულობა ორგვარ ქრილში უნდა დავინახოთ. ჯერ ერთი, ეს ეხება მისი შესრულების სავალდებულობას საამისოდ უფლებამოსილი პირების მხრიდან და მეორეც, მასში ასახული სამართლებრივი პოზიციების სავალდებულობას. საზოგადოდ, ყველასათვის, მხოლოდ ასეთი გაგებით შეიძლება შეასრულოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ თავისი დანიშნულება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებ-

1. მოხსენება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და გაეროს განვითარების პროგრამის „კონსტიტუციური მართლმსაჯულების განვითარება საქართველოში“ მიერ ორგანიზებულ სემინარზე: „კონსტიტუციის უზენაესობის დაცვის ახალი პერსპექტივები“, თბ; 2004 წლის 29 ოქტომბერი.

2. И. В. Витрук, Повышение эффективности действия и исполнения решений Конституционного Суда Российской Федерации. Сборник докладов: Исполнение решений Конституционных Судов, М., 2003, с. 12.

ლობა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით ისჯება კანონით. აქ მხედველობაშია არა მხოლოდ როგორც სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, არამედ, პოლიტიკურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რადგანაც პასუხისმგებლობის სუბიექტები ხშირად სპეციფიკური სუბიექტებია (მთავრობა, პარლამენტი და ა. შ.), **ფაქტობრივად მათ მიმართ უფრო პოლიტიკური პასუხისმგებლობის ფორმა გამოიყენება.** ქართულ სინამდვილეში არც ამისი პრეცედენტი არ დასტურდება.

თუ გადავხედავთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებათა შესრულების პრაქტიკას, ვერ ვიტყვით, რომ აქ მძიმე მდგომარეობა გვაქვს. **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები ძირითადად სრულდება.** თუმცა ცნობილია საერთოდ შეუსრულებადი და შესრულებაგაჭიანურებული გადანყვეტილებანი. ეს ეხება უფრო სოციალურ-ქონებრივ საკითხებზე და არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ გადანყვეტილებებს. პირველ შემთხვევაში, ხშირად შესრულება ბიუჯეტზეა მიბმული და ეს ფაქტორიც თამაშობს თავის უარყოფით როლს. თუმცა გადანყვეტილების შეუსრულებლობას არანაირი გამართლება არა აქვს. **აღსრულების საქმეში „შავ ლაქად“ დარჩა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2001 წლის 30 მარტის N6/134-139-140 გადანყვეტილების შეუსრულებლობა,** როცა პარლამენტმა არ შეუწყვიტა უფლებამოსილება არაკონსტიტუციურად და ბათილად ცნობილი არჩევნების შედეგად პარლამენტში მოხვედრილ დეპუტატებს. დეპუტატების მიმართ უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხზე იმ დროს სერიოზული კამათი გაიმართა და, პარლამენტმა სრულიად უსაფუძვლოდ, „დაძლია“ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება. ეს შეიძლება შევადაროთ იმ შემთხვევას, როცა გარდაცვლილს კენჭისყრის შედეგად უნარჩუნებენ სადეპუტატო უფლებამოსილებას. ასეთ მანიპულაციებს რომ არ ჰქონოდა ადგილი, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტი იმდენად ნათლად ჩამოყალიბდა, რომ ახლა აღარაა საჭირო ნორმის შინაარსის განმარტება გონივრული განსჯის შედეგად და საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების პირდაპირი სამიზნე გახდა პარლამენტის დადგენილების ძალმოსილობა. სასამართლოს გადანყვეტილებათა შეუსრულებლობა საერთო მოვლენას წარმოადგენს პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის. ასე მაგალითად, თათრეთის რესპუბლიკის ხელისუფლებამ არ შეასრულა რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს 1992 წლის 13 მარტის გადანყვეტილება, რითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასთან მიმართებით ამ

რესპუბლიკის ნორმატიული აქტის ფორმულირება რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით. თათრეთის ხელისუფლებამ არ მოახდინა ამ აქტის კორექტირება და რეფერენდუმი ჩაატარა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის საფუძველზე³.

II. შესრულების პრობლემა პირდაპირაა მიბმული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის (ნორმის) ძალმოსილობის დაკარგვის საკითხთან. საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, „არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადანყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან“. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2-ე პუნქტი კიდევ უფრო აფართოებს მის შინაარსს: „**არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადანყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი**“. თუ კონსტიტუციაში ნორმატიულ აქტზეა საუბარი, აქ მას სამართლებრივი აქტი ენაცვლება, რაც, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს კონსტიტუციურ ნორმასთან თანხმობაში. იგივე უნდა ითქვას ორგანული კანონის ფორმულირებაზე ახალ ვადასთან დაკავშირებით. ამრიგად, როგორც წესი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან ნორმატიული აქტი ძალას კარგავს. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლი გადანყვეტილების გამოქვეყნებად მიიჩნევს სრული სახით მის გამოქვეყნებას „საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში“. 33-ე მუხლის პირველი პუნქტი კი იუწყება, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება ძალაში შედის სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან და 15 დღის ვადაში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. აქაც, დაახლოებით, ისეთივე პროცედურასთან გვაქვს საქმე, როგორც ნორმატიული აქტების გამოქვეყნების შემთხვევაშია.

აღნიშნული დანაწესების მნიშვნელობა იმაშია, რომ აღარ არის საჭირო რაიმე დამატებითი პროცედურები ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისათვის. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის მიმღებ ორგანოს ამ მიზნით რაიმე არ ევალება. რუსეთში სრულიად საპირისპირო ვითარება დასტურდება. რუსეთის ფედერაციის „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონში 2001 წლის 15 დეკემბერს შევიდა ნორმა (მუხლი 80), რომელსაც დაუდგენია, რომ სათანადო ორგანოები, ვალდე-

3. И. В. Витрук, *დასახელებული ნაშრომი*, გვ. 23.

ბული არიან, გააუქმონ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტები. კონსტიტუციონალისტი ვიტრუკი ამას დაუშვებლად მიიჩნევს და წერს, რომ რატომ უნდა გაუქმდეს ის, რაც არ მოქმედებს და არ არსებობს. ეს აქტები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კარგავენ ძალას. ისინი, უბრალოდ, „არ მოქმედებენ“ კი არა, „ძალას კარგავენ“⁴. ლაზარევიც იმასვე აღნიშნავს, რომ მე-80 მუხლის შინაარსი არ შეესაბამება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 125-ე მუხლის მე-6 პუნქტს. **საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები დაუყოვნებლივ შედიან ძალაში მათი გამოქვეყნებიდან და არ საჭიროებენ სხვა ორგანოებისა და თანამდებობის პირების მხრიდან დადასტურებას**⁵. აქვე წამოიჭრება საკითხი გაუქმებული ნორმატიული აქტის (ან ნორმის) იდენტური აქტის (ნორმების) ძალმოსილობის შესახებ. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ნორმა. ჩაითვლება თუ არა იმავდროულად ძალადაკარგულად, ვთქვათ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის ანალოგიური ნორმა? ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელიც ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს. **სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად აცხადებს პოზიტიური სამართლის ნორმას საერთოდ, იმის მიუხედავად, რამდენ ნორმატიულ აქტშია იგი გამოხატული.** რუსი კონსტიტუციონალისტებიც ამავე პოზიციასზე დგანან⁶. მართალია, გადაწყვეტილების ასლი ეგზავნება მხარეს, მაგრამ, რადგანაც „საკანონმდებლო მაცნეში“ ქვეყნდება იგი, ეს ავალდებულებს ყველა სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირს, გაეცნოს მას და შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილებანი. იდენტურობა კი შეიძლება დადგინდეს განმარტების გზით. თუ ეს ვერ მოხერხდება, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს შეიძლება მიმართოს დაინტერესებულმა პირმა.

III. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს ის, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ძალადაკარგული ნორმატიული აქტის შემდგომი გაცოცხლება. ეს პრინციპი გადმოცემულია „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტში: „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება (გამოცემა), რომე-

4. И. В. Витрук, *დასახელებული ნაშრომი*, გვ. 13.

5. Л. В. Лазарев, *О правовой природе решений Конституционного Суда Российской Федерации в контексте проблемы их исполнения. Сборник докладов: Исполнение решений Конституционных Судов*, М., 2003, с.46.

6. Л. В. Лазарев, *დასახელებული ნაშრომი*, გვ. 48.

ლიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი”. ვფიქრობთ, ერთადერთი შემთხვევა, როცა ანალოგიური ნორმის განმეორება შესაძლებელი იქნებოდა, ეს უნდა იყოს კონსტიტუციური ნორმების შეცვლა. ასეთ ვითარებაში კანონმდებელი ვეღარ დარჩება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ერთგული, ვინაიდან იგი ვალდებულია, კონსტიტუციის შესაბამისად იმოქმედოს.

25-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლომ კარგად უნდა გამოარკვიოს გაუქმებული და ახალი ნორმის იდენტიურობის საკითხი. **მთავარია, დადგინდეს შინაარსობრივი იდენტურობა. ეს მაშინაც შეიძლება დადასტურდეს, როცა განსხვავება მოჩვენებით, სიმბოლურ ხასიათს ატარებს,** რაც ყველაზე მეტად მოსალოდნელია სოციალური ხასიათის ნორმებთან დაკავშირებით. ხშირად ამ ოსტატობით შეიძლება მოხდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმებული ნორმის განმეორება. მოკლედ, **უმნიშვნელო ცვლილებები ვერანაირ ახალ თვისობრიობას ვერ წარმოშობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც უმნიშვნელო ნაკლი ვერ გახდება ღირებულების დაკარგვის საფუძველი, ასევე უმნიშვნელო გაუმჯობესებით ვერ შეიქმნება ახალი ფასეულობა.**

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ბევრი არაა, მაგრამ, მაინც ყოფილა 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევები. სასამართლოს მე-2 კოლეგიამ გამოიტანა განჩინება (N2/4/279), საიდანაც ჩანს, რომ საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ მიიღო ისეთივე შინაარსის სამართლებრივი აქტი, რომელიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2003 წლის 18 მარტის N1/5/226 განჩინებიდან ჩანს, რომ მოსარჩელე შალვა ნათელაშვილი იმ მოტივით ითხოვს სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებას, რომ ახალი ტარიფის დადგენა მოხდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იგნორირებით, კერძოდ, ტარიფის სიმბოლური შემცირებით. მოსარჩელის აზრით, ამით დაირღვა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

კანონმდებლობაში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა გადაწყვეტილებას იღებს საკონსტიტუციო სასამართლო მსგავს შემთხვევებში. “საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის დასახელებულ მუხლში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც **ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.**

IV. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის მისივე გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი. საქმე იმაშია, რომ, ზოგჯერ, სასამართლოს ფაქტობრივად ამ მიზნით მიმართავენ მოსარჩელები. ასე მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მოქალაქე შალვა ნათელაშვილის სარჩელთან დაკავშირებით, 2003 წლის 18 მარტის N1/5/226 განჩინებაში აღნიშნა: „... მოსარჩელის მიერ დასმული სადავო საკითხი მოსახლეობისათვის ელექტროენერჯის შესასყიდი ტარიფების თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში არსებითად უკვე გადაჭრილია კოლეგიის ადრე მიღებულ შესაბამის გადაწყვეტილებაში და წარმოდგენილ სარჩელში ფაქტობრივად საქმე მის აღსრულებას შეეხება... საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულების საკითხის არსებითად განხილვა არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში. ეს საკითხი არ ექვემდებარება სასამართლო პროცესზე გადაწყვეტას“. ამ განჩინებაში მნიშვნელოვანი ის არის, რომ სასამართლომ, კიდევ ერთხელ, დაადასტურა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების პრინციპები.

V. უაღრესად მნიშვნელოვანია ახალი ნორმატიული აქტის მიღებამდე არსებული ურთიერთობის მონესრიგება. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ რუსეთის ფედერაციის კანონში ნათქვამია, რომ „ახალი ნორმატიული აქტის მიღებამდე მოქმედებს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია“. თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილების თავისებურებებიდან გამომდინარე, შეიძლება ვერც კი მოხერხდეს კონსტიტუციის უშუალო მოქმედება. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა, რომ სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო კანონი, რომელიც ადგენდა მაღალ გადასახადებს. როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში, კონსტიტუციის უშუალო მოქმედება შეუძლებელია. ვიდრე სამართლიანი გადასახადი დადგინდებოდა, მანამ ორი ალტერნატივის წინაშე ვრჩებით: საერთოდ არავის არ გადავხადებინოთ გადასახადი, ანდა გამოვიყენოთ ძალადაკარგული ნორმა და ახალი ნორმის მიღების შემდეგ მოვახდინოთ გადაანგარიშება ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების დროიდან. ძალადაკარგული ნორმატიული აქტების გამოყენების პრაქტიკა უცხო არ არის ჩვენს სამართალში. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში თითქოს გამოინახა ამ სიტუაციიდან გამოსავალი, რაც არ არის იდეალური, მაგრამ ჯერჯერობით სხვა გზა ვერ მოიძებნა. პირველად იგი დაფიქსირდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის N1/3/136 გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა ელექტროენერჯის შესასყიდ ტარიფებს. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი და მე-2 პუნქტებით არაკონსტიტუციურად და გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან იურიდიულად ძალადაკარგულად ჩაი-

თვალა სადავო ნორმატიული აქტები. მე-3 პუნქტით საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ეთხოვა, რომ 2003 წლის 1 მარტამდე დაედგინა ახალი ტარიფები. მე-4 პუნქტში კი ჩაინერა ჩვენთვის საინტერესო დებულება: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის I და II პუნქტები აღსრულდეს მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ახალი ტარიფების განმსაზღვრელი დადგენილების ამოქმედების მომენტიდან იმ პირობით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების დროიდან ახალი ტარიფების ამოქმედებამდე მოსახლეობის მიერ ელექტროენერგიის შესასყიდი ამჟამად მოქმედი ტარიფების მიხედვით გადახდილი თანხები გადაანგარიშდება ახლად დადგენილი ტარიფების საფუძველზე”. მე მგონია, რომ ამ შემთხვევის სხვაგვარ გადაწყვეტაზეც უნდა ვიფიქროთ. შეიძლება, ჩვენ არ შევეხოთ არაკონსტიტუციურად ცნობისა და ძალადაკარგულად გამოცხადების გადავადებას. ამ საკითხთან მიმართებით შესრულება განზე უნდა გავწიოთ. ვინაიდან ის, რაც შესრულებულია, შეუძლებელია მისი შესრულების გადავადება. შეიძლება მართებული იყოს, თუ ვიტყვით, რომ ახალი ნორმის მიღებამდე იმოქმედებს იურიდიულად ძალადაკარგული ნორმატიული აქტი. სწორედ ამ სირთულეებითაც იყო გამოწვეული, მოსარჩელე შალვა ნათელაშვილს მოსახლეობისათვის მოენოდებინა, რომ არ გადაეხადათ ელექტროენერგიის საფასური. კარგი იქნება, თუ ეს საკითხი ნორმატიულად მოწესრიგდება. ავსტრიულ სამართალში საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია დაადგინოს განსაზღვრული ვადა, არა უმეტეს ერთი წლისა, ვიდრე განხილული ნორმატიული აქტი ძალადაკარგულად გამოცხადდება⁷. აქედან უკვე ცხადი ხდება, რომ ნორმატიულად შესაძლებელია სადავო აქტის იურიდიულად ძალადაკარგულად გამოცხადება გადაწყვეტილების მიღებიდან გარკვეული დროის შემდეგ. ამის ღირსება იმაშია, რომ შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის გაუქმებისა და ახალი აქტის ამოქმედების დრო. ეს უკვე კარგი გამოსავალია საიმისოდ, რომ არ გვექონდეს მოუწესრიგებელი სივრცე. ჩვენი პრაქტიკით კი ეს სივრცე ფაქტობრივად წესრიგდება არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტითაც და ახალი აქტითაც.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ საჭიროა მოქმედ კანონმდებლობას დაემატოს ნორმა, რომელშიც ნათლად იქნება მითითებული, რომ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ვადები არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის იურიდიულად ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით. უხერხულო-

7. ბრიტა ვაგნერი, საკონსტიტუციო სასამართლოსა და ექვივალენტური იურისდიქციის ორგანოების გადაწყვეტილებათა აღსრულება, უფრნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1997, N4, გვ.75.

ბა მაინც აუცდენელი იქნება, კერძოდ ის, რომ აქტი არაკონსტიტუციურია, მაგრამ ძალის მქონეა, ვიდრე არ დადგება ის ვადა, რა დროიდანაც იგი ძალადაკარგულად ჩაითვლება.

VI. საინტერესო უნდა იყოს აღსრულების ქრილში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის საკითხი. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ გადაწყვეტილებას არა აქვს უკუძალა. კერძოდ, ამ მუხლში ნათქვამია: „კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, ინვეს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით“. რუსეთის საკონსტიტუციო კანონმდებლობა წარსულზეც ვრცელდება და მიჩნეულია, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება (მოკლედ დამთავრებული საქმე), ახლად აღმოჩენილ გარემოებათა საფუძველზე, ექვემდებარება განახლებას და გადასინჯვას.

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლი ერთადერთი ნორმაა ამ კანონში, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის საკითხს ეხება. თუ მხოლოდ აღნიშნულ ნორმას დავემყარებით, მაშინ ყოველთვის გაჩნდება კითხვა, რატომ არ უნდა გადასინჯოს განაჩენი, თუკი იგი გამოტანილია არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის საფუძველზე. რატომ არ უნდა ჰქონდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უკუძალა, როცა ასეთი ძალა აქვს კანონს, რომელიც აუქმებს პასუხისმგებლობას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნაწილი, რომელიც ეხება საქმის წარმოების განახლებას ახლად აღმოჩენილ და გამოვლენილ გარემოებათა გამო, კერძოდ, 596-ე მუხლი იძლევა ამის შესაძლებლობას. სხვა საქმეა ქონებრივი ურთიერთობები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან, კერძოდ, მისი 423-ე მუხლიდან არ ჩანს მსგავსი შესაძლებლობა. აქ შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი გადაწყვეტილების უკუძალისადმი მხარდაჭერა. საქმე იმაშია, რომ, როცა სამართალი უძღურია მოახდინოს წარსულში დაშვებული უსამართლობის გამოსწორება, მისი ამ მიმართებით მცდელობა საფრთხეს შეუქმნის სამართლებრივ სტაბილურობას და ახალი უსამართლობის წყარო გახდება, ასეთ ვითარებაში ვერ გამოვიყენებთ გადაწყვეტილების უკუძალას.

აქვე გავიხსენებთ ირლანდიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც არაკონსტიტუციურად ჩაითვალა გადასახადი, რომლითაც

იბეგრებოდა ცოლ-ქმარ მერფების ქონება. სადავო შეიქმნა საკითხი იმასთან დაკავშირებით, უნდა დაბრუნებოდათ თუ არა გადასახადის გადამხდელებს ის თანხა, რაც მათ გადაიხადეს ნორმატიული აქტის ამოქმედების დროიდან მის არაკონსტიტუციურად ცნობამდე. უკუძალის საკითხის განხილვისას სასამართლოს 5 მსაჯულის აზრი გაიყო. თავმჯდომარე თვლიდა, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე აკრეფილი ყველა გადასახადი კანონიერად იყო აკრეფილი და დაბრუნებას არ ექვემდებარებოდა. ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ის გადასახადი, რომელიც ცოლ-ქმარმა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გადაიხადა. სხვა მსაჯულის აზრით, უკან უნდა დაბრუნებულიყო ყველა გადასახადი, რომელიც გადახდილ იქნა საკანონმდებლო აქტის ამოქმედების მთელი დროის განმავლობაში. სამმა მსაჯულმა კიდევ სხვა პოზიცია დაიკავა. მათ ჩათვალეს, რომ ცოლ-ქმარ მერფებს უნდა ანაზღაურებოდათ მხოლოდ ის ზედმეტი თანხა, რაც მათ გადაიხადეს პროცესის აღძვრის შემდეგ. „...მანამდე სახელმწიფო ამ გადასახადს კეთილი რწმენით კრეფდა, ...რომ პრეზუმფციის თანახმად, აღნიშნული კანონი კონსტიტუციასთან თანხმობაში იყო, თანაც, საგადასახადო წელიწადში გადასახადებიდან შემოსული თანხიდან გამომდინარე, გეგმავდა თავის სახაზინო საგადასახადო პოლიტიკას და პროგრამებს“. ანაზღაურების წესი მოითხოვს, აღდგენილ იქნეს თავდაპირველი მდგომარეობა. მაგრამ მან სახეცვლილება განიცადა სხვადასხვა პროცესების (ინფლაცია და სხვა) შედეგად. გარდა ამისა, აკრეფილი გადასახადებით, ისინი, როგორც დაქორწინებული წყვილები, სარგებლობდნენ მთელი რიგი შეღავათებით. ასეთ ვითარებაში სრული კომპენსაციის მიღებაზე ლაპარაკი არარეალური და არასამართლიანი იქნებოდა⁸.

VII. გადაწყვეტილების აღსრულება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ნათლადაა მასში ფორმულირებული სათანადო ორგანოს მიერ შესასრულებელი მოქმედება. ჩვენ ხშირად სარეზოლუციო ნაწილში აღვნიშნავთ, რომ გადაწყვეტილება შესრულდეს სამოტივაციო ნაწილის ამა თუ იმ პუნქტის შესაბამისად. არის შემთხვევები, როცა სასამართლოს მიმართავენ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ახსნა-განმარტებისათვის. რუსეთის ფედერაციაში სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტებაზე გამოდის დამოუკიდებელი განჩინება, რომელიც ქვეყნდება იმავე გამოცემაში, რომელშიც გამოქვეყნდა გადაწყვეტილება⁹. ვფიქრობთ, რომ ეს გზა არ უნდა იყოს სწორი, ვინაიდან იგი ზედმეტად გადატვირთავდა სასამართლოს და წაგებულ მხარეს აღუძრავდა სურვილს, ყოველთვის მიემართა საკონსტიტუციო

8. მეთიუ რასელი, საკონსტიტუციო სასამართლოსა და ექვივალენტური იურისდიქციის ორგანოების გადაწყვეტილებათა აღსრულება. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1997, N4, გვ.14-17.

9. И. В. Витрук, დასახელებული ნაშრომი, გვ. 83.

სასამართლოსათვის. თუმცა სასამართლომ საერთოდ ხელი არ უნდა დაიბანოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ახსნა-განმარტების მიმართ და დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად უნდა იმოქმედოს (ესაა პლენუმზე საკითხის მოსმენა, წერილობითი პასუხები, ინდივიდუალური შეხვედრები საქმის განმხილველ მოსამართლეებთან და ა. შ.). ასეთი გზით სასამართლოს განმარტება სულაც არ ლახავს მოსამართლის დამოუკიდებლობას და არ ნიშნავს იმ პრინციპის დარღვევას, რომლის თანახმადაც, „არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე“.

VIII. საინტერესო უნდა იყოს თავად სამოტივაციო ნაწილში მოცემული სამართლებრივი პოზიციების შესრულება. საქმე იმაშია, რომ გადაწყვეტილების მოტივაციის პროცესში ბევრ ისეთ საკითხზე აფიქსირებს სასამართლო თავის პოზიციას, რაც სადავო აქტის კონსტიტუციურობის პრობლემას არ შეადგენს, მაგრამ კანონმდებლის ან სხვა თანამდებობის პირის მხრიდან აუცილებლად გასათვალისწინებელია. ეს შეიძლება ეხებოდეს კანონის ხარვეზს, ანდა საკანონმდებლო მონესრიგების გაჭიანურებას და ა. შ. ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ დაუფიქსირებია თავისი პოზიცია. ასე რომ, როცა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე საუბარი, ეს აღსრულება ეხება მთელ გადაწყვეტილებას. ერთ შემთხვევას გავიხსენებ, როცა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ელექტროენერჯის ტარიფებთან დაკავშირებულ სარჩელთან, იქ სერიოზული სამართლებრივი პოზიციები გამოითქვა უცხოელი ინვესტორების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაც, მართალია, „ვი-ეს-თელასს“ ეხებოდა, მაგრამ ზოგად-სამართლებრივ პოზიციასაც წარმოადგენდა. ეს კი სავალდებულო უნდა გამხდარიყო საზოგადოდ. მოკლედ რომ ვთქვათ, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ადგილზე კონსტიტუციური ნორმის ჩანაცვლება არ არის საკმარისი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად. ასე რომ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ადრესატი არ არის მარტო მოპასუხე მხარე. პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილება სასამართლოს გაუგზავნია არამოპასუხეებისათვისაც იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილების აღსრულება მასაც ეხებოდა. სამწუხაროდ, დღეს არ არსებობს რაიმე მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც კონტროლს თუ არა, მეტავალყურეობას მაინც გაუწევდა სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას.

საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო იურისდიქციის სასამართლოების ურთიერთდამოკიდებულება¹

I. საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილის შესახებ დისკუსია 1995 წლის კონსტიტუციის შემუშავებისას

დღევანდელი კონსტიტუციის შემუშავებისას სერიოზული დისკუსიები გაიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილთან დაკავშირებით. ეს ბუნებრივი ამბავი იყო, ვინაიდან პოსტსაბჭოურ საქართველოში პირველად ეყრებოდა საფუძველი სასამართლოს მხრიდან კონსტიტუციურ კონტროლს. სასამართლოს თვალსაწიერი მანამდელი მართლშეგნებით ვერ სცილდებოდა ტრადიციული სამართალწარმოების ფარგლებს. სასამართლო ხელისუფლება მოკლებული იყო სხვა ხელისუფლებათა კონტროლს. გარდა ამისა, მდგომარეობას ართულებდა ის გარემოებაც, რომ ქართველ იურისტებში ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო გაცნობიერებული სამართლებრივი სისტემის როლი ახალი სამართლებრივი ინსტიტუტების არჩევის საქმეში. სამწუხაროდ, ახლაც არ ხერხდება ამის სრული გაგება. მე მხედველობაში მაქვს ელემენტარული აქსიომა, რომლის შინაარსიც ასე შეიძლება გამოითქვას: **სახელმწიფო შებოჭილია სამართლებრივი სისტემით**. ჩვენ ავირჩიეთ გზა ევროპულ სივრცეში ინტეგრაციისა და საქართველოს მოქალაქეთა ცხოვრების მომწესრიგებელი ძირითადი ნორმატიული აქტებიც ამის გავალისწინებით იქნა შემუშავებული. არ შეიძლება ანგარიში არ გაენიოს ქართული სამართლის ისტორიულ განვითარებას, რომელიც ბერძნულ-რომაულ სამართალთან ინტეგრაციის გზით თანამედროვე ევროპულ სამართალში ჰარმონიზაციით ვითარდება.

1. მოხსენება გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის („კონსტიტუციური მართლმსაჯულების განვითარება საქართველოში“) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე: „საკონსტიტუციო სასამართლოს როლი სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში“, თბ., 2005 წლის 9 დეკემბერი.

საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების პროცესში გამართული დისკუსიები აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით შესანიშნავად აღწერა ცნობილმა კონსტიტუციონალისტმა ვოლფგანგ გაულმა². მას არ გამოორჩენია არც ერთი ცნობილი ავტორიტეტის მოსაზრება. როგორც ირკვევა, თავიდან იურისტების აზრი ორად გაიყო. ერთ მხარეს აღმოჩნდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარე, ბატონი მინდია უგრეხელიძე და მისი თანამოაზრეები, რომლებიც თვლიდნენ, რომ კონსტიტუციური კონტროლი საქართველოში უნდა მოწყობილიყო არა ევროპული სამართლის მოდელით, არამედ აშშ-ის სამართლის ანალოგიურად. იქ კი არ არსებობს დამოუკიდებელი საკონსტიტუციო სასამართლო. კონსტიტუციური კონტროლის ფუნქცია შეთავსებული აქვს უზენაეს სასამართლოს. თუმცა ამ იდეას ბევრი მომხრე არ ჰყოლია და ბოლოს თავად მისმა მთავარმა მიმდევარმაც შეიცვალა აზრი დამოუკიდებელი კონსტიტუციური კონტროლის სასარგებლოდ³. დამოუკიდებელი საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნას საკმაოდ ბევრი ავტორიტეტი უჭერდა მხარს. 1994 წლის დასაწყისში სარედაქციო ჯგუფში ჩატარებული კენჭისყრისას უმეტესობას (8 წევრი ოთხის წინააღმდეგ) მის სასარგებლოდ მიუცია ხმა. ხმალად, რომელიც საერთოდ უჭერდა მხარს დამოუკიდებელ კონსტიტუციურ კონტროლს, მაინც ნაადრევად მიიჩნევდა საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნას და ამტკიცებდა, რომ 4 წელი მისი ფუნქციები უნდა შეესრულებინა იუსტიციის საბჭოს⁴. საკონსტიტუციო კონტროლის ცალკე სასამართლოს მიერ განხორციელებას უჭერდა მხარს ჯონი ხეცურიანი. მისი აზრით, დიფუზიური კონსტიტუციური მართლმსაჯულების მოდელი მიუღებელი იყო იმიტომ, რომ ეს გამოიწვევდა უზენაესი სასამართლოს პოლიტიზირებას⁵.

ალარ ვთვლი საჭიროდ სხვა ქართველი იურისტების პოზიციების აღნიშვნას. ვინც ამით დაინტერესდება, მას შეუძლია დეტალურად (პირადი ინტერვიუების გაცნობით) ნახოს იგი გაულის წიგნში. ჩვენ მხოლოდ იმის გახსენება გვსურს, თუ როგორ ყალიბდებოდა კონსტიტუციური კონტროლის სისტემა საქართველოში. ყოველივე აღნიშნულის შედეგი იყო ის, რომ გაიმიჯნა საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების ფუნქციები და საკონსტიტუციო სასამართლოც კონსტიტუციურად იქნა აღიარებული სასამართლო ხელისუფლებად. ისე დასრულდა ეს ისტორია, რომ სრული ავტონომია შეინარჩუნა უზენაესმა სასამართლომ. საკონსტიტუციო სასამართლოს პირდაპირი ჩარევა ამ სასამართლოს მიერ მიღებულ

2. ვოლფგანგ გაული, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში, თბ., 2002.

3. იქვე, გვ. 250.

4. იქვე, გვ. 248.

5. იქვე, გვ. 249.

გადაწყვეტილებებზე გამოირიცხა. ერთადერთი, რაც გათვალისწინებული იქნა, ესაა საერთო სასამართლოს ინციატივით კონსტიტუციური წარდგინების შეტანა საკონსტიტუციო სასამართლოში.

II. ბოლოდროინდელი დისკუსია საკონსტიტუციო და საერთო იურისდიქციის სასამართლოების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ

ბოლო დროს ისევ საეჭვო შეიქნა საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლად არსებობა. ისევ გაჩნდა იდეა მისი საერთო სასამართლოსთან გათქვეფის შესახებ. ერთ-ერთი საკანონმდებლო პროექტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბებულიყო შემდეგნაირად: „მართლმსაჯულებასა და საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებენ საერთო სასამართლოები. მათი სისტემა, უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობისა და სამართალწარმოების წესი დადგენილია ორგანული კანონით“. საბედნიეროდ, ეს წინადადება არ გამხდარა სერიოზული ოფიციალური განსჯის საგანი. ყოველივე ეს ნიშნავდა არა მარტო დამოუკიდებელი საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმებას, არამედ საერთო სასამართლოების ფუნქციების არაეფექტიანად განსაზღვრასაც. ნებისმიერი დონის სასამართლოს ეძლეოდა კონსტიტუციური კონტროლის უფლება, რაც ერთობ იშვიათია თვით საერთო სამართლის ქვეყნებშიც. არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმ ფაქტს, რომ ევროპის ის ქვეყნები, რომლებშიც დიფუზიური მართლმსაჯულება ბატონობდა, დაადგინენ ავტონომიური კონსტიტუციური კონტროლის გზას. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების გამოხმაურებაში საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ნათქვამია: დამოუკიდებელი კონსტიტუციური კონტროლის იდეა საქართველოში და, მათ შორის, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, მრავალ სერიოზულ ფაქტორს ემყარება. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ის არის, რომ ამერიკული დიფუზიური კონტროლის სისტემა ემყარება პრეცედენტებს, მაშინ როცა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ამოსავალია პოზიტიური სამართალი. გარდა ამისა, ახლად შექმნილი სამართლებრივი წესრიგისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სამართლებრივი გარანტიები და განმარტებები კანონის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სასამართლოს, რომელიც კონსტიტუციურადაა ვალდებული, უშუალოდ კანონთა კონსტიტუციურობა შეამოწმოს, მეტად შესწევს უნარი სახელმწიფო-სამართლებრივი გადაწყვეტილებების

მისაღებად. ერთიანი მოდელის შექმნა კანონთა „გაქვევებას“ გამოიწვევს. არ იარსებებს საყოველთაოდ სავალდებულო გადანყვეტილება კანონების კონსტიტუციურობის შესახებ, კანონმდებელი აღარ იქნება იძულებული, საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადანყვეტილების საფუძველზე, კანონი შეცვალოს. კანონები იქნება უდრეკი და არადინამიური. წარმოიშობა პარლამენტსა და სასამართლო ხელისუფლებას შორის დაპირისპირების საფრთხეც. კანონმდებელსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის კი სასურველია კონსტრუქციული თანამშრომლობა.

გარდა ამისა, ასევე საჭოჭმანო გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი სასამართლო ხელისუფლების სისტემაში. კერძოდ, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 2004 წლის 17 დეკემბრის (N302/1) საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის ერთ-ერთი ცვლილება ითვალისწინებდა საკონსტიტუციო სასამართლოს ამოღებას სასამართლოს სისტემიდან. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის ახალი რედაქცია ასეთი უნდა ყოფილიყო: „1. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით“. ამ მუხლიდან ამოღებულ იქნა სიტყვები „საკონსტიტუციო კონტროლი“. პროექტის მიხედვით, საკონსტიტუციო კონტროლი ცალკე იქნა გატანილი და მან ასახვა ჰპოვა კონსტიტუციის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის ახალ რედაქციაში: „საკონსტიტუციო კონტროლს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით ახორციელებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით“. კანონპროექტზე დართულ განმარტებით ბარათში ნათქვამია: „აღნიშნული ცვლილებები ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უჩნდება ახალი უფლებამოსილება - საკონსტიტუციო კონტროლი განახორციელოს საბოლოო ინსტანციის სასამართლო გადანყვეტილებებზე. რადგან საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს სამივე სახელისუფლებო შტოში, მიზანშეწონილია, რომ იგი არ მიეკუთვნებოდეს არც ერთ მათგანს“.

ვენეციის კომისიის სათადარიგო წევრის ჯეიმს ჰამილტონის შეფასებით, „მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ძალაუფლება, უდავოდ, მნიშვნელოვნად გაძლიერდა, ძნელი გასაგებია, თუ რატომ ითხოვს ამ ახალი უფლებამოსილების მინიჭება (მხედველობაშია სასამართლოების გადანყვეტილებათა კონტროლი - ბ. ზ.) საკონსტიტუციო სასამართლოს რეკლასიფიკაციას, სასამართლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფო ინსტიტუტად ან რა სასარგებლო მიზანი მიიღწევა ამის საშუალებით“.

ბით. სასამართლო, რომელიც ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს, შეიძლება მიიჩნეოდეს სასამართლო ხელისუფლების ნაწილად, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას სხვა სასამართლოების კონსტიტუციური კონტროლის უფლებამოსილება. თუმცა ჩანს, რომ უპირველეს ყოვლისა, საქმე მდგომარეობს უფრო კლასიფიკაციის საკითხში, ვიდრე მისი პრაქტიკული შედეგების უზრუნველყოფაში, რათა საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღოს დამოუკიდებლობის ძირითადი გარანტიები და პატივი მისი ხელისუფლების მიმართ, რომელიც უნდა მიენიჭოს უმაღლეს სასამართლო ორგანოს“. როგორი ადგილიც არ უნდა მოუძებნოთ საკონსტიტუციო კონტროლს, მას მაინც სასამართლო ახორციელებს მოსამართლეების მეშვეობით. მთავარი ამ შემთხვევაში არის ის ფუნქციური ტვირთი, რაც ამ სასამართლოს უნდა დაკისრებოდა. ესაა კონტროლი საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ამ მიმართებით პროექტში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. ოლონდეს ნაბიჯები ერთობ მოუზომელი აღმოჩნდა. კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველ პუნქტს ემატებოდა შემდეგი შინაარსის „31“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, საკონსტიტუციო სასამართლო „საქართველოს სახალხო დამცველის ან მოქალაქის სარჩელის საფუძველზე იხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების, განჩინებების, განჩინებებისა და დადგენილებების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით“.

საკონსტიტუციო სასამართლომ თავის შენიშვნებში პროექტის ამ ნორმასთან დაკავშირებით აღნიშნა: „კონსტიტუციური მართლმსაჯულება არ იცნობს სასამართლო აქტების ასეთი ტოტალური გასაჩივრების შემთხვევებს. როგორც წესი, საჩივრდება საბოლოო ინსტანციის, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები. ევროპული ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, მოქალაქეს მხოლოდ მაშინ აქვს საჩივრის უფლება, როდესაც იგი ამონურავს ყველა სხვა გზას. პროექტით გათვალისწინებული ნორმის მიღების შემთხვევაში, დიდი ალბათობა იქნებოდა იმისა, რომ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა უმრავლესობა გასაჩივრდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოში, რაც უეჭველად იმოქმედებს მისი საქმიანობის ხარისხზე. მეორე მხრივ კი, გაჩნდებოდა პრობლემები საერთო სასამართლოში საქმეთა დროულად განხილვასთან დაკავშირებით“. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან ჩანს, რომ მომჩივანს უფლება აქვს, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ მაშინ, როცა სამართლებრივი დაცვის ყველა სხვა საშუალება ამონურულია. თანაც, აუცილებელია, რომ საჯარო ხე-

ლისუფლების აქტი უშუალოდ მას ეხებოდეს და დარღვეული უფლება ძირითად უფლებას განეკუთვნებოდა⁶.

ვენეციის კომისიამ, მართალია, მოიწონა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭება, მაგრამ მისი ასეთი ტოტალური ხასიათის გამო, სიფრთხილისაკენ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას. კანონპროექტის თაობაზე, 2005 წლის 25 იანვრის დასკვნაში, ვენეციის კომისიამ აღნიშნა: „სასამართლოსათვის ამ მცირე უფლებამოსილების მინიჭების საწინააღმდეგოდ ვერაფერს ვიტყვით, რადგან იგი ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების უკიდურესად მნიშვნელოვანი გარანტიის განმტკიცებას ემსახურება. მსგავსი უფლებამოსილებები გვხვდება ევროპის ქვეყნების კონსტიტუციურ მოწყობაში (მაგალითად, გერმანული „Verfassungsbeschwerde“). მაგრამ სწორედ ამ ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ სფეროში კონსტიტუციური სასამართლოს გაძლიერებას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, ვინაიდან შესაძლებელია პასუხად სასამართლოში ათასობით საქმე წამოიწყოს და სასამართლო ერთგვარი დილემის წინაშე აღმოჩნდეს. ის შემოფოთება, რომელსაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გამოთქვამს ამ საკითხთან დაკავშირებით, ნამდვილად გასათვალისწინებელია.

ამ საკითხში საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებს შორის ზომიერი თანაფარდობა უნდა შევინარჩუნოთ საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი შეიძლება მხოლოდ საბოლოო ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები გახდეს (რომელთა შეცვლის არავითარი საშუალება აღარ არსებობს).“

პროექტის მიხედვით, მოსარჩელეს ამ შემთხვევაში წარმოადგენენ მოქალაქე და სახალხო დამცველი. ამ უკანასკნელის თაობაზე, ვენეციის კომისიამ, ვფიქრობთ, რომ სწორად აღნიშნა: „.... ძალზე საჭოჭმანოდ გვეჩვენება საქმის საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველად სახალხო დამცველის მიერ შუამდგომლობის აღძვრის აუცილებლობის საკითხი, რადგან პრინციპში, გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება მხოლოდ მხარეების პრეროგატივაა (გარდა ზოგიერთი შემთხვევისა, როდესაც საქმეში პროკურატურა ... ერთვებიან) და ეს არ უნდა მოხდეს პროცესისათვის გარეშე პირის ინიციატივით. უფრო მეტიც, უნდა ითქვას, რომ სახალხო დამცველისათვის რაიმე კონტროლის შესაძლებლობების მინიჭება, თუნდაც იგი ტრიბუნალის გადაწყვეტილებას ეხებოდეს, საკონსტიტუციო სასამართლოს ტრადიციას არ წარმოადგენს“. უნდა დავეთანხმოთ ვენეციის კომისიას ამ შეფასებაში, მაგრამ

6. Bundesverfassungsgericht: Kommentar/von Hans Lechner. Fortgef. von Rüdiger Zuck - 4 Aufl. München: Beck, 1996, S. 490-499.

ჩემი აზრით, მას გამოორჩა კიდევ ერთი ხარვეზი. კერძოდ, იურიდიულ პირსაც უნდა მისცემოდა ეს შესაძლებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლება გაგებით მოეკიდა პროექტის თაობაზე გამოთქმულ შენიშვნებს და მისი განხილვა დღის წესრიგიდან იქნა ამოღებული. თუმცა საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული ფუნქციური სიახლე მუდამ დღის წესრიგში იქნება.

საკონსტიტუციო სასამართლო, ბოლო ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების კონსტიტუციურობის შემონიშნებისას გმობს მხოლოდ ძირითად უფლებათა დარღვევას. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობიდან ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სასამართლოს გადანყვეტილებათა კონსტიტუციური კონტროლი. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა: 1. სასამართლო არღვევს პროცესში მონაწილე პირის კონსტიტუციით გათვალისწინებულ საპროცესო უფლებას (მაგალითად, სასამართლო მოსმენის უფლებას); 2. სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც ეწინააღმდეგება (მხარის) ძირითად უფლებას; 3. კანონის განმარტებისას ან მისი გამოყენებისას სასამართლო არღვევს ძირითად უფლებებს; 4. სასამართლო მოქმედებს (განზრახ) თვითნებურად⁷.

კონსტიტუციური კონტროლის ამ ფორმის მნიშვნელობა იმაშია, რომ, თუკი საკონსტიტუციო სასამართლო დააკმაყოფილებს კონსტიტუციურ სარჩელს, ეს იწვევს სასამართლო გადანყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობას და ხელახალი გადანყვეტილების მიღებას.

ვინაიდან არა აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული კონტროლის შესაძლებლობა, მოქალაქეები ცდილობენ სასამართლოსაგან მოითხოვონ იმ ნორმატიული აქტების გაუქმება, რომელთაც დაეფუძნა მათი ძირითადი უფლება. რა შედეგი შეიძლება მოყვეს ამას. სასამართლო გააუქმებს სადავო ნორმატიულ აქტს, მაგრამ “ხელებს დაიბანს” ამ აქტის საფუძველზე გამოტანილი გადანყვეტილებების გადასინჯვასთან დაკავშირებით. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის მე-20 მუხლი არ იძლევა სასამართლო გადანყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას. მასში ნათქვამია: „კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადანყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით”. სასამართლო გადანყვეტილებათა კონტროლის შემოღება ხსნის ამ პრობლემას. თუმცა ეს სულაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ძალადაკარ-

7. BVerfGE 11, 343 (349).

გულად ჩაითვლება ყველა სხვა გადანყვეტილება, რომელიც გამოტანილი იქნა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის საფუძველზე. სასამართლომ, თუკი იქნება მოთხოვნა, ყველა შემთხვევაში ცალ-ცალკე უნდა გამოარკვიოს, გადანყვეტილება არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის საფუძველზე გამოტანილი არის თუ არა.

III. დამოკიდებულება საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას შორის

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოების გადანყვეტილებათა კონსტიტუციურ კონტროლს არ ახორციელებს. ამ საკითხზე ბევრჯერ იყო საუბარი და სრულიად სამართლიანად, ჯერ-ჯერობით, მისი შემოღება მიჩნეულ იქნა ნაადრევ ფუფუნებად ჩვენი სინამდვილისათვის. ერთადერთი, რაც საერთო სასამართლოებთან ჩვენ გვაკავშირებს, ესაა სასამართლოს უფლება კონსტიტუციურ წარდგინებაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადანყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადანყვეტის შემდეგ“.

დღეის ჩათვლით, 11-მდე კონსტიტუციური წარდგინება შემოვიდა სასამართლოში. მათი შესწავლის პრაქტიკამ კი აჩვენა, რომ უმეტესად ისეთი საკითხები იყო დასმული, რაზედაც თავად საერთო სასამართლოს უნდა ეპასუხა.

შემოსული კონსტიტუციური წარდგინებებიდან დაკმაყოფილდა მხოლოდ ერთი, კერძოდ, ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება (N1/151), არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მე-5 ნაწილის პირველი პუნქტი და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქციის ის ნორმა, რომელშიც დამატებითი სასჯელის სახით გათვალისწინებულია ქონების კონფისკაცია⁸. ამ გადანყვეტილებამ უალრესად პოზიტიური გამოხმაურება ჰპოვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები (1996-1997), თბ., 2002, გვ. 87.

2. ერთ-ერთი სერიოზული საკითხი, რაც კონსტიტუციური წარდგინებათა მიღების პროცესში გამოიკვეთა, ესაა მოსამართლისა და სასამართლოს ურთიერთმიმართება. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კონსტიტუციური წარდგინების შეტანაზე უფლებამოსილია „საქმის განმხილველი სასამართლო“, რეალურად კი წარდგინებები ხშირად შემოაქვთ კონკრეტულ მოსამართლეებს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ეს მიჩნეულია წარდგინების უფლებამოსილებაში დაშვებულ ხარვეზად და მის მიღებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად. ძირითადი აზრი, რაც ამ პრაქტიკიდან ჩანს, ისაა, რომ მოსამართლე არ არის სასამართლო და, შესაბამისად, ვერც კონსტიტუციურ წარდგინებაზე უფლებამოსილი პირი იქნება. საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 1997 წლის 27 მაისის განჩინებაში (N2/49/1) ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს წარდგინებაზე ნათქვამია: „მოქმედი კანონმდებლობით, ცნება „სასამართლო“ განსაზღვრულია მართლმსაჯულების განმხორციელებელ კოლეგიურ ორგანოდ (საქართველოს 1990 წლის 28 დეკემბრის კანონის „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ“ მე-12, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლები). ერთპიროვნულ მოსამართლეს არა აქვს უფლებამოსილება მართლმსაჯულების განხორციელებისა. საქართველოს საპროცესო და სასამართლო წყობილების შესახებ კანონმდებლობა განასხვავებს ცნებებს - „სასამართლო“ და „მოსამართლე“. ისინი იდენტური არ არიან. შესაბამისად, ის უფლებამოსილება, რაც შეუძლია განახორციელოს სასამართლომ, როგორც კოლეგიურმა ორგანომ, არ შეიძლება განახორციელოს ერთპიროვნულმა მოსამართლემ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთპიროვნული მოსამართლე უფლებამოსილი არაა კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს“. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 1999 წლის 30 ნოემბრის განჩინებაში (N1/8/116) ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე ნათქვამია: „...ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით ერთმანეთისაგან განირჩევა - ერთმანეთთან არაა გაიგივებული რაიონული სასამართლო და მოსამართლე, რომელიც ამ სასამართლოში საქმეს ერთპიროვნულად განიხილავს. კონსტიტუციური წარდგინების ავტორობა სასამართლო ორგანოს პრეროგატივაა. წარდგინების შეტანა მოსამართლის სახელით არ შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს

და სასამართლო ორგანოს ერთგვარი ფუნქციური შეზღუდვის მაჩვენებელია (ცხადია, სხვაა სასამართლოს სახელით შეტანილ წარდგინებაზე ხელის მონერა)“.

ასეთი აზრია გატარებული საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა განჩინებებშიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ პარქტიკით ბევრი რამ გამოირკვა და პოზიტიური შედეგები მოჰყვა მას, ამჯერად, იგი ერთობ საჭოჭმანოდ მეჩვენება და ალბათ ღირს მასზე კიდევ ერთხელ დაფიქრება. აღნიშნულ ფორმალბათა დარღვევა და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი არა სასამართლოს, არამედ მოსამართლის მხრიდან კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვა არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ იგი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსამართლე, ამ შემთხვევაში, გამოსატავს სასამართლოს აზრს. ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლე, როგორც თანამდებობის პირი და სასამართლო, როგორც საჯარო-სამართლებრივი დაწესებულება, ერმანეთის იდენტურია. **მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ არ არსებობს სასამართლო მოსამართლის გარეშე. სასამართლო სწორედ მოსამართლის მეშვეობით ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას, მართლმსაჯულებას. ეს ფუნქციური ერთიანობა გვაფიქრებინებს, მოსამართლის კონსტიტუციურ წარდგინებაში სასამართლოს წარდგინება დავინახოთ.** არ იქნებოდა სწორი, სასამართლო და მოსამართლე ფუნქციურად დაგვეპირისპირებინა ერთმანეთისათვის. სასამართლო-მოსამართლის ფუნქციური ერთიანობა (იდენტურობა) ქმნის იმის საფუძველს, რომ მოსამართლის ნების გამოვლენაში დავინახოთ სასამართლოს ნება. არ არსებობს სხვა პირი, გარდა მოსამართლისა, რომლის ნებაც კონკრეტული საქმის განხილვისას შეიძლება აღვიქვათ სასამართლოს ნებად. **მოსამართლე სასამართლოს სხულის სუბსტანციის განმსაზღვრელი სუბიექტია.**

3. კონსტიტუციურ წარდგინებათა ნაწილში მათი შემომტანი სასამართლოები მოითხოვენ სადავო აქტის შეუსაბამოდ ცნობას არა მარტო საქართველოს კონსტიტუციის ნორმებთან მიმართებით, არამედ სხვადასხვა ნორმატიულ აქტებთან (კანონებთან) მიმართებითაც. საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 1999 წლის 1 აპრილის განჩინებაში (N2/88/1) ქ. ჭიათურის სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე ნათქვამია: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის იმ საკითხის გარკვევა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე, 185-ე, 186-ე და 191-ე მუხლები წინააღმდეგობაში მოდიან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ და საქართველოს კანონის „მენარმეთა შესახებ“ ცალკეულ ნორმებთან და ადგილი აქვს ნორმათა კოლიზიას“. ეს უკანასკნელი საკი-

თხი გადაწყვეტილია ნორმატიული აქტების შესახებ კანონით და საქმის განმხილველმა სასამართლომ თვითონ უნდა გაარკვიოს, რომელი კანონით იხელმძღვანელოს. ქ. თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს წარდგინებაზე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2002 წლის 10 ივლისის განჩინებაში ითქვა : „სასამართლო პლენუმი აღნიშნავს, რომ ასეთ ვითარებაში საერთო სასამართლოს თვითონვე შეეძლო გაეკეთებინა შესაბამისი დასკვნები „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც, „ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას უპირატესობა ეძლევა იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს“.

4. ზოგჯერ წარდგინების ავტორები სადავო აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებას ითხოვენ იმის გამო, რომ ბუნდოვანი და გაუგებარია მისი ნამდვილი არსი. საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 1999 წლის 1 აპრილის დასახელებულ განჩინებაში ნათქვამია: „კონსტიტუციური წარდგინების ავტორის აზრით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის შედარებით ბუნდოვანმა სამართლებრივმა კონსტრუქციამ, საშუალება მისცა გამოძიებას, ჩაეთვალა სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც არიან რა აღჭურვილნი თანამდებობის პირებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ფუნქციით — თანამდებობის პირებად და ამის გამო, მათთვის ბრალად შეერაცხა თანამდებობრივი და-ნაშაულის ჩადენა“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სადავო ნორმის ბუნდოვანება არ შეიძლება იყოს მისი კონსტიტუციურობის შემოწმების საფუძველი. ნორმის ბუნდოვანება თვით საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა მოხსნას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ნორმის არაკონსტიტუციურობაზე მსჯელობა. ასე რომ, აქაც ფუნქციურ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. როცა ნორმა ბუნდოვანია, სასამართლო ვალდებულია, გამოარკვიოს მისი ნამდვილი შინაარსი. ამ მხრივ საინტერესო უნდა იყოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი წინადადების დებულება, რომელშიც ნათქვამია : „სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს, ან იგი ბუნდოვანია“.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა ქ. თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე 2002 წლის 10 ივლისის განჩინებაში (N9/183) აღნიშნა: „საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს მიაჩნია, რომ სამართალგამოყენებით პრაქტიკაში ნორმატიული აქტის არასწორი განმარტების საკითხი შეუძლებელია გახდეს საკონსტი-

ტუციო სასამართლოს მიერ ამ აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების საფუძველი”.

კონსტიტუციური წარდგინებებიდან იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სასამართლოები თავს არიდებენ ნორმატიული აქტების განმარტებას. ცოტა მეტად რომ შეინუხონ თავი, არ გაუჭირდებათ სწორი განმარტების მიგნება. სამწუხაროდ, მათ ასეთ ქმედებებში პასუხისმგებლობის სხვაზე გადაკისრების სურვილი ჩანს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ „ბუნდოვანობისადმი” სხვაგვარი მიდგომები გვაქვს საერთო სამართალში. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა რომ კანონი „არაკონსტიტუციურად ბუნდოვანი იყო”.

5. კონსტიტუციური წარდგინებები ხასიათდებიან სხვა ხარვეზებითაც. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 1999 წლის 22 აპრილის განჩინებაში (N1/3/99) ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე ნათქვამია: „კონსტიტუციური წარდგინება შემოტანილია ისე, რომ შესაბამის სასამართლოში არ დაწყებულა საქმის განხილვა”. კანონის მიხედვით, სასამართლო „...შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს”. „საქმის განხილვის შეჩერება, ცხადია, გამორიცხულია იმ პირობებში, როცა განხილვა არ დაწყებულა”.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის აუცილებლობამდე თვით სასამართლო მიდის და არ ხდება ეს მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების გზით. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2002 წლის 10 ივლისის განჩინებაში (N9/189) ქ. თბილისის კრანანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებით ითქვა: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სწორედ საერთო სასამართლო უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში დაისვას ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხი. კონსტიტუციური წარდგინებიდან კი ის დასკვნა კეთდება, რომ სასამართლომ ამ შემთხვევაში დააკმაყოფილა განსასჯელის შუამდგომლობა და წარდგინებით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს ... სასამართლო პლენუმი არ გამორიცხავს საერთო სასამართლოებში კონკრეტული საქმეების განხილვისას მსგავსი შუამდგომლობების არსებობას, თუმცა ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ კონსტიტუციური წარდგინების აუცილებლობამდე სასამართლო დამოუკიდებლად მიდის და არა პროცესის მონაწილეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების გზით. იმ კანონის თუ სხვა ნორმატიული აქტის განსაზღვრა, რომელიც კონკრეტუ-

ლი საქმის გადაწყვეტისას უნდა იქნეს გამოყენებული, სწორედ სასამართლოს მიერაა შესაფასებელი”.

კონსტიტუციურ წარდგინებებში ვხვდებით სხვა ხარვეზებსაც, რის შესახებაც აღნიშნულია სასამართლოს განჩინებებში. ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განჩინებაში ნათქვამია: „კონსტიტუციური წარდგინება რაღაც ასლის სახით არის შემოტანილი, რაც არ შეეფერება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს”.

ამავე კოლეგიის 2002 წლის 22 აპრილის განჩინებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე ნათქვამია: „კონსტიტუციურ წარდგინებაში არასწორად მოიხსენიება წარდგინების შემომტანი სუბიექტი. წარდგინებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსარჩელე ჰქვია, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად კი მას „წარდგინების ავტორი ეწოდება”.

6. ასეთი პრაქტიკაც დაფიქსირდა. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო პირები ცდილობენ, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელების შემოტანით მიაღწიონ იმ აქტის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელსაც დაემყარა საერთო სასამართლო. უმეტესწილად, ასეთი სარჩელები უსაფუძვლოა.

არის შემთხვევები, როდესაც ჩვენ მოგვმართავენ იმ მიზნით, რომ შევაფასოთ საერთო სასამართლოების პრაქტიკა. ბუნებრივია, ასეთ მოთხოვნებზე უარს ვეუბნებით, ვინაიდან ეს არ შედის ჩვენს კომპეტენციაში და საკონსტიტუციო სასამართლო არაა საერთო სასამართლოებზე საზედამხედველო ორგანო. თუმცა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების სინამდვილეში ცნობილია საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან სასამართლო პრაქტიკის შეფასებაც. ყირგიზეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ ფუნქციად მიჩნეულია გადაწყვეტილებების მიღება იმ სამართალგამოყენებით პრაქტიკაზე, რომელიც შეეხება ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს (მუხ. 13, პ. 8)⁹.

არც ის არ უნდა იყოს სწორი, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკვიოს სასამართლო გადაწყვეტილებების კანონებთან შესაბამისობის საკითხი, როგორც ამას ადგენს აზერბაიჯანის კანონმდებლობა¹⁰.

სამწუხაროდ, ჩვენში გამოიკვეთა, არცთუ სახარბიელო ტენდენცია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანებს არ აკმაყოფილებთ მართლმსაჯულების ქვემდგომ ინსტანციებში განხორციელება და იმის მიუხედავად,

9. Конституционное правосудие в странах СНГ и Балтии, М., 1998. С. 407.

10. იქვე, გვ. 145.

მოგების რა შანსები აქვთ, ცდილობენ, ზევით გაასაჩივრონ ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებანი. ვფიქრობ, რომ მართლმსაჯულება რა დონეზეც არ უნდა განხორციელდეს, ადამიანებს უნდა სწამდეთ მისი სამართლიანობის. არავის არა აქვს იმისი გარანტია, რომ ზემდგომი სასამართლო უფრო სწორად გადაწყვეტს საკითხს. იქაც ხომ იგივე ადამიანები მოსამართლეობენ, რომლებიც, ერთ დროს, შეიძლება ქვედა ინსტანციებში მოღვაწეობდნენ.

ოცდამეერთე საუკუნის ფეოდალობა და ბრძოლა ერთიანი ქართული სახელმწიფოსათვის¹

საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ სერიოზული ბრძოლა გააჩაღა ერთიანი და ძლიერი ქართული სახელმწიფოს დასამკვიდრებლად. ამასთან დაკავშირებით მსურს, მხოლოდ როგორც მეცნიერმა და ამ ქვეყნის მოქალაქემ, რამდენიმე საკითხს შევუბო და თუკი ეს ოდნავ მაინც წაადგება საერთო საქმეს თავს ბედნიერად ჩავთვლი.

I. არავის არა აქვს უფლება, იდგეს სამართალზე მაღლა

ნებისმიერი ქვეყნის ყველაზე ცუდი ავადმყოფობა კანონისადმი უპატივცემულობაა. კანონზე მაღლა დგომის ცნობიერება ყოველთვის ხელშემშლელი იყო ძლიერი სახელმწიფოს შექმნის გზაზე. სამართალი ზნეობის მინიმუმი რომაა, ეს სულაც არ გვაძლევს უფლებას, აგდებულად მოვეკიდოთ მას. ყოველი ადამიანი კანონისადმი პატივისცემაში ვლინდება, როგორც ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქე. ვიდრე ეს კანონი ძალაშია, მისი შესრულება შეფასებას მოკლებულია. **ყველა ადამიანი ვალდებულია, იცხოვროს მოქმედი სამართლით. სამართალი კი ისაა, რაც არის (რაც უნდა შესრულდეს) და არა ის, რაც უნდა იყოს.** არარსებული სამართლით ცხოვრება და მოქმედება თავდაყირა აყენებს ქვეყნის სახელმწიფოებრიობას და უწესრიგობა-განუკითხაობის მიზეზი ხდება. კანონს მოწონების მიხედვით არ ასრულებენ, იგი “ხასიათის პოეზია” კი არაა, არამედ ეს არის ნებისმიერი მოქალაქის უპირველესი ვალდებულება. არც კანონის ხარვეზიანობა იძლევა უფლებას, მას დაუმორჩილებლობა გამოუცხადონ. სახელმწიფოს ძლიერების იდეა ამოძრავებდა სოკრატეს, როცა უყოყმანოდ შეასრულა ათენის უსამართლო კანონი და სანამლავით სავსე ფიალა გამოცალა. **სამართლის**

1. წერილი გამოქვეყნდა გაზეთში: „24 საათი“, 2004 წლის 26 მარტი (N70).

ხარვეზი ისევ სამართლით უნდა გამოსწორდეს. არავინ არ უნდა დააყენოს თავი სამართალზე მაღლა, ვინც არ უნდა იყოს და რა თანამდებობაც არ უნდა ეკავოს მას. მეტიც, მაღალი თანამდებობის პირნი მაგალითს უნდა იძლეოდნენ. სამწუხაროდ, ჩვენს ამჟამინდელ ყოფას მემკვიდრეობად დარჩა კანონის ფეხქვეშ გათელვის უპრეცედენტო მაგალითები, რისი შედეგების აღმოფხვრასაც დიდი დრო და სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება. სამართლისადმი ის უპატივცემულობა, რაც წლების განმავლობაში ხდებოდა ჩვენ თვალწინ, ფეოდალურ ხანაშიაც კი ძნელად დასაძებნია. მე შეგნებულად არაფერს ვამბობ საბჭოთა სამართალზე, რომლის შეუსრულებლობას კომუნისტური პარტია არავის პატიობდა. დამოუკიდებლობის მოპოვება ბევრმა ისე აღიქვა, თითქოს სამართლისგანაც იყო იგი თავისუფალი. დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია ჩაიხედოს აკადემიკოს ისიდორე დოლიძის ქართული სამართლის ძეგლების რვატომეულში და დარწმუნდება, რომ ნოდებრივი სამართლის დონეზე კანონის წინაშე გლეხიცა და ბატონიც თანასწორია. არის ფასეულობანი, რომელთა მიმართ ქედმოხრილია ერთიცა და მეორეც. იქ ვერ იგრძნობ უფროს-უმცროსობას. ვახტანგის სამართალში გვაქვს ნორმა, რომელიც გლეხს უფლებას აძლევს, მოკლას ბატონი, რომელსაც მან თავის ცოლთან მწოლიარეს წაასწრო და ასე დაიცვას თავისი ღირსება და პატივი. სამართლის ისტორიკოსთა დაკვირვებით, ასეთი რამ არა ჰქონია იმდროინდელ ევროპასაც კი.

ამიტომაცაა, რომ **ჩვენი ქვეყნის ისტორია ზნეობრივი და პატიოსანი ადამიანების ძვლებზეა აგებული.** ეს ადამიანები ქმნიდნენ ქართულ სახელმწიფოებრიობას. ეს სახელმწიფო კი, არ იყო არც სამხედრო და არც სავაჭრო სახელმწიფო. **ეს იყო და არის კულტურის სახელმწიფო, ვინაიდანაც მისთვის მთავარი ფასეულობა ყოველთვის კულტურა იყო.**

მხოლოდ ქართული სამართლის ერთნაირად განცდა და კანონისადმი პატივისცემა თუ გადაარჩენს ქართულ სახელმწიფოს.

II. საჭიროა ერთიანი და განუყოფელი ქართული სახელმწიფოს განცდა

საქართველო მისმა მოქალაქემ უნდა განიცადოს როგორც ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო. სამწუხაროდ, ისტორიულად, ეს განცდა არ იყო ყველასათვის ერთგვაროვანი. ძველ საქართველოში ფეოდალობა ბევრჯერ ყოფილა მტერი ქართული სახელმწიფოს ერთიანობისა. არჩილ ჯორჯაძის თქმით, ფეოდალობა ჩვენში ვერ ეგუებოდა ერთმეფობას. ნოე ყორდა-

ნიას სიტყვებით „ფეოდალთა თავაშვერილობამ დააქცია საქართველო“. ამ მწარე ისტორიის შედეგი იყო სამეფო-სამთავროებად დაჩეხილი საქართველო. სამწუხაროდ, ამ დაშლილობას ვერ შველოდა ვერც ერთიანი ქართული მართლმეგნება და ქართველ მეფეებს ძვირად უჯდებოდათ ქვეყნის გაერთიანება. ერთიანობისადმი ფეოდალების გაუცხოების მიზეზი ისევ პირადი, კერძო ინტერესების საქვეყნოზე მალლა დაყენება იყო. ზოგჯერ მეფენიც შეგუებთან დახლეჩილი სახელმწიფოს არსებობას და მისი გამთლიანების რეალურ ისტორიულ შანსზეც კი უთქვამთ უარი. ისტორიკოსთა აზრით, მეფე ერეკლე დიდად რომ გარჯილიყო, შესაძლებელი იყო ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაერთიანება. საბაზრო სახელმწიფოების შექმნამ ძირი გამოაცალა ამ მსოფლიო ავადმყოფობას და ქვეყნიერება შეიკრა ერთიანი სახელმწიფოებრიობის იდეით. გერმანია, რომელიც უთვალავ პატარ-პატარა სახელმწიფოებად იყოფოდა, ბისმარკმა იგი ერთიან სახელმწიფოდ ჩამოაყალიბა და დღეს ამ ხალხისათვის ძველი წარსული მხოლოდ ისტორიის არქივებში დარჩა. დასანანია, რომ ფეოდალურმა ფსიქოლოგიამ არა მარტო ამ საქმეში, არამედ სხვა მხრივაც თავი იჩინა ჩვენში. ეს უკვე დროის მიმართ გადალიანებაა და დღემდე არ გაჩენილა ადამიანი, რომელიც დროის ტრიალს მორევიან. დროისადმი გაუცხოება სხვა არაფერია, თუ არა ქსერქსეს ბრძოლა ზღვის წინააღმდეგ.

ფეოდალური გადალიანება-განდგომილება გაუცხოებული იყო იმ კულტურულ ერთიანობასთან, რასაც ყოველთვის ჰქონდა ადგილი საქართველოში. **საფეოდალოებად დაჩეხილი ქვეყანა, მისმა არნახულმა კულტურულმა მთლიანობამ მოიყვანა დღემდე.** კულტურა ედგა დედაბოძად ქვეყნის ერთიან სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. კულტურის განცდა გლეხსაც და ფეოდალსაც მომეტებულად ჰქონიათ. ვერაფერი კარგი მაგალითია, მაგრამ მაინც გასახსენებელია ჩინგიზ-აითმათოვის ერთ-ერთი რომანიდან ეპიზოდი, როცა ქართველი ბოლშევიკი ჯალათები სიკვდილმისჯილ ქართველ მენშევიკებთან ერთად სადილობისას ქართულ სიმღერებს მღერიან და ამის შემდეგ განაჩენი მოდის სისრულეში.

ძველმა, მე ვიტყვდი, ისევ ფეოდალურმა ფსიქოლოგიამ, თავი იჩინა საკანონმდებლო საქმიანობის პროცესშიც. აქაც გამოიკვეთა „დარგის ფეოდალები“, რომელთა აზროვნებითაც კანონი საზოგადო სიკეთის მოტანით კი არ უნდა ფასდებოდეს, არამედ იმით, თუ რამდენად მომგებიანი იქნება იგი ამა თუ იმ პიროვნებისა თუ ჯგუფისათვის. **პირადი კეთილდღეობით თავგასულმა ფეოდალებმა ბევრი ისეთი ნორმატიული აქტის მიღება მოახერხეს, რომელიც მხოლოდ კონკრეტული საფეოდალოს ინტერესებზე იყო ზედგამოჭრილი და სრულიადაც არ ასახავდა საზოგადო მიზნებს.** ასე იყო ავტო-

მობილების ტექნიკურ დათვალიერებასთან დაკავშირებით, როცა მაღალი საფასურით შენუხებული მოსახლეობა იძულებული შეიქნა მანქანები წლობით „გარაჟებში“ ჩაეკეტათ. შემდგომ, საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტის, იმ დროს პარლამენტის დეპუტატის მიხეილ სააკაშვილის ძალისხმევით კვლავ გაიფანტა იგი. მასხოვს, ჩემი მეზობელი როგორ გახარებული იყო, როცა წლობით გაჩერებული დაჟანგული „მოსკვიჩი“ კვლავ ქუჩაში გამოიყვანა. ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება. თავს კმაყოფილად ვთვლი, რომ, პირადად მეც, მერგო პატივი ზოგიერთ კანონპროექტზე ოფიციალურად გამომეთქვა უარყოფითი დამოკიდებულება. ასეთი რამ მომავალში არ უნდა განმეორდეს. კანონს გარდა კერძო სიკეთისა, საზოგადო ბედნიერებაც უნდა მოჰქონდეს. საქართველოში ფეოდალური ფსიქოლოგია უნდა შეიცვალოს და ყველამ, ერთხელ და სამუდამოდ, უნდა გააცნობიეროს ის, რომ საზოგადო კეთილდღეობის გარეშე არ არსებობს კერძო ბედნიერება.

III. სახელმწიფო კერძო და სოციალური ინტერესების მშვიდობიანი თანაარსებობა.

ქართული სახელმწიფო უნდა შედგეს ყველა მისი ნიშან-თვისებით და საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა განიცადოს იგი. სახელმწიფოსაგან პიროვნების გაუცხოება წარსულს უნდა ჩაბარდეს და ბოლო მოეღოს იმ დისბალანსს, რასაც ადგილი აქვს პირადასა და სახელმწიფოებრივ ინტერესებს შორის, სხვა სიტყვებით, საჭიროა დამყარდეს სამართლიანი წონასწორობა (ბალანსი) კერძო და საჯარო ინტერესებს შორის. სახელმწიფოს წინააღმდეგ „მეამბოხე“ ადამიანი მის სამსახურში უნდა ჩადგეს და, თავის მხრივ, სახელმწიფო უნდა იქცეს თავისი მოქალაქეების კეთილდღეობის დანეხებულებად. **ყველამ უნდა გაიგოს ის ელემენტარული ამბავი, რომ იგი როგორც სრულუფლებიანი მოქალაქე, მხოლოდ ძლიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში გამოავლენს თავის პიროვნებას.** ამიტომაც ამბობენ, რომ სახელმწიფო მიზანი კი არაა, არამედ ფასეულობათა წესრიგის საფუძველია. იგი თავადაც ფასეულობაა და მისი განცდა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად არის სხვა ფასეულობათა გარანტი. სახელმწიფოსაგან პიროვნების გაუცხოების მიზეზი შეიძლება იყოს ის ჩატეხილი ხიდი, რაც ბევრჯერ ყოფილა მათ შორის. ეს ხიდი საბოლოოდ უნდა გამთელდეს და ხალხს უნდა შევაცვაროთ სახელმწიფო. საქართველოში, რუსეთისაგან განსხვავებით, სახელმწიფოს მხოლოდ მაშინ განიცდის ადამიანი, თუკი იგი თავგადადებულია მისთვის. ჩვენში სახელმწიფოს უფრო თავის პოზიტიურ

ნიშან-თვისებებში აღიქვამენ, მაშინ როცა რუსეთში სახელმწიფო თავისი ნეგატიური ნიშნებით უფრო ცნობიერდება. ეს ორივე უკიდურესობანია და **ჩვენ უნდა შევძლოთ სახელმწიფო განვიცადოთ არა მარტო მაშინ, როცა ხელფასებს არიგებს, არამედ მაშინაც, როცა იგი დამნაშავეს სჯის კანონიერად.** ყველა შემთხვევაში, სახელმწიფოს საქმიანობა კონსტიტუციურ სამოსელში უნდა იყოს გახვეული.

სამწუხაროდ, ჩვენ ხალხს სწორედ საზოგადო ინტერესების განცდა აკლია. ეს სულაც არაა ჩემი აღმოჩენა. ისტორიაც ამაზე მეტყველებს. ყველაზე ძლიერად ეს ინტერესი თავს იჩენს გაჭირვების ჟამს, მაშინ როცა მშვიდობიანობისას ხშირად მივიწყებულ-მიძინებულა ამის შეგნება. ამ განცდის სიღარიბის ცოცხალ მაგალითებს ყოველდღიურ ცხოვრებაში ნახავთ. ყველაზე ხელმოკლე ადამიანსაც კი შესანიშნავად აქვს მოწყობილი თავისი ბინა და კარ-მიდამო, მაშინ როდესაც საერთო სარგებლობის ადგილები ნაგვის ბუდეებადაა ქცეული. ბევრი უსიამოვნება შემხვედრია ამ ნიადაგზე ადამიანებთან კამათისას, მაგრამ ყოველივე ამაოდ. საზოგადო ღირებულებებისადმი სამარცხვინო ნიჰილიზმი სერიოზული დაბრკოლება ხდება ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში. ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული სამართლის რეფორმატორებს, როცა მთელი ჩვენი კანონმდებლობა ზომიერი სოციალური ფუნქციით დატვირთეს. თავდაპირველად, ამის გაცნობიერება ცოტა გაძნელდა, ვინაიდანაც ჩვენი საზოგადოება მხოლოდ ახლა იწყებდა კომუნისტურ სამართალზე ტოტალურად უარის თქმას, იმ სამართალზე, რომელიც სოციალურ ფუნქციას უტოლდებოდა. ჩვენ კი განვიზრახეთ შეგვექმნა ისეთი სამართალი, რომელიც სოციალური ფუნქციის მხოლოდ მატარებელი იქნებოდა და არა მისი იდენტური. ეს გახდა ახალი ქართული კანონმდებლობის სერიოზული მახასიათებელი. სამწუხაროდ, უკიდურესად კერძო ინტერესებზე აგებულ მართლშეგნებას გაუჭირდა ამ იდეისადმი შეგუება და იგი კარგა ხანს კომუნიზმის რეანიმაციად აღიქმებოდა. მახსოვს, სამოქალაქო კოდექსის სულისჩამდგმელმა, პროფესორმა სერგო ჯორბენაძემ კომისიის ერთ-ერთ ნიჭიერ ქალბატონს სთხოვა, აზრი გამოეთქვა ბინის შესახებ კანონის პროექტზე, რომელიც გერმანული კანონის საფუძველზე შემუშავდა. ჩემმა უფროსმა კოლეგამ კომისიას აუწყა, რომ სოციალური შინაარსის მსგავს ნორმებს კომუნისტური სამართალიც კი ვერ მოითმენდაო. მართლაც, ერთ-ერთი ნორმა ამ პროექტიდან უფლებას აძლევდა ბინის ამხანაგობას მისი წევრის (თუ წევრთა) პატივსაღები ინტერესების არსებობის შემთხვევაში, არ მიეცა უფლება ბინის გამყიდველისათვის, იგი მიეყიდა ამა თუ იმ კონკრეტული პირისათვის. საქართველოს პარლამენტმა უყოყმანოდ თქვა უარი ასეთი ნორმის სამოქალაქო კოდექსში

შეტანაზე. მე კი დღესაც საეჭვოდ მიმაჩნია პარლამენტის ასეთი გადაწყვეტილება, ვინაიდანაც მან ვერ გაითვალისწინა ის, რომ **საკუთრების თავისუფლებამ არ უნდა შელახოს სხვათა ინტერესები**. როცა ბინის მეპატრონეს მეზობლად ჩემი მოსისხლე მტერი შემოჰყავს, რატომ უნდა ვითმინო მე ეს? დასანანია, რომ უფლების ბოროტად გამოყენების შიშით, ბევრ შესანიშნავ სამართლებრივ ფასეულობაზე ვამბობთ უარს. უფრო სამწუხარო ისაა, რომ ზოგჯერ ცხოვრებას უჩვენებია ამ შიშის სერიოზული საფუძვლიანობა. აქვე მინდა შევნიშნო, საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, რომ საკუთრება შეიძლება ზომიერად შეიზოგოს, თუკი ამით არ დაზიანდება მისი შინაარსი (სუბსტანცია). საერთო სასამართლოების პრაქტიკამ კიდევ უფრო განამტკიცა ეს აზრი. მეტს აღარ გავაგრძელებ უშუალოდ ამ საგანზე მსჯელობას, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ **ვიდრე ჩვენი საზოგადოება არ ამალღდება საზოგადო (საერთო) ინტერესების ჯეროვან განცდამდე, მანამ კერძო ინტერესების მაღალი შეგნება სასურველ შედეგებს ვერ მოიტანს. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფო ესაა კერძო და საზოგადო ინტერესების მშვიდობიანი თანაარსებობა**.

IV. დაუშვებელია ქართული სამართლებრივი სივრცის გაორება

ერთიანი ქართული სახელმწიფო ერთიან სამართლებრივ სივრცეში მოიაზრება. არავის არა აქვს უფლება, ფაქტობრივი თუ ფორმალური სახით, ხელი შეუწყოს საქართველოს დანაწევრებას სხვადასხვა სამართლებრივ სივრცეებად. ყველაზე დიდი ცინიზმი ისაა, როცა ფორმალურად აღიარებ ამ სივრცის ერთიანობას, მაგრამ სინამდვილეში მის დანაწევრებას უწყობ ხელს. ეს ერთიანობა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე უნდა განხორციელდეს და ყველაზე მეტად ეს ეხება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას. ერთიანი ქართული სახელმწიფოს ინტერესებში სულაც არ შედის საქართველოს კანონმდებლობის ნიღაბს ამოფარებული ფაქტობრივად დამოუკიდებელი სახელმწიფოები. საქართველო აღარაა საფეოდალოებად დაყოფილი ქვეყანა და ეს კარგად უნდა გაცნობიეროს XXI საუკუნის ყველა ფეოდალმა. ხშირად გაუგებრობა-შეთანხმებლობის მიზეზად ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილებათა გაუმიჯნაობას ასახელებენ. საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი შავით თეთრზე დეტალურად ჩამოთვლის იმას, რაც „მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება“. მე-2 პუნქტი კი იტყობინება, რომ „ერთობლივ გამგებლობას

მიკუთვნიებული საკითხები ცალკე განისაზღვრება“. ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები გვეუბნებიან, რომ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით. ბუნებრივია, მე-3 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული საკითხები საჭიროებენ დროულ და გონივრულ მონესრიგებას, როგორც ეს შეესაბამება ერთიან ქართულ სამართლებრივ სივრცეს. ერთი რამ კი ცხადია, მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანაწესის შესრულება სავალდებულოა. შესაძლოა, “ძალის თავი” უფრო ამ პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან გაძლიანებაში იყოს დამარხული.

ერთიანი ქართული სამართლებრივი სივრცე უნდა გახდეს გარანტი ადამიანთა კონსტიტუციური უფლებების დაცვისა. **დაუშვებელია ადამიანთა უფლებების უზრუნველყოფაში შეიქმნას ისეთი დისბალანსი, რაც, ნებით თუ უნებლიეთ გაგვაქანებს ნოდებრივი (ფეოდალური) სამართლისაკენ.** უნდა გავიხსენო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთი გადაწყვეტილება, რომელშიც ითქვა: „სასამართლო კოლეგია არ უარყოფს სხვადასხვა კატეგორიის სუბიექტთა სოციალური უზრუნველყოფის დარგში სამართლიანი განსხვავების შესაძლებლობას, თუმცა ვერ დაეთანხმება მოსარჩელებს იმაში, რომ თითქოს ადგილი ჰქონდეს სამართლიანობის კატეგორიის გაორებას კერძო და საჯარო სამართალში“. „კერძო და საჯარო სამართალში არსებულ თავისებურებათა მიუხედავად დაუშვებელი უნდა იყოს ადამიანთა სოციალური უზრუნველყოფის საერთო პრინციპების მთლიანად იგნორირება. პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებაში მონაწილეობა არ უნდა იქცეს ისეთ პრივილეგიად, რაც არსებით წინააღმდეგობაში მოვა ადამიანის უფლებათა თანასწორობის უნივერსალურ პრინციპებთან (2002 წლის 15 ოქტომბრის N1/2/174,193, გადაწყვეტილება).

კორუფციული მართლშეგნებისა და თავად კორუფციის დამარცხება ხელს შეუწყობს ადამიანთა უფლებებში სამართლიანი ბალანსის მიღწევას და ამ მხრივაც განმტკიცდება ერთიანი ქართული სამართლებრივი სივრცე.

ერთიანი სამართლებრივი სივრცის საკითხი სერიოზულად დგას მეწარმეობის სამართლებრივი უზრუნველყოფის სფეროში. საკონსტიტუციო სასამართლოში შემოტანილმა სარჩელებმა დაგვანახვა, რომ ზოგიერთი უცხოური სანარმო იმდენად შეღავათიან პირობებში გრძნობდა თავს, რომ ეს ვერანაირად ვერ პასუხობდა ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. ფაქტობრივად ქვეყანაში მათთვის სხვა სამართლებრივი სივრცე იყო შექმნილი.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ერთ-ერთ ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ „...მისი შინაარ-

სი ამოვარდნილია ერთიანი კერძო-სამართლებრივი სივრციდან და ვერც საინვესტიციო ურთიერთობებში მიღებული „სტაბილურობის კლავზულის“ ფარგლებში ეტევა. არ უნდა იყოს გამართლებული ერთიანი კერძო-სამართლებრივი სივრცის დანაწევრება და ეროვნული სანარმოებისა და უცხოური ინვესტორების აშკარად, მკვეთრად განსხვავებულ უფლებრივ მდგომარეობაში ჩაყენება“ (2002 წლის 30 დეკემბრის N1/3/136 გადაწყვეტილება).

თუკი ადგილი ექნება ერთიანი სამართლებრივი სივრცის შიგნით უცხოელი ინვესტორების მიმართ გონივრულ შეღავათებს, ეს იმისი გარანტიაც იქნება, რომ ქართველი მენარმე აღარ მოინდომებს თავის ქვეყანაში უცხოელად იქცეს.

ერთიანი სამართლებრივი სივრცის შიგნით ფასეულობათა გონივრული, დაბალანსებული და სამართლიანი წესრიგი ძლიერი ქართული სახელმწიფოს სერიოზული გარანტიაა.

V. საკანონმდებლო სტაბილურობა აუცილებელი გარემოებაა სამართლებრივი წესრიგისათვის.

სახელმწიფოს ძლიერება საკანონმდებლო სტაბილურობაშიც ვლინდება. პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ამის მიღწევა ჯერჯერობით გაძნელებულია. მაგრამ არც საკანონმდებლო ნოველათა გამოსაცდელ პოლიგონად არ უნდა იქცნენ ისინი. ისტორიამ ცოტა დრო არგუნა ამ ქვეყნებს მსოფლიო თანაცხოვრების საერთო ფერხულში ჩასართავად. საქართველოს, სულ რაღაც 10-ოდე წელიწადში, უნდა შეექმნა ის, რასაც ჩვეულებრივ გარემოში სხვა ქვეყნები ნახევარ საუკუნეს ანდომებდნენ. ჩვენ სამოქალაქო კოდექსის შექმნას ხუთწლიანი ყოველდღიური შრომა მოვახმარეთ, მაშინ როცა ჰოლანდიელებმა 40 წლიანი განსჯის შედეგად შექმნეს იგი. ასეთ ვითარებაში ძნელია ასჯერ გაზომო და ერთხელ გაჭრა. დრო არ იძლეოდა ამის შესაძლებლობას. ხუმრობა იქით იყოს და ნიაზ დიასამიძეს უთქვამს, ვინც ასჯერ გაზომავს, იგი ერთხელაც ვერ გაჭრისო. ამ მოკლე დროის მანძილზე საქართველოში შეიქმნა მრავალი კოდექსი, პრინციპული ხასიათის უთვალავი ნორმატიული აქტი. ბუნებრივია, ყველაფერი ვერ იქნება რიგზე ამ აქტებში და ცხოვრებამ კიდევ აჩვენა ბევრი მათგანის განახლების აუცილებლობა, **მაგრამ სტაბილურობის მინიმუმი ყველა შემთხვევაში უნდა შენარჩუნდეს**, დაუშვებელია კანონმდებლობა ისე იცვლებოდეს, როგორც მინისტრები. **სტაბილურობა გვავალდებულებს, ვითმინოთ ზოგიერთი არაპრინციპული ხასიათის საკანონმდებლო გაუგებრობა.** ცხადია, ეს არ ეხე-

ბა კორუფციულ კანონმდებლობას, რომელიც თმენის ვალდებულებას არ ექვემდებარება. მხოლოდ გონივრულ დროშია შესაძლებელი, გამოჩნდეს ამა თუ იმ ნორმატიული აქტის ავ-კარგიანობა. გერმანელები, რომლებიც დიდხანს ითმენდნენ საუკუნის ვალდებულებით სამართალს, მხოლოდ ორიოდ ნლის წინ შეთანხმდნენ, რომ აემოქმედებინათ ევროკავშირის სტანდარტებზე გამოჭრილი ვალდებულებითი სამართალი (საქართველოში ამას ადგილი ჰქონდა ნ ნლის წინ). დისკუსია ამ საკითხზე მთელი მეოთხედი საუკუნე მიმდინარეობდა. ჩვენ, ცხადია, გერმანელების მაგალითით ვერ ვივლით, მაგრამ იგი ხომ მხოლოდ იმას იუწყება, რომ არ შეიძლება კანონმდებლობის სწრაფი ცვლა. **კანონმდებლობა მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევებში უნდა იცვლებოდეს.** მხოლოდ ასეთ ვითარებაშია შესაძლებელი სტაბილურობა და სამოქალაქო წესრიგი.

დაუშვებელია, ადამიანი დილით სამსახურში ერთი კანონით განსაზღვრული წესით მიდიოდეს და საღამოს შინ სხვა კანონის მოქმედების პირობებში ბრუნდებოდეს. ალექსანდრე ამილახვარი XVIII საუკუნეში წერდა: „კანონი შემოღებულ უნდა იქნეს ერის ანუ ხალხის ბუნების მიხედვით დიდის „სიფრთხილითა“ და „გულისხმიერებითა“, რომ არ იყოს საჭირო „ერთხელ დადებული სჯულის ხშირად ცვალება“.

უხარვეზო კანონმდებლობა ჯერ კაცობრიობას არ შეუქმნია და არც არავის ჰქონია ასეთი პრეტენზია.

ადამიანი როგორც გონი პრინციპებით აზროვნებაშია (განათლების რეფორმის შესახებ)*

ქვეყანაში დაიწყო განათლებისა და მეცნიერების რეფორმა, რისი აუცილებლობაც ათეულობით წლების განმავლობაში მნიფდებოდა. ამჯერად, სურვილი მაქვს, რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვა ჩემი თვალით დანახული სინამდვილის შესახებ. თუკი იგი ოდნავ მაინც წაადგება ამ რეფორმის შეუქცევად პროცესს, კმაყოფილი დავრჩები.

I. სწავლების ენა უნდა იყოს მარტივი და გასაგები

თავიდანვე უნდა ვთქვა, რომ პრინციპულადაა დასახვეწი ჩვენს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა. სამწუხაროდ, ახალგაზრდების დიდძალი ენერგია ფუჭად იხარჯება „რეზუსების“ ტიპის სახელმძღვანელოების შესწავლაში. უაღრესად რთული ენა, გაუგებარი და უშინაარსო წინადადებანი ჩვეულებრივი მოვლენებია სასწავლო წიგნებისათვის. ხშირად არ ვითვალისწინებთ იმას, რომ სწავლების სხვადასხვა დონე ენობრივადაც განსხვავებული დონის სახელმძღვანელოებს მოითხოვენ. ზოგჯერ აბიტურიენტებისათვის გამიზნული წიგნებიც ვერ ამჟღავნებენ დიდ განსხვავებას სტუდენტების სახელმძღვანელოებისაგან. ასე რომ, სწავლების ენა გაუცხოებული ხდება ახალგაზრდის ასაკისთვის, რისი გამკითხავიც არავინაა. რამდენიც გნებავთ იმდენი მაგალითის მოტანა შეიძლება, მათ შორის ჩემი სპეციალობიდანაც. ბევრჯერ უთქვამთ სტუდენტებს, ვკითხულობთ და ვერაფერს ვგებულობთო. ვფიქრობ, ღირს ამ საკითხზე სერიოზული დაფიქრება. **არავის არა აქვს უფლება, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ენერგიის ფლანგვას და მათი ტვინის დამახინჯებას.** ცხადია, ყველა ვერ იქნება სერგო ჯორბე-

* წერილი გამოქვეყნდა გაზეთში „24 საათი“, 2004 წლის 21 დეკემბერი (N302).

ნაძე, მაგრამ ხომ შეიძლება იყო ის, რაც ხარ და არ გქონდეს სასწავლო წიგნის წერის პრეტენზია? თუ ვინმეს ეჭვი ეპარება ჩემს ნათქვამში, მე შემიძლია მას კონკრეტული ფაქტებით დავუდასტურო ეს. აქედან დასკვნა: **საშუალო და უმაღლესი სწავლება საჭიროებს ისეთ ენას, რომელიც ახალგაზრდას კი არ დააბნევს და შეაძულებს განათლებას, არამედ შეაყვარებს მას.**

სახელმძღვანელოთა ენობრივი სტილის სიმარტივე პირდაპირაა დამოკიდებული სასწავლო მასალის შინაარსის გადმოცემის სიმარტივეზე. ყველაზე მეტად ეს ვერ ხერხდება საშუალო სკოლაში. ამასწინათ, ნათესავთან სტუმრობისას, ვნახე, თუ როგორ „იჭყლეტდა“ ტვინს მასწავლებელი მე-V კლასის მოსწავლისათვის ვეფხისტყაოსნის რამდენიმე სტროფი რომ აეხსნა. ვიფიქრე, წავეშველები მეთქი, მაგრამ არც მე გამომივიდა არაფერი. **მე ვერ დავინახე დიდი განსხვავება კანონის ურთულესი ნორმების განმარტებასა და აღნიშნული სტროფების განმარტებებს შორის.** ამის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ლიტერატურის სწავლებაში ყველაფერი ვერ ყოფილა რიგზე და აქ მართლაც საჭიროა სერიოზული დაფიქრება. **დაუშვებელია, მოწაფეს ქართული ლიტერატურა მათემატიკის ამოცანების კრებულად უქციო.** იგივე უნდა ითქვას ამ საგანში გამოცდების პროგრამებზეც. საქმე იქამდე მივიდა, რომ, რასაც „სისხლხორცდანთხეული“ აბიტურიენტი წერით გამოცდაზე აკეთებს 3-4 საათის განმავლობაში, იმავე პირობებში (სათანადო წყაროების დახმარების გარეშე) უეჭველად გაუჭირდებოდა მისი გაკეთება ზოგიერთ თავმომწონე პროფესორ-მასწავლებელს. ასეთ ვითარებაში როგორ გინდა თქვა, რომ ყველაფერი ძველებურად უნდა დარჩესო. თუ გნებავთ, აბიტურიენტისათვის შექმნილი სამართლისმცოდნეობის სახელმძღვანელოები ავიღოთ. მართალია მოკლედ, მაგრამ ფაქტობრივად ისინი მოიცავენ ზოგიერთი დისციპლინის თითქმის ყველა პრინციპულ საკითხს, რასაც სტუდენტები ხუთი წლის განმავლობაში სწავლობენ. ცხადია, ამას ჰქონდა დადებითი ეფექტი, პირველკურსელი გაუცხოებული არ ხვდებოდა ლექცია-სემინარებს, მაგრამ ესეც ხომ ახალგაზრდის ენერჯის ნაადრევი გამოფიტვის ხარჯზე ხდებოდა. ყოველივე ამან არ შეიძლება არ დაგვაფიქროს სწავლების სტილისა თუ შინაარსის გამარტივების თაობაზე. **რეფორმის ამოსავალი დებულება უნდა იყოს ახალგაზრდის ენერჯის გონივრული ღირებულებითი ხარჯვა.**

II. უნდა ვიცოდეთ, რა ვასწავლოთ, ანუ ცოდნა ფასეული უნდა იყოს

ერთ-ერთი მთავარი საკითხი განათლების რეფორმის საქმეში ეს არის ცოდნის ღირებულების საკითხი. ეს ნიშნავს იმას, რომ ახალგაზრდა უნდა სწავლობდეს იმას, რაც ფასეული და აუცილებელია. ახალგაზრდის ტვინი უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანი საკითხებით არ უნდა დამძიმდეს. ისევე ისტორიის მაგალითს მოვიტან. მახსოვს ერთი აბიტურიენტი თავს იწონებდა 1500-მდე ისტორიული თარიღი ვიციო. ეტყობა ამ ბავშვის მასწავლებლისათვის ისტორია თარიღების ისტორიაა. თუ ზუსტი თარიღი ახალგაზრდამ ვერ დაასახელა, ეს მას ნაკლად ჩაეთვლება. რა თქმა უნდა, არის საკრალური თარიღები, რაც მან აუცილებლად უნდა იცოდეს, მაგრამ, თუ გითხრა, რომ სამართლის ესა თუ ის ძეგლი ამა და ამ საუკუნეშია შედგენილი, ეს არ უნდა იყოს საკმარისი. მაინც და მაინც ზუსტად წლები უნდა დაასახელოს? ბევრჯერ გამიგონია, რომ უცხოელ მეცნიერებს გაჰკვირვებიათ, როცა ჩვენს მკვლევარებს უზარმაზარი ენერჯია დაუხარჯავთ იმის გასარკვევად, ესა თუ ის მეფე ორი-სამი წლით ადრე დაბადებულია თუ გვიან. ახალგაზრდისათვის არაა მთავარი ის, თუ ვინ რამდენჯერ მოიქნია ხმალი და რამდენი კაცი მოკლა, **მან ისტორია უნდა ისწავლოს როგორც თავისი ქვეყნის კულტურისა და სახელმწიფოებრიობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მოვლენების ისტორია.** ისტორია არ უნდა დავიწყანოთ მხოლოდ მეფეთა ცხოვრების ისტორიამდე. ისტორია ესაა მოვლენათა ისტორია. ერთ ოდიოზურ პიროვნებას უთქვამს: „განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ისტორიის სწავლებას. საშუალო სკოლის 100 კურსდამთავრებულიდან 99-ს მხოლოდ რამდენიმე თარიღი და ეპიზოდი ახსოვს ჩვენი ისტორიიდან. უმთავრესი ფაქტები კი, რომლებიც უნდა იცოდნენ და ყოველთვის ახსოვდეთ, მათ არც კი გაუვლიათ. ისტორიის შესწავლის მიზანი წარსულის გაცნობა კი არ უნდა იყოს, არამედ გამოცდილების მიღება მომავალი ცხოვრებისათვის. ამიტომ უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს რომის ისტორიის შესწავლას, რომელიც დიდ გამოცდილებას გვძენს”.

ყოველივე აღნიშნული აუცილებლად გასათვალისწინებელია სამართლის ისტორიის შესწავლისას. მე თვითონ ამ დარგის სპეციალისტი გახლავართ და გული მეუბნება, რომ აქაც საჭიროა მთავარ საგანსა და ზომიერებას დაეუბრუნდეთ. ბევრ ქვეყანაში რომის კერძო სამართალს ასწავლიან თანამედროვე სამართალთან კავშირის კუთხით. წერილებიც კი ქვეყნდება რომის სამართლის დღევანდელი მნიშვნელობის შესახებ. არ იქნებოდა ურიგო, თუკი ამ კუთხითაც დავინახავდით რომის სამართალს. მსგავსი კავშირი

შეიძლება დაიძებნოს ძველი და ამჟამინდელი ქართული სამართლის ურთიერთობაშიც. **ამ დარგშიც ახალგაზრდების აზროვნება ძველი სამართლის ძირითადი თავისებურებებით უნდა შემოიფარგლოს და არა ათასი წვრილმანით.** ყოველივე ეს ადვილად ჯდება ახალგაზრდის ცნობიერებაში და მახსოვრობიდანაც აღარ წაიშლება. **ისტორიით ისე არ უნდა დავტვირთოთ ახალგაზრდა, რომ მან დროის შეგრძნება დაკარგოს და ვეღარ გაარკვიოს, რომელ დროში ცხოვრობს იგი. ისტორია ყველა შემთხვევაში ანმყოს სამსახურში უნდა იდგეს და არა ანმყოს ადგილს იკავებდეს.** ანმყო თუ არ გივარგა, წარსულში კი არ უნდა გადაიკარგო გულხელდაკრეფილი, როგორც ეს ხშირად გვჩვენია ხოლმე, არამედ წარსული მომავალის შესაქმნელად უნდა გამოიყენო. როცა პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიაზე საუბარი (იგივე სამართლის ფილოსოფიაზე), უმჯობესია, ახალგაზრდამ შეისწავლოს ის ძირითადი მოძღვრებები, რომლებმაც პრინციპული გავლენა მოახდინა სამართლებრივი აზრის განვითარებაზე და არა ყველა „ლაჭა-ლუჭა“ მოაზროვნის აბდაუბდა დავაზუთხვინოთ. ახალგაზრდამ თავად უნდა შეძლოს მათი ნაწარმოების მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ გაცნობა მაინც. ასე თუ მიუუდგებით საკითხს, პროგრამა ამ დარგში ერთიორად შემცირდება. იგივე მინდა ვთქვა საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაზე. ახლანდელი მდგომარეობით, ახალგაზრდას უწევს ასეულობით სახელოსა თუ უმნიშვნელო ფაქტების დამახსოვრება. ბატონებო, გადაიღალა ახალგაზრდის გონება (შეიძლება კაცს მანქანის ნომრები აზეპირებინო?). სხვათა შორის, მე რომ სტუდენტი ვიყავი, ერთი კეთილი პროფესორი არათუ ყველა თარიღს, არამედ მოვლენათა დადგომის საათებსაც გვაზუთხვინებდა, უფრო მეტიც, მოგვთხოვა საბჭოთა კონსტიტუციის ყველა მუხლის დაზეპირება. შეგეკითხებოდა 50-ე მუხლში რა წერიაო და შენც უნდა გეპასუხა. მეტს აღარფერს ვიტყვი ისტორიაზე, გული რომ არ ვატკინო ჩემს მეგობრებს.

III. მთავარია პრინციპებით აზროვნება და მასალის სწორად შერჩევა

არსებითად უნდა დაიხვეწოს სწავლების მეთოდოლოგია. ახალგაზრდას არ უნდა შევთავაზოთ უსისტემო მასალების გროვა. პრაქტიკა მოწოდებს, რომ ბევრი ინფორმაციის ცოდნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ შეგიძლია მათი სწორი ახსნა-განმარტება. მე მინახავს ადამიანები, რომლებმაც ბევრი იციან, მაგრამ ვერ იღებენ სწორ გადაწყვეტილებას. ასევე მინახავს ისეთ-

ბიც, რომლებმაც ცოტა იციან, მაგრამ არ უჭირთ სწორი გადაწყვეტილების მიღება. **საქმე იმაშია, რომ ის, ვინც ფლობს გასაღებს, მას სწორად მოქმედებაც შეუძლია.** ასეთი ჩემს სპეციალობაში სამართლის პრინციპებია, რომლებიც ხერხემალს წარმოადგენენ ნებისმიერი ინსტიტუტის ორგანიზმისათვის. თუკი ჩვენ ამ პრინციპებს შევასწავლით ახალგაზრდებს, რომლებიც უხვადაა ნებისმიერ დარგში, მათ მუდამ ემახსოვრებათ მთავარი და აღარ დასჭირდებათ ყოველი წვრილმანით გადაიტვირთონ თავი. **ახალგაზრდამ სამართლის ნორმათა გაზუთხვა კი არ უნდა ისწავლოს, არამედ მათი სწორი ახსნა-განმარტება.** ეს კი შესაძლებელია აღნიშნულ ფასეულობათა ცოდნის საფუძველზე. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ ცდება ის ლექტორი, რომელიც ელემენტარული დებულებების დამახსოვრებასაც აიძულებს სტუდენტებს. პირადად მე ამ პრინციპების ცოდნამ დიდი დახმარება გამინია კანონთა ახსნა-განმარტებაში. ყოველივე აღნიშნული კიდეც ერთხელ მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად აუცილებელია ახალგაზრდებისათვის საზოგადო სამართლებრივ ფასეულობათა ცოდნა. **სწორედ პრინციპებში ჩანს სამართლებრივი სხეულის ნამდვილი სურათი. ადამიანი, როგორც გონი, პრინციპებით აზროვნებაში ვლინდება.**

უცხოური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სტუდენტები არ უნდა გადაიტვირთონ სასწავლო მასალით. არ უნდა დაგვაინყდეს, რომ პირველი საფეხურის უმაღლესი განათლება არ ამზადებს მეცნიერებს. სპეციალისტის მოსამზადებელი მასალა უნდა განსხვავდებოდეს მეცნიერის მომზადების მასალისაგან. თუ გერმანიის მაგალითს ავიღებთ, იქ ამ მხრივ სახელმძღვანელოებიც განსხვავდებიან. სტუდენტებისათვის იწერება მოკლე სახელმძღვანელოები, დოქტორანტებისათვის კი დიდი სახელმძღვანელოები. ეს გარემოება აუცილებლადაა მხედველობაში მისაღები. გარდა ამისა, სასემინარო-პრაქტიკული მასალის შერჩევაშიც ზომიერება უნდა დავიცვათ. **არ უნდა იყოს გამართლებული ერთი სემინარის ფარგლებში სტუდენტებს უამრავი დასახელების სტატიის (მათ შორის ზოგჯერ წიგნების) შესწავლა მოვთხოვოთ.** ამას ნამდვილად აქვს ადგილი და მერწმუნეთ, იგი ფიტავს ახალგაზრდის ენერგიას, ხეირიანად ვერ უწყობს ხელს თემების სრულად ათვისებაში. **ასე რომ, უნდა შეირჩეს უმთავრესი და სტუდენტის შესაძლებლობებზე მორგებული ლიტერატურა.** როგორ გგონიათ, თუ კუჭისთვისაა უვარგისი უზომო კვება, მოჭარბებული ლიტერატურა ტვინისთვის კარგი იქნება? მოკლედ, ლექტორს უნდა ესმოდეს, რომ არ შეიძლება მან იმდენი მოსთხოვოს სტუდენტს, რამდენიც თვითონ იცის. ვწუხვარ, მაგრამ ამ კატეგორიის მასწავლებლებიც მოიძებნებიან. მოკლედ, ამ შემთხვევაშიც ზომიერება ყველაზე კარგი

მასწავლებელია. მნიშვნელოვანია ის, რომ ჯერ სტუდენტის გულს ვაგრძნობინოთ არჩეული სპეციალობის სიყვარული და შემდეგ ტვინს. ყველა სპეციალობაში მოიძებნება საამისო ლიტერატურა და სწორედ მათი წაკითხვა უნდა ვურჩიოთ ახალგაზრდებს. იურისპრუდენციაში მე ასეთად მიმაჩნია რუდოლფ იერიგის „უფლებისათვის ბრძოლა“. ამ ნაწარმოებს ნამდვილად შეუძლია ახალგაზრდის გულს სამართლის სიყვარული აგრძნობინოს. ზოგი ახალგაზრდა ისე ამთავრებს უმაღლესს, რომ მერე გებულობს მისი არსებობის შესახებ. **არც ერთი საგნის შესწავლა არ შეიძლება, თუ იგი არ შეიყვარე. სიყვარული კი ღირებულ ნაშრომებს მოაქვთ.** ამიტომაც მნიშვნელოვანი მასალის სწორი შერჩევა.

IV. სწავლება თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის შეგრძნებით უნდა წარიმართოს

თეორიული და პრაქტიკული სწავლების ერთ ორგანიზმად შერწყმა სერიოზული თავისებურება უნდა იყოს განათლების რეფორმისა. სამწუხაროდ, საბჭოთა სინამდვილეში უნივერსიტეტები პრინციპულად თეორიულ სწავლებაზე ორიენტირებულ დაწესებულებებს წარმოადგენდნენ. პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბება სიმბოლური დატვირთვის ხასიათს ატარებდა. მოკლედ, მეთოდოლოგია ასეთი გახლდათ: აქ უნივერსიტეტში სტუდენტი თეორიულ განათლებას მიიღებს, მისი გამოყენების პრაქტიკას კი პროფესიული მუშაობის შემდეგ გაიგებსო. თეორია და პრაქტიკა მედლის ორ მხარედ განიხილებოდა. ამის დასტურია ისიც, რომ იშვიათად ნახავდით სამეცნიერო ხარისხის მქონე პრაქტიკოს მუშაკს. თითქოს სამეცნიერო წოდება მარტო ლექტორ-მასწავლებლებს უნდა ჰქონოდათ. თანდათანობით დაინგრა ეს ხელოვნურად აღმართული კედელი და ცხოვრება ისე წავიდა, **რომ მეცნიერება დამკვიდრდა პრაქტიკაში, პრაქტიკა მეცნიერებაში.** მათი ერთმანეთისაგან გაუცხოება წარსულს ჩაბარდა. უნივერსიტეტებში საფუძველი ჩაეყარა თეორიისა და პრაქტიკის ორგანულ ერთიანობას. ეს კი ნიშნავს თეორიული პოსტულატების პრაქტიკული მაგალითებით ახსნა-განმარტებას. დასავლეთის უნივერსიტეტებში ეს ერთიანობა განსაკუთრებითაა გამოკვეთილი. იქ სახელმძღვანელოები დატვირთულია ყოველდღიური ცხოვრებისეული კაზუსებით. ასეთი მიდგომით სტუდენტები მომზადებულები ხვდებიან მომავალ საქმიანობას.

V. სტუდენტი უნდა გახდეს სასწავლო პროცესის აქტიური თანამონაწილე

პრინციპულადაა შესაცვლელი ლექტორ-მასწავლებლისა და სტუდენტის ურთიერთდამოკიდებულება. არ შეიძლება იგი ისე წარმოვიდგინოთ, თითქოს ლექტორმა ყველაფერი იცის, სტუდენტმა კი არაფერი. უამბიციო ლექტორი სტუდენტებისაგანაც სწავლობს. ჩვენს პრაქტიკაში ბევრჯერ ყოფილა, როდესაც სტუდენტს ისეთი საკითხი დაუყენებია, რომელიც სხვა შემთხვევაში არ დადგებოდა. მსგავს ვითარებას ჰქონია ადგილი სასამართლო პრაქტიკაშიც. მახსოვს, მოსარჩელემ, რომელიც პროფესიით ინჟინერი იყო, სასამართლოს სთხოვა: **ბატონო მოსამართლენო, ნუ ხელმძღვანელობთ ამ კანონებით, დამიდგინეთ სამართალი, რომელიც კონსტიტუციას შეესაბამება.** ამის მთქმელს შეიძლება არც კი ჰქონდა გაცნობიერებული, სამართლის არსების საკითხი რომ წამოჭრა. სტუდენტი კი არ უნდა დატუქსო, როცა თავის აზრს გამოთქვამს ლექციის დროს, არამედ საჭიროა კარგად მოუსმინო და ამ ლექციის თანამონაწილედ აქციო. ცხადია, მე მხედველობაში მაქვს ამის დაშვება ზომიერ ფარგლებში, ისე რომ, ლექტორის ფუნქციურ დანიშნულებას ხელი არ შეეშალოს და ისე არ გამოგვივიდეს, ვეღარ გავარკვიოთ, ვინაა მასწავლებელი და ვინ მოწაფე. ეს რაც შეეხება ლექციას. სასემინარო პრაქტიკულ მეცადინეობებში აშკარად გამოკვეთილია სტუდენტის როლი. საბჭოთა სამართლის ხანაში ასეთი წესი გვქონდა: ლექტორი მისცემდა სტუდენტს რომელიმე თემას და სტუდენტები რიგრიგობით ჰყვებოდნენ მას სემინარებზე. აქაც მასალების მთელი გროვა გადმოიცემოდა. ზოგიერთი ლექტორი სახელმძღვანელოდან ერთი სიტყვის გამოტოვებასაც არ გაპატიებდა. ახლა ბევრად შეიცვალა მიდგომები და ევროპული უნივერსიტეტების სიო იგრძნობა ჩვენთან. სტუდენტები თეორიული მომზადების საფუძველზე უკვე ცალკეულ კაზუსებსა და ტესტებს ხსნიან. საამისოდ გამოდის პრაქტიკული სახელმძღვანელოები. ეს აშკარად დაეტყო სამართლისმცოდნეობის სპეციალობას. სამწუხაროდ, ამ დარგშიც ზოგიერთი ლექტორი არ ღალატობს წარსულს და მხოლოდ გაზუთხულის მოსმენით კმაყოფილდება. ვფიქრობ, ამ მხრივ, უცხოური გამოცდილების გადმოღების პროცესი არ უნდა შეწყდეს.

VI. კერძო უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი უნდა შემცირდეს

ჩვენში სოკოებივითაა მომრავლებული კერძო უმაღლესი სასწავლებლები. ამ საკითხზე ბევრი დავა-კამათი იყო, მაგრამ მის გადაჭრას ბოლო არ უჩანს. ახლა არ ვიცი, მაგრამ ერთ დროს ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ვისაც კი მოეპრიანებოდა, უმაღლეს სასწავლებელს გახსნიდა. საამისოდ ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი იყო ის, რომ ამის მსურველს ლექტორ-მასწავლებელთა საკმარისი სია უნდა წარედგინა განათლების სამინისტროში, რომ დაერწმუნებინა იგი მომავალი სასწავლებლის სიცოცხლისუნარიანობაში. გვიან მივხვდი, თუ რატომ მომმართავდნენ სხვადასხვა სასწავლებლების დამფუძნებლები შემდეგი თხოვნით: გვინდა, რომ ჩვენთან ნაიკითხოთ ლექციები და თუ შეძლებთ, იქნებ ეს წერილობითაც დაგვიდასტუროთო. მეც ასე ბევრჯერ დავადასტურე, თუმცა ამის შემდეგ ბევრს აღარც გავხსენებიავარ. ამას წინათ, ჩემი ერთი ძველი ნაცნობი შემხვდა, რომელიც ათი წელია არ მინახავს და გამახსენა - თქვენ ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღირსეული წევრი ბრძანდებითო. არც ახლა ვიცი რომელ სასწავლებელზე იყო საუბარი. ვინ იცის, რამდენი უმაღლესი სასწავლებლის ლექტორი ვარ და ეს მე არ ვიცი. ჩემნაირ მდგომარეობაში, ცხადია, უამრავი პროფესორ-მასწავლებელი იქნება. სინამდვილეში მდგომარეობა უალრესად კრიტიკულია. კაციშვილი არ არის გამკითხავი, თუ ვინ კითხულობს ასეთ სასწავლებლებში ლექციებს. იცოცხლე, დიპლომი ოფიციალურად გატოლებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომთან. მერე მოდის ასეთი ადამიანი შენთან და ასპირანტურაში ჩაბარებას ითხოვს. ვეკითხები ხოლმე, ვინ გიკითხავდათ ლექციებსმეთქი. იმისთანა გვარებს დამისახელებენ, კაციშვილს რომ არ გაუგონია. წიგნი არ წაუკითხავთ და ხარისხებს ეპოტინებინან. ფაქტობრივად ისე გამოდის, ასეთი სასწავლებლები იმიტომაა შექმნილი, რომ თვითონ ლექტორებმა აიმაღლონ ცოდნა. უფრო მეტიც, ეს სასწავლებლები სხვა ხერხებსაც მიმართავენ. ასეთ შემთხვევას ნავაწყდი: ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის კედელზე გამოკრული იყო ლექცია-სემინარების ცხრილი და ისეთი ხალხი იყო პროფესორებად მოხსენიებული, რომელთაც საერთოდ არა აქვთ სამეცნიერო ხარისხი. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ყალბი დიპლომების მომრავლება. კომუნისტების დროს ის მაინც კეთდებოდა, რომ ასეთი დიპლომის მსურველი დროებით გადაიკარგებოდა სადმე, სწავლის იმიტაცია რომ შეექმნა, ახლა კი, სრულიად უსირცხვილოდ, შენს გვერდით შეიძლება იჯდეს, ერთხელაც არ წამოსცდეს, რომ სწავალობს და

თუ გაიგო, რომ უდიპლომობით საფრთხე ექმნება, მეორე დღეს დაგიდებს მაგიდაზე მას. ხალხში ხომ არაფერი იმალება.

ალარ გავაგრძელებ ამაზე საუბარს, აშკარაა, რომ აქ წესრიგია დასამყარებელი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრმა კერძო უმაღლესმა სასწავლებელმა ნამდვილად გაამართლა და ისინი ტოლს არ უდებენ საკმაოდ ცნობილ სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებს. მათ უეჭველად მხარდაჭერა სჭირდებათ. გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ უმაღლესი განათლება მთლიანად სახელმწიფო სასწავლებლებში უნდა მიმდინარეობდეს, მით უმეტეს ისეთ დარგში, როგორცაა სამართლისმცოდნეობა. ახალგაზრდობაც მიხვდა, რომ ასეთ „ცეხებში“ ბევრს ვერაფერს შეიძენდნენ და ამანაც განაპირობა სახელმწიფო უნივერსიტეტებში შემსვლელთა რიცხვის ზრდა. ამ დარგში რეფორმის ჩატარებისას ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს რეგიონებს. **არ შეიძლება ყველა სიკეთით სარგებლობის ადგილი იყოს დედაქალაქი. რეგიონებში უნდა ადუღდეს კულტურული ცხოვრება.** იქ უმაღლესი განათლებისათვის ხელის შეწყობა ქვეყნის თანაბარი განვითარების სერიოზული გარანტია იქნება.

VII. აბიტურიენტი საშუალო სკოლამ უნდა მოამზადოს

დღემდე საშუალო სკოლა ვერ უზრუნველყოფდა აბიტურიენტის მომზადებას. თუ ცოტას გადავაჭარბებთ, მისი დანიშნულება იყო საშუალო განათლების ატესტატის გაცემის ფორმალური ფუნქციის შესრულება. უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელი მონაფეები მე-10, მე-11 კლასებში ფაქტობრივად ემიჯნებოდნენ სკოლას და რეპეტიტორებთან მეცადინეობით სწავლობდნენ იმას, რაც ამ სკოლას უნდა მიეცა მათთვის. ყველასათვისაა ცნობილი თუ რა უჯდება აბიტურიენტის ოჯახს ეს. შედარებით კარგი ტრადიციები იყო შემორჩენილი სოფლის სკოლებში. მე მინახავს, დიდთოვლობისას, მონაფე და მასწავლებელი საათობით დროს ანდომებდნენ სკოლაში მისვლას გაკვეთილი რომ არ გაცდენილიყო. ამის შედეგი იყო ისიც, რომ აბიტურიენტთა დიდი ნაწილი, რომლებიც კერძო მასწავლებლებთან ყოველგვარი დამატებითი მომზადების გარეშე ირიცხებოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, ძირითადად, სოფლის (რეგიონების) სკოლადამთავრებული მონაფეები იყვნენ. **საშუალო სკოლამ უნდა იტვირთოს აბიტურიენტის მთლიანად მომზადების ფუნქცია.** კერძო მასწავლებლები არც ერთ ქვეყანაში არაა აკრძალული, მაგრამ ამ გზით განათლების მიღება წესი არსად არ გამხდარა. ისე არ უნდა მოხდეს, რომ საშუალო სკოლის გვერდით ფაქტო-

ბრივად არსებობდეს მეორე „საშუალო სკოლა“. საამისოდ აუცილებელია სკოლის მასწავლებლებს ისეთი პირობები შევუქმნათ, რომ მათ სკოლის გარეთ აბიტურიენტების მომზადებაზე კი აღარ იფიქრონ, არამედ მთელი ენერგია სკოლაშივე გახარჯონ. იგივე უნდა ითქვას უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებზეც. ასე რომ, თუკი პროგრამაც გამარტივდება და პედაგოგთა პირობებიც გაუმჯობესდება, მაშინ საშუალო სკოლიდანვე შეაღებს უმაღლესი სასწავლებლის კარს სკოლის მონაფე, როგორც ეს ერთ დროს იყო.

VIII. მეცნიერების რეფორმა გარდაუვალია

განათლების რეფორმა მჭიდრო კავშირშია მეცნიერების რეფორმასთან. ამ დარგში ბევრი რამაა შესაცვლელი. ინტელექტუალური საკუთრების განვითარებისათვის ხელისშეწყობა სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრეს ფასეულობად უნდა იქცეს. ჩვენი ქვეყნის გამდიდრება ამ ფაქტორზეცაა მნიშვნელოვნად დამოკიდებული. არიან ქვეყნები, რომლებსაც ინტელექტუალური საკუთრების ბრუნვით მილიარდები შეაქვთ ქვეყნის ბიუჯეტში. ქართველი ერი ამგვარი საკუთრების შექმნისთვისაა გაჩენილი, რაზედაც მეტყველებს ჩვენი მეცნიერების ისტორია. რეფორმის პროცესში არ უნდა დაზარალდნენ მეცნიერებანი, რომლებიც დედაბობად ედგნენ როგორც ქართულ სახელმწიფოებრიობას, ისე ქართულ ცნობიერებას, კერძოდ, როგორცაა ქართველოლოგიური მეცნიერებანი. მოკლედ, ხელის შეწყობა სჭირდება როგორც სულიერი ფასეულობების შემქმნელ მეცნიერებებს, ისე იმათ, რომელთა შედეგებიც ქონებრივ ფასეულობებში აისახება. საამისოდ კი **საჭიროა მეცნიერების ორგანიზაციის ისეთი სისტემის დამკვიდრება, რომელიც უზრუნველყოფს მეცნიერის შემოქმედებით თავისუფლებას.** მეცნიერებისათვის მიუღებელია ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემები. არადა, იგი შეიძლება იხილოთ ნებისმიერი პატარა განყოფილების დონეზეც კი, როცა ბევრი აღარ აკლია მის ხელმძღვანელს, ხელქვეით პროფესორებს უბრძანოს, “პირველ-მეორეზე” გაითვალეთო. არ შეიძლება სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულება დაემსგავსოს პოლიციის განყოფილებას. მერწმუნეთ, აქ რეფორმა ნამდვილად ჩასატარებელია. ამჯერად მხოლოდ ამით დავკმაყოფილდები, ვინაიდან, გადაწყვეტილი მაქვს, მეცნიერების რეფორმას ცალკე წერილი მივუძღვნა.

Bessarion Soidse

Verfassungskontrolle und Werteordnung in Georgien

(Zusammenfassung)

Das Verfassungsgericht Georgiens wurde 1996 gebildet. Während seines 10-jährigen Bestehens hat sich eine reiche und nicht zu unterschätzende Praxis entwickelt. Das Gericht ist zur Schmiedestelle neuer rechtlicher Werte und zur Institution für die Harmonisierung des Rechtssystems des unabhängigen Georgiens im Europäischen Rechtsraum geworden.

Die Praxis bzw. die Präzedenzfälle des Verfassungsgerichts haben im bedeutenden Maße die Entwicklung des Privatrechts in Georgien unterstützt. In zahlreichen Entscheidungen sind die wichtigsten Grundsätze des Bürgerlichen Rechtsverkehrs verankert. Nach den beim Verfassungsgericht entwickelten Positionen sind die Rechte des Beteiligten dieses Rechtsverkehrs so zu berücksichtigen, dass das Verkehr zustande kommen und den Interessen beider Parteien gerecht werden soll. Der Gesetzgeber darf die Beteiligten des Rechtsverkehrs unter riskanten Umständen nicht ihrem Schicksal überlassen. Es gibt keinen Vertrag, der die rechtlich zu berücksichtigenden Interessen und die wesentlichen Umstände nicht in Betracht zieht. Die Formvorschriften regeln nicht nur die Form eines Rechtsgeschäfts, sondern sind ein Mittel zur Wirksamkeit der Willenserklärung.

Eine große Bedeutung kommt in den Gerichtsentscheidungen dem Bezug der Rechtsordnung und der Rechtssicherheit zu Menschenrechten zu. Aus den Präzedenzfällen ist es ersichtlich, dass eine geregelte und vertrauenswürdige Rechtsordnung eine Voraussetzung für das Bestehen jeglicher Rechte ist. Der Bezug der Rechtsordnung (-sicherheit) zu Menschenrechten ist dem Bezug des Fundaments zum Gebäude gleich.

Ein wichtiges Tätigkeitsfeld des Gerichts stellen die Fragen der Gesetzesreform dar. Aus den Präzedenzfällen des Gerichts ist es ersichtlich, dass der Gesetzgeber durch allgemeine Rechtsgrundsätze eingeschränkt ist. Jedes Gesetz soll aus dem Gesellschaftlichen Leben kommen und auf die Gesellschaft gerichtet sein. Die Menschenrechte können sowohl durch die Verzögerung der Verabschiedung als auch durch die dauernde Verzögerung der Rechtskraft eines Gesetzes verletzt werden. Der Gesetzgeber hat die verfassungsmäßige Verpflichtung, eine große Verantwortung im Rechtssetzungsprozess zu zeigen. Das Gericht hat die wirksame und unwirksame Rückwirkungskraft des Gesetzes klar und deutlich voneinander abzugrenzen.

Einer ernsthaften Reform bedürfen weiter die Verfassungsrechtsverfahren . Aufgrund der jüngsten Gesetzesänderungen können alte Präzedenzfälle überdacht und neue Ansätze gebildet werden.

Im vorliegenden Buch wird nur auf das Eigentumsrecht näher eingegangen. Besonders den Ländern mit historisch privateigentümlicher Psychologie fällt es schwer, die soziale Funktion des Eigentums zu begreifen. Ursprünglich waren auch die Entscheidungen unseres Gerichts auf diese Ansätze bzw. Psychologie gestützt. Im Wege der Harmonisierung mit der Praxis des Europäischen Gerichts hat sich in der letzten Zeit ein Verständnis des verfassungsmäßigen Eigentumsrechts konstituiert, das auch in entwickelten Ländern verbreitet ist. In der Gerichtspraxis wurden die verfassungsmäßigen und die privatwirtschaftlichen Aspekte des Eigentums streng voneinander abgegrenzt. Aus den Entscheidungen ist es ersichtlich, dass das rechtlich mangelfreie Eigentum verfassungsmäßigen Schutz genießt. Das Eigentum ist ein Geschöpf der Rechtsordnung und nicht des Gesetzgebers. Die Eigentumsgarantien meinen nicht nur den Schutz vor negativen Einflüssen seitens des Staates, sondern auch die Vornahme von positiven

Handlungen durch ihn. Der Eigentumsbegriff, auf den sich der Schutz und die Sicherheiten nicht erstrecken entfällt aus dem verfassungsrechtlichen Kontext. Die Einschränkung des Eigentums darf das Eigentum nicht unterbinden. Die Eigentumssubstanz ist zu erhalten. Weiter ist das Augenmerk des Gerichts auch auf die Nichteigentumsrechte gerichtet. Die Reanimation der Eigentumsformen wurde streng bewertet. Die Enteignung als eine zusätzliche Strafmaßnahme wurde aufgehoben.

Für einen postsowjetischen Staat ist ferner die Frage der Auslegung der Normativakte und insbesondere der Verfassung besonders wichtig. Das Richterrecht befindet sich im Aufbau und deshalb stehen wir auf diesem Gebiet noch vor vielen Aufgaben. Das Gericht hat auch das Recht zu erfassen, das in einem negativen Blick steht. Das Verfassungsgericht hat die Verfassung als einen dem zusammengebundenen, einheitlichen menschlichen Organismus gleichen Wert zu betrachten.

Die Frage der Vollstreckung von Entscheidungen des Verfassungsgerichts war schon immer aktuell. Nach der geltenden Gesetzgebung ist es unmöglich, die Entscheidung des Verfassungsgerichts durch die Annahme eines dem für verfassungswidrig erklärten Normativakt identischen Aktes zu überwinden. In diesen Fällen erklärt das Gericht den Akt für unwirksam. Wir gehen davon aus, dass aufgrund der Besonderheit der Frage, das Verfassungsgericht den Zeitpunkt der Unwirksamklärung des für verfassungswidrig erklärten Normativaktes selbst im Einzelfall regeln soll.